

დავით მირცხულავას მეორე განაჩენი A4



კალაძისთვის იტალია ღირსეული ჩემპიონია A7



ახალი წიგნი ქართულ-იტალიურ სივრცეში A8


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 15 ივლისი, 2006 წელი. №157 (1309) | ფასი 50 თეთრი



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge



"ოლიმპიური ვარსკვლავის" სტარტი C2

**ამბები**

ოპოზიცია კვლავ ვანო მერაბიშვილის „თავს" ითხოვს A2

**პოლიტიკა**

რუსეთის ხელი უკრაინის მოვლენებში A3

**სპორტი**

ქიდაობა დაიწყო A6

**სპორტი**

იტალიამ თასი გატეხა A6



საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 15/07 | 16/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 33 | 35 |
| ბათუმი | 30 | 28 |
| სოხუმი | 27 | 26 |
| ქუთაისი | 32 | 30 |
| გორი | 29 | 27 |
| ონი | 23 | 21 |
| ზუგდიდი | 31 | 28 |
| ახმეტა | 33 | 34 |
| სამტრედია | 31 | 30 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7660 |
| ევრო | 2.2377 |
| ბრიტანული სტერლ. | 3.2496 |
| რუბლი | 0.0655 |


ამბები A 2
პოლიტიკა A 3
სამართალი A 4
რევიუ A 5
სპორტი A 6
სპორტი A 7
სხვადასხვა A 8


# იდუმალი ტერორის გაგრძელება

### სასტიკი პროვოკაციები კონფლიქტის ზონაში

დიმიტრი ავალიანი

*ცხინვალში რიგით მეორე ტერაქტმა, რომელიც მსხვერპლით დასრულდა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა უკიდურესად დაძაბა. საქართველოც და რუსეთიც ერთმანეთს საბრძოლო მოქმედებების დაწყებისათვის მზადებაში ადანაშაულებენ. ცხინვალი თბილისს ტერორიზში „ამხელს", თბილისში კი რუსეთის მიერ მოწყობილ პროვოკაციებზე საუბრობენ.*

გუშინ, დილის ცხრის ნახევარზე ცხინვალში სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების რაზმის მეთაურის ბალა ბესტაევის ავტომანქანა აფეთქდა. თვითნაკეთმა ასაფეთქებელმა მოწყობილობამ ბესტაევი ვერ დააზარალა, თუმცა იქვე მყოფი ორი მოზარდი აფეთქების შედეგად დაიღუპა.

ეს ბოლო დღეების განმავლობაში სამხრეთ ოსეთში მომხდარი მეორე ტერაქტია - 9 ივლისს საკუთარ ავტოფარეხში თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს მდივანი ოლეგ ალბოროვი ააფეთქეს.

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ მომხდარში გუშინ საქართველოს ხელისუფლება დაადანაშაულა. **„საქართველოს მიერ სამხრეთ ოსეთში ორგანიზებული და განხორციელებული ტერაქტების ტალღის შედეგად იღუპებიან ჩვენი სახელმწიფო მოხელეები, მშვიდობიანი მოსახლეობა და ბავშვები,"** - განაცხადა კოკოითიმ.

კოკოითის თქმით, ცხინვალში მომხდარი აფეთქება, **„ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შერეული ძალების შემოყვანის 14-წლისთავს და სანკტ-პეტერბურგში „დიდი რვიანის" სამიტის დაწყებას უკავშირდება"**. ცხინვალში ბოლო დროს არაერთხელ განაცხადეს, რომ საქართველო კონფლიქტის ზონაში საბრძოლო მოქმედებების დაწყებას სწორედ „დიდი რვიანის" სამიტისთვის გეგმავს, რომელიც დღეს სანკტ-პეტერბურგში გაიხსნა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პუტინის „ვარსკვლავური საათი"

### და კრიტიკა „დიდი რვიანის" სამიტამდე

ხათუნა გაბიევი

*სანკტ-პეტერბურგში „დიდი რვიანის" სამიტის დაწყებამდე ოფიციალურმა ვაშინგტონმა და ბერლინმა პოზიციები ქალაქ შტრალზუნდში გამართულ მოლაპარაკებებზე შეაჯერეს. შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე ჯორჯ ბუში და ანგელა მერკელი ცდილობდნენ, შეთანხმებული პოზიცია გამოემჟღავნებინათ. რუსეთის პრეზიდენტთან მიმართებაში ბუშმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ პუტინს ქვეყანაში დემოკრატიის ძირითადი ფასეულობების მნიშვნელობაზე გაესაუბრება, მაგრამ საამისოდ აუცილებლად „ზომიერ გზას" შეარჩევს.*



ბუში და მერკელი პუტინთან სალაპარაკო ენას არჩევენ.

სამიტის ერთ-ერთი მთავარი თემა კი ენერგოუსაფრთხოების საკითხთან ერთად ირანის ბირთვული პრობლემაც იქნება - ოფიციალურმა თეირანმა ზედმიწევნით ზუსტად უნდა შეასრულოს გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნებისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრების რეკომენდაციები, რომლებიც პარიზის სამიტზე შემუშავდა, და შეწყვიტოს თავის ტერიტორიაზე ურანის გამდიდრება - ასეთია დასავლეთის გზავნილი სამიტის წინ.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მოთხოვნით, ირანს საბოლოო პასუხისთვის დრო რამდენიმე კვირა ექნება და აღარ გადავადდება თვეების მანძილზე. თუმცა, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, კატეგორიული ტონის მიუხედავად, ჯორჯ ბუშმა მაინც დაანება თავი ე.წ. „კოვბოურ დიპლომატიას" და ოდნავ შეარბილა გაერო-ში აშშ-ს წარმომადგენლის ჯონ ბოლტონის მოთხოვნა - ირანის „ბირთვული დოსიე" უშიშროების საბჭოსთვის მომავალი კვირის დასაწყისში გადაეცათ. შერბილებული ტონი კი აშშ-ს პრეზიდენტმა სხვა ქვეყნების მიერ არჩეული მოლაპარაკების რიტმისთვის ანგარიშის გაწევით ახსნა, რათა კიდევ უფრო არ დაძაბოს ვითარება.

ირანის პრობლემის დიპლომატიური გზით მოგვარების ჯერ კიდევ სჯერა გერმანიის კანცლერს ანგელა მერკელსაც.

გაგრძელება A3 გვერდზე

# დაგვიანებული ანგარიში

ინგა ალავიძე

*მესამე თვეა, საქართველოს სახალხო დამცველი პარლამენტისთვის ანგარიშის ჩასაბარებლად ემზადება, მაგრამ უშედეგოდ. წინასწარ შედგენილი დღის წესრიგი, რომელშიც მომხსენებლად ომბუდსმენი იყო შეყვანილი, უკვე მერამდენედ შეიცვალა. - ყოველ ჯერზე, საკანონმდებლო ორგანოში გაცილებით მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა იგეგმება, ვიდრე, საქართველოში ადამიანის უფლებების მხრივ არსებული მდგომარეობაა. 14 ივლისს, პარლამენტში დაგეგმილი ომბუდსმენის ანგარიშის მოსმენა კიდევ ერთხელ გადაიდო.*

გაგრძელება A4 გვერდზე




პარლამენტი ომბუდსმენის ანგარიშს საპროტესტო აქციის ფონზე აბარებდა.

# იტალია ნატო-ში მხარს დაგვიჭერს

*საქართველოს ვიცე-პრემიერი, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე იტალიაში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა. ეს იყო საქართველოს მთავრობის წარმომადგენლის პირველი ვიზიტი იტალიის ახლად არჩეულ მთავრობასთან. ვიზიტის ფარგლებში გიორგი ბარამიძე იტალიის თავდაცვის მინისტრს, დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის მოადგილეს, პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს, ევროკავშირთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარესა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცის დემილიტარიზაციის ორგანიზაციის წარმომადგენელს შეხვდა.*

ნათია მსხილაძე

გიორგი ბარამიძემ ოფიციალურ შეხვედრებზე საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხებზე, ამ გზაზე საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერასა და ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებზე ისაუბრა. გიორგი ბარამიძესთან შეხვედრისას, იტალიის მთავრობის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იტალია რიგის სამიტზე საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში (MAP) ჩართვას მხარს დაუჭერს.

როგორც ბარამიძემ „24 საათთან" საუბრისას აღნიშნა, საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის საკითხისადმი იტალიის, როგორც ნატო-სა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა აქვს. **„ძალიან მნიშვნელოვანია ნატო-ში ინტეგრაციის მიმართულებით ჩვენი პოზიციების გაძლიერება. თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრებმა და პარლამენტის სამი კომიტეტის თავმჯდომარეებმა დადასტურეს, რომ იტალია ღიად დაუჭერს მხარს საქართველოს MAP-ში ჩართვას. ამ შედეგით კმაყოფილი ვარ,"** - აცხადებს გიორგი ბარამიძე.

იტალიის მთავრობამ ორი ქვეყნის პარლამენტებს შორის ურთიერთობის გაღრმავების სურვილიც გამოთქვა. ასევე, იტალიელი ბიზნესმენები მზად არიან, რომ საქართველოში ჩადონ ინვესტიციები ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაში. სახელმწიფო მინისტრი იტალიაში ვიზიტისას მედიის წარმომადგენლებსაც შეხვდა. მან ინტერვიუ მისცა „Il Journale"-სა და ეკონომიკური გაზეთის „Sole 24 hore"-ის ჟურნალისტებს. ასევე, ბარამიძემ „Rai 24"-ის პირდაპირ ეთერში ერთი საათის განმავლობაში საქართველოში მიმდინარე პროცესებსა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე ისაუბრა. **„იტალიის მედიის წარმომადგენლებს აინტერესებდათ, თუ რა არის ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტები. როგორ ვაპირებთ დავუახლოვდეთ ნატო-სა და ევროკავშირს, როგორ უნდა მოვაგვაროთ შიდა კონფლიქტები და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები. კითხვები არაპოლიტიკური მიმართულებისაც იყო. მომზადდა სიუჟეტი საქართველოს შესახებ,"** -აცხადებს ვიცე-პრემიერი. გიორგი ბარამიძე საქართველოში დღეს დაბრუნდება.

# „უპრეცედენტო ბრძოლების" პერიპეტიები

გიორგი ასანიშვილი

რიგგარეშე სესიის გუშინდელ სხდომაზე ნინო ბურჯანაძემ დეპუტატებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა გაერო-ს უშიშროების საბჭოს დახურულ სხდომაზე თავისი გამოსვლის შესახებ. თავად იმ ფაქტს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე „უპრეცედენტოს" უწოდებს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გაერო-ს მაღალი ტრიბუნა, როგორც წესი, მხოლოდ ქვეყნის ან მთავრობის მეთაურებს ეთმობათ ხოლმე.

**„ჩემი გამოსვლა მწვავე იყო, მაგრამ ობიექტური. მსურდა, გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივი და არამუდმივი წევრებისთვის მიმეწოდებინა სწორი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდება საერთოდ საქართველოში და კონკრეტულად, კონფლიქტის ზონებში,"** - ასე განმარტავს ნიუ-იორკში თავისი სტუმრობის მიზეზს პარლამენტის სპიკერი, რომლისთვისაც დღემდე აუხსნელი რჩება, თუ რატომ აღაშფოთა რუსეთის მხარე იმან, რომ მისი გამოსვლის ტექსტი შემდგომში ოფიციალურად გავრცელდა.

ნინო ბურჯანაძის თქმით, იგი ვარაუდობდა, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს წინაშე სიტყვით გამოსვლის შემდეგ, კითხვებზე პასუხის გაცემის საშუალებაც მიეცემოდა, მაგრამ მისი იმედი არ გამართლდა. **„გაოცებული დავრჩი იმით, რომ საფრანგეთის წარმომადგენელმა, რომელიც 11 ივლისის სხდომას თავმჯდომარეობდა, რუსეთის წარმომადგენლის უსუსური ბრალდებების გაქარწყლების საშუალება არ მომცა,"** - აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე.

გაგრძელება A2 გვერდზე

# საფრანგეთის განუყრელი დღესასწაული

სოფიო პეტრიაშვილი

ბასტილიის ციხესიმაგრე და სახელმწიფო საპყრობილე პარიზში 1370-1382 წლებში აშენდა ქალაქის აღმოსავლეთი მხრიდან დასაცავად. სატუსაღოდ ის პირველად კარდინალმა რიშელიემ გადააქცია. XVI საუკუნის ბოლოდან ძირითადად პოლიტიკურ პატიმართა საპყრობილედ ითვლებოდა. 1717 და 1726 წლებში „ბასტილიის ტყვე" ცნობილი ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი ვოლტერია (პირველად ის ციხეში ჩასვეს პრინც-რეგენტ ფილიპე ორლეანელზე დაწერილი სატირის გამო. მეორედ კვლავ თავისი ბასრი იუმორის „წყალობით" აღმოჩნდა იქ და პატიმრობაში იმყოფებოდა მანამ, სანამ ქვეყნიდან არ გაასახლეს). რვაქონგურიანი, ასაწევი ხიდებითა და ღრმა თხრილით, ძლიერი გარნიზონითა და ქვემეხებით გამაგრებული ეს მრისხანე ციხესიმაგრე თანამედროვეებს აუღებლად მიაჩნდათ. 1789 წლის 14 ივლისს სწორედ ბასტილიის შტურმით დაიწყო საფრანგეთის რევოლუცია. ორი წლის შემდეგ ის დაანგრიეს, როგორც ფეოდალური აბსოლუტიზმისა და დესპოტიზმის სიმბოლო. მის ადგილზე აღიმართა ობელისკი წარწერით „აქ ცეკვავენ". თუმცა საფრანგეთის ნაციონალურ დღესასწაულად 14 ივლისი - ბასტილიის აღების დღე, შედარებით გვიან, 1880 წელს გამოცხადდა პარიზში, პლას დე ლა ნასიონზე და ამის შესახებ მთელ რესპუბლიკას ემცნო. ბასტილიის საუკუნოვანი და მეტად საინტერესო არქივის გადარჩენილი ნაწილი პარიზში, არსენალის ბიბლიოთეკაში ინახება...

წელს საფრანგეთი 126-ედ აღნიშნავს 14 ივლისს, როგორც ეროვნულ დღესასწაულს. ამ თარიღთან დაკავშირებით „24 საათს" ესაუბრება საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბატონი ფილიპ ლეფორი.

გაგრძელება A5 გვერდზე

## მზადება დიდი რვიანის სამიტისათვის

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი უკვე ჩავიდა პეტერბურგში, სადაც დიდი რვიანის ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრა იგეგმება. რუსეთის პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსის ალექსეი გრომოვის ინფორმაციით, გუშინ საღამოს პუტინმა მეგობრული ვახშამი გამართა ამერიკის პრეზიდენტთან ჯორჯ ბუშთან. პუტინისა და ბუშის საუბრები ხვალ კონსტანტინოვსკის სასახლეში გაგრძელდება.

ამავე წყაროს ინფორმაციით, ორი ქვეყნის პრეზიდენტები, სავარაუდოდ, ირანის ბირთვულ შეიარაღებასა და ახლო აღმოსავლეთის პრობლემებზე ისაუბრებენ. ზოგადად კი პეტერბურგში შეხვედრაზე საუბრის თემა იქნება: ენერგოუსაფრთხოება, ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა და განათლების რეფორმა.

პუტინისა და ბუშის არაფორმალური ვახშმით იხსნება „დიდი რვიანის" სამიტი, რომელსაც აშშ-სა და რუსეთის გარდა, დაესწრება დელეგაცია დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, იტალიიდან, კანადიდან, საფრანგეთიდან და იაპონიიდან.

3 დღის განმავლობაში 8 დიდი სახელმწიფოს ხელმძღვანელი რამდენიმე საქმიან შეხვედრას გამართავს ე.წ. ახალგაზრდა რვიანელებთან-სახელმწიფოებთან, რომლებიც „დიდ რვიანში" მოგვიანებით გაერთიანდა. *ჯი-ეიჩ-ენი*

## რუსეთმა WTO-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოსთან მოლაპარაკებები განაახლა

საქართველომ რუსეთის ფედერაციასთან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო) მისი გაწევრიანების ფარგლებში ბაზარზე დაშვების ორმხრივი მოლაპარაკებები განაახლა.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა, გელა ბეჟუაშვილმა, განაცხადა, 2004 წლის 28 მაისს საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის წარმოებული მოლაპარაკებების დროს ჩვენმა მთავრობამ პირობა დადო, რომ საერთაშორისო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებას მხარს დაუჭერდა, თუ მეზობელი ქვეყანა თავის საგარეო სავაჭრო რეჟიმს ვმო-ს შეთანხმებათა დებულებებთან სრულ ჰარმონიზაციაში მოიყვანდა.

თუმცა, რუსეთმა 28 მაისს დამატებით გაფორმებული ოქმით აღებული ვალდებულებები დაარღვია, რომელიც ორ ქვეყანას შორის საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული საბაჟო რეგულირებისა და ადმინისტრირების ხასიათის პრობლემების სწრაფ გადაწყვეტას ითვალისწინებდა.

როგორც მინისტრი აცხადებს, საქართველოს ექსპორტის მიმართ რუსეთის საგარეო სავაჭრო რეჟიმი მკვეთრად გაუარესდა, რაც რუსეთის ფედერაციის მხრიდან დაუსაბუთებელი და დისკრიმინაციული სავაჭრო ზომების შემოღებაში გამოიხატება. კერძოდ, საქმე ეხება ფიტოსანიტარული ზომების დაწესებას ქართული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის ექსპორტზე, ასევე ქართული ღვინისა და ღვინო მასალების, სპირტიანი სასმელების და მინერალური წყლების ექსპორტის აკრძალვას რუსეთის ბაზარზე და რუსეთის მიერ საქართველოსთან არსებული ერთადერთი საბაჟო გამშვები პუნქტის - ყაზბეგი-ზემო ლარსი დახურვას. და ეს მაშინ ხდება, როდესაც საქართველოს მიერ არაკონტროლირებად რეგიონებში, აფხაზეთსა და ცხინვალში, ორი არალეგალური საბაჟო გამშვები პუნქტი, განთიადი-ადლერი და როკი-ქვემო ზარამაგი ფუნქციონირებს

აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობამ თავის რუს კოლეგებს უახლოეს მომავალში ვმო-ს ფარგლებში ბაზარზე დაშვების ორმხრივი მოლაპარაკებების გამართვა შესთავაზა, რომელზეც ჩვენი ქვეყნის მხრიდან ძირითადი მომლაპარაკებელი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო იქნება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## თავდასხმად აღქმული შეფასება

ვერიკო თევზაძე

საზოგადოებრივი მაუწყებლობის გენერალური დირექტორი თამარ კინწურაშვილი მოძრაობა „საქართველოს გზის" ლიდერის, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის მიერ „რუსთავი-2"-ის ეთერში გამოთქმულ ფრაზას, რომ „საზოგადოებრივი ტელევიზია არ შედგა", „უტაქტოს" უწოდებს და ამას „საზოგადოებრივ მაუწყებელზე თავდასხმად" მიიჩნევს.

პრესკონფერენციის თემა პოლიტიკოსებსა და მედიას შორის ურთიერთობაში გაჩენილი პრობლემები იყო (ანუ იგი წარმოადგენდა ერთგვარ გამოხმაურებას ნიკა ტაბატაძის თოქ-შოუზე). თუმცა, ძირითადად საუბარი მიდიოდა ზურაბიშვილის „უტაქტო" მოსაზრებაზე, საზოგადოებრივი მაუწყებლის რეიტინგსა და ობიექტურობაზე.

**„მე გაკვირვებული ვარ სალომე ზურაბიშვილის შეფასებებით, ეს იყო უტაქტო და დაუსაბუთებელი თავდასხმა საზოგადოებრივ მაუწყებელზე,"** - აღნიშნავს კინწურაშვილი. მისი აზრით, ზურაბიშვილის მიერ გამოთქმული შეფასებები ხელისუფლების და ოპოზიციის მისამართით სამართლიანია. საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელს ერთი რამ ვერ გაუგია: **„პოლიტიკოსი, რომელიც სხვა პოლიტიკოსებს უკიჟინებს პოლიტიკური კულტურის დეფიციტზე, იმავეს სჩადის საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ."**

თამარ კინწურაშვილმა პირველი არხის წინააღმდეგ უმრავლესობის წევრების კრიტიკული გამოსვლებიც გაიხსენა და გაკვირვება გამოთქვა, თუ რატომ არ იღებდნენ ხმას ეს ადამიანები მაშინ, როცა პირველი არხი „დამყაყებული" იყო.

საზოგადოებრივი მაუწყებლობის გენერალურმა დირექტორმა არაერთგზის გაამახვილა ყურადღება მედიაში პროფესიონალიზმის და ობიექტურობის აუცილებლობაზე. მისი აზრით, **„გარკვეული ჯგუფების ინტერესების დაკმაყოფილება ადვილია, გაცილებით ძნელია საზოგადოების გულის მოგება"**. კინწურაშვილის აზრით, „საზოგადოებრივი მაუწყებელი" შედგა, თუნდაც იმიტომ, რომ მას აკრიტიკებენ.

net2phone

**Net2Phone (www.net2phone.com) - მსოფლიოს წამყვანი კომპანია VoIP ტექნოლოგიაში ეძებს პარტნიორებს საქართველოში**

თუ თქვენი კომპანია დაინტერესებულია IP-ტელეფონიის სერვისების შეთავაზებით, ან ის უკვე იმყოფება IP-ტელეფონიის პროვაიდერი, Net2Phone - ის სპეციალიზირებული სრული გადაწყვეტილებები სწრაფი დანერგვის გეგმით და მისი ბიზნეს განვითარების ჯგუფი წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას წარმატებული თანამშრომლობისათვის.

**დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ:**
georgia@net2phone.com

# „უპრეცედენტო ბრძოლების" პერიპეტიები

პირველი გვერდიდან

თუმცა, მან მაინც „მოასწრო" მსოფლიო დიპლომატიური ელიტის გაფრთხილება იმის შესახებ, რომ უახლოეს დღეებში საქართველოს პარლამენტი იმსჯელებს და სავარაუდოდ, მიიღებს გადაწყვეტილებას აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის თაობაზე და ეს ამბავი სიურპრიზი არავისთვის არ უნდა იყოს. ნინო ბურჯანაძე წუხს, რომ რამდენიმე თვის წინათ სამხრეთ ოსეთში განთავსებული რუსი სამშვიდობოების მიმართ მიღებული ანალოგიური გადაწყვეტილება გაკვეთილად არ გამოდგა და განგაშის სიგნალად ვერ იქცა.

**„რუსები იქცნენ არა სამშვიდობო, არამედ სასაზღვრო ძალად, რომელიც ხელს უშლის კონფლიქტის დარეგულირებას,"** - ნიუ-იორკში უკვე ნათქვამს თბილისში კიდევ ერთხელ იმეორებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

გაერო-ს ტრიბუნიდან ნინო ბურჯანაძის რუსეთთან დაპირისპირებას წინ უძღოდა მისი ვიზიტი სტრასბურგში, სადაც ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის სესია ჩატარდა. ჩრდილოელ მეზობელთან შეხლა-შემოხლა საქართველოს პარლამენტის სპიკერს ამ ფორუმზეც მოუხდა. ამის მიზეზი კი გახდა ის, რომ საქართველოს დელეგაციის მიერ მომზადებულ რეზოლუციას რუსეთის წარმომადგენლების მხრიდან მძაფრი კრიტიკა მოჰყვა.



*ბურჯანაძეს ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის რეორგანიზაცია სურს.*

**„ეუთო-ში არის ჯგუფი სახელმწიფოებისა, რუსეთის მეთაურობით, რომელსაც ამ ორგანიზაციის ეფექტურობა არ აწყობთ და ყველანაირად ცდილობენ მისი მუშაობის დაბლოკვას,"** - აცხადებს ნინო ბურჯანაძე და თავისი ნათქვამის საილუსტრაციოდ, იმ შემთხვევას იხსენებს, როდესაც მოსკოვის დაჟინებული მოთხოვნით, რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე ეუთო-ს მისიის მონიტორინგი შეწყდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტობისთვის გამართულ არჩევნებში დამარცხდა, საქართველოს პარლამენტის სპიკერმა, დეპუტატების წინაშე თავისი გუშინდელი გამოსვლისას, ამ საკითხს გვერდი მაინც არ აუარა.

**„ჩემი არჩევის წინააღმდეგ ძალიან სერიოზული კამპანია ჩატარდა. ჩემს მიმართ წაყენებული მთავარი პრეტენზია ის იყო, რომ ეუთო-ს ტრიბუნას საქართველოს ინტერესების დასაცავად ვიყენებდი და ამას წარმატებით ვახერხებდი. ასეთი „ბრალდება" სულაც არ მწყინს. პირიქით, მახარებს კიდეც,"** - აღნიშნავს ბურჯანაძე. მისივე თქმით, იგი ეუთო-დან წამოსვლას არ აპირებს და ამ „ფრონტზე" კიდევ უფრო გააქტიურებას გეგმავს.

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტობის პოსტზე არარჩევის ერთ-ერთ სავარაუდო მიზეზად, საქართველოს პარლამენტის სპიკერი იმასაც ასახელებს, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, იგი ამ ორგანიზაციის სერიოზულ რეორგანიზაციას აპირებდა, რაც ზოგიერთი ძალისთვის კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა.

## ოპოზიცია კვლავ ვანო მერაბიშვილის „თავს" ითხოვს

გიორგი ასანიშვილი

გუშინ პარლამენტში მოხსენებით გამოვიდა სახალხო დამცველი სოზარ სუბარი. თუმცა, გარკვეულ პერიოდში, გავრცელდა ინფორმაცია, რომ საკანონმდებლო ორგანოში ომბუდსმენის გამოსვლა გადაიდო, რაზედაც ოპოზიციამ თავისი ვერსია წამოაყენა. ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის" თავმჯდომარის ზვიად ძიძიგურის თქმით, სხდომაზე დასწრებას აპირებდა სანდრო გირგვლიანის დედა ირინა ენუქიძე, რამაც სახელისუფლებო გუნდი ძალიან დააფრთხო.

ვიდრე სახალხო დამცველი საპარლამენტო ტრიბუნასთან მივიდოდა, ოპოზიციურმა ფრაქციებმა და პარტიებმა საგანგებო ბრიფინგი გამართეს. ხელისუფლების ოპონენტების პოზიცია და მოთხოვნები უცვლელი რჩება: ბრიფინგზე მიღებულ ერთობლივ განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ „კონსერვატორები", „რესპუბლიკელები", „მემარჯვენეები", „მრეწველები", „ლეიბორისტები", აგრეთვე პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლება", „სახალხო ფორუმი" და „თანასწორობის ინსტიტუტი", ნათქვამია, **რომ „თანამდებობიდან უნდა გადადგეს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, ხოლო პოლიციის ის მაღალჩინოსნები, რომლებიც სხვადასხვა დანაშაულში მონაწილეობდნენ, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ".**

სანდრო გირგვლიანისა და ამირან რობაქიძის მკვლელობები, 2 მაისის სისხლიანი სპეცოპერაცია, 27 მარტს პატიმრების დახოცვა მე-5 საპყრობილეში, ოსური წარმოშობის საქართველოს მოქალაქეების მიმართ სადისტური მოპყრობა გორში, - ასეთია იმ ფაქტების არასრული ჩამონათვალი, რომლებიც ოპოზიციას ვანო მერაბიშვილის გადაყენების საფუძვლად მიაჩნია.

**„მთავრობას თუ გადააყენებენ და ვანო მერაბიშვილს ახალ აღმასრულებელ გუნდში არ დააბრუნებენ, ოპოზიციამ, შესაძლოა, ბოიკოტის შეწყვეტაზე და სხდომათა დარბაზში დაბრუნებაზე იფიქროს,"** - ასეთია ოპოზიციონერი დეპუტატების ულტიმატუმი, რომელსაც ხელისუფლება საეჭვოა, რომ დაეთანხმოს. მით უმეტეს, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია ოპოზიციის მოთხოვნას „დიდ სისულელეს" უწოდებს...

ოპოზიცია არა მარტო ხელისუფლებას, არამედ ტელეკომპანია „რუსთავი-2"-საც ემიჯნება. ოპოზიციის ლიდერებმა გუშინდელ ბრიფინგზე აღნიშნული ტელეკომპანიის ჟურნალისტებს შეკითხვების დასმის უფლება არ მისცეს.

## ტიტულები ფინანსური გარიგების სანაცვლოდ

**ტონი ბლერის თანამოაზრე დაპატიმრებულია ფინანსური სკანდალის გამო**

დიდ ბრიტანეთში კვლავ ყურადღების ცენტრში ექცევა ლეიბორისტული პარტიის დაფინანსების განმკარგველი, ტონი ბლერის უახლოესი თანამოაზრე ლორდი მაიკლ ლევი. სკანდალი ამჯერად, ტიტულების სანაცვლოდ, ფინანსური გარიგებების გამო აგორდა. მმართველი პარტიის დაფინანსებასთან დაკავშირებით გამოძიება მეტროპოლიტენის პოლიციამ ჯერ კიდევ სამი თვის წინ დაიწყო და რამდენიმე დღის წინ მაიკლ ლევიც დააპატიმრა. მართალია, ლორდი უკვე გათავისუფლებულია თავდებით, მაგრამ იგი ჯერ კიდევ იძლევა ჩვენებებს ლეიბორისტების ბიუჯეტში ფინანსების მოზიდვასთან დაკავშირებით.

გამოძიება არკვევს, მართლა იღებდა თუ არა ლეიბორისტული პარტია მსხვილ კრედიტებს გამოჩენილი მეწარმეებისაგან მათთვის არისტოკრატიული ტიტულების დაპირების სანაცვლოდ. პარტია არც უარყოფს, რომ მსხვილი მეწარმეებისგან დაახლოებით 14 მილიონი ფუნტი სტერლინგი მიიღო, მაგრამ გარიგების კონკრეტული პირობები ჯერჯერობით დადასტურებული არ არის. ტიტულებს მხოლოდ მთავრობის მიერ წარდგენილი სიის მიხედვით დიდი ბრიტანეთის დედოფალი გასცემს.

პრემიერ-მინისტრის უახლოესი მეგობარი, პოლიტიკური თანამოაზრე და ჩოგბურთში პარტნიორი, 62 წლის ლორდი ლევი ოთხშაბათს დააკავეს. მისი თქმით, იგი კანონის წინაშე აბსოლუტურად მართალია და მისი დაპატიმრება არც იყო საჭირო, რადგან თავს არ არიდებს პოლიციასთან თანამშრომლობას. ლევის თანამოაზრეებმა ამ დაპატიმრებას სახელიც გამოუძებნეს და მას „სიმბოლური და თეატრალური" უწოდეს. დაპატიმრების შემდეგ ბრიტანეთის პარლამენტში სიტყვით გამოძიების ერთ-ერთი მაღალჩინოსანი წარსდგა. გამოსვლის დეტალები უცნობია, მაგრამ ერთი რამ, რაც გამომძიებელმა აღნიშნა, ისაა, რომ ლევის დაპატიმრება გამოძიების ერთ-ერთი მთავარი ეტაპი იყო.

ბლერის თანამოაზრის დაპატიმრება ერთ-ერთი მსხვილი კრედიტორის, ბრიტანეთის სამეფოს ქვეშევრდომის, ინდური წარმომავლობის გულამ ნუნის გამოსვლას მოჰყვა. გულამ ნუნი რამდენიმე კომპანიის მფლობელია და ინდურ ნახევარფაბრიკატებს აწარმოებს. ნუნს, რომელმაც ლეიბორისტულ პარტიას 250 000 ფუნტი სტერლინგი ასესხა, ლორდმა ლევიმ ურჩია, ეს კრედიტი არ აღენიშნა დოკუმენტებში, რომლებიც ტიტულების გადაცემის კომიტეტში შევიდოდა. თუმცა, კრედიტის შესახებ ინფორმაციამ მაინც გაჟონა და ნუნს არისტოკრატიული ტიტულის მინიჭებაზე უარი უთხრეს.

თავისთავად, ასეთი დეკლარაციის არარსებობა კანონდარღვევა არ არის, რადგან ასეთ შემთხვევებში ინფორმაცია მხოლოდ პარტიის ბიუჯეტში ქველმოქმედების მიზნით გადარიცხული თანხების შესახებ უნდა იქნეს წარდგენილი. კანონი ტიტულებით ვაჭრობის შესახებ ძალაში 1925 წლიდან შევიდა მას შემდეგ, რაც იმდროინდელი პრემიერ-მინისტრის ლოიდ ჯორჯის წინააღმდეგ საქმე აღიძრა დიდგვაროვნული ჩინებითა და ტიტულებით ვაჭრობის ბრალდებით.

როგორც ბრიტანული პრესა აღნიშნავს, გამორიცხული არ არის, პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ ამჯერადაც საქმე აღიძრას. ტონი ბლერისთვის ეს სკანდალი განსაკუთრებით სახიფათო იმიტომაც შეიძლება აღმოჩნდეს, რომ 1997 წელს ხელისუფლებაში მოსვლისას იგი მოსახლეობას „მეტისმეტად სუფთა" პოლიტიკის წარმოებას დაჰპირდა. მისივე პრემიერ-მინისტრობის დროს იქნა შემოღებული წესად ნებისმიერი შემოწირულობის დეკლარირება, თუ თანხა 5 000 ფუნტ სტერლინგს აღემატება. რაც შეეხება უცხოეთიდან თანხების გადმორიცხვას - საერთოდ აიკრძალა, თუკი იგი კომერციული გარიგების ფარგლებს გასცდება.

და თუ გავითვალისწინებთ ბოლო დროს ბლერის პოპულარობის დაცემას და ხმებს მისი გადადგომის შესახებ ამჟამინდელი ფინანსთა მინისტრის გორდონ ბრაუნის სასარგებლოდ, ექსპერტები მოვლენათა ამგვარ განვითარებას პრემიერ-მინისტრის პოლიტიკური დაისის კიდევ ერთ ნიშნად აფასებენ.

ბუკმეკერებმა კი, რომლებიც დაუფიქრებელი ნაბიჯებისადმი მიდრეკილნი არ არიან, ხუთშაბათს კიდევ ერთხელ განიხილეს ბლერის სასწრაფოდ გადადგომის შანსები. მაიკლ ლევის დაპატიმრებამდე ბუკმეკერული ორგანიზაცია „William Hill" შანსებს 11-4-ზე აფასებდა, ახლა კი ეს მაჩვენებელი 2-1 გახდა. **ბი-ბი-სი**

### მოკლედ

**საკაშვილი პუტინს კიდევ ერთხელ შეხვდება**

21-23 ივლისს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მოსკოვში გაემგზავრება, სადაც კიდევ ერთხელ შეხვდება რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს. ამის შესახებ, „ინტერპრესნიუსს" პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განუცხადეს.

21-23 ივლისს მოსკოვში დაგეგმილია დსთ-ს არაფორმალური სამიტი, თუმცა, როგორც დღეს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მერაბ ანთაძემ განაცხადა, საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტის მიზანი სწორედ რუს კოლეგასთან შეხვედრა იქნება.

მიხეილ სააკაშვილი და ვლადიმირ პუტინი კიდევ ერთი შეხვედრის შესახებ 13 ივნისს, საქართველოს პრეზიდენტის სანკტ-პეტერბურგში ვიზიტისას შეთანხმდნენ. **ინტერპრესნიუსი**

**აფხაზეთის ტერიტორიაზე სიტუაცია სტაბილურია**

სერგეი ბაგაფშის თავმჯდომარეობით სოხუმში გამართულ უშიშროების საბჭოს სხდომაზე მიიჩნიეს, რომ აფხაზეთის ძალოვანი სტრუქტურების საგანგებო რეჟიმზე გადაყვანის აუცილებლობა არ არის. „აფხაზეთის ტერიტორიაზე სიტუაცია სტაბილურია და კონტროლს ექვემდებარება. ამიტომაც, ჯერჯერობით, ჩვენი ძალოვანი სტრუქტურების საგანგებო რეჟიმზე გადაყვანის არავითარი აუცილებლობა არ არის," - აცხადებს სეპარატისტული უშიშროების საბჭოს მდივანი სტანისლავ ლაკობა. **ჯი-ეიჩ-ენი**

**ენგურთან განლაგებული რუსი სამშვიდობოების დამატებითი საგუშაგოები მოიხსნება**

აფხაზეთში განლაგებული რუსი სამშვიდობოების პრეს-სამსახურის ავრცელებს ინფორმაციას, რომ ენგურჰესზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დასრულებასთან დაკავშირებით, მომსახურე პერსონალის უსაფრთხოებისთვის განლაგებული რუსი სამშვიდობოების დამატებითი საგუშაგოები მოიხსნება.

„ჩვენმა საგუშაგოებმა, რამდენიმე თვის განმავლობაში მისია პირნათლად შეასრულეს. მათ ენგურჰესის სარემონტო სამუშაოების შეუფერხებლად წარმოება და იქ მომუშავე ადამიანების უსაფრთხოება უზრუნველყვეს. სამუშაოები დასრულებულია, ამიტომაც დამატებით განლაგებული რუს სამშვიდობოთა საგუშაგოები მოიხსნება," - განაცხადა აფხაზეთში მდგარი რუსის ჯარის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ვლადიმირ ანიკინმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

**ისრაელის ქმედებებს საერთაშორისო საზოგადოება ეხმაურება**

ისრაელის მიერ ლიბანზე განხორციელებულ საჰაერო და საზღვაო ბლოკადას საერთაშორისო საზოგადოება ემსახურება. საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი მიიჩნევს, რომ ოფიციალური თეირანის მიერ სამხედრო ძალის გამოყენება ლიბანის წინააღმდეგ არაკანონიერია. ვატიკანი ისრაელის ქმედებას განიხილავს, როგორც სუვერენულ და თავისუფალ ერზე თავდასხმას. ლიბანის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მზად არის, დაარწმუნოს ისრაელი, რომ შეწყვიტოს საბრძოლო მოქმედებები.

ჰეზბოლას წარმომადგენლები კი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ დატყვევებული ებრაელი ჯარისკაცები არ გათავისუფლდებიან მანამდე, სანამ არ იქნება მიღწეული გარიგება ისრაელთან პალესტინელი, ლიბანელი და სხვა არაბი პატიმრების გათავისუფლების შესახებ. ლიბანის პარალელურად ისრაელი საბრძოლო მოქმედებებს ღაზას სექტორშიც განაგრძობს. ოფიციალური იერუსალიმი პალესტინისაგან ერთი თვის წინ დატყვევებული ებრაელი ჯარისკაცის გათავისუფლებას ითხოვს.

მომხდართან დაკავშირებით გაერო დღეიდან საგანგებო რეჟიმში დაიწყებს მუშაობას. **24 საათი**

**ქვემო ფონიჭალის დასახლებაში გუშინ ახალი პოლიკლინიკა გაიხსნა**

პოლიკლინიკის გახსნასთან ერთად იქ პროგრამა „ჯანმრთელი ბავშვი" ამოქმედდა და მცირეწლოვანი ბავშვების პროფილაქტიკური გასინჯვებიც ჩაუტარდა.

ახალი პოლიკლინიკა მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგებელმა დავით მესხიშვილმა გახსნა.

პოლიკლინიკის გახსნის შემდეგ, მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგებელმა რაიონში მცხოვრები ერთ-ერთი ინვალიდი ბავშვი მოინახულა. მას ადგილზე ჩაუტარდა პროფილაქტიკური გასინჯვები, შემდეგ კი ფარმაცევტულმა კომპანია „ავერსმა" საჩუქრად მედიკამენტები გადასცა.

პროექტი „ჯანმრთელი ბავშვი" მთაწმინდა-კრწანისის რაიონში 2 ივნისს დაიწყო. იგი რაიონში მცხოვრები უკიდურესად გაჭირვებული 2 ათასი ბავშვის უფასო გამოკვლევას ითვალისწინებს.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია რაიონში მცხოვრები 15 წლამდე ბავშვებისთვის უფასო პედიატრიული გამოკვლევა. **ინტერპრესნიუსი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# იდუმალი ტერორის გაგრძელება

პირველი გვერდიდან

თბილისში, თავის მხროვ, კონფლიქტის ზონაში პროვოკაციების მოწყობაში რუსეთს ადანაშაულებენ. **„ის, რაც დღეს ცხინვალში მოხდა, დაგეგმილი პროვოკაციის სერიოზული რგოლი იყო. რგოლი, რომლის აკინძვასაც რუსეთის სპეცსამსახურები ცდილობენ,“** - განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ.

მან სრულიად მოულოდნელი უწოდა რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის განცხადებას, რომელმაც გუშინ აღნიშნა, რომ „რუს სამშვიდობოებს არავის დააჩაგვრინებს“. ბურჯანაძის თქმით, ის განცხადებები, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ ბოლო დროს კეთდება, ქვეყნის იმიჯის შელახვისკენ არის მიმართული. მისი თქმით, ყველას უნდა ესმოდეს, რომ ეს პროვოკაციები საქართველოს ინტერესებში არ შედის. **„ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მსგავსი ქმედებები არ განხორციელდეს და ამიტომ, მივმართავთ საერთაშორისო თანამეგობრობას, დეტალურად შეისწავლონ ვითარება ე.წ. სამხრეთ ოსეთში,“** - აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ. მისი თქმით, რუსეთის მხრიდან ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ საქართველო ფართომასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებში იქნეს ჩართული.

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე მიიჩნევს, რომ ცხინვალში განხორციელებული ტერაქტები რუსეთის ერთიანი გეგმის ნაწილია და რუსული სპეცსამსახურების მიერ არის შესრულებული. მისი თქმით, რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ დიდ პროვოკაციებს გეგმავს - როკის გვირაბთან სამხედრო წვრთნები მიმდინარეობს, ცხინვალის რეგიონში შეყვანილია რუსული მძიმე სამხედრო ტექნიკა.

**„თუ რუსეთი მასობრივი ჟლეტის მოწყობას აპირებს, საქართველოს ხელისუფლება პროვოკაციას არ აჰყვება, მაგრამ ჩვენგან სწრაფ და მძიმე საპასუხო დარტყმას მიიღებენ,“** - აღნიშნა გივი თარგამაძემ.

ამ ვერსიებს გარკვეულწილად რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გუშინდელი განცხადებაც ადასტურებს, რომელშიც რუსეთმა მომხდარის გამო შეშფოთება გამოთქვა, და პასუხისმგებლობა, ფაქტობრივად, ქართულ მხარეს დააკისრა. საგარეო უწყებამ საქართველოს შეიარაღების შეძენა, წვრთნების ჩატარება და მილიტარისტული შინაარსის განცხადებები გაუხსენა, და ეჭვქვეშ დააყენა საქართველოს სამშვიდობო გეგმები. ოფიციალური მოსკოვი საქართველოს ღია მუქარას უთვლის: **„რუსეთი არ აპირებს დაუშვას სისხლიანი მოვლენების განმეორება, რომელსაც ადგილი ჰქონდა უახლოეს წარსულში. და ყველა არსებულ საშუალებას გამოიყენებს რეგიონში სამშვიდობო ფუნქციების შესრულებისთვის, კონფლიქტის ზონაში მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისათვის, იქ მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების დასაცავად.“**

გუშინ გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მერაბ ანთაძემ განაცხადა, რომ ქართული მხარე გმობს ტერაქტს და თანადგომას უცხადებს დაღუპულთა ოჯახებს. მერაბ ანთაძის თქმით, ქართული მხარე შეეცდება გამოიძიოს აღნიშნული ინციდენტი და დაისაჯონ ამ საშინელი ტერაქტის განმახორციელებელი პირები.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, საქართველოს ხელისუფლებას გააჩნია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აღნიშნული ტერაქტი გარკვეული ჯგუფების ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე განხორციელდა. **„შემაშფოთებელია, რომ ცალკეული პირების ბიზნესს ასეთი შედეგები მოჰყვება. შემაშფოთებელია ისიც, რომ მსგავს ფაქტებს გეგმავს და ახორციელებს რუსული მხარე,“** - განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

მისივე თქმით, ამ ქმედების მიზანი რეგიონში სამხედრო მოქმედებების დაწყებაა, რის საფუძველზეც რუსეთი, თავისი მოქალაქეების დაცვის მოტივით, საქართველოში სამხედრო ინტერვენციას განახორციელებს.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გამოეხმაურა რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის განცხადებას, რომლის თანახმად, ოფიციალური მოსკოვი ყველა ღონეს იხმარს, რათა დაიცვას საკუთარი მოქალაქეების უფლებები სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე.

მერაბ ანთაძე რუსულ მხარეს მოუწოდებს, თავი შეიკავოს სამხედრო რიტორიკისგან, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართავს, მოახდინოს სათანადო რეაგირება, რათა თავიდან იქნეს აცილებული რეგიონში ვითარების დაძაბვა.

რუსული მხარის აღშფოთება გუშინ საქართველოს სამხედრო პოლიციის მიერ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩის, შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარის იური პოპოვისა და რუსეთის სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილის, გენერალ-მაიორ ვალერი ევნევიჩის დაკავებამ გამოიწვია. ცხინვალში, სამშვიდობო ძალების 14 წლის იუბილეს აღსანიშნავად მიმავალი პოპოვი და ევნევიჩი სამხედრომ პოლიციამ გორის რაიონში გააჩერა და გზის გაგრძელების საშუალება არ მისცა.

დიპლომატი პოპოვი და მისი თანხმლები პირი, რომელიც საქართველოში რუსეთის საელჩოს თანამშრომელია, დროებით იყვნენ დაკავებული, რათა სათანადო შემოწმება განხორციელებულიყო, - განმარტა გუშინ მერაბ ანთაძემ. რაც შეეხება გენერალ-მაიორ ევნევიჩს, მერაბ ანთაძის თქმით, იგი კონფლიქტის რეგიონში სამოქალაქო ფორმით იყო ჩასული და აპირებდა ცხინვალში გადასვლას, რასაც ქართული მხარე შეეწინააღმდეგა, რადგან ამ სამხედრო პირის გადაადგილებაზე ქართული მხარე წინასწარ არ იყო ინფორმირებული. დიპლომატები ცხინვალისკენ გაატარეს, ხოლო გენერალს უკან დაბრუნება მოუხდა.

# რუსეთის ხელი უკრაინის მოვლენებში

სოფო ბუკია

კიევში დარწმუნებულნი არიან, რომ უკრაინის საპარლამენტო კრიზისის ორგანიზებაში რუსეთის ხელი ურევია. ***„ის, რაც უკრაინაში ხდება, მის ფარგლებს გარეთაა დაგეგმილი,“*** *- განაცხადა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტარასიუკმა. კითხვაზე არის თუ არა ამაში გარეული რუსეთი, ტარასიუკი პასუხობს:* ***„მათ შორის რუსეთიც.“***.

**„დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის სურვილს, ხელში ჩაიგდოს უკრაინის გაზის სატრანსპორტო სისტემა და საპარლამენტო კრიზისს გარკვეული კავშირი აქვთ ერთმანეთთან,“** - აცხადებს ტარასიუკი.

მისი თქმით, **„ვიღაცას ძალიან უნდა „დიდი რვიანის“ სამიტამდე ცოტა ხნით ადრე უკრაინა რაც შეიძლება ცუდ პოზიციაში იმყოფებოდეს,“** - დასძენს ტარასიუკი.

გუშინვე გავრცელდა უკრაინის პრეზიდენტის მხარდამჭერი პარტიის „ნაშა უკრაინას“ ოფიციალური განცხადება, სადაც ასევე აღნიშნულია, რომ უკრაინის უმაღლეს რადაში განვითარებულ მოვლენებს გარეშე ძალები მართავენ.

უკრაინაში საპარლამენტო არჩევნები 26 მარტს ჩატარდა, თუმცა ამ დრომდე უმაღლესმა რადამ ნორმალურ რეჟიმში მუშაობის დაწყება ვერ მოახერხა. დიდი დავისა და შეხლა-შემოხლის შემდეგ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულმა „ნარინჯისფერმა“ ძალებმა საპარლამენტო უმრავლესობა ჩამოაყალიბეს, რომელიც პრეზიდენტ იუშენკოს „ნაშა უკრაინას“, იულია ტიმოშენკოს ბლოკსა და ალექსანდრ მოროზის „სოციალისტურ პარტიას“ აერთიანებდა. აღნიშნული უმრავლესობა დაიშალა, რადგან მისმა სუბიექტებმა პორტფელების განაწილება ვერ შეძლეს. „ნარინჯისფერ“ კოალიციას გამოეთიშა ალექსანდრ მოროზის პარტია, რომელმაც ალტერნატიული საპარლამენტო კოალიციის ჩამოყალიბება ვიქტორ იანუკოვიჩის „რეგიონების პარტიასთან“ და კომუნისტურ პარტიასთან გადაწყვიტა. ახალ კოალიციას „ნარინჯისფერები“ არალეგიტიმურს უწოდებენ.

რამდენიმე დღეა კიევის ცენტრში გრძელდება საპროტესტო აქციები. „რეგიონების პარტიის“ მომხრეები პრემიერ-მინისტრის პოსტზე ვიქტორ იანუკოვიჩის დანიშვნას ითხოვენ. ახლად შექმნილი კოალიცია პრემიერ-მინისტრის პოსტზე მისთვის მისაღებ კანდიდატურად სწორედ იანუკოვიჩს ასახელებს. ქუჩაში გამოვიდნენ იულია ტიმოშენკოს მომხრეებიც, რომლის საპრემიერო ამბიციებს სერიოზული საფრთხე ემუქრება.

უკრაინის პარლამენტის ახლად დანიშნული თავმჯდომარე, სოციალისტი მოროზი აცხადებს, რომ საბოლოო კოალიციის ჩამოყალიბებას რადა სამშაბათისთვის შეძლებს. მოროზის თქმით, კვირის დასაწყისში ახალი კოალიცია „ნაშა უკრაინასთან“ შეთანხმების მიღწევას შეძლებს და პარლამენტში ფართო კოალიცია შეიქმნება.

**„პირველ რიგში ეს იმიტომ უნდა გაკეთდეს, რომ დასავლეთად და აღმოსავლეთად გახლეჩილი უკრაინის გაერთიანება შევძლოთ. უკანასკნელმა ორმა არჩევნებმა ცხადყო, რომ უკრაინა ორადაა გაყოფილი, რაც დაუშვებელია,“** - აღნიშნა მოროზმა (შეგახსენებთ, რომ არჩევნების შედეგების მიხედვით, უკრაინის დასავლეთში ძირითადად ვიქტორ იუშენკოს მომხრეები არიან, ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში კი ვიქტორ იანუკოვიჩის. - რედ.).

მოროზმა აღნიშნა, რომ ფართო კოალიციის შექმნასთან დაკავშირებით „ნაშა უკრაინასთან“ კონსულტაციები უკვე დაწყებულია. „სოციალისტების“ ლიდერმა სატელევიზიო კლიპიც კი გააკეთა, სადაც ფართო კოალიციის შექმნის აუცილებლობაზე საუბრობს.

ერთადერთი პოლიტიკური სუბიექტი, რომელსაც ფართო კოალიციაში არ ეპატიჟებიან, იულია ტიმოშენკო და მისივე სახელობის პოლიტიკური ბლოკია. ტიმოშენკომ უკვე გამოაცხადა საკუთარ მხარდამჭერთა მობილიზაცია. „ნარინჯისფერი პრინცესას“ „ფანები“ რამდენიმე დღეა, კიევის მთავარ მოედანზე საკუთარ პროტესტს გამოხატავენ. ისინი ხელისუფლებას „ნარინჯისფერი იდეების“ ღალატში ადანაშაულებენ და ხელახალ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვენ.

პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ არაერთხელ გააკეთა განცხადება, სადაც აღნიშნა, რომ ხელახალი არჩევნების ჩატარების კატეგორიული წინააღმდეგია.

# პუტინის „ვარსკვლავური საათი“

პირველი გვერდიდან

თუმცა, კანცლერის თქმით, პრობლემის მოგვარების იმედს მას უფრო კონფლიქტის კორექტულად დოკუმენტირებული დეტალები აძლევს. დეტალები დაკონკრეტებული არ არის პრესისთვის, მაგრამ იგი „პრობლემის გადაჭრის ახალ საფეხურს“ წარმოადგენს. და რა მოხდება, თუკი მოლები პარიზის სამიტზე შემუშავებულ წინადადებებს არ მოიწონებენ? მერკელის თქმით, „ირანს აღნიშნული წინადადებების საწინააღმდეგო არაფერი უნდა ჰქონდეს“.

მოზომილი და ფრთხილი დამოკიდებულება მერკელსა და ბუშს პუტინთანაც აქვთ. პუტინთან შეხვედრამდე ბუში „სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ როლს“ უსვამს ხაზს და იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ „არავის მოსწონს, როდესაც მას გამუდმებით მენტორული ტონით ესაუბრებიან“. **„პუტინთან პირისპირ საუბრისას მე სრულებითაც არ მაქვს ისეთი ტონი, როგორიც ეს ტრიბუნიდან შეიძლება ჩანდეს,“** - აცხადებს ჯორჯ ბუში.

რუსეთის პრეზიდენტთან გულახდილი საუბრის საწინააღმდეგო არც ანგელა მერკელს აქვს რამე. **„ღია საუბარს მეც მხარს ვუჭერ, მხოლოდ ეს უნდა ხდებოდეს დახურულ კარს მიღმა და ბაზრის მოედანზე განსახილველი თემა არ უნდა იყოს,“** - აღნიშნა გერმანიის კანცლერმა. ეს სიტყვები კი, თითქოს ბედის ირონიით, შტრალზუნდში იმ შენობაში ითქვა, რომელიც სწორედ ბაზრის მოედანზე დგას.

ირანის გარდა, აშშ-სა და გერმანიის პირველმა პირებმა სამიტის უმთავრეს თემაზე - ენერგოუსაფრთხოებაზეც ისაუბრეს. კანცლერმა იმედი გამოთქვა, რომ შეძლებენ რუსეთის დათანხმებას, ხელი მოაწეროს ენერგეტიკულ ქარტიას, რომელიც ევროპის ენერგოუსაფრთხოებას უზრუნველყოფს. თუმცა, ანალიტიკოსები ამას ნაკლებად შესაძლებლად მიიჩნევენ, რადგან ქარტია, რომელიც მომგებიანია ენერგომომხმარებლისთვის, არ შედის რუსეთის, როგორც ენერგომიმწოდებელი ქვეყნის ინტერესებში. თანაც, ანალიტიკოსთა ვარაუდებს ის ფაქტიც უფრო ამყარებს, რომ ამ ქარტიისთვის ხელი ჯერ არც ევროკავშირის უახლოეს მოკავშირეებს - აშშ-სა და ნორვეგიას მოუწერია.

სამიტის მონაწილეებს ვერც სხვა ისეთი თემებისთვის მოუწევთ გვერდის ავლა, როგორიცაა ახლო აღმოსავლეთში გამძაფრებული სიტუაცია, კერძოდ, ისრაელისა და ლიბანის ურთიერთობები, ჩრდილოეთ კორეის პრობლემა და შეტაკებები ავღანეთსა და ერაყში.

### დასავლური პრესა „დიდი რვიანის“ სამიტის მოლოდინში

„დიდი რვიანის“ სამიტის წინ ძალიან ძნელია, დასავლურ პრესაში რუსეთის შესახებ დადებითი შეფასება იპოვო. ამერიკულ თუ ევროპულ გაზეთებში თანაბარი სიმძაფრით უმთავრესად პუტინისეული „დემოკრატიის“ კრიტიკა და კითხვა ისმის, თუ რატომ ერგო კრემლის ხელმძღვანელს „დიდი რვიანის“ სამიტის მასპინძლობის პატივი?! მოქმედი პოლიტიკოსები, ყოფილი დიპლომატები თუ ექსპერტები ავტორიტარიზმის გამოუსწორებელი მომხრის ქცევას, კერძოდ, დემოკრატიის სრულ უგულებელყოფას, დამოუკიდებელი საინფორმაციო საშუალებების დახურვას „კგბ“-ში მიღებული გამოცდილებით ხსნიან. რაც შეეხება სამიტის სანქტ-პეტერბურგში ჩატარების მიზეზებს, ახსნა ამასაც მოეძებნება, თუნდაც რუსეთის გიგანტური მასშტაბების ენერგომატარებლები, რომელიც ოფიციალურ მოსკოვს არა მარტო ევროპისთვის ნავთობისა და ბუნებრივი გაზის უმთავრეს მიმწოდებლად აქცევს, არამედ შორეული აღმოსავლეთის ბაზრის დაპყრობის საშუალებასაც აძლევს. თანაც, სხვა თუ არაფერი, „დიდი რვიანის“ სხვა წევრებმა ვერც უარის თქმის მიზეზები გამონახეს, - წერს გავლენიანი ბრიტანული გაზეთი „ინდეფენდენთი“.

თუმცა, დასავლურ პრესაში აქა-იქ ისიც გაისმა, რომ პუტინი დროის მოთხოვნებს პასუხობს, რადგან მან ასე თუ ისე შეძლო არასტაბილურ რუსეთში სტაბილური გარემოს შექმნა და მისი ხელმძღვანელობის პირობებში ეკონომიკაცა და დემოკრატიაც იმაზე მეტად განვითარდა, ვიდრე ეს რუსეთის უახლოესი წარსულის გათვალისწინებით იყო შესაძლებელი. ერთი სიტყვით, პუტინის გამამართლებელთა კონცეფცია რუსეთის პრეზიდენტის „ვარსკვლავური საათით“ აიხსნება. თანაც, როგორც კარგ მასპინძელს შეეფერება, ვლადიმირ პუტინმა სტუმრებისთვის სასიამოვნო სიურპრიზის სახით ეროვნული ვალუტის გადაცვლაზე უკანასკნელ ხანს დაწესებული აკრძალვაც მოხსნა და რუსული რუბლი, შესაძლოა ჯერჯერობით, მაგრამ მაინც კონვერტირებად ვალუტად იქცა.

„ინდეფენდენთ“-ის თანახმად, პუტინი ცდილობს, „დიდი რვიანის“ სამიტზე თვითდაჯერებული ადამიანის სახით წარდგეს, რომელიც სრულებით აკონტროლებს სიტუაციას და სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხების მიუხედავად, სამიტის წამყვან თემად მაინც ენერგოუსაფრთხოებას დატოვებს.

„თაიმს“-ი კი აქცენტს რუსეთში არსებული რეალობის შელამაზების პუტინისეულ მცდელობაზე აკეთებს. უმთავრესი კითხვა, რომელიც ამავე გაზეთში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში გაისმა, შემდეგია - „გაბედავს კი რომელიმე ლიდერი პრეზიდენტ პუტინს რუსეთში გაბატონებულ ავტორიტარიზმზე მოსთხოვოს პასუხი?“

დაახლოებით იგივე შინაარსის სტატია დაიბეჭდა „დეილი ტელეგრაფ“-ში, სადაც მოსკოვში ბრიტანეთის ელჩის მისამართით პუტინის მიერ გამოთქმულ კრიტიკაზე ოფიციალური ლონდონის მკაცრ დამოკიდებულებაზეა საუბარი. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის რისხვა კი ბრიტანელმა ელჩმა ენტონი ბრენტონმა მოსკოვში რუსული ოპოზიციის ინიციატივით გამართულ ალტერნატიულ „ანტისამიტში“ მონაწილეობით დაიმსახურა.


საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95,77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge



Georgian National airlines

CLUB Class - როცა კომფორტი მნიშვნელოვანია

საქართველოს ნაციონალური ავიახაზები

ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" გთავაზობთ ახალ, დღემდე საქართველოში უპრეცენდენტო CLUB Class სერვისს.

რას ნიშნავს იფრინოთ CLUB Class-ით ეს არის, საუკეთესო მომსახურება, გაფრენამდე, ფრენისას და ფრენის შემდგომ. კომფორტაბელური ტყავის სავარძლები და მომსახურების მაღალი ხარისხი, რომელიც უტოლდება ბიზნეს კლასის სერვისს და ყველაფერი ეს მხოლოდ ეკონომ კლასის ფასად.

ავიაკომპანია ,,საქართველოს ნაციონალური ავიახაზების,, ყველა რეგულარული რეისი შესრულდება ახალი, Bombardier CRJ 200 LR -ის ტიპის თვითმფრინავებით, რომელიც აღჭურვილია XXI საუკუნის თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც უსაფრთხოების მაქსიმალურ გარანტიას იძლევა.

ავიაბილეთების დაჯავშნისთვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:
- შ. რუსთაველის პრ. № 5 ; ტელ.: 92 20 20 ; 93 65 93
- კეკელიძის ქ. № 1 ; ტელ.: 22 18 07
- აეროპორტის სალარო; ტელ.: 43 32 23

ფრენების განრიგი
ზაფხულის სანავიგაციო სეზონი
(ადგილობრივი დრო)

| | ფრენა თბილისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:05 | 16:35 |
| | დნეპროპეტროვსკი | QB 525/526 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| ოთხშაბათი | ალმა - ატა | QB 577/578 | 12:50 | 18:30 | 21:20 | 23:10 |
| | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:20 | 15:50 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| ხუთშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 777/778 | 8:30 | 10:55 | 11:50 | 14:10 |
| | კიევი | QB 595/596 | 17:30 | 18:50 | 11:05 | 16:35 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) **** | QB 777/778 | 17:30 | 19:50 | 21:00 | 23:20 |
| პარასკევი | სანქტ-პეტერბურგი | QB 555/556 | 8:30 | 11:55 | 13:00 | 16:20 |
| | ოდესა | QB 541/542 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| კვირა | კიევი | QB 543/544 | 17:30 | 18:50 | 20:00 | 23:20 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| | მინერალნიე ვოდი | QB 523/524 | 17:50 | 19:10 | 22:00 | 23:10 |

* ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 02.08.2006-დან
** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 02.08.2006-დან
*** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 03.08.2006-დან
**** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 03.08.2006-დან

| | ფრენა ქუთაისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |

# ეკა ბესელია მოსამართლის წინააღმდეგ

*ბოლო დროს გახშირდა შემთხვევები, როდესაც ადვოკატები მოსამართლეებს მათ მიმართ უკანონო, სადამსჯელო, რეპრესიული ღონისძიებების გამოყენებასა და საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლაში ადანაშაულებენ. საქმე ისაა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ბოლო დროს შეტანილი ცვლილების საფუძველზე, მოსამართლეები ადვოკატებს სასამართლო პროცესის მსვლელობისას დარბაზიდან აძევებენ, საქმეს აცილებენ და აპატიმრებენ კიდეც. დარბაზიდან გაძევებულ ადვოკატთა სიაში ეკა ბესელიაც მოხვდა. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა და ამავდროულად იუსტიციის საბჭოს წევრმა მალხაზ გურულმა ეს სადამსჯელო ღონისძიება საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის საფუძველზე განახორციელა.*

ადვოკატი ეკა ბესელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს მალხაზ გურულს, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში და უზენაეს სასამართლოში უჩივის და ეთიკის კოდექსისა და საპროცესო კოდექსის მოთხოვნების დარღვევის გამო მის დისციპლინარული წესით დასჯას მოითხოვს. საჩივრის ასლი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გარდა, ქვეყნის პრეზიდენტს, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს და ომბუდსმენის ოფისსაც გადაეგზავნა.

ეკა ბესელიას განცხადებით, სრულიად უწყინარ სიტუაციაში, როდესაც იგი სასამართლო პროცესზე თავის უპირველეს მოვალეობას - დაცვის უფლებას ახორციელებდა, მოსამართლე მალხაზ გურულმა ის ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დაბაზიდან გააძევა. როგორც ეკა ბესელია განმარტავს, ის მოსამართლემ იმიტომ გააძევა, რომ რამდენიმე შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის შემდეგ, მოსამართლეს მიმართა, სხდომის ოქმში დაფიქსირებულიყო, თუ რას ითხოვდა და რაზე ეთქვა უარი განსასჯელს და მის დაცვის მხარეს.

ეკა ბესელიას შეფასებით, მალხაზ გურულის ქმედება არის მოსამართლის მხრიდან არაეთიკური ქცევა, პროცედურული ნორმების დარღვევა და ადვოკატის მიმართ დაცვის უფლების წართმევა. ადვოკატს მიაჩნია, რომ მოსამართლის მიერ ასეთი ზომების გატარება ძალიან საშიში ტენდენციაა, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარ ქმედებას ჩადის იუსტიციის საბჭოს წევრი, რომელიც კანონით თავად უნდა არკვევდეს სხვა მოსამართლის დისციპლინარული გადაცდომის საკითხს.

**„თუ ბატონი გურული და მისნაირები „რეფორმირებული სასამართლოს" „თვალსაჩინო წარმომადგენლები" არიან, მაშინ ჩვენ საგანგაშოდ გვქონია საქმე. გურული არა მხოლოდ არაკომპეტენტური და არაკვალიფიციურია, რომელმაც არ იცის, როგორ წარმართოს სასამართლო სხდომა და „შპარგალკებს" იყენებს, არამედ არის არაეთიკური, რადგან სასამართლო პროცესები მიმდინარეობდა მთელი ძალით ჩაქუჩის ბრახაბრუხის ფონზე, რითაც პროცესის მონაწილეებს გაუსაძლის პირობებში უწევდათ მუშაობა,"** - აცხადებს ბესელია.

ადვოკატი საჩივარში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მოსამართლე მალხაზ გურულის მიერ ეთიკის კოდექსის არაერთგზის დარღვევის ფაქტებზე, როდესაც ის ყვირილით, უხეშად, უპატივცემულოდ მიმართავდა განსასჯელებს, მამა-შვილ დოლიძეებს.

ადვოკატი ამბობს, რომ მოსამართლემ არ მისცა დაცვის მხარეს სასამართლო სხდომის გადაღების უფლება და ვიდეოგადაღება დაავალა იუსტიციის სამინისტროს.

მიუხედავად იმისა, რომ განსასჯელების ოჯახის მიერ ხდებოდა კასეტებით ოპერატორის უზრუნველყოფა, მოსამართლემ დაცვის მხარეს დღემდე არ მისცა არც ერთი სასამართლოს სხდომის ამსახველი ვიდეომასალის ასლი.

**„მოსამართლე მალხაზ გურულის უკანონო მოქმედებებმა პიკს მიაღწია 2006 წლის 11 ივლისის სხდომაზე, როდესაც სრულიად უკანონოდ, უსაფუძვლოდ, პირადი მოტივით გამაძევა სხდომის დარბაზიდან,"** - აცხადებს ეკა ბესელია. მალხაზ გურულმა ადვოკატის სამართლიან პროტესტზე განაცხადა, რომ პროცესის ბატონ-პატრონი ის არის და როგორც სურს, ისე გადაწყვეტს.

**„ბუნებრივია, დაცვის მხარეს მოსამართლის ამგვარ ქმედებაზე, რეაგირება უნდა მოეხდინა და თანახმად სსსკ 437-ე მუხლის მე-4 ნაწილისა, ვითხოვე სხდომის ოქმში ჩემი პრეტენზია დაფიქსირებულიყო. თუმცა, კიდევ ერთხელ, მოსამართლემ მდივანს არ მისცა ამის უფლება. ბატონმა გურულმა დაცვის მხარეს საერთოდ აუკრძალა პოზიციის გამოხატვა, რითაც დაარღვია სასამართლო პროცესის მიმდინარეობის პრინციპები, წაგვართვა უფლება დაცვის განხორციელების და მოგვთხოვა დუმილის არჩევა. მე ვითხოვდი ოქმში დაფიქსირებულიყო ის, რაც პროცესზე ხდებოდა, მაგრამ მოსამართლემ ამის საპასუხოდ მიიღო გადაწყვეტილება, ჩემი სხდომიდან გაძევებისა და დაცვის განხორციელების აკრძალვის თაობაზე,"** - ნათქვამია ეკა ბესელიას საჩივარში.

ადვოკატი ირწმუნება, რომ მოსამართლე მალხაზ გურულმა ამ ქმედებით გამოავლინა კანონის არცოდნა, საპროცესო ნორმების უპატივცემულობა, დაარღვია მოსამართლის ეთიკის კოდექსის ნორმები და სსსკ 7, 8, 11, 15, 16, 18, 231, 232, 454, 439, 437 მუხლების მოთხოვნათა, ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციის მე-6 მუხლი, სასამართლო დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების 2, 3, 4, 6 მუხლები.

**„ის ვიდეომასალა, რომელიც ალბათ მონტაჟის გარეშე არსებობს, სრულად დაგარწმუნებთ ზემოთ მითითებულ გარემოებებში. გასაგებია, რომ ბატონ მალხაზ გურულს იუსტიციის საბჭოს წევრობა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეობა განსაკუთრებულ „იმუნიტეტს" უქმნის და ამით იგი ბოროტად სარგებლობს. საზოგადოების თვალში მოსამართლის ამგვარი სახე საფრთხეს უქმნის მართლმსაჯულების ავტორიტეტს. მოგმართავთ, მიიღოთ ყველა კანონიერი ზომა მოსამართლე მალხაზ გურულის მიმართ,"** - ასეთი გახლავთ ეკა ბესელიას საჩივრის შინაარსი.

*24 საათი*

# დაგვიანებული ანგარიში



*ომბუდსმენმა შს მინისტრის გადადგომა მოითხოვა.*

პირველი გვერდიდან

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა ეს გადაწყვეტილება დაასაბუთა იმ გარემოებით, რომ საქართველოს პარლამენტმა სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების პროექტი უნდა განიხილოს, შემდეგ კი, პარლამენტს დასამტკიცებელი ჰყავს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები.

მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, პარლამენტი რიგგარეშე სესიის დახურვას არ გეგმავს, მომავალ კვირასაც ჩატარდება რიგგარეშე პლენარული სხდომები და სოზარ სუბარის მოხსენების განხილვის პრობლემა მომავალ კვირას არ შეიქმნება.

თუმცა, დღის პირველ ნახევარში მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება, დღის მეორე ნახევარში საპარლამენტო უმრავლესობამ მოულოდნელად შეცვალა. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, შეცვალა არა იმიტომ, რომ სახალხო დამცველის ანგარიშით, ანუ, ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობით იყვნენ დაინტერესებული. უბრალოდ, ომბუდსმენის ანგარიშის ჩაგდების ფაქტზე საპარლამენტო ოპოზიციის მიერ გამოთქმულ პროტესტს საფუძველი გამოაცალეს - უმრავლესობამ ოპოზიციის გამოწვევა მიიღო და მიუხედავად საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის მაია ნადირაძის განცხადებისა, **„ბიუჯეტი და სამშვიდობოების თემა უფრო მეტია, ვიდრე სუბარის პრივატული მოსაზრებები,"** - პარლამენტს მაინც მოუწია სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენა.

არადა, ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ საქართველოში ყველაფერი რიგზე რომ არ არის, ეს, რამდენიმე დღის წინათ საქართველოში ვიზიტად მყოფმა ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარმა თომას ჰამანბერგმაც აღნიშნა. ევროსაბჭოს კომისარმა საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობას შენიშვნები მისცა და მათი სასწრაფოდ გამოსწორებაც მოსთხოვა. ევროსაბჭოს საშემოდგომო სესიის გამართვამდე თომას ჰამანბერი გაფართოებული დელეგაციით კვლავ ესტუმრება საქართველოს, კიდევ ერთხელ გაეცნობა ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ არსებულ სიტუაციას და მხოლოდ ამის შემდეგ დაწერს მოხსენებას საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ. გარდა ევროსაბჭოსი, კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამენ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიც. ამიტომაც, ომბუდსმენის ანგარიშის მოსმენა და მის მიერ გამოთქმული შენიშვნებისა თუ რეკომენდაციების გათვალისწინება საპარლამენტო უმრავლესობის ინტერესშიც უნდა ყოფილიყო.

მართალია, სოზარ სუბარს 2005 წლის მეორე ნახევრის შესახებ უნდა გაეკეთებინა ანგარიში, მაგრამ 2006 წელს მომხდარმა სკანდალურმა ფაქტებმა გასული წლის მოვლენები გადაფარა და, ამიტომაც, ომბუდსმენის ანაგარიშში ძირითადი აქცენტი სწორედ მათზე გაკეთდა.

სოზარ სუბარის ანგარიშში მწვავე შეფასებები მიეცა ამირან რობაქიძისა და სანდრო გირგვლიანის მკვლელობებს, შალვა რამიშვილის საქმეს, 27 მარტის ციხის ბუნტს, კანონდარღვევებით ჩატარებულ სპეცოპერაციებს, დამნაშავე პოლიციელების დაუსჯელობის პრაქტიკას, არაობიექტურად გამოძიებულ საქმეებს, პოლიციელთა მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის გახშირებულ ფაქტებს, პენიტენციურ სისტემაში არსებულ მძიმე ვითარებას, მოსამართლეების მიერ დაშვებულ კანონდარღვევებს, დევნილების პრობლემებს, - დროში შეზღუდულმა ომბუდსმენმა თავის 50-წუთიან გამოსვლაში ამ თემებზე საუბარი მაინც მოახერხა.

სახალხო დამცველმა სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე საუბრისას შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის თანამდებობიდან გადადგომა მოითხოვა - მისი ყოფილი თანამშრომლების საეჭვო ქმედებების გამო. სოზარ სუბარმა ორმაგი სტანდარტების არსებობა ქვეყნისთვის დამღუპველად მიიჩნია და გაიხსენა ფაქტი, როდესაც ქრთამის აღებაში ბრალდებული საგადასახადო დეპარტამენტის 7 თანამშრომლის დაკავების შემდეგ, პრეზიდენტმა ფინანსთა მაშინდელი მინისტრი ვალერი ჩეჩელაშვილი თანამდებობიდან გადააყენა.

**„ჩემს შესახებ ხშირად ამბობენ, რომ პოლიტიკაში გადავედი, მე ახლა არანაირ პოლიტიკურ შეფასებას არ ვაკეთებ, მაგრამ ვიტყვი, შს მინისტრი, წარმატებულია თუ არა ის, უნდა გადადგეს, რადგან ის, ახალაიების და მისი მეგობრების მინისტრია.**

**გავიხსენებ ფაქტს, როცა პრეზიდენტმა მეგობრობაზე მაღლა პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა დააყენა. მან განაცხადა: ვალერი ჩეჩელაშვილი ჩემი მეგობარია, მაგრამ მეგობრობაზე მაღლა ჩვენი პატრიოტიზმი და პასუხისმგებლობა დგას. ის პატრიოტია, მაგრამ გარშემო არ უნდა ჰყავდეს ბანდიტების ჯოგი. პრეზიდენტის ამ განცხადების შემდეგ ჩეჩელაშვილი გადადგა. ვფიქრობ, გირგვლიანის სიკვდილი უფრო დიდი დანაშაულია, ვიდრე ქრთამის აღება. თუ ერთი მინისტრი მისი თანამშრომლების მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის გადადგა, უნდა გადადგეს მეორეც. სტანდარტი ყველა მინისტრისთვის ერთნაირი უნდა იყოს. პარლამენტმა უნდა გადაწყვიტოს მისაღებია თუ არა ორმაგი სტანდარტი,"** - განაცხადა საქართველოს სახალხო დამცველმა, რომლის თქმითაც, ძნელია დამტკიცდეს ახალაიას, სანოძის, მელნიკოვის და თაკო სალაყაიას დანაშაული, „თუმცა ეს საკითხი უნდა განიხილებოდეს პოლიტიკურ ჭრილში".

**„ადამიანის უფლებების დარღვევის კუთხით, ქვეყანაში არასახარბიელო მდგომარეობაა,"** - ასეთია სოზარ სუბარის მოკლე ანგარიშის რეზიუმე, რომლის საფუძველზეც, სახალხო დამცველმა პარლამენტს ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისრის რეკომენდაციები შეახსენა და მათი შესრულება მოითხოვა.

სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენაზე დასწრებას სანდრო გირგვლიანის დედა ირინა ენუქიძე ითხოვდა. მან ოფიციალური წერილი გაუგზავნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, თუმცა პასუხად უარი მიიღო.

## „სოზარ სუბარი, როგორც სახალხო დამცველი, ვერ შედგა"

სახალხო დამცველის საპარლამენტო გამოსვლა საპროტესტო აქციის ფონზე მიმდინარეობდა. საკანონმდებლო ორგანოს შენობის წინ შეკრებილი საზოგადოება ობუდსმენის გამოსვლას და მის შედეგს ელოდა. „რესპუბლიკური" პარტიის ერთ-ერთი ლიდერის თინა ხიდაშელის აზრით, სოზარ სუბარი, როგორც სახალხო დამცველი, ვერ შედგა.

**„ომბუდსმენის გამოსვლასთან დაკავშირებით ორ მნიშვნელოვან საკითხზე უნდა გაკეთდეს აქცენტი. პირველი - ჩემთვის განსაკუთრებით ტრაგიკული იყო ის, თუ რა მოხდა და რა ვითარებაში მოუხდა სახალხო დამცველს მოხსენების წაკითხვა. პარლამენტის მხრიდან ცინიკური დამოკიდებულება ნიშნავს იმას, რომ დეპუტატებს საერთოდ არ აინტერესებთ მათ მიერ არჩეული სახალხო დამცველის პოზიცია, შეფასებები და რეკომენდაციები.**

**არ შემიძლია კომენტარი არ გავაკეთო იმაზე, რომ პარლამენტის სხდომაზე დასწრების უფლება არ მისცეს იმ ადამიანებს, ვისთვისაც სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი განიხილებოდა. ყველას გვაქვს ნანახი, როგორ ესწრებიან პარლამენტის სხდომას გარეშე პირები - ნინო ანანიაშვილი, მასწავლებლები, მოსწავლეები და ეს მისასალმებელია, რადგან, საზოგადოება ამ პროცესების თანამონაწილე უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ნინო ბურჯანაძე, რომელსაც თევდორაძე გადაეფარა, ტყუის. გამოვიდეს ბურჯანაძე და თქვას, რომ მან არ ჩათვალა საჭიროდ ირინა ენუქიძის სხდომაზე დასწრება.**

**რაც შეეხება სახალხო დამცველის ანგარიშს. იმ შეურაცხმყოფელ ფონზე, რაც ხდებოდა პარლამენტში, ვფიქრობდი, რომ სოზარ სუბარი კიდევ უფრო პრინციპული იქნებოდა. არ ვითხოვ პოლიტიკურ განცხადებებს, მსურს, სახალხო დამცველმა დაიცვას ადამიანის უფლებები, იმდენად, რამდენადაც მას კანონი აძლევს ამის საშუალებას. ამისთვის ყველაზე მაღალი ტრიბუნა პარლამენტია, საიდანაც მან ამ ყველაფერზე უნდა ისაუბროს ცალსახად და ფაქტებს დაარქვას თავისი სახელი. ვფიქრობ, სოზარ სუბარმა ეს ვერ შეძლო,"** - ამბობს თინა ხიდაშელი.

## „ომბუდსმენი პოლიტიკურ კონიუნქტურას ექვემდებარება"

**„ხშირ შემთხვევაში, სახალხო დამცველი არასერიოზულ მდგომარეობაში თავად იყენებს თავს,"** - ასეთი კომენტარი გაუკეთა სახალხო დამცველის მოხსენებას საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ. მისი თქმით, ძალიან ცუდია, რომ სოზარ სუბარი თავად იგდებს ამგვარ მდგომარეობაში თავს, როცა პოლიტიკურ კონიუნქტურას ექვემდებარება.

რაც შეეხება სანდრო გირგვლიანის დედის ირინა ენუქიძის მოთხოვნას, სახალხო დამცველის ანგარიშზე დასწრებასთან დაკავშირებით, გიგა ბოკერიამ განაცხადა, რომ ეს მოთხოვნაც არასერიოზულია.

## არასამთავრობოები პარლამენტის დამოკიდებულებით უკმაყოფილონი არიან

არასამთავრობო სექტორი საქართველოს პარლამენტს სახალხო დამცველის მოხსენებისადმი არასერიოზულ დამოკიდებულებაში ადანაშაულებს.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარემ ანა დოლიძემ განაცხადა, რომ ომბუდსმენის მოხსენებასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მოთხოვნები უხეშად დაირღვა, რადგან, დღის მეორე ნახევრამდე არ იყო ცნობილი, როდის გააკეთებდა მოხსენებას სოზარ სუბარი.

**„აქედან გამომდინარე, პარლამენტი სახალხო დამცველის მოხსენებისადმი დამცინავ და არასათანადო მიდგომას ავლენს,"** - განაცხადა ანა დოლიძემ.

# დავით მირცხულავას მეორე განაჩენი

*შვიდი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა - ასეთია სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დავით მირცხულავას მეორე განაჩენი, რომელიც სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა. მსჯავრდებულ ყოფილ მინისტრს უკვე მოხდილი აქვს სამი წელი, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განაჩენის მიხედვით, საპატიმროში მას კიდევ ოთხი წელი მოუწევს ყოფნა. სააპელაციო სასამართლოს ვერდიქტით სრულად არ დაკმაყოფილდა არც მსჯავრდებულის ადვოკატების სარჩელი, რომლითაც მირცხულავას ინტერესების დამცველები პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის გაუქმებას მოითხოვდნენ და არც პროკურატურის მოთხოვნა, რომლითაც, სახელმწიფო ბრალდება მირცხულავასთვის მანამდე გამოტანილი განაჩენის ძალაში დატოვებას და მისთვის ათწლიან პატიმრობას მოითხოვდა.*



*მირცხულავა სტრასბურგის სასამართლოს იმედზეა.*

სააპელაციო სასამართლოს განაჩენით, დავით მირცხულავას მოეხსნა ბრალდება, რომლითაც დადანაშაულებული იყო საქმისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების გადამალვაში. ამ ბრალდებისთვის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ მირცხულავას ჯარიმის სახით 3 ათასი ლარის გადახდა დააკისრა.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენითვე, მირცხულავასთვის წარდგენილი ბრალდება - თაღლითობა - გადაკვალიფიცირდა და ამ დანაშაულს სამსახურებრივი გულგრილობის შეფასება მიეცა. ამ ნაწილში სასამართლომ დავით მირცხულავას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. დავით მირცხულავა გამტყუნდა სამოხელეო დანაშაულში, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, რომლისთვისაც მოსამართლემ სათბობ-ენერგეტიკის ყოფილ მინისტრს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და სანქციების ნაწილობრივი შეკრების პრინციპით, საბოლოო ჯამში, 7 წლითა და ექვსი თვით პატიმრობა მიესაჯა.

ერთი სიტყვით, სააპელაციო სასამართლოს ვერდიქტით უკმაყოფილო დარჩა როგორც დაცვის მხარე, ასევე სახელმწიფო ბრალმდებელიც.

**„სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ ერთი უკანონო განაჩენი გააუქმა, თუმცა, გამოიტანა მეორე უკანონო განაჩენი. ჩემთვის გაუგებარია, რატომ გამტყუნდა დავით მირცხულავა სამოხელეო დანაშაულში, რომლისთვისაც მას შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. მირცხულავას თაღლითობაში ბრალი მოეხსნა და ეს დანაშაული გადაკვალიფიცირდა, მოსამართლეს შეეძლო, გაცილებით დაბალი სანქციის ზომა განესაზღვრა. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ჩვენთვის მიუღებელია და მას აუცილებლად გავასაჩივრებთ ზემდგომ ინსტანციაში,"** - განაცხადა „24 საათთან" საუბრისას დავით მირცხულავას ადვოკატმა ეკა ბესელიამ.

ვიდრე სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო სასამართლოში გასაჩივრდება და ქართული მართლმსაჯულების ბოლო ინსტანცია საბოლოო სიტყვას იტყვის, შესაძლოა, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ მირცხულავას წინასწარი პატიმრობის კანონიერება-უკანონობაზე გადაწყვეტილების გამოტანა მოასწროს. ჩვენი ინფორმაციით, სტრასბურგის სასამართლოში ამ საკითხის განხილვა უკვე დასასრულს უახლოვდება.

მსჯავრდებულ მირცხულავას იმედს აძლევს ევროპელი მოსამართლეების მიერ მოთხოვნილი მასალები, რომლებიც უკვე გაგზავნილია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში და რომლებსაც იქაური მოსამართლეები უკვე ეცნობიან. პირველი ინსტანციის სასამართლოში მიმდინარე პროცესის დეტალების გარდა, სტრასბურგის სასამართლო საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მირცხულავას დაკავება-დაპატიმრებასთან დაკავშირებით გაკეთებული კომენტარებითა და გამონათქვამებით დაინტერესდა და ბრიფინგების, მთავრობის სხდომებისა და პრესკონფერენციების ჩანაწერები მოითხოვა. ევროპელმა მოსამართლეებმა მოითხოვეს, ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს იმ პალატის ფოტოორიგინალები, სადაც სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი იმყოფება და ის ვიდეომასალაც, რომელზეც მირცხულავას საკაცით გადაყვანა-გადმოყვანის ფაქტებია აღბეჭდილი.

*24 საათი*

# საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ინფორმაცია

თანახმად "შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტისა, ვაქვეყნებთ 2006 წლის 27 აპრილს კვების პროდუქტების, მცირეფასიანი სამეურნეო ტექნიკა-ინვენტარის და 25 მაისს ოფიციალური ვიზიტებისა და სტუმრების მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ღია ტენდერებში გამარჯვებულ პრეტენდენტთა სიას:

| ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია | შესასყიდი საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება (ლარი) | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| კვების პროდუქტები | | | | | |
| ი.მ. "ნოდარ ოსეფაიშვილი | ჩირი | კგ | 3448 | 2,80 | 9654,40 |
| | კისელი | კგ | 1150 | 2,50 | 2875 |
| | ყავა | კგ | 241 | 20 | 4820 |
| | ჩაი | კგ | 470 | 4,50 | 2115 |
| | საფუარი | კგ | 940 | 7,50 | 7050 |
| | კვერცხის ფხვნილი | კგ | 1434 | 13,50 | 19359 |
| | ტყემალი | კგ | 760 | 2,50 | 1900 |
| | ხილფაფა | კგ | 1210 | 2,80 | 3388 |
| სულ: | | | | | 5 1161.40 |
| მცირეფასიანი სამეურნეო ტექნიკა-ინვენტარი | | | | | |
| შპს "გეოპაკი | მცირეფასიანი სამეურნეო ტექნიკა-ინვენტარი | | | | 59070 |
| სულ: | | | | | 59070 |
| შპს "სამშენებლო ჰოლდინგური კომპანია" | მცირეფასიანი სამეურნეო ტექნიკა-ინვენტარი | | | | 9130 |
| სულ: | | | | | 9130 |
| ოფიციალური ვიზიტებისა და სტუმრების მომსახურება | | | | | |
| შპს "ჩალლარ პლუსი" | ბანკეტების და ოფიციალური სადილების გამართვა | | | | 16400 |
| | სხვადასხვა სემინარისა და კონფერენციის მომსახურება | | | | 31250 |
| სულ: | | | | | 47650 |

# საფრანგეთის განუყრელი დღესასწაული

პირველი გვერდიდან



**- საქართველო ევროპასთან ინტეგრაციას ესწრაფვის. რამდენად შეიძლება მას საფრანგეთის რესპუბლიკის მხარდაჭერის იმედი ჰქონდეს?**

- საფრანგეთი ყოველთვის უჭერდა და მომავალშიც დაუჭერს მხარს საქართველოს მიერ აღებულ კურსს მოდერნიზაციის, დემოკრატიისა და ევროპასთან დაახლოების პროცესში. საფრანგეთი იმთავითვე გახლდათ ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა იმისთვის, რომ საქართველო ღირსეულად წარმოჩენილიყო და მთლიანად ჩართულიყო ახალ სამეზობლო პოლიტიკაში. ვფიქრობ, ჩვენ, ევროპელ მეგობრებთან ერთად, ვართ მტკიცე და აქტიური ძალა, რომელიც (პირველ რიგში, თავად საქართველოს დახმარებით) მოახდენს მის ინტეგრირებას ევროპულ სტრუქტურებში. ბევრი რამ არის დამოკიდებული ევროკავშირზე. როგორც უკვე მოგახსენეთ, ასევე ბევრია დამოკიდებული საქართველოზე იმ თვალსაზრისით, რომ მან უნდა გამოაჩინოს მთელი თავისი შესაძლებლობები, ასევე სრულად მიიღოს ის მონაპოვარი, რაც ევროკავშირს აქვს.

**- რა ადგილი უჭირავს ადამიანთა უფლებებების დაცვას საფრანგეთის ისტორიაში?**

- ადამიანის უფლებათა დაცვა გახლავთ ევროპის მემკვიდრეობის მთლიანი საფუძველი. ამ საკითხთან დაკავშირებით გაერო-ს მიერ მიღებული უნივერსალური დეკლარაცია სწორედ საფრანგეთის რევოლუციიდან იღებს თავის საწყისს, რისი ამსახველი სურათიც საელჩოში შემოსვლისას პირველ რიგში მიიპყრობს თქვენს ყურადღებას. თავად ბასტილიის აღების დღე - ეს არის „ობსკურანტიზმის ციხის“ დანგრევის ერთგვარი სიმბოლო. ამიტომ 14 ივლისს, ეროვნულ დღესასწაულთან ერთად, ჩვენ აღვნიშნავთ ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაციის დღეს. მისი ტექსტი დღემდე ინარჩუნებს თავის მნიშვნელობასა და უდიდეს აქტუალურობას, როგორც ამა თუ იმ პოლიტიკური რეჟიმის შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმი.

**- უკვე ორი წელიწადია, რაც საქართველოში მოღვაწეობთ. როგორ შეგიძლიათ შეაჯამოთ განვლილი პერიოდი და რა სიახლეებია საქართველოსა და საფრანგეთს, ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობაში გასულ წელთან შედარებით?**

- სიახლე და დადებითი ცვლილებები თითქმის ყველა სფეროში შეიმჩნევა. პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ამბების მომსწრენი გავხდით. სულ ახლახან საფრანგეთსა და პრეზიდენტ ჟაკ შირაკს ჰქონდათ პატივი პარიზში, ელისეს სასახლეში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მიეღოთ, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩვენს ქვეყნებს შორის მაღალი პოლიტიკური ურთიერთობის არსებობა. გაიმართა ორივე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებისა და ბატონ გია ბარამიძის შეხვედრა საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ამრიგად, ჩვენ მუდმივად ვმართავთ პოლიტიკურ დიალოგებს, რომელიც მეტად არსებითია როგორც ქართული, ისე ფრანგული მხარისთვის. ასევე გვაქვს ურთიერთობა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან და მათთან ერთად მნიშვნელოვან პროექტებს ვახორციელებთ. მაგალითად, რამდენიმე კვირაში საჩხერეში სამხედრო-სამთო მომზადების ცენტრის გახსნას ვაპირებთ. ეს გახლავთ მეტად საჭირო „ოპერაცია“ ქართული ჯარის განვითარებისთვის, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს რელიეფის 70 პროცენტი მთიანეთს უჭირავს. ვფიქრობ, მომავალში ამ პერსპექტიულ ცენტრს გაუჩნდება რეგიონული დატვირთვაც, რადგან ფრანგული და ფრანგულ-ქართული სამხედრო-სამთო ექსპერტიზა შემდგომში საშუალებას მოგვცემს გაწვრთნას არა მარტო ქართველი, არამედ სხვა ქვეყნის სამხედროებიც. ასევე გვაქვს ახალი ერთობლივი პროექტები, რომლებიც საზღვაო სამხედრო სფეროსთანაა დაკავშირებული.

**- საფრანგეთის საელჩო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საგანმანათლებლო და კულტურულ სფეროებს. რა სიახლეებს შეიძლება ელოდეს ამ მხრივ ქართული საზოგადოება?**

- საუნივერსიტეტო სფეროში მნიშვნელოვანი სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ რამდენიმე კვირის წინ ჩვენ პირველად გავეცით ფრანგული, საფრანგეთის განათლების სამინისტროს მიერ აღიარებული დიპლომები ტექნიკური უნივერსიტეტის ფრანგული ფილიერის სტუდენტებისთვის. ასევ ჩამოყალიბდა პროექტი გრენობლისა და კავკასიურ უნივერსიტეტს შორის, რომლის საშუალებით კავკასიური უნივერსიტეტი „მასტერის“ ანუ MBI-ს დიპლომებს გასცემს. ვგეგმავთ ფრანგულ-ქართული ლიცეუმის გახსნას. ტერიტორია უკვე შევიძინეთ. ეს იქნება ქალაქის ცენტრში, კერძოდ, ვაკეში. ასევე საბავშვო ბაღი, რომელიც სექტემბერში გაიხსნება დროებით აღებულ ფართში, 2007 წლიდან კი საკუთარ შენობაში გადავა. ინვესტიციებზეც მოგახსენებთ: საფრანგეთი არის საქართველოს ერთ-ერთი ინვესტორი პროდუქციის დარგში. მაგალითად, ლუდის ქარხანა „კასტელი“. აგრეთვე „პერნორიკარი“, რომელმაც ქართულ მეღვინეობაში მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩადო. ფრანგული კომპანია „სპიკაპაგი“, რომელიც არის BP-ს კონტრაქტორი ფირმა BTG-ს და სამხრეთკავკასიური გაზსადენის მშენებლობაში. სამწუხაროდ, ახლა, ამ წუთას, ვერ მოგახსენებთ დეტალებს იმ ინვესტიციების თაობაზე, რომელთა შესახებაც მოლაპარაკებები მიმდინარეობს, რადგან ეს ინფორმაცია კერძო კომპანიებს ეხება, თუმცა ახლო მომავალში გამჟღავნდება კიდეც ეს მეტად საინტერესო ინიციატივები.

**- რამდენად ხშირად აწარმოებს საელჩო სტუდენტურ გაცვლით პროგრამებს?**

- ჩვენ გვაქვს საკმაოდ წარმატებული ორი პროექტი. მათგან ერთ-ერთი გახლავთ სტიპენდიების გაცემის კლასიკური ნიმუში, რომელიც უკვე დიპლომირებულ პირებს დააინტერესებთ. რაც შეეხება მეორე პროექტს, ის შარშან დაინერგა და ქართველ სტუდენტებს საფრანგეთში სწავლისა და თან მუშაობის შესაძლებლობას აძლევს. მისი პირველი მონაწილეები სადაცაა დაასრულებენ თავიანთი სწავლის აკადემიურ წელს. დარწმუნებული ვარ, საფრანგეთში განათლების მიღების მსურველი ქართველი ახალგაზრდების რიცხვი გაიზრდება და პროგრამა კიდევ უფრო მზარდი გახდება.

**- საქართველოს სტუმრობდა საფრანგეთის სახმელეთო ჯარების ქვეითთა 43-ე პოლკის ორკესტრი, რომელმაც ქართველ ხალხთან ერთად იზეიმა 26 მაისი. მათ ასევე პატივი მიაგეს საფრანგეთ-საქართველოს ეროვნული გმირის დიმიტრი ამილახვრის ხსოვნას, რომლის დაბადებიდან წელს ასი წლისთავი სრულდება. საფრანგეთშიც ხომ არ აპირებენ ამ თარიღის აღნიშვნას?**

- მე მეტად მადლიერი ვარ იმ ყურადღებისთვის, რაც ქართულმა საზოგადოებამ გამოიჩინა საფრანგეთის სახმელეთო ჯარების ქვეითთა 43-ე პოლკის მიმართ. რაც შეეხება დიმიტრი ამილახვარს, საფრანგეთის საელჩოს არ დაუმთავრებია მისი დაბადებიდან 100 წლისთავის აღნიშვნა. ჩვენ ვამზადებთ კიდევ ერთ ცერემონიას, რომელიც გვინდა დაემთხვას მის დაბადების დღეს, 12 ნოემბერს. გვაქვს მოლაპარაკება შიდა ქართლის გუბერნატორ ბატონ მიხეილ ქარელთან და პრინც დიმიტრი ამილახვრის ოჯახის წევრებთან. ისინი მიესალმნენ ჩვენს ინიციატივას და მხარი დაგვიჭირეს. ამ საკითხზე ასევე ვესაუბრეთ საფრანგეთის უცხოური ლეგიონის სარდლობას, რომელიც შეიძლება დიმიტრი ამილახვრის მეორე ოჯახადაც იწოდოს, რომელსაც მან სიმამაცისა და ერთგულების არაერთი მაგალითი მისცა. მისი 100 წლისთავის აღნიშვნას, რა თქმა უნდა, საფრანგეთიც აპირებს. განსაკუთრებით დიდი ღონისძიებაა დაგეგმილი ქალაქ ობანში, რომელიც მარსელის სიახლოვეს მდებარეობს და საფრანგეთის უცხოური ლეგიონის მთავარ ბაზად ითვლება. სწორედ იქ ინახება ზოგიერთი რამ მისი ნივთებიდან. დიმიტრი ამილახვარი ფრანგული სამხედრო ისტორიისა და ჯარის ჭეშმარიტი ლეგენდაა.

**- საფრანგეთის უცხოური ლეგიონი კვლავ განაგრძობს არსებობას?**

- უცხოური ლეგიონი დღემდე არსებობს და ფრანგული არმიის ყველაზე განთქმული და წარმატებული ერთეული გახლავთ. ის არის ლეგიონი, რომელსაც ურთულეს ბრძოლებში მიუღია მონაწილეობა, რადგან მისი წევრები მუდამ განსაკუთრებული დისციპლინითა და მომზადებით გამოირჩეოდნენ. ეს დიდი ტრადიციების მქონე ლეგიონი არსებობას ითვლის მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისიდან, თუმცა მისი სამხედრო ისტორია და მემკვიდრეობა კიდევ უფრო ძველია.

**- მეტად წარმატებული გამოდგა საფრანგეთის საელჩოს და პირადად თქვენი თანამშრომლობა „იმედის“ არხთან. ხომ არ აპირებთ ამგვარი ან სხვა სახის ერთობლივი პროექტის განხორციელებას?**

- საფრანგეთის საელჩოსა და პირადად ჩემი მონაწილეობა „იმედის“ არხთან და გადაცემა „ეტალონთან“ ბატონ გოჩა ტყეშელაშვილის დამსახურება გახლდათ. თავაზიანობისა და მეგობრობის გამოვლინება პირადად ჩემს მიმართ და ასევე უდიდესი პატივისცემა საფრანგეთისა, რომელიც მან ამ მშვენიერ გადაცემასთან დააკავშირა. საერთო პრიზებს, რომელთაც ამ გადაცემის სპონსორები - „გაერთიანებული ქართული ბანკი“, საპატრიარქო, „ჯეოსელი“ და „კასტელი“ გაიღებენ, ჩვენ ასევე დავუმატეთ მოგზაურობები საფრანგეთში და ფრანგული ენის უფასო კურსები, რადგან გვინდა, რომ ახალგაზრდა თაობას საშუალება მივცეთ უკეთ გაიცნონ ჩვენი ქვეყანა. ჩვენ ასევე ვთანამშრომლობთ „რუსთავი 2“-თან. ვაწყობთ ტრენინგებს ჟურნალისტებისთვის, რომელსაც თავად მონაწილენი უმაღლეს შეფასებას აძლევენ. მე თვითონაც გაოცებული ვრჩები ქართველი ჟურნალისტების პროფესიონალიზმითა და მოხერხებულობით. ისინი ნამდვილად არაფრით ჩამოუვარდებიან თავიანთ უცხოელ კოლეგებს. მინდა აქვე დავსძინო, რომ საელჩო მუდამ გახსნილია ყველა იმ საინტერესო წინადადებისთვის, რაც შეიძლება ქართული მედიის წარმომადგენლებმა შემოგვთავაზონ. პრესა და ტელევიზია ხომ უაღრესად მნიშვნელოვანია დღევანდელ სამყაროში, განსაკუთრებით დიპლომატიურ სფეროში, რადგან სწორედ ის გახლავთ ხშირ შემთხვევაში ჩვენი და ქართული საზოგადოების შემკვრელი ძალა და იმ გზავნილების გადამცემი, რომლითაც გვინდა დავუკავშირდეთ ჩვენს ქართველ მეგობრებს.

### ფესტივალი ჩინეთში

ჩინეთში ჩატარდება მობილური ტელეფონის კამერით გადაღებული ფილმების ფესტივალი. გაზეთ „ჩაინა დეილის“ ინფორმაციით, 25 აგვისტომდე ნებისმიერ მსურველს შეუძლია ათწუთიანი ფილმი გაგზავნოს ფესტივალის ინტერნეტსაიტზე.

საუკეთესო ნამუშევარს დაასახელებს კომპეტენტური ჟიური, რომელსაც თავმჯდომარეობს ცნობილი ჰონკონგელი რეჟისორი ჩენ გო. გამარჯვებული სექტემბერში ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთის პროვინციის შენსის დედაქალაქ სიანში დასახელდება.

ფესტივალის ორგანიზატორთა აზრით, ასეთი კონკურსი ჩინური კინოინდუსტრიის განვითარებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს. კონკურსში მონაწილეთა რაოდენობა და კინორგოლების თემატიკა შეზღუდული არ არის. სპეციალისტებს არც მონაწილეთა სავარაუდო რიცხვის დასახელება შეუძლიათ, რადგან ქვეყანაში მობილური ტელეფონის 400 მილიონი მფლობელია.

გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან პრიზებით, რომლის დასახელებასაც ორგანიზატორები ჯერჯერობით არ აპირებენ და სიურპრიზად ინახავენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ძველი კავკასია

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი („ქარვასლა“), იტალიის საელჩო საქართველოში და თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტი აწყობენ ერთობლივ გამოფენას „ძველი კავკასია იტალიურ და ქართულ ფოტოგრაფიაში“.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება XIX საუკუნის ფოტოხელოვანთა ვიტორიო სელას, ალექსანდრე როინაშვილის, დიმიტრი ერმაკოვისა და XIX საუკუნის უცნობი ფოტოგრაფების მიერ გადაღებული კავკასია.

იტალიელმა ფოტოხელოვანმა ვიტორიო სელამ კავკასიაში 400-მდე სურათი გადაიღო. მან ფირზე პირველმა აღბეჭდა ცენტრალური კავკასიონის მთათა სისტემა და მისი მცხოვრებლები.

გამოფენა „ქარვასლაში“ 18 ივლისს გაიხსნება. **ინტერპრესნიუსი**

### დუშანბეს საერთაშორისო კინოფესტივალი

დუშანბეს საერთაშორისო კინოფესტივალი აფხაზეთში გაიმართება. მეორე საერთაშორისო კინოფესტივალი Dushanbe International Film Festival ტაჯიკეთში 2006 წლის ოქტომბერში ჩატარდება, - განაცხადა ირანელმა რეჟისორმა, მოჰსენ მაჰმალბაფმა ერევანში, კინოფესტივალ „ოქროს გარგარის“ ფარგლებში გამართულ პრესკონფერენციაზე. რეჟისორის განცხადებით, ფესტივალი სისტემატურ ხასიათს მიიღებს და რიგ-რიგობით, ტაჯიკეთსა და აფხაზეთში ჩატარდება.

კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში წარმოდგენილი იქნება 10 მოკლემეტრაჟიანი და მხატვრული ფილმი აზიური ქვეყნებიდან. კონკურსში ჩართული იქნება ასევე 10 მხატვრული და 12 მოკლემეტრაჟიანი ირანული ფილმი.

Dushanbe Film Festival პირველად ოქტომბერში 2004 წელს გაიმართა. ჟიურის თავმჯდომარე სწორედ მოჰსენ მაჰმალბაფია. **ჯი-ეიჩ-ენი**


## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახური ატარებს ტენდერს ქ. თბილისში მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი: სხვადასხვა ზომის სპორტული მოედანი ხელოვნური საფარით, საერთო ფართით 10200 კვ მ.

შესყიდვის ობიექტის კონკრეტული პარამეტრები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

2. სამუშაოს შესრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 წლის 20 დეკემბერი.

3. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 4 აგვისტოდან 2006 წლის 7 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი კონსტიტუციის №6, ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახური.

4. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:

4.1. იურიდიული პირისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმე;
- ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

- ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა № 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040. დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 15 ივლისიდან 2006 წლის 4 აგვისტომდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კონსტიტუციის №6, ქ. თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახური.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: დავით ელოშვილი. საკონტაქტო ტელეფონი 893 977707, მისამართზე: ქ. თბილისი, კონსტიტუციის №6, ქ. თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**



## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სს "რიონჰესი" აცხადებს ღია ტენდერს 15 მვა სიმძლავრის და №4 ჰიდროაგრეგატის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესასრულებლად ტიპიური ნომენკლატურის მოცულობით თანახმად სადეფექტო აქტისა და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დაინტერესებულ იურიდიულ პირს.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 თვისა.

3. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და წარმოდგენილი იქნეს სატენდერო კომისიისათვის 2006 წლის 7 აგვისტოს 12-დან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის იგამზირი მე-5 შესახვევი №15.

4. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის კვალიფიკაცია ჰიდროაგრეგატების მონტაჟის, გამართვა-გაწყობის სამუშაოების შესრულებაზე შესაბამისი ლიცენზიისა და ტექნიკური საშუალებების არსებობა. მისი რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი6 საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობა, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
- უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ დამკვეთის მიერ ბეჭდით დადასტურებული ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოს შეფასებით;
- ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკუთრების შემთხვევაში საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი, იჯარის შემთხვევაში საიჯარო ხელშეკრულება);
- ინფორმაცია ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდა, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდეგ (გაერთიანებული ქართული ბანკის ქუთაისის რეგიონული სამმართველო. ა/ანგარიში №183603 მფო 220101605) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 17 ივლისის 12 საათიდან 2006 წლის 7 აგვისტოს 12 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი ახალგაზრდობის გამზირი მე-5 შესახვევი №15. რიონჰესის დირექცია.

7. ინფორმაცია სამუშაოთა ჩამონათვალისა და ხასიათის შესახებ დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: სახელმწიფო შესყიდვების კოორდინატორი გიორგი ბიჭაშვილი. საკონტაქტო ტელეფონი 3-27-99. მობილური 893 60 92 18. მისამართი: ქ. ქუთაისი ახალგაზრდობის გამზირი მე-5 შესახვევი №15. რიონჰესის დირექცია.

**სატენდერო კომისია**

მოკლედ

## დანაშაული და სასჯელი

გუშინ იტალიურმა საფეხბურთო ტრიბუნალმა დაასრულა საქმის გამოძიება, რომელიც იტალიურ ფეხბურთში არსებულ კორუფციას ეხებოდა.

ვერდიქტი საკმაოდ მძიმეა. „იუვენტუსი“, „ლაციო“ და „ფიორენტინა“ მომავალ სეზონს სერია B-ში გაატარებენ. რაც შეეხება „მილანს“, ეს კლუბი დაინდეს - ის ელიტურ დივიზიონში დარჩა.

არ იფიქროთ, რომ ოთხეული ასე იოლად გადარჩა. სასჯელი გაცილებით სერიოზულია. „იუვენტუსი“ მომავალ სეზონს, რომელსაც სერია B-ში გაატარებს და ელიტურ დივიზიონში აღზევებისთვის იბრძოლებს, მინუს 15 ქულით დაიწყებს. ცხადია, ამ ვითარებაში სერია A-ში გადასვლაზე ფიქრი ძალიან ძნელია. უარყოფითი ბალანსით დაიწყებენ ჩემპიონატს „ლაციო“ და „ფიორენტინაც“. „ბებერი ქალბატონისგან“ განსხვავებით, ამ დუეტს მინუს ექვსი და მინუს შვიდი ქულით მოუწევთ ჩემპიონატის დაწყება.

მართალია, „მილანი“ სერია A-ში დარჩა, მაგრამ გუნდს ჩამოერთვა ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება. ევროთასებზე ვერც დანარჩენი სამი გუნდი ითამაშებს ამ სეზონში.

ტრიბუნალის გადაწყვეტილება 20 ივლისამდე შეიძლება გაპროტესტდეს. იტალიელებმა უეფას 25 ივლისამდე უნდა აცნობონ იმ გუნდების ვინაობა, რომლებიც მომავალ სეზონში ევროტურნირებზე მიიღებენ მონაწილეობას.

რაც შეეხება იტალიის ჩემპიონის ტიტულს, რომელიც შეიძლება „იუვენტუსისთვის“ ჩამოერთმიათ. საფეხბურთო ტრიბუნალმა ჩათვალა, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება მისი კომპეტენცია არ არის. ამ საკითხს სპორტულ-საარბიტრაჟო სასამართლო განიხილავს.

## კოკაი კვლავ დამარცხდა

ივლისის ბაშოზე მორიგი მარცხი განიცადა ქართველმა სუმოისტმა კოკაიმ. გუშინ ლევან ცაგურიამ როხოსთან დათმო ორთაბრძოლა და 6 დღის შემდეგ მის ანგარიშზე სამი გამარჯვება და სამი მარცხია.

დღეს კოკაის მეტოქე იქნება დასავლეთ კონფერენციის მერვე მაიგეშირა ტაკამისაკარი, რომელმაც ივლისის ბაშოზე ექვსი ბრძოლიდან ხუთი წააგო. ბოლო ერთი წლის განმავლობაში კოკაი სამჯერ შეხვდა ამ სუმოისტს და ორჯერ დაამარცხა. უკანასკნელად კოკაი და ტაკამისაკარი მაისის ბაშოზე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მაშინ ქართველი გოლიათი დამარცხდა. ასე რომ, ცაგურიას რევანშიც აქვს ასაღები.

## ფიფამ მატერაცი დაკითხა

გუშინ იტალიის ნაკრების მცველი მარკო მატერაცი ფიფას დისციპლინარული კომიტეტის წინაშე წარდგა. მატერაცის დაწვრილებით უნდა მოეთხრო, თუ რა მოხდა ფინალურ მატჩში მასა და ზიდანს შორის.

მატერაციმ ფიფას ჩინოსნებს მომხდარის საკუთარი ვერსია უამბო. მარკოს აგენტის განცხადებით, ფეხბურთელი კმაყოფილი იყო დისციპლინარული კომიტეტის წევრებთან საუბრით.

## დონადონიმ „სკუადრა აძურა“ ჩაიბარა

იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ახალგაზრდა სპეციალისტი რობერტო დონადონი დაინიშნა.

„ყველაფერი საოცრად სწრაფად მოხდა. ბედნიერი ვარ, თუმცა სიმშვიდე უნდა შევინარჩუნო. რა თქმა უნდა, მეამაყება, რომ ეს საპატიო თანამდებობა მანდეს. გაზეთებში წავიკითხე, რომ ლიპის შემცვლელად მთვლიდნენ, თუმცა არ მჯეროდა. შევეცდები თავი გამოვიჩინო, თუმცა, იმის შემდეგ, რაც ლიპიმ გააკეთა, ძალიან გამიჭირდება“, - განაცხადა იტალიის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა.

# ჭიდაობა დაიწყო

გიგა გურასაშვილი

*ხანგრძლივი პაუზის შემდეგ შარშან განახლდა ის, რასაც ჭიდაობის ქართველი გულშემატკივარი ელოდა. საუბარია, გივი კარტოზიასა და ვახტანგ ბალავაძის სახელობის თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ბერძნულ-რომაულ და თავისუფალი სტილით ჭიდაობაში. აღნიშნული ტურნირები იმდენად დაკარგული იყო საერთაშორისო კალენდრიდან, რომ თბილისურ ხალიჩაზე ამა თუ იმ ნაკრებების ჩამოყვანა ჭირდა. საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის წყალობით, ყინული გალღვა. უცხოელი ფალავნები კვლავაც თბილისში არიან. მართალია, გეოგრაფიული არეალი მცირე მასშტაბისაა (არა ისეთი, როგორიც ვთქვათ 15 წლის წინათ), მაგრამ შარშანდელისგან განსხვავებით აშკარად უკეთესი მდგომარეობით.*



ფაქტია, დღეს უკეთესი სურათია. უკეთესი როგორც ტურნირის ორგანიზაციული თვალსაზრისით ისე მონაწილე ქვეყანათა რაოდენობით. გუშინ სასტუმრო „სიმპათიაში“ მოწყობილ ერთგვარ პრესკონფერენციაზე საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა გეწაძემ ისიც კი თქვა, ახლა გაცილებით დიდი ჯაფა დაადგებათ ქართველ ფალავნებს, ვიდრე შარშანო. ყოველ შემთხვევაში, გუნდური პირველი ადგილის დაკავება მასპინძლებს მეტ-ნაკლებად გაგვიჭირდებაო.

და მაინც, რა ტურნირზეა საუბარი? გივი კარტოზიასა და ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ რომაულსა და თავისუფალი სტილით ჭიდაობაში წლეულს რიგით ოცდამეცხრამეტეა „თავისუფლებისთვის“ და მერვე - ბერძენ-რომაელთათვის.

1962 წლიდან მოყოლებული 1991 წლის ჩათვლით ვახტანგ ბალავაძის „თავისუფალთა“ ტურნირი (რომელსაც „მცირე მსოფლიოს ჩემპიონატად“ მოიხსენიებდნენ) უწყვეტად იმართებოდა. 1992 წლიდან კი ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის, უფრო სწორად, არასტაბილური ვითარების გამო ტურნირი შეჩერდა. იგივე ვითარება იყო გივი კარტოზიას სახელობის ტურნირთან დაკავშირებითაც, რომელიც სათავეს იღებს 1972 წლიდან. თუმცა ამ შემთხვევაში უფრო სხვა სურათია. კერძოდ, 1974 წლის შემდეგ, კარტოზიას სახელობის ტურნირი ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფილა) რატომღაც არასათანადოდ შეაფასა, რომლის აღდგენაც შესაძლებელი გახდა მხოლოდ 23-წლიანი პაუზის შემდეგ.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ორივე სახეობაში ხუთწლიანი პაუზა იყო ახალ საუკუნეშიც - 2000-2004 წლებში.

შარშან განახლებულმა საერთაშორისო ტურნირმა სტარტი აიღო დღეს სპორტის სასახლეში.

ქართველ ბერძენ-რომაელებსა და „თავისუფლებს“ თბილისის საერთაშორისო ტურნირზე მეტოქეობას გაუწევენ ექვსი ქვეყნის - აზერბაიჯანის, უკრაინის, უზბეკეთის, საბერძნეთის, სომხეთისა და რუსეთის წარმომადგენლები (გუშინდლამდე ასე იყო ცნობილი).

ფილა-ს კომისრის ანტონიო სილვესტრის თქმით, რომელიც ასევე ესწრებოდა პრესკონფერენციას, ტურნირი კარგადაა ორგანიზებული (ყოველ შემთხვევაში გუშინ ასეთი შთაბეჭდილება ჰქონდა). დღეს და ხვალ გასამართი ასპარეზობები იმითაა მნიშვნელოვანი, რომ მასში ბევრ ახალგაზრდა მოჭიდავეს ვიხილავთ და მომავალში, ალბათ, იგივე სახეებს ვნახავთ ოლიმპიურ თამაშებზეც. ასე რომ, თბილისური ტურნირი ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციისთვისაც მნიშვნელოვანია. ვიმედოვნებ, კარგ ჭიდაობას ვიხილავთო.

ორიოდე სიტყვა იმათზეც ვთქვათ, ვის სახელსაც ატარებს თბილისური ტურნირი. გივი კარტოზია პირველი ქართველი მსოფლიოს ჩემპიონია ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. პირველია მათ შორისაც, ვინც მსოფლიოს თასი მოიპოვა, პირველი ქართველი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი და პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

„ჭიდაობის პროფესორად“ წოდებული ვახტანგ ბალავაძე პირველი ქართველი მსოფლიოს ჩემპიონია თავისუფალი სტილით ჭიდაობაში; მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და მელბურნის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოსანი.

# იტალიამ თასი გატეხა

*ერთი კვირაც არ გასულა მას შემდეგ, რაც იტალიელებმა გერმანულ მინდვრებზე მსოფლიო თასი მოიპოვეს, მაგრამ რისთვისაც ლამის სისხლი დაღვარეს, მისი გატეხვაც მოასწრეს.*

იტალიური გაზეთის Il Messaggero-ს პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ ერთ ფოტოზე აღბეჭდილია იტალიის ნაკრების კაპიტანი ფაბიო კანავარო, რომელიც დაზაფრული შეჰყურებს მსოფლიო თასს, მეორე ფოტოზე კი მწვანე მალაქიტის ნატეხი უჭირავს ხელში, რომელიც თასს მოსტყდა.



კანავაროს თასი შემოემსხვრა.

გადაღების დროს კანავარო იტალიის ნაკრების ავტობუსში იჯდა, რომელიც ტურინის ჰოსპიტალისკენ მიემართებოდა, იქ, სადაც „იუვენტუსის“ ყოფილი მოთამაშე ჯანლუკა პესოტო წევს (შეგახსენებთ: მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას კლუბის მთავარი ნაგებობის სახურავიდან გადმოხტომით თვითმკვლელობა სცადა).

იტალიური გაზეთი ვარაუდობს, შეიძლება მსოფლიო თასი ავტობუსში გატყდა, მაგრამ მერე დააწებესო.

ამასობაში კანავაროც ალიარებს, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის ღამეს თასთან ერთად მეძინაო.

მსოფლიო თასი 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის იტალიელმა ოსტატმა სილვიო გაცანიგამ შექმნა.

სანუკვარი ჯილდო სიმაღლეში 14 დუიმია და 18-კარატიანი ოქროთია დამზადებული. ძირი მწვანე მალაქიტისა აქვს. გამარჯვებულთათვის 17 ადგილია განსაზღვრული. ასე რომ, მსოფლიო თასი ამ სახით 2038 წლამდე იარსებებს, მანამდე, სანამ მასზე ამოსატვიფრი ადგილი დარჩება.


# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს **ყველა სეზონის საბურავების** შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200(ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი:302003000, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ქ. თბილისი გ. გულუას N8 ოთახი 401, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი:

**ლოტი 1** - 185/70 R 14 - 400ცალი; **ლოტი 7** - 175/80 R 16 - 50ცალი
**ლოტი 2** - 185/70 R 13 - 100ცალი; **ლოტი 8** - 185/65 R 14 - 100ცალი
**ლოტი 3** - 175/70 R 13 - 600ცალი; **ლოტი 9** - 185/75 R 16 - 50ცალი
**ლოტი 4** - 205/60 R 16 - 520ცალი; **ლოტი 10** - 215/75 R 17.5 - 30ცალი
**ლოტი 5** - 205/70 R 16 - 150ცალი; **ლოტი 11** - 840/15 - 100ცალი
**ლოტი 6** - 175/70 R 16 - 200ცალი; **ლოტი 12** - 1100/400 - 530 - 30ცალი

3.მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. N5

4.მიწოდების სავალდებულო ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან მოთხოვნილების მიხედვით 2006 წლის ბოლომდე.

5.პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **4 აგვისტოს** 10.00 საათიდან 12.00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

8. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

9. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსი თაბუაშვილი, ტელ. 75-47-74, 899-23-46-95

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.



# საქართველოს გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადება
## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

**I ობიექტი –ბოლნისის რაიონში, მდ. მაშავერას ხეობის მარცხენა ფერდზე ბაზალტის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 4 381 ლარი ,,ბე'' შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 876 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ბაზალტის ჯამური მოცულობა | 20 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**II ობიექტი – ბოლნისის რაიონში, სისკალას I და II უბანზე ბაზალტის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 4 381 ლარი ,,ბე'' შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 876 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ბაზალტის ჯამური მოცულობა | 20 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**III ობიექტი – რაიონში, აკაურთას მომწვანო ტუფის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 6 259 ლარი ,,ბე'' შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 1 252 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ტუფის ჯამური მოცულობა | 20 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**IV ობიექტი – მდ. არაგვის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 10 459 ლარი ,,ბე'' შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს 2 092 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის მოცულობა | 78 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |

| | |
|---|---|
| **სალიცენზიო მოსაკრებელი I ობიექტიდან IV ობიექტის ჩათვლით შეადგენს 900 ლარს** | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (მთაწმინდა-კრწანისი),ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 300033022 |

| | |
|---|---|
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. გულუას ქ.№6 ტელ. 275760 აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 15 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება ა/წ 14 აგვისტოს 11 საათიდან საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში. |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს „ ბე“-ს შემოტანის ქვითარი | „ ბე“-ს გადახდის ანგარიში-მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიში ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 302003000 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე. ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი; ბ)ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები. დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი. ე),,ბე''-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან 10 დღე. მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სალიცენზიო პირობები | წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის ,,გარემოს დაცვის შესახებ'', ,,წიაღის შესახებ'' და ,,წყლის შესახებ'' საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები. |
| **აუქციონზე ,,ბიჯის'' სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 10 პროცენტს** | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

# კალაძისთვის იტალია ღირსეული ჩემპიონია

გუშინ გაზეთ „სპორტ ექსპრესის“ უკრაინულ ვერსიაში გამოქვეყნდა საქართველოს ნაკრების კაპიტნის კახა კალაძის ინტერვიუ, რომელშიც „მილანის“ ქართველი მცველი განვლილ მსოფლიო ჩემპიონატზეც საუბრობს (ინტერვიუ მანამდეა აღებული, სანამ იტალიის საფეხბურთო ტრიბუნალი ოთხეულს განაჩენს გამოუტანდა).

**- კახა, ამ დღეებში რომში იტალიურ საფეხბურთო სკანდალს წერტილი დაესმევა და, შესაძლოა, „მილანი“ დააქვეითონ. თქვენი აზრით, ეს რეალურია?**

- შემიძლია ზუსტად გითხრათ, რომ „მილანს“ არავინ დააქვეითებს, რადგან ჩვენს გუნდს ჩაწყობილ მატჩებში მონაწილეობა არასდროს არ მიუღია. რაც შეეხება „იუვენტუსს“, ამ გუნდის ბრალეულობა ფაქტობრივად უკვე დამტკიცებულია და ვფიქრობ, ტურინელებს მართლაც დასჯიან.

**- თუ „მილანიც“ დაისაჯა, ახალი კლუბი ხომ არ გაქვთ უკვე შერჩეული?**

- ამაზე არც მიფიქრია. „მილანის“ უდანაშაულობაში ეჭვი არ მეპარება.

**- თუ საიდუმლო არ არის, შვებულება როგორ გაატარეთ?**

- ეგზოტიკურ მოგზაურობებზე უარი ვთქვი და სამშობლოში დავისვენე. საქართველოში ისედაც იშვიათად ჩავდივარ და ახლა მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ურთიერთობით გული ვიჯერე.

**- მსოფლიო ჩემპიონატს უყურებდით თუ ფეხბურთისგანაც ისვენებდით?**

- ვცდილობდი ყველა მატჩი მენახა. ასეთი გრანდიოზული მოვლენა ოთხ წელიწადში ერთხელ ხდება. თანაც, ბრაზილიის, უკრაინისა და იტალიის ნაკრებებში ჩემი მეგობრები თამაშობდნენ, რომლებსაც მთელი სულით და გულით ვქომაგობდი.



კალაძე ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად ზიდანს მიიჩნევს.

**- მეოთხედფინალში ალბათ გაგიჭირდათ, რადგან ერთმანეთს დაუპირისპირდა ის ორი გუნდი, რომლებსაც თქვენ პირველ რიგში გულშემატკივრობდით.**

- თავიდანვე გადავწყვიტე, რომ არც ერთს არ მივანიჭებდი უპირატესობას. თუმცა, არ გეწყინოთ და, იტალიელთა გამარჯვებაში ეჭვი არ მეპარებოდა. უბრალოდ, „სკუადრა აძურა“ უფრო მაღალი კლასის გუნდია. მეორე ტაიმის დასაწყისში უკრაინელებს ჰქონდათ ანგარიშის გათანაბრების შანსი, მაგრამ ვერ გამოიყენეს და ლიპის გუნდმა უმოწყალოდ დასაჯა ბლოხინის შეგირდები.

**- იქნებ ყველაფერი იმის ბრალია, რომ ბლოხინმა იტალიელებთან თამაშში არასწორი ტაქტიკა აირჩია?**

- რას ამბობთ! ბლოხინზე ცუდის თქმა საერთოდ არ შეიძლება. მან დაამტკიცა, რომ უმაღლესი კვალიფიკაციის მწვრთნელია. დარწმუნებული ვარ, უკრაინის ნაკრების წარმატებაში ლომის წილი სწორედ ბლოხინს ეკუთვნის.

**- მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ინტერვიუში მითხარით, რომ უკრაინის ნაკრები მეოთხედფინალში გასვლას შეძლებსო. მაშინ ალბათ უკრაინელებს ასიამოვნეთ. ამის ხომ ალბათ არც თავად გჯეროდათ...**

- ივნისში გაკეთებული ოპტიმისტური პროგნოზი, რა თქმა უნდა, უფრო ემოციების ბრალი იყო. მართალი გითხრათ, დარწმუნებული ვიყავი, რომ უკრაინის ნაკრები ჯგუფიდან გავიდოდა, შემდეგ კი, წესით და რიგით, შევას და მის მეგობრებს საფრანგეთთან უნდა ეთამაშათ. ვფიქრობდი, რომ უკრაინის ნაკრები ამ ბარიერს ვერ გადალახავდა. თუმცა მუნდიალზე ყველაფერი სხვაგვარად განვითარდა და ბლოხინის გუნდს მერვედფინალში ფრანგების ნაცვლად შვეიცარიის ნაკრები შეხვდა.

**- მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას შევჩენკოსთვის ხომ არ დაგირეკავთ?**

- მე და ანდრეი თანაგუნდელები აღარ ვართ, მაგრამ ურთიერთობას მაინც ვინარჩუნებთ. ალბათ არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ უკრაინის ნაკრების ყველა წარმატება მასთან ერთად გამიხარდა. სამწუხაროა, რომ შევა მუნდიალს ოპტიმალურ ფორმაში ვერ შეხვდა, თორემ, შესაძლოა, უკრაინელებს გაცილებით მეტისთვისაც მიეღწიათ.

**- იტალიამ დამსახურებულად მოიპოვა ჩემპიონის ტიტული?**

- რა, ვინმეს ამაში ეჭვი ეპარება? იტალიის ნაკრებმა სრულიად დამსახურებულად მოიგო.

**- ფინალში მომხდარ ინციდენტს როგორ შეაფასებდით?**

- ზიდანს ვიცნობ. ვიცი, ის ნამდვილი პროფესიონალი და ჯენტლემენია. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, მატერაცის მას შემდეგ დაარტყა, რაც მან ძალიან საწყენი სიტყვები უთხრა. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ ასეთი რეაქცია არ უნდა ჰქონოდა.

**- თანაგუნდელებისგან ხომ არ გაგიგიათ, რა მოხდა?**

- პირლოსა და გატუზოს დავურეკე, მაგრამ მხოლოდ მისალოცად.

**- ფინალში მიღებული წითელი ბარათის მიუხედავად, ზიდანი ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ეს დამსახურებულია?**

- ვფიქრობ, არჩევანი სწორად გაკეთდა. ზიდანი ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი იყო. სამწუხაროა, რომ ეს უდიდესი ფეხბურთელი მიდის ფეხბურთიდან.

# დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

## სს საქართველოს ბანკის აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

ჩავატარეთ სს საქართველოს ბანკის ("ბანკი") და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ერთობლივად "ჯგუფი") თანდართული კონსოლიდირებული საბალანსო ანგარიშგებების აუდიტი 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგება ზარალის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებების აუდიტი ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის. აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია "ჯგუფის" მენეჯმენტი. ჩვენ გვევალება, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი მოიცავს ტესტირების საფუძველზე მტკიცებულებების შემოწმებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხებისა და ახსნა-განმარტებების დადასტურების მიზნით. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების შედგენისას მენეჯმენტის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შემოწმებას, აგრეთვე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას. მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს მოსაზრების გამოსათქმელად.

ჩვენი აზრით, ზემოთაღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უტყუარია და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი ნაკადების ამავე თარიღით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

Ernst&Young Audit LLC
15 მარტი 2006

**კონსოლიდირებული საბალანსო ანგარიშგებები**
**2005 და 2004 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით**
*(თანხები წარმოდგენილია ათას ლარში)*

| | 2005 | 2004 |
|---|---|---|
| **აქტივები** | | |
| ფული და ფულადი ეკვივალენტები | 57,236 | 102,747 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 33,398 | 25,585 |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები, წმინდა | 297,376 | 169,868 |
| წმინდა ინვესტიცია ფინანსურ იჯარაში | 4,314 | 598 |
| ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში: | | |
| - გაყიდვისათვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები | 8,327 | 19,628 |
| - დაფარვის ვადამდე ფლობილი | 2,280 | – |
| ძირითადი საშუალებები, წმინდა | 35,815 | 27,159 |
| არამატერიალური აქტივები, წმინდა | 7,685 | 6,286 |
| აქტივები მოგების გადასახადის სახით | 2,570 | 3,407 |
| წინასწარი გადახდები | 455 | 157 |
| სხვა აქტივები | 11,114 | 7,737 |
| **სულ აქტივები** | **460,570** | **363,172** |
| | | |
| **ვალდებულებები** | | |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 78,873 | 48,334 |
| ვალდებულებები მეანაბრეთა მიმართ | 269,952 | 252,129 |
| სასესხო ვალდებულებების სახით გამოშვებული ფასიანი ქაღალდები | 1,143 | – |
| მოგების გადასახადის ვალდებულებები | 2,087 | 203 |
| რეზერვები შესაძლო დანაკარგებზე | 975 | 971 |
| სხვა ვალდებულებები | 16,078 | 6,075 |
| **სულ ვალდებულებები** | **369,108** | **307,712** |
| | | |
| **კაპიტალი** | | |
| საწესდებო კაპიტალი | 14,729 | 11,273 |
| საემისიო კაპიტალი | 32,922 | 13,376 |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები | (81) | (73) |
| გაუნაწილებელი მოგება | 37,216 | 23,911 |
| სხვა რეზერვი | 5,369 | 5,492 |
| **სულ საააქციო კაპიტალი** | **90,155** | **53,979** |
| შვილობილი კომპანიების წილი | 1,307 | 1,481 |
| **სულ კაპიტალი** | **91,462** | **55,460** |
| | | |
| **სულ ვალდებულებები და კაპიტალი** | **460,570** | **363,172** |

**მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგებები**
**2005 და 2004 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით**
(თანხები წარმოდგენილია ათას ლარში)

| | 2005 | 2004 |
|---|---|---|
| **საპროცენტო შემოსავალი** | | |
| გაცემული სესხები | 47,247 | 31,432 |
| სასესხო ვალდებულებების სახით გამოშვებული ფასიანი ქაღალდები | 2,664 | 1,654 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 1,525 | 672 |
| წმინდა ინვესტიციები ფინანსურ იჯარაში | 396 | – |
| | **51,832** | **33,758** |
| **საპროცენტო ხარჯი** | | |
| ვალდებულებები მეანაბრეთა მიმართ | 9,162 | 6,819 |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 3,675 | 3,100 |
| სასესხო ვალდებულებების სახით გამოშვებული ფასიანი ქაღალდები | 26 | – |
| | **12,863** | **9,919** |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | **38,969** | **23,839** |
| | | |
| საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივების გაუფასურება | 6,228 | 20,511 |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივების გაუფასურებიდან** | **32,741** | **3,328** |
| | | |
| საკომისიო შემოსავალი | 16,753 | 13,059 |
| საკომისიო ხარჯები | (1,581) | (1,863) |
| **წმინდა საკომისიო შემოსავალი** | **15,172** | **11,196** |
| | | |
| უცხოური ვალუტიდან მიღებულ მოგებას გამოკლებული ზარალი: | | |
| - სავაჭრო ოპერაციებიდან | 6,604 | 5,058 |
| - საკურსო სხვაობებიდან | (97) | (210) |
| მიღებული წმინდა სადაზღვევო პრემია | 4,028 | – |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | 566 | 152 |
| **სხვა არასაპროცენტო შემოსავალი** | **11,101** | **5,000** |
| | | |
| ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი | 23,219 | 12,896 |
| ადმინისტრაციული ხარჯები | 10,551 | 9,363 |
| ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება | 4,230 | 2,609 |
| წმინდა სადაზღვევო მოთხოვნები | 786 | – |
| სხვა გაუფასურება და რეზერვი | 280 | 1,559 |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | 3,213 | 1,227 |
| **სხვა არასაპროცენტო ხარჯი** | **42,279** | **27,654** |
| | | |
| **მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე** | **16,735** | **(8,130)** |
| | | |
| მოგების გადასახადის ხარჯი (სარგებელი) | 3,108 | (781) |
| **წლის წმინდა მოგება (ზარალი)** | **13,627** | **(7,349)** |
| | | |
| **განეკუთვნება:** | | |
| - ჯგუფის აქციონერებს | 13,838 | (7,349) |
| - უმცირესობის წილს | (211) | – |
| | **13,627** | **(7,349)** |

| ინფორმაცია ბანკის 1% და მეტი ოდენობის წილის მფლობელი აქციონერების შესახებ | |
|---|---|
| ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი | **11.74%** |
| გელოვანი ვიქტორ | **11.51%** |
| **ბანკი** "Bank Austria Creditanstalt" | **10.18%** |
| **ფონდი** "Firebird Avrora Fund" | **8.61%** |
| **ფონდი** "Firebird Republics Fund" | **8.60%** |
| **ფონდი** East Capital Holding | **5.75%** |

| | |
|---|---|
| გალტ & თაგგარტ სიქიურითიზ | **5.50%** |
| **ფონდი** "East Capital Bering Russia" | **4.89%** |
| Concentra Limited (East Capital) | **4.55%** |
| **ფონდი** "Firebird Global Master Fund" | **4.05%** |
| **გურგენიძე ვლადიმერი** | **2.45%** |
| **SEB Vilniaus Bankas** | **2.25%** |
| **Bryum Limited (Bonfield Asset Management)** | **2.06%** |
| **გვალია სულხან** | **1.75%** |
| **გვალია ტარიელ** | **1.65%** |
| **თევზაძე ნიკოლოზ** | **1.11%** |
| **გვარამე დონარა** | **1.00%** |

### მოკლედ

## 23 მილიონი კანავაროში

ლონდონის „ჩელსის“ ხელმძღვანელებმა დაიწყეს მოლაპარაკება ტურინის „იუვენტუსის“ მესვეურებთან ფაბიო კანავაროს ტრანსფერის თაობაზე. რომან აბრამოვიჩის კლუბი მზადაა, იტალიის ნაკრების კაპიტანში 23 მილიონი ევრო გადაიხადოს. სავარაუდოდ, ეს ტრანსფერი მალე გაფორმდება.

## ტრეზეგე, ტონი თუ იბრაჰიმოვიჩი

მილანის „ინტერი“ სეზონის დაწყებამდე ერთი მაღალი კლასის ფორვარდის ყიდვას გეგმავს. იმის გათვალისწინებით, რომ „ფიორენტინამ“ და „იუვენტუსმა“ სერია A უნდა დატოვონ, „ინტერის“ ხელმძღვანელობა სწორედ ამ ორი კლუბის ფორვარდებზე აკეთებს არჩევანს. როგორც ამბობენ, მილანური კლუბი სეზონის დაწყებამდე აუცილებლად შეიძენს ტონის, იბრაჰიმოვიჩს ან ტრეზეგეს.

## ბრაზილიური ამბიცია

ბრაზილიის პრეზიდენტმა ლუის ინასიო ლულა და სილვამ დაადასტურა, რომ ქვეყანა მზადაა უმასპინძლოს 2014 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს და 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებს.

„დადგა დრო, როცა სპორტულმა სამყარომ უნდა გაიგოს, ბრაზილია იმსახურებს ამ შანსს. მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილია ღარიბი ქვეყანაა, უნდა დავამტკიცოთ, რომ სპორტის სფეროში ის აბსოლუტურად კომპეტენტურია და ასეთი დიდი ფორუმების მასპინძლობაც შეუძლია“, - აცხადებს პრეზიდენტი.

## რონალდოს ოპერაციას გაუკეთებენ

შაბათს ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფორვარდს რონალდოს მუხლის ოპერაციას გაუკეთებენ. მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ თავად რონალდო ითხოვდა ოპერაციას, რაზეც მადრიდის „რეალი“ არ იყო თანახმა, თუმცა ფეხბურთელმა თავისი გაიტანა. ოპერაციის შემდეგ რონალდო თვენახევრის განმავლობაში ვერ ითამაშებს და შესაძლოა მომავალი სეზონის სასტარტო მატჩებიც გამოტოვოს.

## „ატლეტიკო“ კეჟმანს არ ყიდის

მოსკოვის „ლოკომოტივი“ სერიოზულად იყო დაინტერესებული სერბეთის ნაკრებისა და მადრიდის „ატლეტიკოს“ ფორვარდის მატეია კეჟმანის შეძენით. როგორც ამბობენ, რუსული კლუბი ფეხბურთელში სოლიდურ თანხას იხდიდა, თუმცა, „ატლეტიკოს“ მწვრთნელმა ხავიერ აგირემ სერბი ფორვარდის გაყიდვა არ ისურვა.

## „ვალენსიამ“ კორადი დაიბრუნა

იტალიელი ფორვარდი ბერნარდო კორადი, რომელმაც გასული სეზონი „პარმაში“ გაატარა, კვლავ ესპანურ „ვალენსიას“ დაუბრუნდა. შეგახსენებთ, რომ კორადი „პარმაში“ იჯარის წესით იყო განათხოვრებული და ახლა ესპანურმა კლუბმა ფეხბურთელის დაბრუნება მოინდომა. თუმცა საეჭვოა, რომ კორადიმ მომავალი სეზონი „ვალენსიაში“ გაატაროს. სავარაუდოდ, ესპანელები კორადის სარფიანად გაყიდვას აპირებენ.

## რიბერი „ბაიერნსაც“ მოუნდა

სააგენტო როიტერის ცნობით, საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველის ფრანკ რიბერის შეძენის მსურველთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. გუშინ რიბერის ყიდვის სურვილი მიუნხენის „ბაიერნმაც“ გამოთქვა.

ამჟამად ფეხბურთელის შეძენას „ლიონი“, „არსენალი“, „რეალი“, „მანჩესტერი“ და „ბაიერნი“ ლამობენ. გამორიცხული არ არის, რომ „მარსელმა“ ნამდვილი აუქციონი გამართოს.

## მანიშეს „მონაკოში“ ელიან

პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველის მანიშეს შეძენა ფრანგულმა „მონაკომ“ ისურვა. ამჟამად ფეხბურთელი მოსკოვის „დინამოს“ კუთვნილებაა. რუსული კლუბის მესვეურთა თქმით, ჯერჯერობით ფრანგებს მათთვის კონკრეტული წინადადებით არ მიუმართავთ.

მანიშეს შეძენა თურქულ „ფენერბახჩეს“ და მადრიდის „ატლეტიკოსაც“ სურთ.

## განცხადება

**2006 წლის 8 ივლისის გაზეთ 24 საათში გამოქვეყნებულ განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

2006 წლის 8 ივლისის გაზეთ 24 საათში, ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში სატენდერო კომისიის მიერ შეტანილი იქნა ცვლილება და განცხადების 5.3. მუხლის "ა" პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

ა) ინფორმაცია ორგანიზაციის მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების შესახებ (გამოცდილება)

**საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სატენდერო კომისია**

## შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ ცისტერნებისა და ნახევარვაგონების კაპიტალური შესაკეთებლი სამუშაოების შესყიდვის შესახებ გამოქვეყნებული სატენდერო განცხადების დამატება

შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006 წლის 8 ივლისს გამოცხადებული იქნა ტენდერი **ცისტერნებისა და ნახევარვაგონების კაპიტალური შესაკეთებლი სამუშაოების შესყიდვის შესახებ.**

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად ტენდერში მონაწილე, როგორც **ფიზიკურმა** ისე **იურიდიულმა** პირებმა უნდა წარმოადგინონ ბოლო სამი წლის განმავლობაში, საშუალოდარანაკლებ ერთ მილიონი ლარის სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები. (2003+2004+2005):3

სხვა დანარჩენი სატენდერო პროცედურები გრძელდება გამოცხადებული პირობების შესაბამისად.



# აფიშა

15 ივლისი

## კინო

**„ამირანი“**
„სიყვარულის კუნძული“
დასაწყისი: 14.00, 16.00, 18.00 ;20.00, 22.00

**მცირე დარბაზი**
პედრო ალმოდოვარი
„დაბრუნება“
დასაწყისი: 16.00, 18.00; 20.00, 22.00

**„რუსთაველი“**
„მანქანები“
„X მენ“
„აწყვეტილები“
დასაწყისი: 14.00, 16.00, 18.00; 20.00, 22.00

## გალერეა

**„კოპალა“**
ოთარ ჩხარტიშვილის გამოფენა
ფერწერა, ქანდაკება, კოლაჟი

**ხელოვნების მუზეუმი**
ფიროსმანის ექსპოზიცია
თბილისი-კიევი-თბილისი

## მუსიკა

**ეთნოგრაფიის მუზეუმი**
**„არტ-გენი“**
რეგიონები: ქვემო ქართლი და იმერეთი
დასაწყისი: 19.00-21.00
ჯაზის საღამო: თამაზ ყურაშვილი და მეგობრები
დასაწყისი: 22.00

## ამერიკელების ყველაზე საყვარელი მსახიობი ჯენიფერ ანისტონია

სატელევიზიო შოუ Entertaiment Tonight, რომელიც ამერიკაში მაღალი რეიტინგით სარგებლობს, თითქმის მთელ თვეს აწარმოებდა მაყურებელთა გამოკითხვას იმასთან დაკავშირებით, თუ ვის მიიჩნევენ ამერიკელები ყველაზე საყვარელ მსახიობად.

გამოკითხვაში მონაწილეობა რამდენიმე მილიონმა ადამიანმა მიიღო. ამერიკელებმა ყველაზე საყვარელ მსახიობად სერიალ „მეგობრების“ ვარსკვლავი, ბრედ პიტის ყოფილი ცოლი - ჯენიფერ ანისტონი აღიარეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა ჟურნალ-გაზეთი, რომლის ყდაზედაც ენისტონი ხვდება, საკმაოდ სოლიდური რაოდენობით იყიდება. ყველაზე საყვარელ ვარსკვლავთა სიაში აგრეთვე მოხვდნენ: ტომ კრუზი, ჯონი დეპი, კლენი აიკენი, ჯორჯ კლუნი, ჯენიფერ გარნერი, ანჯელინა ჯოლი, ჯულია რობერტსი და ბრედ პიტი. **ჯი-ეიჩ-ენი.**

## როკ-მუსიკის მოყვარულებისთვის

კომპანია „მაგთის“ მხარდაჭერით, თანამედროვე ქართული მუსიკის მოყვარულთათვის მცხეთაში, „თეატრონში“, 5 უფასო კონცერტი გაიმართება.

ამ საკითხზე კომპანია „მაგთიში“ პრესკონფერენცია გაიმართა. კომპანიის მხარდაჭერით უფასო კონცერტები 11 აგვისტომდე გასტანს. მასში მონაწილეობას მიიღებენ ზუმბა, String, ბაკურ ბურდული, Young Georgian Lolitaz, Green Mama და სხვები.

როგორც კომპანიაში აცხადებენ, კონცერტისათვის მცხეთის „თეატრონი“ შემთხვევით არ შერჩეულა. იგი ბებრისციხის კალთებზეა შეფენილი, რომელიც თავისი არქიტექტურულ-ისტორიული და კულტურული მნიშვნელობით ერთ-ერთი განსაკუთრებულია. კომპანია „მაგთიმ“ აღნიშული ტერიტორია დაასუფთავა და სპეციალური სცენა დაამონტაჟა. **ინტერპრესნიუსი**

## უილიამ შექსპირის პიესები

უილიამ შექსპირის პიესების იშვიათი გამოცემა სოთბის აუქციონზე, ლონდონში, 2,8 მილიონ ფუნტ სტერლინგად (5,2 მლნ. დოლარი) გაიყიდა.

წიგნი ინგლისური ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთ უძვირფასეს ეგზემპლარად ითვლება. საუბარია შექსპირის ნაწარმოებების სრული გამოცემის პირველი ეგზემპლიარებიდან ერთ-ერთზე. ინგლისელი დრამატურგის პიესების სრული კრებული 1623 წელს, 750 ეგზემპლიარად გამოიცა.

XVII საუკუნეში გამოშვებული სრული ტირაჟიდან მხოლოდ მესამედი გადარჩა. აქედან უმრავლესობა ძლიერ არის დაზიანებული.

აუქციონზე გამოტანილი ეგზემპლიარის ყველა გვერდი შენარჩუნებულია.

წიგნი დოქტორ უილიამსის თეოლოგიურ ბიბლიოთეკას ეკუთვნოდა. ჯერ კიდევ აუქციონის დაწყებამდე, სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ მისი ფასი 3 მილიონ ფუნტ სტერლინგს მიაღწევდა. **ინტერპრესნიუსი**

TV5MONDE

## 15 ივლისი

15 ივლისი **06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10**
TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.10** ის არ არის ჯადოქარი. სერიალი. **08.30** სამხრეთის ანარეკლი. **11.05** გამარჯობა ქალბატონო ალუბლის ჭამია. საბავშვო გადაცემა. **11.30** ის არ არის ჯადოქარი. სერიალი. **14.05** შაბათ კვირას ეგვიპტეში. დოკ.ფილმი. **16.30** სპორტული მოედანი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.30** მარსიალის საქმე. მხ.ფილმი. რეჟისორი ჟან-პიერ ინუ. 2002 **01.25** ფორტ ბოიარდი. **04.40** ტაკლამაკანის მუმიები. დოკ. ფილმი.

## 16 ივლისი

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.10** ის არ არის ჯადოქარი. სერიალი. **09.30** როდესაც შავი ოქრო საფრთხეს უქმნის ჟანმრთელობას. დოკ.ფილმი. **11.05** გამარჯობა ქალბატონო ალუბლის ჭამია. საბავშვო გადაცემა. **11.30** ის არ არის ჯადოქარი. სერიალი. **13.15** ქრონიკები მთიდან. **14.05** ტაკლამაკანის მუმიები. დოკ.ფილმი. **20.30** გადაცემა: შეხვედრა ევროპა I და TV5MONDE-ს შორის. **23.00** ფელიქს ლეკლერკი. ტელესერიალი. **01.10 XXL** მხ.ფილმი. რეჟისორი არიელ ზეიტუნი.1997. **04.40** ნორმანდიის სანაპიროსთან.დოკ.ფილმი.

# ახალი წიგნი ქართულ-იტალიურ სივრცეში

ნანა ბოჭორიშვილი




დღეს გიამბობთ იტალიის საელჩოში გამართული ორიგინალური და საინტერესო შეხვედრის შესახებ. იტალიის ელჩმა ფაბრიციო რომანომ საზოგადოებას ახალი იტალიურ-ქართული წიგნი წარუდგინა. პრეზენტაცია უჩვეულო გახლდათ, რადგან ვიხილეთ არა პოეტური ან პროზაული ნაწარმოები, არამედ სამხედრო ტერმინების იტალიურ-ქართული და ქართულ-იტალიური ლექსიკონი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს იტალიის ელჩის კეთილი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ, რაც არაერთხელ გამოვლინდა მის თანადგომაში - სახელოვნებო სფეროებშიც და ეკონომიკურ-პოლიტიკურ საკითხებშიც. საქართველოსთვის იტალიის მსგავს ისტორიულ, კულტურულ, პროგრესულ ქვეყანასთან თანამშრომლობა და ურთიერთობა სასიამოვნოც არის და საინტერესოც. დღევანდელი დღეც იმის დასტურია, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ახალ, უფრო შთამბეჭდავ ეტაპზე გადადის.

სამხედრო ტერმინთა იტალიურ-ქართული და ქართულ-იტალიური ლექსიკონის შექმნის იდეა საქართველოში სამუშაო ვიზიტით მყოფი კარაბინერების კორპუსის წარმომადგენელს ბატონ მაურო პომპეის ეკუთვნის. ამ იდეით დაინტერესდა ახალგაზრდა იურისტი ლაშა ჯაფარიძე - საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპულ საქმეთა დეპარტამენტის მესამე მდივანი. მან პროფესიულ საქმიანობასთან ერთად ახალი ამპლუა მოირგო. წიგნის შესავალში ავტორი აღნიშნავს, რომ ეს ამ ტიპის ლექსიკონის შექმნის პირველი მცდელობაა და ის ყველა შენიშვნას მადლიერებით მიიღებს. ამგვარი თხოვნის მიუხედავად, პრეზენტაციაზე მყოფმა საზოგადოებამ ერთხმად აღიარა, რომ ქართულ ლიტერატურულ სივრცეში დაიბადა ახალი მთარგმნელი ძალიან რთულსა და საპასუხისმგებლო მიმართულებაში. სამხედრო ტერმინოლოგია, სპეციფიკიდან გამომდინარე, სერიოზულ კვლევას მოითხოვს. ლექსიკონი 5000-მდე სიტყვას მოიცავს. მასში მოცემულია საქართველოსა და იტალიის შეიარაღებული ძალების მოკლე მიმოხილვა. წიგნი დაფინანსდა სოსო დანელიასა და სილვანო პედროლოს უშუალო ხელშეწყობით. ლექსიკონის მნიშვნელობაზე ისაუბრეს იტალიის ელჩმა და თავდაცვის მინისტრის მოადგილემ მამუკა კუდავამ.

**ფაბრიციო რომანო:**

„ლაშა ჯაფარიძემ დიდი წვლილი შეიტანა საქართველოსა და იტალიის ურთიერთობის გაღრმავებაში, რისთვისაც მადლობას ვუხდით მას. იტალიის საელჩო ექვსი წელია არსებობს და ამ ხნის მანძილზე ვაფართოებთ თანამშრომლობის სფეროებს. სერიოზულად ვმუშაობთ იმისთვის, რომ თბილისში იტალიის საელჩოში მოვიწვიოთ იტალიის სამხედრო ატაშე. მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ლაშა ჯაფარიძის მიერ შედგენილი ლექსიკონი, რომლითაც იხელმძღვანელებს. წიგნი მნიშვნელოვანია ქართველი ჯარისკაცებისთვისაც, რადგან საქართველო გეგმავს ნატოში გაწევრიანებას. იტალიაში კი არის ნატოს თავდაცვის სკოლა.“

**მამუკა კუდავა:**

„მართლაც მნიშვნელოვანი დღეა ჩვენი ურთიერთობის გაღრმავებისთვის. საქართველოსა და იტალიას აერთიანებს საერთო დემოკრატიული ფასეულობები, საზოგადოებრივი პრინციპები. ამ პროცესში იტალიას, როგორც ერთ-ერთ წამყვან ქვეყანას, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ჩვენთვის საინტერესოა ძლიერ პარტნიორებთან ურთიერთობა და გამოცდილების მიღება. საქართველო და იტალია ერთად არიან ჩართული სამშვიდობო ოპერაციებში, ერაყსა და ავღანეთში ერთმანეთის გვერდით იცავენ საერთო დემოკრატიულ ფასეულობებს. მათ აუცილებლად გავუგზავნით ლექსიკონს“.

საქართველოს ნატოში გაწევრიანებაში იტალიის თანადგომა ძალიან მნიშვნელოვანია. მათგან ვგრძნობთ საოცარ კეთილგანწყობას, რისთვისაც დიდად მადლობელი ვართ. იტალიის საელჩომ არაერთხელ გამოხატა მატერიალური მხარდაჭერა თავდაცვის სფეროს მიმართ. მათი თანადგომით ქართველმა ოფიცრებმა ბევრ სამხედრო კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა.

მადლობას ვუხდი ლექსიკონის ავტორს ამ საინტერესო ინიციატივისთვის.

შეხვედრა გასცდა საპრეზენტაციო ჩარჩოებს და სტუმრებს შორის უშუალო და საინტერესო ატმოსფერო შეიქმნა. პრეზენტაციაზე, ქართულ-იტალიური ურთიერთობის მნიშვნელობის გარდა, სულ ახლახან დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატსა და მის თანამდევ ვნებათაღელვაზეც ისაუბრეს. იტალიელი ელჩი ბედნიერი იყო საკუთარი ქვეყნის გუნდის წარმატებით და ქართველი ერის კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით.

ამ დღემ კიდევ ერთხელ დაგვანახა იტალიისა და საქართველოს - საიმედო პარტნიორთა ურთიერთობის მნიშვნელობა.

# BBC Proms




დიდ ბრიტანეთში ყოველწლიური მუსიკალური ფესტივალი BBC Proms იხსნება. როგორც ფესტივალის დირექტორი ნიკოლას კენონი იტყობინება წლევანდელი ფესტივალის მთავარი თემები მოცარტი და შოსტაკოვიჩის ნაწარმოებები იქნება. „წელს ჩვენი ყურადღება გავამახვილეთ ორი გიგანტის კლასიკურ ნაწარმოებებზე: მოცარტზე, რადგან მისი დაბადებიდან 250 წელი შესრულდა და შოსტაკოვიჩზე - დაბადებიდან 100 წელი. ამ ორ უდიდეს ადამიანს, ვფიქრობ, საერთო აქვთ და მათი მუსიკა 21-ე საუკუნეშიც ისეთივე პოპულარულია, როგორც არასდროს“, - აღნიშნა მან.

112-ე ფესტივალი ოფიციალურად ფესტივალის პირველი დირიჟორის „ჰენრი ვუდის - კონცერტის“ სახელწოდებით გაიმართება. ფესტივალი ლონდონის ორ პრესტიჟულ სცენაზე - „როიალ ალბერტ ჰოლში და „კედოგენ ჰოლში“ გაიმართება. 14 ივლისიდან 9 სექტემბრამდე ამ გამორჩეულ სცენებზე 90 კონცერტი შედგება. ამასთან სამეფო გეოგრაფიულ საზოგადოებაში შედგება უფასო ოთხი ფილმის ჩვენება მოცარტის მუსიკაზე („ჯადოსნური ფლეიტა“ და „ამადეუსი“) და სურათების გამოფენა შოსტაკოვიჩის სახელთან დაკავშირებით („ჰამლეტი“).

კლასიკური მუსიკის კონცერტები აგრეთვე დაგეგმილია ლონდონში, ბელფასტში, გლაზგოში, მანჩესტერში და სუონსიში. პირველი კონცერტები გაიხსნება მოცარტის ნაწარმოებებით („ფიგაროს ქორწინებით“ და „იდომენონით“), ხოლო საღამოს ბოლოს აჟღერდება შოსტაკოვიჩის მეხუთე სიმფონია.

წელს პირველად ფესტივალზე ორკესტრის დირიჟორი იქნება ჩეხი ირჟი ბელოგლავეკი. ამასთან დაკავშირებით პირველ საღამოზე აჟღერდება ჩეხი კომპოზიტორების ბედრჟიხა სმეტანას და ანტონინ დვორჟაკის ნაწარმოებები.

19 ივლისის კონცერტი მიეძღვნება დიდი ბრიტანეთის დედოფლის ელიზაბეტ მეორის იუბილეს. ამ საღამოს მოწვეულია აგრეთვე ბრიტანეთის ხელისუფლების წარმომადგენლები. კონცერტზე შესრულებული იქნება დედოფლის პატივსაცემად საეკლესიო ჰიმნი, სპეციალურად დაწერილი მისი 80 წლის იუბილისადმი, რომელიც სამეფო კარის კომპოზიტორმა პიტერ დევისმა დაწერა პოეტი-ლაურეატის ენდრიუ მოუშენის ლექსზე.

18-20 აგვისტოს კონცერტები მთლიანად მიეძღვნება საბჭოთა კავშირის დიდ კომპოზიტორს. ამ დღეებში ორკესტრის დირიჟორი იქნება მარინის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და ინგლისის ნაციონალური ოპერის დირიჟორი ვალერი გერგიევი. აგრეთვე რუსეთის მუსიკოსებს შორის მონაწილეობას მიიღებენ დირიჟორი ვლადიმირ აშკენაზი, პიანისტი ევგენი კისინი და სერგეი ნაკარიაკოვი.

9 სექტემბერს ფესტივალი სამსაათიანი კონცერტით დასრულდება, სადაც აჟღერდება შოსტაკოვიჩის, ბოროდინის, ვერდის, რუბინშტეინის, პროკოფიევის, ვაგნერის, ბიზეს და ელგარის ნაწარმოებები. ამ საღამოს იმღერებს რუსი დიმიტრი ხოროსტოვსკი. ხოლო საღამო დასრულდება რუსეთის და ინგლისის ჰიმნებით.

## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- “STARMASTER”-ის და “NAUTILUS”-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ “ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:
ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.
გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:
ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:
- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ
მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06
893 65 38 39



„ნაბუკო“ ევროპის ავანსცენაზე

B6



ფიზიკიდან დიდ პოლიტიკამდე

B7

# რა არის „დიდი რვიანის“ მიზანი?

## ევროკომისიის პრეზიდენტის ჟოზე მანუელ დურაუ ბაროზუს მიმართვა „დიდი რვიანის„ სამიტის წინ

ამ უქმეებზე რვა განვითარებული ინდუსტრიული დემოკრატიის ლიდერი, მე და ფინეთის პრემიერ-მინისტრი (ევროკავშირის მოქმედი თავმჯდომარე-ქვეყანა) სანკტ-პეტერბურგში „დიდი რვიანის“ სამიტზე შევიკრიბებით. თუმცა, ეს შეკრება მხოლოდ ევროკავშირითა და რვა ქვეყნით, დღეს მსოფლიოში არსებული თითქმის 200-დან, ძნელად თუ ჩაითვლება წარმომადგენლობითად, ისევე, როგორც არ წარმოადგენს იგი მოლაპარაკებათა ჯგუფს - როცა მისი წევრები რაიმე კონსენსუსს მიაღწევენ, მათ გადაწყვეტილებას ლეგალური ვალდებულების ხასიათიც კი არ აქვს.

მაგრამ „დიდ რვიანს“ ერთი დიდი უპირატესობა აქვს. იგი საშუალებას აძლევს მსოფლიოს უძლიერეს ლიდერებს პირადი პასუხისმგებლობა იკისრონ მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, სულ უფრო ხშირად აიღონ ვალდებულება განვითარებადი ქვეყნების მზარდ ლიდერებთან ერთად მსოფლიოს ისეთ გამოწვევებზე, რომლებიც ყველა ჩვენგანზე ახდენენ გავლენას. ამ კვირის სამიტი განსხვავებული არ იქნება, ხოლო მისი ერთი საკითხი განსაკუთრებულად დიდ ყურადღებას იმსახურებს: ესაა ენერგოუსაფრთხოება.

მსოფლიომ შეაბიჯა ახალ ენერგეტიკულ ერაში, რომელშიც წამყვან ადგილს იკავებს მზარდი საერთაშორისო ენერგომოთხოვნა, მაღალი, არასტაბილური ფასები ნავთობსა და გაზზე და კლიმატური ცვლილებები.

ავიღოთ ევროპა: ციფრები თავად მოგვითხრობენ ჩვენი ენერგეტიკული გარემოს ტრანსფორმაციის ისტორიას - უკანასკნელი ორი წლის მანძილზე გაზისა და ნავთობის ფასები თითქმის გაორმაგდა. ევროპის დამოკიდებულება იმპორტირებულ ენერგორესურსებზე, წინასწარი პროგნოზით 2030 წლისთვის 70 პროცენტამდე გაიზრდება. გარდა ამისა, მთლიანი გლობალური ენერგოჯაჭვისათვის ინვესტირებაცაა საჭირო - 16 ტრილიონ ევროზე მეტის დაბანდება მომავალი 20 წლის მანძილზე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მოსალოდნელი ენერგომოთხოვნა და მოძველებული ინფრასტრუქტურის განახლება.

ამიტომ მე მივესალმები პრეზიდენტ პუტინის გადაწყვეტილებას, „დიდი რვიანის“ რუსული თავმჯდომარეობის დღის წესრიგში პრიორიტეტად გამოეცხადებინა ენერგოუსაფრთხოება. სხვათა შორის, „დიდი რვიანი“ მოიცავს კიდეც უმთავრეს ენერგომომხმარებლებს, მწარმოებლებსა და სატრანზიტო ქვეყნებს. ყველას ინტერესში უნდა იყოს უსაფრთხო და სტაბილური ენერგობაზრისა და მოპოვების საბადოების ხელმისაწვდომობის მიღწევა.

მაგრამ ენერგოუსაფრთხოება არ მიიღწევა დროდადრო წარმოქმნილი პრობლემების ზერელედ მოგვარებით. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ მთელი ენერგოჯაჭვი - წარმოებიდან მოხმარებამდე. ეს გულისხმობს ისეთ საკითხებს, როგორიცაა მთელი ენერგეტიკული სისტემის დივერსიფიკაციას (მათ შორის, განახლებადი და ბირთვული ენერგეტიკის განვითარებას მათთვის, ვისაც ეს სურს); ტრანზიტს; ენერგოეფექტურობას; ბაზრის ღიაობას; უსაფრთხო ენერგოტექნოლოგიებს და ეფექტურ მარეგულირებელ სისტემას.




ის, რაც ჩვენ გვჭირდება, საყოველთაოდ შეთანხმებული პრინციპებია, რომელიც დაგვეხმარება ყველა მხარის თანხმობით ვიხელმძღვანელოთ და რომელიც ორმხრივ ნდობაზე აგებულ რეალურ ურთიერთდამოკიდებულებას წარმოშობს. ასეთი ჩარჩო წაახალისებს უსაფრთხო და გამჭვირვალე საინვესტიციო კლიმატის აუცილებლობას მსოფლიოში და ქმედუნარიან და კონკურენტულ ბაზრებს. ორივე სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, თუ ჩვენ გვინდა გავარღვიოთ უახლოეს ათწლეულებში საინვესტიციო დეფიციტი ენერგეტიკის სექტორში.

ევროკავშირი ამ პროცესის სათავეშია. წლის დასაწყისში, ევროკომისიამ წამოაყენა ახალი ენერგეტიკული ჩარჩოს წინადადება ევროპული მთავრობების წინაშე. მათაც დადებითად უპასუხეს - პირველად ისტორიაში, მიიწვიეს ევროკომისია მარტის სამიტზე ევროპის ენერგოპოლიტიკის გასავითარებლად. მომდევნო ნაბიჯი იყო უკვე გასულ თვეში, როცა შეთანხმდნენ საერთო საგარეო ენერგოუსაფრთხოების პრინციპების შექმნაზე, რომელიც ევროკავშირის საგარეო ურთიერთობებს ერთიანად აამუშავებს ევროპის ენერგეტიკული მიზნებისთვის. ეს პრინციპები შესულია გასულ თვეში, ევროკავშირი-აშშ-ს სამიტზე მიღწეულ შეთანხმებაში ტრანსატლანტიკური სტრატეგიული ენერგოთანამშრომლობისათვის. ამ შეთანხმების ერთ-ერთ მიზანს, ასევე სერიოზული და გრძელვადიანი გამოწვევისთვის საპასუხოდ (რასაც წარმოადგენს კლიმატური ცვლილებები), მაღალი დონის დიალოგის დაწყების მზადყოფნა წარმოადგენს.

მაგრამ 21-ე საუკუნის ენერგოგამოწვევები არ მთავრდება ევროპის საზღვრებთან. ენერგოუსაფრთხოება გლობალური გამოწვევაა და გლობალურ გადაწყვეტას მოითხოვს. სწორედ აქ არის მნიშვნელოვანი „დიდი რვიანის“ როლი - ჩვენ უნდა ვუჩვენოთ გზა და ახალი პრინციპების ვითარებაზე პასუხისმგებლობა ავიღოთ, რომელიც საშუალებას მისცემს ყველა სახელმწიფოს თავისი წვლილი შეიტანოს სანდო, მისაწვდომ და მდგრად ენერგიაზე.

ენერგიაზე ფოკუსირების მიუხედავად, ჩვენ არ უნდა დავკარგოთ თვალთახედვის არედან მსოფლიოს სხვა გრძელვადიანი გამოწვევაც: უკიდურესი სიღატაკის დაძლევა. ჩვენ უნდა მივაღწიოთ გასულ წელს „დიდი რვიანის“ გლენიგლზის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებას - ამუშავდეს ყოვლისმომცველი პაკეტი, რათა დაჩქარდეს აფრიკის წინსვლა „ათასწლეულის განვითარების მიზნებთან“ დასაახლოებლად.

აქაც ევროკავშირი ცენტრალურ როლს ასრულებს - იგი დათანხმდა 2010 წლამდე გააორმაგოს დახმარება აფრიკას, გაიღოს გლენიგლზის სამიტის გადაწყვეტილებით ამ მიზნით დასახარჯი 50 მილიარდი დოლარის 80 პროცენტი; ჩვენი ვალდებულებებისადმი ერთგულების ნიშნად ნება დართოს აფრიკის 50 ქვეყნიდან ყველა სახის პროდუქტის (გარდა იარაღისა) ევროკავშირში გადასახადებისა და კვოტების გარეშე შეტანაზე.

მაგრამ ჩვენ უნდა განვაგრძოთ დაპირებების მიცემა. სწორედ ამიტომ ევროპამ წელს მიიღო განვითარების ასეთი დღის წესრიგი: ჩვენი თავდებობით უფრო ადვილად იქნება შესაძლებელი უღარიბესი ქვეყნებისთვის ენერგიის მიღება; ბრძოლის გაძლიერება ისეთ დაავადებებთან, როგორიცაა შიდსი, ტუბერკულოზი და მალარია, რომლებიც ასე ფართოდაა გავრცელებული აფრიკაში; ვეცადოთ დავამკვიდროთ საგანმანათლებლო თანამშრომლობის ახალი ფორმები განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის.

ამგვარი ქმედებისას, „დიდი რვიანის“ ლიდერები დააჩქარებენ გარდაქმნებსაც - მხოლოდ დროს კი არ შეამცირებენ. განვითარებას ჩვენ გლობალური საკითხების ცენტრში მოვაქცევთ - სწორედ იქაა მისი ადგილი.

# ფინეთი - ევროკავშირის მორიგე თავმჯდომარე-ქვეყანა

## ინტერვიუ ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან, ერკი ტუომიოიასთან

*1 ივლისს ევროკავშირის მორიგე პრეზიდენტი ქვეყანა ფინეთი გახდება. შესაბამისად, კავშირის პოლიტიკას მომავალი ექვსი თვის განმავლობაში ჰელსინკი წარმართავს. რადიო „თავისუფლებისთვის“ მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ერკი ტუომიოიამ განაცხადა, რომ ამ დროის განმავლობაში ის ევროკავშირის აღმოსავლეთის მიმართულებით გაფართოების მხოლოდ მცირე პერსპექტივას ხედავს. ტუომიოიას თქმით, ევროკავშირის პრეზიდენტის რანგში, ფინეთი ძალისხმევას, ძირითადად, რუსეთთან პარტნიორობის შესახებ ახალი შეთანხმების დადებისკენ მიმართავს.*

პირველი შეკითხვა, რომელიც ბრიუსელში რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტმა აჰთო ლობიაკასმა ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს დაუსვა, 15 და 16 ივნისს გამართულ ევროკავშირის სამიტს ეხებოდა. ამ შეხვედრაზე ევროკავშირის კონსტიტუციისა და კავშირის გაფართოების საკითხების ურთიერთმიმართება განიხილეს და გადაწყვიტეს, რომ, ბულგარეთის და რუმინეთის გარდა, სხვა ქვეყნები ევროკავშირში გაწევრიანებას კონსტიტუციის მიღებამდე არ უნდა ელოდონ. კონსტიტუციის საკითხის განხილვა კი 2009 წლამდე აღარ არის დაგეგმილი. თავდაპირველი ინფორმაციით, სამიტზე ევროკავშირის სამომავლო საზღვრების საკითხიც უნდა განეხილათ, თუმცა საკუთრივ შეხვედრაზე ეს საკითხი პროგრამაში არ შესულა. რა იყო ამის მიზეზი? - ჰკითხა ჩვენი რადიოს კორესპონდენტმა ერკი ტუომიოიას:

**„ვფიქრობ, ეს საკითხი შეგნებულად გამოტოვეს. ჩვენ ნამდვილად არ გვსურდა ამ თემის წინ წამოწევა, რადგან მიგვაჩნია, რომ არ იქნება მიზანშეწონილი იმის ღიად გამოცხადება, რომ ესა თუ ის ქვეყანა, თეორიულად, გახდება - ან ვერასოდეს გახდება - ევროკავშირის წევრი. ეს მცდარი სიგნალების გავრცელება იქნებოდა და მე მოხარული ვარ, რომ ეს საკითხი ცალკე არ განვიხილეთ.“**

აჰთო ლობიაკასმა ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს კონკრეტულად საქართველოს შესახებაც დაუსვა შეკითხვა. საქართველო ევროკავშირს მხარდაჭერას სთხოვს - აპირებს თუ არა ევროკავშირის მორიგე პრეზიდენტი ქვეყნის რანგში ფინეთი იმაზე მეტის გაკეთებას, რაც სხვა თავმჯდომარე ქვეყნებმა გააკეთეს საქართველოს გაყინული



კონფლიქტების გადაჭრისთვის? ხომ არ მიავლენს საზღვრების მონიტორინგის მისიას სამხრეთ ოსეთის რეგიონში, მაგალითად? ერკი ტუომიოიას პასუხი ასეთი იყო:

**„გადაწყვეტილების მიღება უშუალოდ თავმჯდომარე-ქვეყანაზე არ არის დამოკიდებული, თუმცა საქართველო მომავალშიც დარჩება ევროკავშირის ინტერესის სფეროში და ეგრეთ წოდებული „გაყინული კონფლიქტების“ გადაჭრაში დახმარებაზეც ვიფიქრებთ. ამასთან, სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანამ მათი სტაბილიზაციის შეთანხმებებისთვის ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა უნდა დაასრულოს.“**

ფინეთი რუსეთის მეზობელია - ამ და, რასაკვირველია, ბევრი სხვა მნიშვნელოვანი მიზეზის გამო, რუსეთთან ურთიერთობა ევროკავშირისთვის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იქნება. შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ ენერგეტიკის საკითხი უმთავრეს თემად დარჩება რუსეთის და ევროკავშირის ურთიერთობაში - თუ ფინეთისთვის სხვა საკითხებიც აქტუალური იქნება? ეს იყო შემდეგი შეკითხვა, რომელიც ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ჩვენი რადიოს კორესპონდენტმა დაუსვა:

გაგრძელება D2 გვერდზე

# ფინეთი - ევროკავშირის მორიგე თავმჯდომარე-ქვეყანა

## ინტერვიუ ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან, ერკი ტუომიოიასთან

პირველი გვერდიდან

**„მე არ მგონია, რომ ენერგეტიკის საკითხი სხვა თემებს გადაფარავს. რასაკვირველია, ენერგეტიკა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია და უკანასკნელი თვეების განმავლობაში ევროკავშირისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული იყო. მაგრამ ჩვენ ევროკავშირის და რუსეთის სამომავლო ურთიერთობაში საკითხების უფრო ფართო სპექტრს დავაყენებთ,“ -** აცხადებს ფინელი დიპლომატი.

ერკი ტუომიოიამ ევროკავშირის და რუსეთის სამომავლო ურთიერთობაში პრიორიტეტულად ორი საკითხი დაასახელა. პირველი - ე.წ. „ჩრდილოეთის განზომილების“ ჩარჩოს შემუშავება, რამაც ევროკავშირსა და ჩრდილო-დასავლეთ რუსეთს შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობას უნდა შეუწყოს ხელი; მეორე კი უფრო გრძელვადიანი საკითხია და რუსეთსა და ევროკავშირს შორის უფრო ზოგადი შეთანხმების მიღწევას მოიცავს. ტუომიოიას თქმით, **„მეორე და უფრო გრძელვადიანი საკითხი რუსეთთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების გაფორმებაა. ამჟამად მოქმედ შეთანხმებას ვადა გაისად გასდის და ჩვენი პრეზიდენტობის დროს ჩვენ მოლაპარაკებების გამართვაზე ვიმუშავებთ, რომ ახალი შეთანხმება ნოემბრისთვის გაფორმდეს.“**

ერკი ტუომიოია ამბობს, რომ ამ მოლაპარაკებაში ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიის განმტკიცების თემები უკვე ფიგურირებს - და ეს ასევე დარჩება.

ბოლო შეკითხვა, რომელიც აპთო ლობიაკასმა ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს დაუსვა, მოსკოვის მხრიდან ორ ევროკავშირის წევრ მეზობელთან - ესტონეთთან და ლატვიასთან - სასაზღვრო შეთანხმებების გაუფორმებლობას ეხებოდა. კითხვას, იმუშავებს თუ არა ფინეთი ამ საკითხის გადაჭრაზე, ერკი ტუომიოიამ ასე უპასუხა:

**„ამ საკითხთან მიმართებით ბევრი არაფრის გაკეთება შეგვიძლია. ჩვენი და ევროკავშირის წევრი სხვა ქვეყნების პოზიცია ცნობილია - მაგრამ, როგორც ჩანს, ამას დრო დასჭირდება. დადებითი სიახლეა ის, რომ საქმე რუსეთის მიერ შეთანხმების რატიფიკაციის გარეშეც კეთდება და ამან რუსეთისა და ბალტიისპირა რესპუბლიკების ურთიერთობაში პროგრესი ვერ შეაფერხა.“**

*მოამზადა*
*სალომე ასათიანმა*
*მასალა გამოქვეყნებულია „რადიო თავისუფლების“ ეთერით.*

# ახალი თავმჯდომარე-ქვეყნის პრიორიტეტები

## გაფართოება, ენერგოუსაფრთხოება და რუსეთი

*1 ივლისს ფინეთი გახდა ევროკავშირის მორიგე თავმჯდომარე ქვეყანა. ამ ფუნქციას ის, წესისამებრ, 6 თვე შეასრულებს და, ფინეთის პრემიერ-მინისტრ მატი ვანჰანენის განცხადებით, განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს რუსეთთან ურთიერთობას, აგრეთვე ენერგეტიკას და ევროკავშირის სამომავლო გაფართოებას. და აი, ევროკავშირის სათავეში ფინეთის ჩადგომიდან ორიოდე დღეში 3 ივლისს - ჰელსინკიში გაიმართა შეხვედრა, რომელიც სწორედ ევროკავშირის ახალი თავმჯომარე-ქვეყნის სამოქმედო პრიორიტეტების განხილვას მიეძღვნა.*



ფინეთის პრეზიდენტი ტარია ჰალონენი ჟოზე მანუელ ბაროზუს გულთბილად შეხვდა.

ჰელსინკიში 3 ივლისს გამართულ შეხვედრაზე ევროკომისიის დელეგაციამ და მისმა მასპინძლებმა - ფინეთის მთავრობის წარმომადგენლებმა პრემიერ-მინისტრ მატი ვანჰანენის ხელმძღვანელობით საკითხთა მთელი სპექტრი განიხილეს.

საუბარი შეეხო ფინეთის თავმჯდომარეობისას, ანუ მომავალი ნახევარი წლის მანძილზე, ევროკავშირის სხვა მთავარ ამოცანებს: ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, თურქეთთან მოლაპარაკებას ევროკავშირში გაწევრიანების საკითხზე და ევროკავშირის სამომავლო გაფართოებას. და მაინც, ყურადღების ცენტრში რუსეთთან ურთიერთობა მოექცა: ევროკავშირს რუსეთთან თავისუფალ ვაჭრობაზე შეთანხმება წარმოუდგენია ამ მეზობელთან ურთიერთობის გრძელვადიანი მომავლის შემადგენელ ნაწილად.

ევროკომისიის პრეზიდენტის განმარტებით, უნდა იმსჯელონ მოლაპარაკებაზე, რომელსაც წელს მოგვიანებით დაიწყებენ ევროკავშირი და რუსეთი, რახან მათი ურთიერთობის განმსაზღვრელი ამჟამინდელი დოკუმენტის ვადა მომავალ წელს ამოიწურება.

ევროკომისიამ, ბაროზუს განცხადებით, უკვე სთხოვა ევროკავშირის 25 წევრს ნებართვა ახალ ხელშეკრულებაზე მოლაპარაკების დასაწყებად. **„ჩვენ წევრ სახელმწიფოებს ვთხოვთ მანდატს, რომ მოველაპარაკოთ რუსეთს მასშტაბურ შეთანხმებაზე, რომელიც თვისებრივ სიახლეს შესძენს ჩვენს ურთიერთობას. კერძოდ, ჩვენი წინადადებაა თავისუფალი ვაჭრობის ზონაზე მუშაობა, რომელიც დასრულდება, როგორც კი რუსეთი - ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შევა,“ -** აღნიშნა ბაროზუმ.

ევროკომისიის პრეზიდენტის ამ განცხადების კონტექსტში უნდა ითქვას, რომ ევკროვაშირი მხარს უჭერს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის მიღების პროცესის წელსვე დასრულებას.

ოქტომბრისთვის რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი მიიწვიეს ევროკავშირის არაფორმალურ სამიტზე, ცენტრალური ფინეთის ქალაქ ლაჰტიში. ნოემბრისთვის კი ფინეთი გეგმავს რუსეთთან ევროკავშირის სპეციალური სამიტის ორგანიზებას.

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც ევროკავშირში ფინეთის ნახევარწლიანი თავმჯდომარეობისას განსაკუთრებული ადგილი ეთმობა, ბუნებრივია, უშუალოდ უკავშირდება რუსეთს. ლაპარაკია ენერგეტიკაზე. ფინელი პრემიერ-მინისტრის განცხადებით, **„ენერგიას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროპის დღის წესრიგში. საგარეო პოლიტიკის ბერკეტები უფრო ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ ენერგიის სფეროში ჩვენი მიზნებისკენ წინსვლისათვის“.**

ფინელმა ოფიციალურმა პირებმა გამოთქვეს სურვილი, რუსეთმა აჩვენოს, რომ ის რჩება ევროკავშირის სანდო მომმარაგებელი ენერგეტიკის სფეროში - რუსეთზე ხომ ევროკავშირის გაზმომარაგების 25 პროცენტი მოდის. ამ დროს, მოსკოვმა, ერთ-ერთი ფინელი ოფიციალური პირის განცხადებას თუ მოვიშველიებთ, „დიდი შეცდომა“ დაუშვა იანვარში უკრაინისთვის გაზის მიწოდების შეწყვეტით, რამაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების მომარაგებაზეც იქონია გავლენა.

ამდენად, რა გასაკვირია - ევროკავშირი ცდილობს, შეამციროს რუსეთზე დამოკიდებულება ენერგეტიკის სფეროში. და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი რუსეთთან მიმართებაში: ფინეთს სურს, განაახლოს ევროკავშირის პროგრამა სახელწოდებით „ჩრდილოური განზომილება“. ის ჩრდილოდასავლეთი რუსეთის რეგიონების განვითარების ხელშეწყობას ითვალისწინებს, ჯერ კიდევ 1997 წელს იყო წარდგენილი ფინეთის მაშინდელი პრემიერ-მინისტრის, პაავო ლიპონენის მიერ, და 1999 წელს ევროკავშირის სრული მხარდაჭერაც კი მიიღო. ბოლო წლებში განელდა მისდამი ინტერესი.

რაც შეეხება სხვა საკითხებს, რომელთაც ფინეთი ევროკავშირის თავმჯდომარეობისას განსაკუთრებულ ყურადღებას უძღვნის, ურთულეს საგარეო-პოლიტიკურ ამოცანად მიჩნეულია ევროკავშირში გაწევრიანებაზე თურქეთთან მოლაპარაკების გაძღოლა. ეს მოლაპარაკება წელს დაიწყო, მაგრამ მას აფერხებს ანკარის პოზიცია კიპროსის საკითხში: ის უარს ამბობს კიპროსის ბერძნული მთავრობის აღიარებაზე. არადა, კიპროსი ევროკავშირის წევრია და იმუქრება თურქეთთან გაწევრიანების საკითხზე მოლაპარაკების ჩაშლით - ვეტოს უფლების გამოყენებით. ამიტომ ფინეთის პრემიერ-მინისტრი თურქეთს მოუწოდებს, მალე მოაგვაროს კიპროსთან ურთიერთობა.

**„თურქეთმა უნდა იმოქმედოს ფინეთის თავმჯდომარეობის პერიოდშივე, რადგან ევროპის კომისია ოქტომბერში წარადგენს ანგარიშს თურქეთის წინსვლაზე - და, რასაკვირველია, მანამდე თურქეთმა უნდა მიაღწიოს კიდეც წინსვლას,“ -** აცხადებს ვანჰანენი.

ევროკავშირში გაწევრიანება გაცილებით უფრო რეალური და ხელმისაწვდომია ბულგარეთისა და რუმინეთისითვის. ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ მათ ჰელსინკიდან გამამხნევებელი სიგნალი გაუგზავნა, როცა გამოთქვა იმედი, რომ ორივე ქვეყანას მომავალი წლის პირველივე ნახევარში მიიღებენ ევროკავშირში. თუმცა, ეს უკვე სცდება ფინეთის თავმჯდომარეობის პერიოდს, მით უმეტეს ევროკავშირში ხორვატიის გაწევრიანების პერსპექტივა - ამ შემთხვევაში უკვე მომავალ ათწლეულზეა ლაპარაკი. აღარაფერს ვიტყვით ევროკავშირში გაწევრიანების მსურველ სხვა სახელმწიფოებზე - თუნდაც სამხრეთ კავკასიაში.



ფინეთის პრემიერ-მინისტრი მატი ვანჰანენი.

# პატარა ქვეყნის ძალა

ნიკა თარაშვილი

*1 ივლისიდან ევროკავშირის თავმჯდომარეობა ავსტრიამ ფინეთს გადაულოცა. ევროპის ერთ-ერთი ყველაზე უზრუნველი ქვეყანის გამოცდილების გაზიარება, ალბათ, საქართველოსთვისაც მეტად საინტერესო იქნება.*

ფინეთი ბევრი რამით ჰგავს საქართველოს - საქართველოსავით ფინეთიც რუსეთის მეზობელია და იმპერიის შემადგენლობაშიც შედიოდა. ამ ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა თითქმის იმდენივეა, რაც საქართველოსი; ტერიტორიით საქართველოზე გაცილებით დიდია - თუ რუსეთს არ ჩავთვლით, ფართობის მიხედვით, მეხუთე ადგილზეა ევროპაში. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ქვეყნის ტერიტორიის მესამედზე მეტი პოლარული წრის მიღმა მდებარეობს; ჩვენსავით, არც ბუნებრივი რესურსების სიჭარბით გამოირჩევა; საქართველოს კლიმატური პირობები კი ფინელებს, ალბათ, სამოთხედ მოეჩვენებათ. ამის მიუხედავად, ფინეთი დღეს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და აყვავებული სახელმწიფოა ევროპაში. თავად ფინელები თავიანთ წარმატებას ორ ფაქტორს მიაწერენ: **პატიოსნებასა და პატრიოტიზმს**.

## „ფინლანდიზაციიდან" ევროკავშირამდე

დამოუკიდებელი ფინეთის ისტორია 1917 წლის 6 დეკემბრიდან იწყება. ამ დღეს ფინეთის დიდი საჰერცოგოს ავტონომიის საკანონმდებლო ორგანომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საგულისხმოა, რომ მანამდე ფინეთს დამოუკიდებელი სახელმწიფო არასოდეს ჰქონია. მე-12 საუკუნიდან 1809 წლამდე იგი შვედეთის სამეფოს შემადგენლობაში იმყოფებოდა. თითქმის, შვიდასწლიანი შვედური მემკვიდრეობა ფინეთში დღესაც მძაფრად იგრძნობა - მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ შვედური წარმომავლობის მოქალაქეები მოსახლეობის მხოლოდ ექვს პროცენტს შეადგენენ, შვედურსაც სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს მინიჭებული. 1809 წელს ორწლიანი ომის შემდეგ (რუსეთის ისტორიის სახელმძღვანელოებში ამ ომს რუსეთ-შვედეთის ომს უწოდებენ. თავად ფინელები კი მას ფინეთის ომის სახელით მოიხსენიებენ) ქვეყანა, დიდი საჰერცოგოს ავტონომიური სტატუსით, რუსეთის იმპერიას შეუერთდა.

ცარისტული რეჟიმის დამხობამდე ფინეთის დიდი საჰერცოგო ფართო ავტონომიური უფლებებით სარგებლობდა. შეიძლება ისიც ითქვას, რომ ფინურ სახელმწიფოებრიობას სწორედ ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი. 1917 წელს კი ფინეთმა სუვერენიტეტი გამოაცხადა. მმართველობის ფორმა თავდაპირველად, სკანდინავიის სხვა ქვეყნების მსგავსად, კონსტიტუციური მონარქია უნდა ყოფილიყო (მხარდაჭერის სანაცვლოდ, ფინეთს გერმანელი პრინცი უნდა აეყვანა ტახტზე), თუმცა მოგვიანებით გადაწყდა, რომ ფინეთი სკანდინავიის ერთადერთი რესპუბლიკა გამხდარიყო.

ფინელები განსაკუთრებით ამაყობენ თავიანთი ისტორიით, რომელშიც საბჭოთა კავშირთან ომს გამორჩეული ადგილი უკავია. 1939-40 წწ. ომი, მართალია, ფინელთა დამარცხებით დასრულდა, მაგრამ მცირერიცხოვანმა ხალხმა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლა და საკუთარი დამოუკიდებლობა ისე დაიცვა.

1939 წელს საბჭოთა კავშირმა მეზობელ ფინეთთან ომი დაიწყო. მაშინ ფინელებმა მსოფლიოს მამაცობისა და პატრიოტიზმის საოცარი მაგალითი უჩვენეს. წითელმა არმიამ ძალიან დიდი დანაკარგი იწვნია: ბრძოლის ველზე 200 000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაიღუპა. არსებობს გადმოცემა, რომლის თანახმად, სტალინს უთქვამს: „ამ ხალხმა (ფინელებმა) დაიმსახურა დამოუკიდებლობა!" მართალია, ფინეთმა საკუთარი ტერიტორიის მცირე ნაწილი დათმო, მაგრამ დამოუკიდებლობა შეინარჩუნა და ყველას დაუმტკიცა, რომ მცირე, მაგრამ მამაც და გაერთიანებულ ერს ნებისმიერი წინააღმდეგობის დაძლევა შეუძლია.

ფინეთის საერთაშორისო სტატუსი არ შეცვლილა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების დროსაც. თუმცა, ცივი ომის პერიოდში, განსაკუთრებით, 1950-1980-იან წლებში იგი საბჭოთა კავშირის სერიოზული გავლენის ქვეშ მოექცა. ფინეთი რჩებოდა დასავლეთევროპული ტიპის დემოკრატიულ სახელმწიფოდ, მაგრამ იძულებული იყო, საგარეო ასპარეზზე მოსკოვის კარნახით ემოქმედა. ეს პერიოდი საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში „ფინლანდიზაციის ეპოქად" არის ცნობილი. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირთან მომგებიანმა სავაჭრო ურთიერთობებმა, უდავოდ, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ფინეთის, როგორც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის ჩამოყალიბებაში.

1995 წელს ფინეთი ევროკავშირის წევრი გახდა. მართალია, ეს ქვეყანა არც ერთ სამხედრო ალიანსში არ გაწევრიანებულა, მაგრამ ითვლება, რომ ამ დღიდან იგი ნეიტრალური სახელმწიფო აღარ არის.

## სკანდინავიური კეთილდღეობის საზოგადოება

ფინეთის ეკონომიკამ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში სერიოზული ცვლილება განიცადა. საბჭოთა კავშირის დაშლამ უდიდესი დარტყმა მიაყენა ფინეთს, რომლისთვისაც მეზობელი უზარმაზარი ქვეყანა უმნიშვნელოვანეს ბაზარს წარმოადგენდა. ფინელები დიდი ძალისხმევის ფასად გაუმკლავდნენ ეკონომიკურ კრიზისს და დღეისათვის ფინეთის ეკონომიკა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე კონკურენტუნარიანად არის მიჩნეული. ამგვარი ტრანსფორმაციის მიზეზი ისაა, რომ ქვეყანამ ორიენტაცია მაღალტექნოლოგიურ მრეწველობაზე, მეცნიერული კვლევისა და განვითარების პროგრამებზე აიღო. გასული საუკუნის ბოლოს ფინეთი ტელეკომუნიკაციების სფეროში მსოფლიოს ერთ-ერთი ლიდერი გახდა. დღესაც კომპანია „ნოკია"-ს მიერ წარმოებული მობილური ტელეფონები ყველაზე პოპულარულია მსოფლიოში (მათ შორის, საქართველოში).

გასული საუკუნის დასასრულს ვაჭრობასთან ერთად ელექტრონიკა და ტელეკომუნიკაციები ფინური ეკონომიკის ლოკომოტივი გახდა. სხვათა შორის, ტელეკომუნიკაციების შვედურ-ფინურ კომპანია „ტელიასონერა"-ს კავკასიაშიც სერიოზულ პოზიციები აქვს. იგი საქართველოში მოქმედი ფიჭური კავშირგაბმულობის ოპერატორ „ჯეოსელისა" და აზერბაიჯანში მოქმედი ოპერატორ „აზერსელის" ერთ-ერთი ძირითადი აქციონერია.

თითქოს, ფინეთის ასეთ წარმატებას წინაპირობა არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ ორი ათეული წლით ადრე გატარებულმა განათლების რეფორმამ სერიოზული საფუძველი შეუქმნა მეცნიერებატევადი დარგების განვითარებას. ფინეთის განათლების სისტემა ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე დახვეწილადაა მიჩნეული. სკანდინავიის ამ პატარა ქვეყანაში ყველას შეუძლია უფასოდ ისწავლოს; მეტიც, სახელმწიფო სწავლის მსურველებს საკმაო მაღალ სტიპენდიას აძლევს და სავალდებულო საშუალო განათლების მისაღებად აუცილებელ სახელმძღვანელოებსაც უფასოდ ურიგებს. ფინეთში სიამაყით აცხადებენ, რომ მათი სკოლის მოსწავლეები ყველაზე ძლიერები არიან მათემატიკაში.

დახვეწილი განათლების სისტემის გარდა, ფინეთი სოციალური პროგრამების მასშტაბურობითაც გამოირჩევა (სოციალური დახმარების მაჩვენებელი სკანდინავიის ყველა ქვეყენაში მაღალ დონეზეა). ფინეთში უფასოა ყველა სახის სამედიცინო მომსახურებაც. საერთოდ, სოციალურ პროგრამებზე სახელმწიფო ბიუჯეტის მეოთხედი და ადგილობრივი ბიუჯეტების 40 პროცენტზე მეტი იხარჯება.

ფინელები ამაყობენ ბოლო წლების მანძილზე მიღწეული წარმატებებით - ქვეყანამ, პრაქტიკულად, ხელახლა დაიმკვიდრა თავისი ადგილი მსოფლიოში. თუმცა, როდესაც ქვეყნის სტუმრები აღნიშნავენ, რომ ძველ ევროპელებს ბევრი რამ აქვთ სასწავლი ფინელებისგან, ეს უკანასკნელნი შექებასაც თავმდაბლობით ხვდებიან.

დაბოლოს, ყველაზე თვალსაჩინო, რაც ფინეთის მთავარ თავისებურებას წარმოადგენს, მისი მოქალაქეების დიდი სურვილია, ქვეყანაში შემდგომი ცვლილებები განახორციელონ; დღეისათვის ფინელების ყურადღება იქეთკენაა მიმართული, თუ რა სახის რეფორმები უნდა დაისახოს ქვეყანამ შემდგომი 30 წლის მანძილზე.



### საუკეთესო განათლების სისტემა

აბა, გამოიცანით, რომელია დახვეწილი ინგლისურით მოლაპარაკეებით დასახლებული ჩრდილოეთ ევროპის ქვეყანა, სადაც მოტივირებული მასწავლებლები ცხოვრობენ და რომელსაც მსოფლიოში საუკეთესო, რეფორმირებული განათლების სისტემა აქვს. ეს დიდი ბრიტანეთი არ არის, ეს ფინეთია.

2005 წელს ეუთოსა და იუნესკოს მიერ მომზადებული მოხსენება გამოქვეყნდა, რომლის თანახმად, ფინეთი განათლების მისაღებად სამოთხეა, სადაც მოქალაქეების მოთხოვნები უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად არის დაკმაყოფილებული.

იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც გამოკითხვა ჩატარდა, ფინეთში მოსახლეობა ტექსტებს საუკეთესოდ კითხულობს, მოსახლეობის ნახევარს რთული ტექსტების წაკითხვა თავისუფლად შეუძლია და მხოლოდ ორმა პროცენტმა ვერ შეძლო ეუთოს ტესტის მინიმუმის დაკმაყოფილება.

მათემატიკის ცოდნის მიხედვით, ფინელები ყველა ევროპულ ქვეყანას ჯაბნიან. ეს გამოკვლევა მსოფლიოს 43 ქვეყანაში ჩატარდა.

ეუთომ აღნიშნა, რომ ფინეთი ერთ-ერთი სამაგალითო ქვეყანაა იმ თვალსაზრისით, რომ ამ ქვეყანაში ყველაზე მოქნილი განათლების სისტემაა. ამავე კვლევამ ცხადყო, რომ ის სისტემები, სადაც სკოლებს ავტონომიის მაღალ ხარისხს ანიჭებენ, გაცილებით უფრო წარმატებულია.

„ეს ის საქმეა [სწავლება], რომელსაც პატივს სცემენ. ისინი სასწავლო პროცესს უბრალო ბიუროკრატიული სამუშაოსავით არ უდგებიან", - განაცხადა ეუთოს წარმომადგენელმა ანდრეას შლაიხერმა. ამის გამო, მასწავლებლობა ფინეთში ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული პროფესიაა.

ფინელების ერთადერთი ნაკლი არის ის, რომ ქალებსა და კაცებს შორის სხვაობა შედარებით უფრო მეტად იგრძნობოდა. თუმცა, მათემატიკასა და სხვა ფუნდამენტურ მეცნიერებებში განსხვავება უმნიშვნელო იყო.








### მსოფლიოს ეკონომიკური ლიდერი

2005 წელს საერთაშორისო ეკონომიკურმა ფორუმმა მსოფლიოს ქვეყნების ახალი ეკონომიკური მაჩვენებლები გამოაქვეყნა, რომელთა თანახმადაც პირველობა ფინეთს ერგო. რეიტინგის შედგენის დროს გათვალისწინებული იყო სხვადასხვა ფაქტორები, რაც ეკონომიკურ კლიმატზე ახდენს გავლენას. ასეთ რეიტინგს საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი ყოველწლიურად აქვეყნებს. შარშან პირველ ადგილზე აშშ იმყოფებოდა, წელს კი ლიდერობა ფინეთს ხვდა წილად. სააგენტო „ბი-ბი-სი"-ს ცნობით, ამჯერად საერთაშორისო ეკონომისტებმა რეიტინგის განსასაზღვრად განსხვავებული მიდგომა აირჩიეს. კერძოდ, ნაკლები ყურადღება მიექცა საერთო ვითარებაზე სახელმწიფო წილის და გავლენის არსებობას და ძირითადი ყურადღება გამახვილდა იმ გარემოებაზე, თუ რამდენად სწორად არის წარმართული მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა.

პირველი ათეული შემდეგნაირად გამოიყურება:

ფინეთი, აშშ, შვედეთი, დანია, ტაივანი, სინგაპური, შვეიცარია, ისლანდია, ნორვეგია და ავსტრალია.

სულ სიაში 102 ქვეყანაა შეყვანილი. ექსპერტთა გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ დიდი ბრიტანეთი და კანადა ამ სიაში 15-ე და 16-ე ადგილებზე აღმოჩნდნენ. ეკონომიკური ვარდნა შეინიშნება ჩინეთშიც, რომელიც 33-ე ადგილიდან 44-ზე აღმოჩნდა.

რაც შეეხება რუსეთს, მას 70-ე ადგილი ხვდა წილად და ტანზანიას და განას შორის იმყოფება.

საკმაოდ კარგი მაჩვენებლები აქვთ და წინსვლა აღენიშნებათ ესტონეთსა და ლატვიას. ისინი, შესაბამისად, 22-ე და 37-ე ადგილებზე იმყოფებიან.

მდგომარეობის გაუარესება შეინიშნება გერმანიის და საფრანგეთის ეკონომიკაშიც. კერძოდ, გერმანია, მე-13-ე, ხოლო საფრანგეთი 26-ე ადგილებზე არიან. საფრანგეთს ერთი ნაბიჯით უსწრებს პორტუგალია. აფრიკულ ქვეყნებს შორის კი ბოტსვანა ლიდერობს. მას 36-ე ადგილი ერგო. სიის ბოლოში კი ზიმბაბვე, ბანგლადეში, ჩადი, ანგოლა, მალი და განა იმყოფებიან. რაც შეეხება საქართველოს, ის სიაში საერთოდ არ არის შესული.

მოკლედ

## სამხრეთ აფრიკასთან სტრატეგიული პარტნიორობის გაძლიერება

ევროკომისიამ მიიღო დოკუმენტი ევროკავშირის სამხრეთ აფრიკასთან სტრატეგიული პარტნიორობის გაძლიერების თაობაზე. მასში ჩამოყალიბებულია ევროკავშირის სამხრეთ აფრიკასთან ურთიერთობის გრძელვადიანი გეგმა, სადაც მხედველობაშია მიღებული სამხრეთ აფრიკის მნიშვნელოვანი როლი რეგიონში, მთლიანად აფრიკაში და საერთაშორისო ურთიერთობებში. განახლებული პარტნიორობა მოიცავს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს და დაფუძნებულია არსებულ ხელსაყრელ ურთიერთობებზე.

## ახალი ფინანსური ინსტრუმენტი დემოკრატიის და ადამიანის უფლებების მხარდასაჭერად

ევროკომისიამ მიიღო ახალი დამოუკიდებელი ფინანსური ინტრუმენტის შექმნის პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობს დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს მთელს მსოფლიოში. ახალი ინსტრუმენტი შეცვლის არსებულ საგარეო დახმარების მექანიზმს (ევროპული ინიციატივა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის - EIDHR), რომელიც წლის ბოლოს სრულდება. პროექტი დაუყოვნებლივ გაეგზავნა ევროპარლამენტს და საბჭოს საკანონმდებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, რათა ინსტრუმენტი შემდეგი წლის დასაწყისისთვის უკვე ამოქმედდეს.

## მსოფლიო დღე ნარკოტიკების წინააღმდეგ 2006

### ევროკომისია ხაზს უსვამს ევროპის ვალდებულებას ებრძოლოს ნარკოტიკებით ვაჭრობას და დაეხმაროს ნარკომანებს

გაერთიანებული ერების ნარკოტიკების გამოყენებისა და ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ საერთაშორისო დღის გამო, ფრანკო ფრატინიმ, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა და პასუხისმგებელმა საკანონმდებლო, თავისუფლების და უსაფრთხოების საკითხებში, ბენიტა ფერერო-ვალდნერმა, ევროკომისარმა საგარეო ურთიერთობების და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში და მარკოს კიპრიანომ, ევროკომისარმა ჯანმრთელობის და მომხმარებელთა დაცვის საკითხებში ყურადღება გაამახვილეს ევროკომისიის მხარდაჭერაზე საერთაშორისო თანაემეგობრობისადმი ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაში, საერთო პროექტების ფარგლებში მესამე ქვეყნების დახმარებაზე და ნარკომანიასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემების გადაჭრაზე. ევროკავშირში წელიწადში 8000-ზე მეტი ადამიანი, ძირითადად ახალგაზრდა მამაკაცები 20-დან 30 წლამდე, იღუპება ნარკოტიკების გადაჭარბებული დოზის მიღების გამო.

# ევროპა რუსეთთან თავისუფალი ვაჭრობის მომხრეა

### რუსეთი ენერგოქარტიის რატიფიცირებისგან თავს იკავებს

თეა მაისურაძე

მას შემდეგ, რაც რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხი დღის წესრიგში კვლავ აქტიურად დადგა, ევროპამ ოფიციალურ მოსკოვთან ხელშკრულების დადების სურვილი გამოთქვა, რომელიც მხარეებს შორის თავისუფალ ვაჭრობას ითვალისწინებს. ევროკავშირის წარმომადგენელთა განცხადებით, ამგვარი შეთანხმების მიღწევა, შესაძლოა, მას შემდეგ მოხდეს, რაც რუსეთი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი გახდება.

ევროკომისიის თავმჯდომარემ ჟოზე მანუელ ბაროზუმ განაცხადა, რომ სასურველი იქნება, თუ ევროკავშირის წევრი ქვეყნები კონსულტაციებს გამართავენ რუსეთის ხელისუფლებასთან მხარეებს შორის თავისუფალი სავაჭრო სისტემის დამყარების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ოფიციალური მოსკოვის აზრით, რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების პროცესი მიმდინარე წელს დასრულდება. შეგახსენებთ, რომ 2004 წლის 21 მაისს ევროკავშირსა და რუსეთს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლითაც განისაზღვრა ორმხრივი საბაზრო მოლაპარაკებების დაწყება მხარეებს შორის, რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგნიზაციაში გაწევრიანებისათვის. ვმო-ში გაწევრიანების პროცესის ერთ-ერთი შემადგენელ ნაწილს ორმხრივი ვაჭრობის ხელშეკრულებების დადება წარმოადგენს ამ ორგანიზაციის წევრ ყველა დაინტერესებულ ქვეყანასთან და რადგანაც ევროკავშირი არის რუსეთის ყველაზე დიდი პარტნიორი სავაჭრო სფეროში, მათ შორის დადებული ორმხრივი ხელშეკრულება მნიშვნელოვანი ნაბიჯია რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების პროცესში.

საყურადღებოა, რომ ევროპისათვის ძალიან მომგებიანი იქნება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების მიღწევა ენერგორესურსებით მდიდარ ქვეყანასთან, რადგან ეს ევროკავშირს შესაძლებლობას მისცემს რუსეთის ენერგოსექტორს ევროპისაკენ გზა გაუხსნას. ამ შემთხვევაში ევროპა ძირითადად აქცენტს სახელმწიფო კომპანია „გაზპრომზე“ აკეთებს. შეგახსენებთ, რომ გიგანტი კომპანია ევროპაში სრული მონოპოლიით სარგებლობს. ევროგაერთიანების ინიციატივა მხარეებს შორის თავისუფალი ვაჭრობის დამყარების შესახებ განპირობებულია იმით, რომ ბოლო პერიოდში „გაზპრომის“ ხელმძღვანელობის ქმედებები ევროპელებს ძალიან აშფოთებთ, გამომდინარე იქიდან, რომ ევროპის დიდი ნაწილი გაზს რუსეთიდან უკრაინის გავლით იღებს, ხოლო იმ შემთხვევაში კი თუ უკრაინას რუსეთი საწვავის მიწოდებას შეუწყვეტავს, მათ შორის ამ მხრივ არსებული დაძაბულობის გამო, რომელიც ბუნებრივი აირის ფასის დადგენას ეხება, მაშინ ევროპაც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება.



ევროკავშირი-რუსეთის სამიტი სოჭში.

ევროკომისიის თავმჯდომარე ჟოზე მანუელ ბაროზუ მიიჩნევს, რომ ჯერჯერობით ადრეა ევროკავშირსა და რუსეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების დეტალებზე საუბარი, თუმცა ევროკავშირის წარმომადგენლის პიტერ პაუერის აზრით, უმჯობესი იქნება თუ შეთანხმებაში შევა საკითხი არასატარიფო სავაჭრო შეზღუდვების გაუქმების შესახებ და მხარეებს შორის წინასწარ კარგად იქნება შეთანხმებული ის დეტალები, რომლებიც ენერგეტიკის სფეროს ეხება.

ევროკავშირის წარმომადგენელთა აზრით, რუსეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შესაძლო შეთანხმების მიღწევის საკითხი უნდა იქნეს განხილული პეტერბურგში დიდი რვიანის სამიტზე.

საინტერესოა თუ როგორი დამოკიდებულება აქვს რუსეთს აღნიშნული საკითხისადმი: მზად არის იგი თავისუფალი ვაჭრობისათვის თუ არა. საყურადღებოა, რომ რუსეთის მხრიდან არაერთხელ გაკეთებულა განცხადება იმის შესახებ, რომ მის ინტერესებში არ შედის ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული ენერგეტიკული ქარტიის რატიფიცირება.

ამავდროულად, ვლადიმირ პუტინი, რომელიც უმასპინძლებს პეტერბურგში განვითარებული ქვეყნების ფორუმს, მიწვეულია ევროკავშირის წევრი-ქვეყნების არაოფიციალურ შეხვედრაზე, რომელიც მიმდინარე წლის ოქტომბერში ფინეთში შედგება. ნოემბერში პუტინს ისევ მოუწევს ფინეთში სტუმრობა, სადაც დაგეგმილია რუსეთ-ევროკავშირის ოფიციალური სამიტი.

ევროკავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რუსეთთან თანამშრომლობას ვაჭრობის, საინვესტიციო და ენერგეტიკის სფეროში. რუსეთ-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობები 2004 წლის გაფართოების შემდეგ უფრო გამყარდა. აღსანიშნავია, რომ ევროგაერთიანების ქვეყნებში იმპორტირებული ნავთობის 16 პროცენტი, ხოლო ბუნებრივი აირის 20 პროცენტი რუსეთზე მოდის.

ამრიგად ის, თუ როგორ მოხდება რუსეთის ენერგეტიკულ სფეროსთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტა, მხარებს შორის შემდგომი მოლაპარაკეკებით უნდა განისაზღვროს. ოფიციალურმა მოსკოვმა კი უნდა გადაწყვიტოს, თუ რამდენად მომგებიანი იქნება მისთვის თავისუფალი ვაჭრობა, რომელიც ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია.

გახსენება

# 7/7 - „ერთი წელი გავიდა, რა შეიცვალა?“

მარგარეტ ბეკეტი
დიდი ბრიტანეთის
საგარეო საქმეთა მინისტრი

ერთი წლის წინ, 2005 წლის 7 ივლისის დილის 9 საათიდან 10 საათამდე, ოთხმა თვითმკვლელმა მომაკვდინებელ ყუმბარებს თითი გამოკრა და ააფეთქა ლონდონის გადატვირთული სატრანსპორტო სისტემა, რამაც 52 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა; 770-ზე მეტი დაშავდა. მსხვერპლს შორის იყო თეთრკანიანი და არათეთრკანიანი, ბრიტანელი და არაბრიტანელი, მორწმუნე და ურწმუნო. პიკის საათისას განხორციელებული ეს უგულო აქტი დაიგეგმა ისე, რათა მაქსიმალური ნგრევა და ფიზიკური ზიანი გამოეწვია.

გარკვეული თვალსაზრისით, ტერორისტებმა მიზანს ვერ მოაღწიეს. თუმცა, დიდი დარტყმის მიყენება შეძლეს.

ეს იყო დარტყმა, მაგრამ შესაძლოა, მათ ის სწორად ვერ გათვალეს. ყველა მიმდინარეობის მუსულმანი გაერთიანებულ სამეფოში ერთი დროშის ქვეშ გაერთიანდა და თქვა: „ჩვენი სახელით არა.“ იდგნენ რა ერთად, მთელ გაერთიანებულ სამეფოში და მთელ მსოფლიოში ადამიანებმა განაჩენი გამოუტანეს სისასტიკეს და მდუმარე გადაწყვეტილებით ამტკიცებდნენ, რომ ექსტრემისტები მათ თავისუფლებას ვერ წაართმევდნენ. ერთი წელი გავიდა და ლონდონელები ისევ სარგებლობენ საზოგადოებრივი ტრანსპორტით. ტურისტები ისევ მოედინებიან ბრიტანეთის დედაქალაქისკენ. მეჩეთები ისევ დგას ეკლესიების, ტაძრების და სინაგოგების გვერდით. ლონდონის თეატრები, კლუბები და რესტორნები ისევ სავსეა ხალხით, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება გაიხარონ საკუთარი თავისუფლებით. გაერთიანებული სამეფოს ქუჩებში სხვადასხვა რწმენის და მსოფლმხედველობის ადამიანები ისევ ესაუბრებიან ერთმანეთს, იზიარებენ იდეალებს და აშენებენ მეგობრობას.

2005 წლის 7 ივლისამდე ბევრად უფრო ადრე, ჩვენი მთავრობა ისევე ესაუბრებოდა და უსმენდა ბრიტანეთის მუსულმანურ საზოგადოებას, როგორც ჩვენ დღეს ვესაუბრებით და ვუსმენთ სხვა რელიგიების და ეთნოსების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც დღევანდელ ბრიტანეთში ცხოვრობენ. მუსულმანები ბრიტანეთის და ბრიტანული ცხოვრების წესის შემადგენელი ნაწილია საუკუნეების მანძილზე. ჯერ კიდევ 1940 წელს ბრიტანეთის მთავრობამ გამოყო 100 000 ფუნტი (დაახლოებით დღევანდელი 3.5 მლნ ფუნტის ექვივალენტი) პირველი მეჩეთის ასაშენებლად ლონდონში, იმ მრავალი ათასი მუსულმანის მოსახსენიებლად, რომლებიც პირველ მსოფლიო ომში ბრიტანეთის მხარეს იბრძოდნენ. გაერთიანებული სამეფოს ელიტარულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, - ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებს, მე-17 საუკუნიდან აქვთ არაბული ენის, ლიტერატურის და არაბული კვლევის კათედრები.

დღეს, ბრიტანელი მუსულმანების რაოდენობა თითქმის 2 მილიონია. ისინი პერის სტატუსით სხედან ლორდთა პალატაში და სარგებლობენ პარლამენტის წევრის სტატუსით თემთა პალატაში. 200-ზე მეტი ბრიტანელი მუსლიმანი ადგილობრივი საბჭოს წევრია. მათ შორის, ჩემს მშობლიურ ქალაქ დერბიში, სადაც საბჭოს ერთ-ერთი ყველაზე უფროს მუსულმან წევრს ჩვენი ქალაქის პირველი მოქალაქის - მერის თანამდებობა უკავია. მუსულმანი ადვოკატები, ექიმები, ბიზნესში მოღვაწე ადამიანები, კემბრიჯის კოლეჯის მაგისტრები - ყველა ეს ადამიანი არის განუყოფელი ნაწილი იმისა, რაც ბრიტანეთს ბრიტანულს ხდის. მათი წვლილი გაიზრდება: გაერთიანებული სამეფოს მთავრობა იყო და რჩება ერთგული თავისი მიზნისა, უზრუნველყოს მუსულმანების და სხვა უმცირესობათა მიერ მნიშვნელოვანი როლის შესრულება ჩვენ ეროვნულ ცხოვრებაში.

ჩვენი მთავრობა ასევე განუხრელად ებრძვის ექსტრემიზმს, უმუშევრობას, და სკოლების წარუმატებლობას. ჩვენ აქტიურად ვუწყობთ ხელს უფრო ფართო დისკუსიას ბრიტანელ მუსულმანებსა და გავლენიან მეცნიერებს შორის ექსტრემისტული დოგმების უარყოფის მიზნით. მინისტრები და მაღალი თანამდებობის პირები აგრძელებენ შეხვედრებს მუსულმანურ საზოგადოებებთან მთელ ბრიტანეთში, რათა თვითონ მოისმინონ ახალგაზრდა მუსულმანების პრობლემები, და თავად მიმართონ მათ. არ არის გასაკვირი, რომ ამას მოყვა ფართო დებატები, რადგან დისკუსიებმა წამოაყენა საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები, განსაკუთრებით, მუსულმანთა სამყაროს მიმართ.

ერაყსა და ავღანეთში შექმნილი სიტუაცია, აშკარად არის ბევრი ადამიანის შეშფოთების მიზეზი, როგორც მუსულმანთა სამყაროში, ისე მის გარეთ. ამ რეგიონებში მშვიდობის პერსპექტივის ჩაშლა ნამდვილი უბედურება იქნებოდა. ბოლო ხანებში ჩვენი ჯარების განლაგების მიზანი ავღანეთის ჰელმანდის პროვინციაში სტაბილურობის აღდგენაა ამ დაზარალებულ ქვეყანაში, რათა ავღანელ









ხალხს პირველად ათწლეულების მანძილზე ქონდეს იმედი მშვიდობიანი და ნათელი მომავლისა. ჩემმა კოლეგამ, საერთაშორისო განვითარების მინისტრმა ჰილარი ბენმა ახლახანს დამატებით გამოყო 30 მლნ ფუნტი ამ პროვინციისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას ძირითადი მომსახურება, ინფრასტრუქტურა და სესხები ფერმერებისათვის, რათა მათ მოსავლის მოყვანაში დავეხმაროთ.

ერაყში ჩვენ მივესალმებით ახლადარჩეული ერაყული მთავრობის ფორმირებას და იმედით ვადევნებთ თვალყურს, თუ როგორ იწყებენ ისინი საკუთარი ქვეყნის მართვას და აყალიბებენ ერს, დემოკრატიულს და ტირანიისაგან თავისუფალს. ამ ორივე ქვეყანაში ჩვენ, არჩეულ ეროვნულ ხელისუფლებასთან ერთად ვიბრძვით იმ მტრის წინააღმდეგ, რომელსაც რეპრესიული და სასტიკი ცხოვრების წესი ქვს არჩეული. ჩვენ არ მივცემთ მათ წარმატების მიღწევის საშუალებას.

სირთულეების მიუხედავად, ჩვენ ვაგრძელებთ ახლო აღმოსავლეთში ძალისხმევას იქაური კონფლიქტის მშვიდობიანი დასრულებისათვის. ჩვენ მტკიცედ გავაგრძელებთ მუშაობას ყველა ჩვენს საერთაშორისო პარტნიორთან ერთად, რათა ჩამოვაყალიბოთ პალესტინის სტაბილური და მშვიდობიანი სახელმწიფო სტაბილური და მშვიდობიანი ისრაელის გვერდით.

ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ დღეს, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, რომ ვცხოვრობთ ურთიერთდამოკიდებულ სამყაროში. პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა ახლახანს სთქვა: „ურთიერთდამოკიდებულება, ანუ სადღაც არსებული კრიზისის საყოველთაო კრიზისად აღქმის ფაქტი, სასაცილოს ხდის ტრადიციულ შეხედულებებს ეროვნული ინტერესების შესახებ“. ეს ურთიერთდამოკიდებულება ჩვენ ყველას გვიბიძგებს უფრო ფართო თანამშრომლობისა და კავშირისკენ. მაგრამ, ეს უნდა იყოს კავშირი, რომელიც ემყარება ჭეშმარიტ საზოგადოებრივ ფასეულობებს და არა მხოლოდ ტერორისტების და მათი ბოროტი იდეოლოგიის შეჩერებას; კავშირი, რომელიც მიმართულია სიღარიბესთან ბრძოლისაკენ, ადამიანთა უფლებების დარღვევის და უსამართლობის წინააღმდეგ მთელ ჩვენ სამყაროში, რათა გამოვაცალოთ ნაყოფიერი ნიადაგი დღევანდელ ექსტრემისტებს.

მრავალ სხვა ფაქტორთა შორის, რომლითაც მანიპულირებენ ექსტრემისტები, რათა გასული წლის ივლისში ლონდონზე მომხდარი ტერორისტული თავდასხმები გაამართლონ, არის განსხავებული საგარეო პოლიტიკა. ასწორედ ამის გამო იყო ჩვენი პასუხი მნიშვნელოვანი და სწორედ ამიტომ ადევნებდა მას თვალს მთელი მსოფლიო ასე ყურადღებით. ერთი წელი გავიდა, შეიცვალა რამე? დიახ, ჩვენი ერთგულება იმ ფასეულობების მიმართ, რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია - თავისუფლება, ტოლერანტობა და სამართლიანობა - გახდა უფრო ძლიერი და ღრმა, ისევე, როგორც ჩვენი ურთიერთობები მთელი ისლამური სამყაროს ქვეყნებთან, რომლებიც იზიარებენ ამ საერთო იდეალებს.

# სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვაში დახმარების პროექტი

2006 წლის 12 ივნისს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" გაიმართა „სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიის განხორციელების დაგეგმვაში დახმარების პროექტის" დასკვნითი კონფერენცია, სადაც მასმედიის წარმომადგენელბიც იყვნენ მიწვეულნი.

კონფერენციაზე განიხილეს პროექტის მუშაობის შედეგები და წარმოდგენილი იქნა საქართველოში სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სამოქმედო გეგმა, რომელიც შემუშავებულია სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიაზე დაყრდნობით.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიაში წარმოდგენილია ძირითადი პრინციპები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სისხლის სამართლის პროცესის თანმიმდევრულ რეფორმას ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

სტრატეგიაში გამოყოფილია შემდეგი ასპექტები: ცვლილებები კანონმდებლობაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ჩათვლით; ცვლილებები ისეთი ძირითადი ინსტიტუტების უფლებამოსილებებსა და სტრუქტურებში, როგორიცაა სასამართლო ხელისუფლება და სასჯელთა აღსრულების სიტემა; ცვლილებები იურისტთა განათლებასა და მომზადებაში.

რეფორმის განხორციელების პერიოდი მოიცავს ოთხიდან ხუთ წელს; მთლიანი ღირებულებაა - 291 547 920 ლარი.



სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების დაწყების ხელშეწყობის მიზნით ევროკავშირმა დააფინანსა საქართველოში სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის დახმარების პროექტი.

2005 წლის დეკემბრიდან პროექტმა დაიწყო სამთავრობო უწყებების, ინსტიტუტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფების მუშაობის ხელშეწყობა.

პროექტის გუნდი, რომელიც შედგებოდა 2 საერთაშორისო და 7 ადგილობრივი ექსპერტისაგან, დახმარებას უწევდა სამუშაო ჯგუფებს 2005 წლის დეკემბერიდან 2006 წლის ივნისამდე. პროექტმა განახორციელა პროფესიული სამართლებრივი ექსპერტიზა და დახმარება გაუწია პროცესში ჩართულ დაწესებულებებს სამოქმედო გეგმის შემუშავებაში, კერძოდ: შეაფასა დაგეგმილი ცვლილებების ეფექტი სტრუქტურულ საკითხებზე და მიმდინარე სისტემურ რეფორმებზე; შეაფასა დაგეგმილი ცვლილებების ეფექტი ფინანსურ და საბიუჯეტო სისტემებზე, განახორციელა ხარჯების პროგნოზი და შეაფასა ეფექტი ინსტიტუციური უნარ-ჩვევების გაზრდასა და ადამიანურ რესურსების განვითარებაზე.

პროექტი დახმარებას უწევდა მმართველ ჯგუფს და სამუშაო ქვე-ჯგუფებს ორგანიზაციულ საკითხებში, ასრულებდა ე.წ. „სამდივნოს" როლს და ხელს უწობდა ჯგუფებს დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის დამყარებაში.

ევროკომისიის მიერ დაფინასებული პროექტისა და სამუშაო ჯგუფების კოორდინირებული მუშაობის შედეგად შემუშავდა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელიც მოწონებულ იქნა მმართველი ჯგუფის მიერ 2006 წლის 2 ივნისს იუსიტიციის მინისტრის თავმჯდომარეობით გამართულ შეხვედრაზე.

## ევროკავშირის განცხადება საქართველოს შესახებ

*ეუთოს მუდმივმოქმედი საბჭო N 616*
*29.06.2006*

1. ევროკავშირი მიესალმება იმ ფაქტს, რომ 22 ივნისს ცხინვალში გამართული შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა ნაყოფიერი აღმოჩნდა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული უმწვავესი საკითხების გადაწყვეტის თვალსაზრისით და რომ ამ სხდომაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება სამართალდამცავ ორგანოებს შორის თანამშრომლობის დაწყებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ევროკავშირი მიესალმება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და სამხრეთ ოსეთის წამომადგენელს შორის გამართულ შეხვედრას და ასევე მათ განზრახვას ამგვარი შეხვედრების მომავალში რეგულარულად ჩატარებასთან დაკავშირებით. ევროკავშირი ეთანხმება მისიის მიერ გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ ამგვარი ღონისძიება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს უსაფრთხოების მდგომარეობას კონფლიქტის ზონაში და ამდენად წარმოადგენს იმ იმპულსს, რომელიც არ უნდა დაიკარგოს.

2. ამასთან, ევროკავშირი შეშფოთებას გამოთქვამს საქართველოში ეუთოს მისიის 2006 წლის 26 ივნისის ანგარიშთან დაკავშირებით. ანგარიშში აღწერილია, თუ როგორ იყო ალყაშემორტყმული 2006 წლის 22-23 ივნისს ცხინვალში ეუთოს ადგილობრივი ოფისი 100-მდე მტრულადგანწყობილი პირის მიერ, რომლებიც აპროტესტებდნენ ქართული პოლიციის პოსტის გადაადგილებას და მოითხოვდნენ ამ ფაქტის აღკვეთას. უმეტესი დროის მანძილზე ამ ადამიანებს ბლოკირებული ჰქონდათ ადგილობრივი ოფისის შესასვლელი და გამოსასვლელი, მათ ასევე დააზიანეს მისიისა და ევროპის კომისიის წევრების სატრანსპორტო საშუალებათა საბურავები. ამ ინციდენტთაგან რამდენიმე განხორციელდა ადგილობრივ ოფისთან მდგარ სამხრეთ ოსეთის დაცვის თანამშრომელთა თვალწინ, რომლებიც თითქმის მთელი საღამოს განმავლობაში არ იმყოფებოდნენ ადგილზე.

3. 22 და 23 ივნისს საქართველოში ვიზიტის დროს, ეუთოს მოქმედმა თავმჯდომარემ, ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარელ დე გუხტმა ხაზგასმით აღნიშნა მხარეთა შორის უსაფრთხოების, ასევე რეაბილიტაციის პროგრამის იმპლემენტაციის სფეროში თანამშრომლობის მნიშვნელობა. მან სამხრეთ ოსეთის მხარეს განუცხადა, რომ ის ინფორმირებული იყო იმ არაკონსტუქციული ქმედებებისა და საპროტესტო გამოსვლების შესახებ, რომლებიც ეუთოს მუშაობის ჩაშლისკენაა მიმართული და სამხრეთ ოსეთის მხარეს მოუწოდა პასუხისმგებლობით მოეკიდოს უსაფრთხოების ამ და ყველა სხვა ასპექტს.

4. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ევროკავშირი მოუწოდებს ყველა შესაბამის სამართალდამცავ სტრუქტურას უზრუნველყონ ეუთოს მისიის წევრთა უსაფრთხოება და თავისუფალი გადაადგილება.

მიერთების პროცესში მყოფი ქვეყნები - ბულგარეთი და რუმინეთი, კანდიდატი ქვეყნები - თურქეთი, ხორვატია* და ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია, სტაბილიზაციის და ასოცირების პროცესში მონაწილე ქვეყნები და პოტენციური კანდიდატები - ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა და შერბია, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნები - ისლანდია და ნორვეგია, ევროპის ეკონომიკური ზონის წევრები, ასევე უკრაინა და მოლდოვას რესპუბლიკა უერთდებიან ამ დეკლარაციას.

*ხორვატია და ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია კვლავ რჩებიან სტაბილიზაციის და ასოცირების პროცესში მონაწილე ქვეყნებად.

# ევროკომისიის დელეგაცია იუსტიციის სამინისტროში

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ 22 ივნისს ევროკომისიის დელეგაცია მიიღო, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ევროკომისიის საგარეო ურთიერთობათა დირექტორატის საქართველოს საკითხთა დესკ-ოფიცერი სტეფანო დი კარა და ევროკომისიის დახმარებისა და თანამშრომლობის ოფისის საქართველოს საკითხთა დესკ-ოფიცერი პიერ ლეჟენი, ასევე, საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის თანამშრომლები.

ევროკომისიის დელეგაციის ვიზიტის მიზანია ევროკავშირის დახმარებათა სტრატეგიის და შესაბამისი ინდიკატური პროგრამის შემუშავება, რომლის მიხედვით განისაზღვრება პრიორიტეტები ევროკავშირის სამომავლო დახმარებებისათვის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის (ENPI) ფარგლებში.



შეხვედრაზე ევროპის კავშირისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები განისაზღვრა.

აღინიშნა, რომ საქართველოში ევროპის კავშირის კანონის უზენაესობის მისიის (EUJUST THEMIS) დახმარებით მომზადებული საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა მნიშვნელოვანი დოკუმენტია და ორმხრივი თანამშრომლობის წარმატებაზე მიუთითებს. იუსტიციის მინისტრმა რეფორმის მიმართულებებზე სტუმრებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა და აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმა განსახორციელებლად სამართლებრივი რეფორმების კოორდინაციის ხელშემწყობი კომისიას გადაეცა.

ყურადღება გამახვილდა პენიტენციარული სისტემის რეფორმაზე, ასევე, სამოქალაქო რეესტრის სისტემაში განხორციელებულ ცვლილებებზე, რომლის მიზანი მოქალაქეთათვის მომსახურების გაუმჯობესება და დოკუმენტების მისაღები პროცედურის გამარტივება იყო.

## კონსულტაციები ღვინოზე

### საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღვინისა და ღვინის მასალების შესახებ ორმხივი შეთანხმება მზადდება

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, ევროკავშირისა და საქართველოს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების ფარგლებში, საქართველოს მთავრობისა და სოფლის მეურნეობის სფეროში ევროპის კომისიის გენერალური დირექტორატის წარმომადგენლებს შორის გაიმართა კონსულტაციები ღვინისა და ღვინის მასალების შესახებ ორმხივი შეთანხმების დადებასთან დაკავშირებით. შეხვედრა მიზნად ისახავდა მოლაპარაკებათა დაწყებისთვის აუცილებელი პირობების შექმნას მას შემდეგ, რაც ევროპის კომისიას მიენიჭება ასეთი მოლაპარაკებების გამართვის ოფიციალური მანდატი.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გამართულ კონსტრუქციულ შეხვედრებზე, მხარეებმა დააფიქსირეს თავიანთი საერთო პოზიცია ღვინის პროდუქციის გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, რაც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებს შეესაბამება. ეს შეხვედრები შექმნის იმ შეთანხმების მომზადების საფუძველს, რომელიც შეიძლება მომავალში სხვა სახის პროდუქციასა და ქვეყნებზეც გავრცელდეს, რაც სარგებლობას მოუტანს როგორც მწარმობლებს, ისე მომხმარებლებს. მხარეებმა განიხილეს ევროკავშირის ქვეყნებში ღვინის იმპორტთან დაკავშირებული ტარიფები და სავაჭრო შეღავათები. კონსულტაციების შემდეგ, საქართველოსა და ევროპის კომისიის დელეგაციათა ხელმძღვანელებმა ერთობლივი ბრიფინგი გამართეს.

# დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა უკრაინასა და სამხრეთ კავკასიაში

4 ივლისს პრესკონფერენციაზე, რომელიც ევროკომისიის და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის მმართველი კომიტეტის პირველი სხდომის დასასრულს თბილისში, სასტუმრო „ამბასადორში" გაიმართა, ერთობლივი პროექტის პრეზენტაცია შედგა.

პროექტის სახელწოდებაა „დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა უკრაინასა და სამხრეთ კავკასიაში." მისი მიზანია უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახადოს ადამიანის ძირითადი უფლებები სამხრეთ კავკასიასა და უკრაინაში. ამ მიზნის განხორციელდება მოხდება კანონმდებლობის ევროპულ ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანით, მონაწილეობითი დემოკრატიის განმტკიცებით, დემოკრატიული ინსტიტუტების შესაძლებლობათა გაზრდით და ევროპულ ღირებულებათა შესახებ ცნობიერების გაღრმავებით. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და თავისუფალი მედიის დემოკრატიულ სტანდარტების შესაბამისად განვითარებით, პროექტი ხელს შეუწყობს საჯარო მოხელეების პასუხისმგებლობის გაზრდას, საზოგადოების მონაწილეობას პოლიტიკის შემუშავებაში და ევროპული სტანდარტების დამკვიდრებას.



ახალი პროგრამა სახელწოდებით „უკრაინასა და სამხრეთ კავკასიაში დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერის მიზნით ევროკავშირსა და ევროსაბჭოს ერთობლივი სამოქმედო პროგრამა", უკვე ერთი თვეა ხორციელდება. აღნიშნული პროგრამა საქართველოში, უკრაინაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, მიზნად ისახავს საკანონმდებლო საქმიანობის ევროკავშირის სივრცეში არსებულ სტანდარტებთან დაახლოებას, დემოკრატიული პროცესების დამკვიდრებას მასმედიაში, სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდას და საზოგადოების მონაწილეობის ამაღლებას პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

როგორც ევროსაბჭოს სტრატეგიული დაგეგმარების დეპარტამენტის წარმომადგენელმა ხოსე კრემადესმა განაცხადა, პროგრამა ორი წლის განმავლობაში განხორციელდება ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებში და ასევე მოხდება საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწა.

ევროსაბჭოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის იგორ გაონის განცხადებით, პროგრამის ფარგლებში მოქმედებს იურიდიულ საკითხებზე მომუშავე ჯგუფი, რომელიც შეაფასებს ამ ქვეყნების პარლამენტების მიღებულ კანონებს, რამდენად შეესაბამება ისინი ევროსაბჭოსა და ევროკავშირის სტანდარტებს და თავის რეკომენდაციებს გადასცემს პარლამენტებს. ასევე დააწესებს მონიტორინგს, თუ როგორ ხორციელდება აღნიშნული რეკომენდაციები პარლამენტების მუშაობაში.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება იმ კანონებზე, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებების დაცვას.

გაონის განცხადებით, ასევე საყურადღებოა მასმედიაში დემოკრატიის პროცესების განვითარების საკითხი. მისივე თქმით, დღეს ამ ქვეყნებში, ზოგადად განვითარებად ქვეყნებში, სერიოზული პრობლემაა ჟურნალისტების ხელფასების თვალსაზრისით. ისინი ძალიან დაბალია. ბევრი ჟურნალისტისთვის შექმნილია ძალიან რთული სამუშაო პირობები.

„რაც უფრო კარგი ეკონომიკაა ქვეყანაში, მით უკეთესი ჟურნალისტიკაა. ამიტომ ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ქვეყნებში კარგი ეკონომიკა განვითარდეს," - განაცხადა იგორ გაონმა.

# „ნაბუკო" ევროპის ავანსცენაზე

## ევროპაში ახალი ენერგეტიკული ეპოპეა იწყება

*ცოტა ხნის წინ ბრიუსელში ევროკომისარმა ენერგეტიკის საკითხებში ანდრის პიბალგსმა და თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთისა და ავსტრიის ენერგეტიკის მინისტრებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტებს „ნაბუკოს" პროექტის განხორციელების თაობაზე. იგეგმება, რომ ახალი გაზსადენი, რომლის მშენებლობაშიც ევროკავშირი 5,8 მილიარდი დოლარის ინვესტირებას აპირებს, საქართველოს დასავლეთი საზღვრიდან თურქეთის გავლით, ევროპას თურქმენეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის გაზს მიაწვდის. ანუ, ახალი გაზსადენი ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენს, მომავალში კი ტრანსკასპიურ გაზსადენს შეუერთდება, რომლის მშენებლობის საკითხსაც ამჟამად ევროკავშირი განიხილავს.*
*„ნაბუკოს" პროექტი ევროპისათვის რუსული გაზის რეალური ალტერნატივა გახდება. მისი მშენებლობის დაწყება 2008 წელს იგეგმება, ამოქმედება - 2012 წელს.*





კასპიის რეგიონის პოტენციალის გამოუყენებლობა „სიგიჟე იქნებოდა" - აცხადებენ ევროპაში. ეს მოსაზრება მით უმეტეს აქტუალური ხდება თუ გავითვალისწინებთ, რომ 2020 წლისთვის ევროპა მთლიანად იმპორტირებულ გაზზე იქნება დამოკიდებული.

სწორედ ასეთ პირობებში წამოიჭრა „ნაბუკოს" მშენებლობის შექმნის იდეა, რომელიც ევროპას ირანულ გაზს თურქეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, სლოვენიის და გერმანიის გავლით მიაწვდის. გაზსადენის საპროექტო ღირებულება 4,6 მილიარდი ევროა და ითვალისწინებს 3 300-კილომეტრიანი მილსადენის გაყვანას წელიწადში 30 მილიარდი კუბური მეტრი გაზის გასატარებლად კასპიიდან ავსტრიამდე. ავსტრიიდან კი გაზს ევროკავშირის სხვა წევრებს გაუნაწილებენ. სამშენებლო სამუშაოები 2008 წლისთვის უნდა დაიწყოს, „ნაბუკოს" ამოქმედება კი 2012 წელს იგეგმება. თუმცა სავარაუდოა ის ფაქტიც, რომ პროექტზე პირდაპირი გავლენა ექნება ამერიკას, თუ ის ირანში საბრძოლო ოპერაციების დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს.

ენერგეტიკული უსაფრთხოება პრიორიტეტია ევროკავშირის ფინანსთა თუ მრეწველობის, ენერგეტიკის თუ საგარეო საქმეთა მინისტრებისთვისო, აღნიშნა ვენაში მიღწეულ შეთანხმებაზე საუბრისას ევროკომისარმა ენერგეტიკის საკითხებში, ანდრის პიბალგსმა. პიბალგსის მდივანმა კი - ფარან ტარადელისმა რადიო „თავისუფლებასთან" ინტერვიუში განმარტა: **„გაზის იმპორტი შეგვიძლია კასპიის აუზიდან, ანუ ძირითადად აზერბაიჯანიდან, მაგრამ შესაძლებელია ამას დაემატოს ყაზახეთიც, თუ ტრანს-კასპიური გაზსადენი აიგება. შეგვიძლია გაზის იმპორტი ახლო აღმოსავლეთიდან, ირანიდან, ერაყიდან და ეგვიპტიდან - სხვა მილსადენით, რომელიც ერაყიდან თურქეთში უნდა გაიყვანონ. და შეგვიძლია გაზის იმპორტი რუსეთიდანაც - „ნაბუკოს" მეშვეობით - მილსადენ „ცისფერი ნაკადით".**

ევროკავშირს „ნაბუკო" მიაწვდის კასპიის გაზს მას შემდეგ, რაც რუსეთმა წელს უკრაინას შეუწყვიტა გაზის მიწოდება - ფასზე უთანხმოების გამო (როგორც უთუოდ გახსოვთ, ეს შუა ზამთარში მოხდა), ევროკავშირის ქვეყნები ცდილობენ მსგავსი საფრთხისაგან თავი დაიზღვიონ და საამისოდ აუცილებელ ზომას - ენერგორესურსების დივერსიფიკაციას მიმართავენ. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ევროკომისიისა და ხუთი ქვეყნის - თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთისა და ავსტრიის - შეთანხმებით, აიგოს მილსადენი კასპიური გაზით ევროკავშირის მოსამარაგებლად.

ევროკომისრის პრეს-მდივანმა რამდენიმე ქვეყანა ახსენა, მათ შორის ირანიც, რომლის გარშემოც დიდი უთანხმოებაა მისი ბირთვული პროგრამის გამო. აშშ ირანის წინააღმდეგ სანქციების დაწესების შესაძლებლობაზეც კი ლაპარაკობს, რაც, თუ მართლაც დაწესდა, ირანის გაზის ყიდვის აკრძალვასაც ნიშნავს. ამდენად, „ნაბუკოსთვის" გაზის წყაროდ ირანის გამოყენების პერსპექტივა, პოლიტიკური თვალსაზრისით, საჩოთირო საკითხია.

მაგრამ „ნაბუკოს" (გეგმის მიხედვით) უდიდესი ინვესტორის - ევროპის საინვესტიციო ბანკის - პრეს-მდივანი დუშან ონდრეიჩკა შემდეგ ფაქტორზე მიუთითებს: **„პროექტი „ნაბუქო" სრული მასშტაბით ამ საუკუნის მეორე ათწლეულამდე არ ამოქმედდება და ბევრი იმედოვნებს, რომ მანამდე ბევრ პოლიტიკურ საკითხს მოაგვარებენ".**

საინვესტიციო ბანკი აპირებს, თითქმის 5 მილიარდ ევროდ შეფასებული პროექტის მესამედი დააფინანსოს. დანარჩენ ხარჯს, როგორც პრეს-მდივანი ონდრეიჩკა განმარტავს, კერძო სექტორი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი იკისრებენ.

ბოლოს ისიც უნდა ითქვას, რომ გაზის პირველი პარტია 2011 წელს გაივლის მილსადენში, რომლის სახელწოდებაც - „ნაბუქო" - ეკონომიკურზე მეტად ისტორიულ-კულტურულ ასოციაციებს იწვევს.

**P.S.** მილსადენების მსოფლიო რუკაზე წყვეტილი ხაზებით, თუმცა უკვე გაჩნდა ახალი პროექტის - საქართველო-უკრაინა-ევროკავშირის გაზსადენის მონახაზი. წინასწარი მონაცემებით, 2 მილიარდ დოლარად შეფასებული გაზსადენი ბუნებრივ აირს კასპიის რეგიონიდან, საქართველოს და შავი ზღვის გავლით, უკრაინას, შემდეგ კი ევროპის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ქვეყნებს მიაწვდის. ამ პროექტის შესახებ პირველად რამოდენიმე თვის წინ, თბილისში ჩატარებულ „ნავთობის, გაზის, ენერგეტიკის და ინფრასტრუქტურის" საერთაშორისო კონფერენციაზე განაცხადეს. პროექტზე სპეციალურად შექმნილი კონსორციუმი მუშაობს. „მომავლის პროექტი", როგორც მას უკვე უწოდეს, კონკურენტუნარიანი იქნება. ამაში კონსორციუმის წევრები გვარწმუნებენ. გაივლის თუ არა საქართველოზე ევროპისკენ მიმავალი ბუნებრივი აირი, ამას დრო (და არა მარტო დრო) გვიჩვენებს.

# მსოფლიო ბირთვული ენერგიის დილემის წინაშე

## ევროპაში ქარი ბირთვული ენერგიის სასარგებლოდ ქრის

*ჩერნობილის მემკვიდრეობა ევროპაში კვლავაც სერიოზული დებატების თემაა. კატასტროფიდან ორი ათწლეულის შემდეგ ევროპის ანტიბირთვული დინების მიმართულების აშკარა ცვლა შეინიშნება. ევროპული ქვეყნები ახალი სადგურების მშენებლობას იწყებენ, ექვსჯერ მეტი სახელმწიფო კი ამას მომავალ ათწლეულში გეგმავს. თუმცა არიან ისეთი ქვეყნებიც, სადაც მიმდინარე ბირთვული პროგრამების შეჩერება იგეგმება. ევროპელი ექსპერტების შეფასებით, ევროპაში ქარი ბირთვული ენერგიის სასარგებლოდ ქრის.*

დიანა ჩაჩუა

მოკლე ექსკურსი ბირთვული ენერგიის ევროპულ რუკაზე: ფინეთი - გასულ წელს ბირთვული რეაქტორის მშენებლობა დაიწყო. საფრანგეთი - მსგავსი რეაქტორის მშენებლობის დასაწყებად ნებართვა მიღებულია. ბულგარეთი - ევროკავშირის გადაწყვეტილებით ქვეყანა ორ ბირთვულ რეაქტორს ხურავს, თუმცა ბელენეში ახალი სადგურის აშენებას გეგმავს. რუმინეთი - 15 წლიანი შესვენების შემდეგ ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა განაახლა. ჩეხეთი - ქვეყანას ათწლეულის ბოლოს კიდევ ორი ატომური ელექტროსადგურის ექნება.

1986 წელს, ჩერნობილის კატასტროფის შემდეგ ევროკავშირის ქვეყნებმა ბირთვული ელექტროსადგურების მშენებლობა 15 წლით აკრძალეს. თუმცა გასულ წელს ფინეთმა 15 წლიან ეპოპეას წერტილი დაუსვა, დაიწყო რა მესამე თაობის წყლის რეაქტორის შენებლობა. ხვათაშორის ეს სადგური ფრანგულმა კომპანია „არევამ" დააპროექტა, თავად ფინური ბირთვული ელექტროსადგური 2009 ამოქმედდება.

ფრანგულმა კომპანია Electricite de France-მ სახელმწიფო ტენდერში გაიმარჯვა, რის შედეგადაც ის საფრანგეთში ფინეთის მსგავს ბირთვულ რეაქტორს ააშენებს. თავად ჟაკ შირაკის განცხადებით, 2020 წლისთვის ქვეყანა სადგურის პილოტ-ვერსიას წარმოადგენს, რომელიც საფრანგეთის პრეზიდენტის თქმით, გაცილებით ეფექტური, თუმცა ამავე დროს გარემოს დაცვის თვალსაზრისით უსაფრთხო იქნება.

ბირთვული ენერგიისადმი დამოკიდებულება შეიცვალა იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ეს საკითხი მკაცრად დახურული იყო. მაგალითად, 1987 წლის რეფერენდუმის შემდეგ იტალიაში ოთხი ბირთვული რეაქტორი დაიხურა. იტალიის მრეწველობის მინისტრმა კლაუდიო სკაიოლამ ჯერ კიდევ იანვარში განაცხადა, რომ ბირთვული ტექნოლოგიების განვითარება იტალიის ენერგეტიკუილ პოლიტიკაში მნიშვნელოვან დგილს იკავებს.

ევროპულ ქვეყნებს შორის ბირთვული ენერგიის წარმოებაში ყველაზე აქტიური საფრანგეთია, სადაც ქვეყნის ელექტრომომარაგების 80 პროცენტი 58 ბირთვული რეაქტორით არის მიღებული. ქვეყანა კიდევ ერთი რეაქტორის აშენებას გეგმავს.

ახალი ბირთვული სადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით სერიოზული დებატები ელის წელს ბრიტანეთის მთავრობას.

მიზეზი, რომელიც ევროპული ქვეყნების ბირთვულ ენერგიისადმი ინტერესს ზრდის რუსეთიდან და ჩრდილოეთ აფრიკიდან ნავთობის და გაზის მოწოდების არასტაბილურობაა. და კიდევ ერთი დეტალი: მსოფიოში ნავთობის ფასების ზრდის ფონზე ატომური ენერგია ეკონომიკურადაც მიმზიდველი ხდება.

თუმცა გარემო აქ არანაკლები ფაქტორია. ბირთვული ენერგიის წარმოებისას არ გამოიყოფა ნახშიროჟანგი, რაც მეცნიერის შეფასებით გლობალური დათბობის გამომწვევი მთავარი მიზეზია. თუმცა, გავითვალისწინოთ ისიც, რომ კიოტოს პროტოკოლის თანახმად, ვროპულმა ქვეყნებმა ნახშიროჟანგის გამოყოფა ნიშვნელოვნად უნდა შეამცირონ.

ყველა ევროპული ქვეყანა ატომური ენერგიის გამოყენებას როდი ეთანხმება. შვეიცარია, შვედეთი, ბელგია, იტალია და გერმანია - ატომური პროგრამების შეჩერების თაობაზე მოლაპარაკებების აწარმოებენ. თუმცა შვედებმა აღნიშნული გეგმა უკვე ჩააგდეს. ბელგიაში კი, როგორც გაირკვა, დაგეგმვის ფედერალური ბიუროს შეფასებით, 2015 წლისთვის ბირთვული ენერგიის გამოყენების აკრძალვა კიოტოს პროტოკოლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ეწინააღმდეგება. ამ აკრძალვის გაუქმების წინადადებით გერმანიის მმართველი ქრისტიან-დემოკრატები გამოდიან.



ჩერნობილის კატასტროფიდან ოცი წლის შემდეგ ატომური ენერგეტიკის კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ენერგიის ეს წყარო კვლავაც ინარჩუნებს მწვავე რისკებს. მათი განცხადებით, მართალია, ერთ დროს ესპერტები ბირთვული ენერგიის უსაფრთხოების შესახებ დაობდნენ, თუმცა ეს ჩერნობილამდე იყო. მათი თქმით, ჯერ არავის გამოუგონებია მაღალი რადიაქტიული ნარჩენების აღმოფხვრის გზები, ურანის მარაგები კი ძალიან მცირეა იმისთვის, რათა ბირთვულ ელექტროსადგურებში საწვავის სტაბილურობა იქნა უზრუნველყოფილი. ანტიბირთვული აქტივისტების არგუმენტით, ევროპული ქვეყნებისთვის პრიორიტეტული ქარის და მზის ენერგია უნდა გახდეს.

როგორც Wuppertal Institute for Climate, Environment and Energy-ს დირექტორი ჰერმან ოტი ვარაუდობს: **„ეს თემა 20 წლის განმავლობაში მწვავე დებატების საკითხი იქნება. ენერგიის განახლებად წყაროებს წიაღისეული საწვავის ჩანაცვლების პოტენციალი გააჩნიათ, თუმცა თუ ეს უახლოეს მომავალში არ მოხდება, ბირთვული რეაქტორების გავლენა კიდევ უფრო გაიზრდება."**

საინტერესოა, რომ იმავე გერმანიაში მოსახლეობის ბირთვულ ენერგიას მხოლოდ 38 პროცენტი მიესალმება. თუმცა, ევროკავშირის მიერ გასულ წელს ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ევროპის მასშტაბით ბირთვულ ენერგიას მოსახლეობის მხოლოდ 55 პროცენტი ეწინააღმდეგება.

### ევროპელობის ფასად

ევროკავშირში გაერთიანების მოლოდინში ბულგარეთს კოზლოდუის ბირთვული ელესტროსადგურის ორი - მე-3 და მე-4 რეაქტორების გამორთვა მოუწევს. ევროკავშირის გადაწყვეტილებით, აღნიშნული რეაქტორები უსაფრთხოების ნორმებს არ შეესაბამება და რეგიონისთვის საშიშია.

ბულგარეთის მთავრობა რეაქტორების გამორთვის შედეგად მიღებულ ზარალს 1.4 ბილიონ ევროდ აფასებს.

ბულგარეთი რეგიონში ელექტროენერგიის ექსპოერტიორი ქვეყანაა. საბერძნეთი, მაკედონია, რუმინეთი და ალბანეთი სწორედ კოზლოდუის მიერ გამომუშავებულ დენს მოიხმარენ. ცნობისათვის, 2003 წელს ამ სადგურის საშუალებით, ბულგარეთმა რეგიონში ელექტროენერგიის მოხმარების 90 პროცენტი დაფარა.

2007 წლის დასაწყისისთვის მე-3 და მე-4 რეაქტორების დახურვის შემთხვევაში, ბულგარეთი მეზობელ ქვეყნებში დენის ექსპორტის გარეშე დარჩება, მეზობელ ქვეყნებს ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტს შეუქმნის.

2005 წელს კოზლოდუის მიერ გამომუშავებულმა ელექტროენერგიამ ქვეყანაში გამომუშავებული ენერგიის 42 პროცენტი შეადგინა.

არგუმენტი რატომაც ბულგარეთი აღნიშნული რეაქტორების დახურვა ეწინააღმდეგება შემდეგია: ჩეხეთის, სლოვაკეთის და ფინეთის ბირთვულ ელექტროსადგურებში იგივე ტიპის რეაქტორებია გამოყენებული რაც კოზლოდუიში. მეტიც, კოზოლდუის აღმასრულებელი დირექტორი ივან ივანოვი და ბულგარელი პარლამენტარი ივან გრიზანოვი ევროკავშირის აღნიშნულ გადაწყვეტილებას ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებით განპირობებულს უწოდებენ.

როგორც „24 საათს" ბულგარეთის ენერგეტიკის სამინისტროში განუცხადეს, კოზლოდუის ბირთვული სადგური ბულგარეთის მდგრადი განვითარების მთავარი ფაქტორია. ამიტომაც, ბულგარელი ექსპერტები შეფასებით, კოზლოდუის მე-3 და მე-4 რეაქტორების დახურვა რეგიონის სოციალურ სტაბილურობაზე უარყოფითად იმოქმედებს.

შეგახსენებთ, რომ კოზლოდუიში ანალოგიური გადაწყვეტილების თანახმად, უკვე გამორთულია პირველი და მე-2 რეაქტორები, რის შედეგადაც ქვეყანაში ელექტროენერგიის ფასმა 26 პროცენტით მოიმატა. მე-3 და მე-4 რეაქტორების გამორთვის შემდეგ ბულგარეთში ფასების მორიგ ზრდას ელიან. მეტიც, კოზლოდუის აღმასრულებელი დირექტორის განცხადებით, საბოლოო მომხმარებლისთვის ფასი შესაძლოა 100 პროცენტითაც კი გაიზარდოს.

საინტერესო დეტალი: აღნიშნული რეაქტორების დახურვისთვის ერვოკავშირი ბულგარეთს 550 მილიონ ევროს გამოუყოფს. კერძოდ, 350 მილიონი ევრო 2007-2009 წლებში იქნება გადმორიცხული.

სხვატაშორის, ბულგარეთში ამ ორი ბირთვული რეაქტორის გამორთვის გადახედვის საკითხი ევროკომისარმა ჯეფრი ვან ორდენმა დააყენა. ამ ფაქტს ბულგარეთში პოზიტიურად აფასებენ და მიიჩნევენ, რომ რეაქტორების შენარჩუნება დადებითად იმოქმედებს როგორც რეგიონზე, ასევე ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოებზე.

### მცირე სტატისტიკა

ევროკავშირის ენერგეტიკაში ბირთვული ენერგიის წილი 32 პროცენტია, განახლებადი ენერგიის წყაროების - 1.2 პროცენტი, გაზის - 16 პროცენტი, ნავთობის - 6 პროცენტი, ჰიდრო რესურსების კი - 13 პროცენტი.

და ბოლოს: ბირთვული ენერგიის წილი მსოფლიო ენერგეტიკაში 17 პროცენტია. 2005 წლის ბოლოსთვის მსოფლიოში 442 ბირთვული ელექტროსადგური იყო დაფიქსირებული. პირველი სადგური რუსეთში, ობნინსკში 1954 წელს აშენდა. ყველაზე მძლავრი სადგური საფრანგეთში, ჩუზშია (1455 კვ.). ბირთვული ელექტროსადგური მსოფლიოში სულ 31 ქვეყანას აქვს, ამასთან კიდევ 24 სადგური შენდება. 2000 წელს ბირთვული ელექტროენერგიის 3 ახალი სადგური ამოქმედდა. ესპლუატაციიდან გამოყვანილი ბირთვული სადგურების რაოდენობა 17 შეადგენა, სულ დახურულია 117 ბირთვული ელექტროსადგური.

# ფიზიკიდან დიდ პოლიტიკამდე



ფრანსისკო ხავიერ სოლანა მადარიაგა 1942 წლის 14 ივლისს ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში, ერთ-ერთ ცნობილ ოჯახში დაიბადა. ის ესპანეთის ერთა განიარაღების ლიგის მეთაურის, დიპლომატის, მწერლის და ევროინტეგრაციონისტის სალვადორ დე მადარიაგას შვილიშვილია. ხავიერ სოლანას მამა ქიმიის პროფესორი, ხოლო დედა კი მწერალი იყო.

კათოლიკური საშუალო სკოლის, ელ პილარის კოლეჯის დამთავრების შემდეგ ხავიერ სოლანამ სწავლა ჯერ კომპლუტენსის უნივერსიტეტში, ხოლო შემდგომ ესპანეთის სამეცნიერო კვლევების უმაღლეს საბჭოში გააგრძელა.

1964 წელს სოლანა აშშ-ში გაემგზავრა, სადაც ის ფულბრაიტის სტიპენდიით 5 წლის განმავლობაში ეუფლებოდა ცოდნას ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტებში. ხავიერ სოლანამ საფუძვლიანად შეისწავლა ფიზიკა ისეთ უმაღლესი განათლების დაწესებულებებში, როგორებიც არის კალიფორნიის, ჩიკაგოს, ლა-იოლას უნივერსიტეტები. 1968 წელს ხავიერ სოლანა ვირჯინიის უნივერსიტეტის დოქტორი ხდება ფიზიკის სფეროში, სადაც ის 1971 წლიდან ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას.

ესპანეთში დაბრუნების შემდეგ, ხავიერ სოლანა ლექციებს კითხულობს ფიზიკის სფეროში, ხოლო 1975 წელს კომპლუტენსის უნივერსიტეტის პროფესორი ხდება. მთელი ამ დროის განმავლობაში სოლანამ 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნა. მან ბოლო სადოქტორო დისერტაცია 1990 წელს დაიცვა.

აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად ხავიერ სოლანა მეტად აქტიურად მონაწილეობდა ესპანეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. კომპლუტენსის უნივერსიტეტში სწავლის დროს, 1963 წელს ხავიერ სოლანა როგორც სტუდენტი დაკავებული იქნა ოპოზიციური ფორუმის მოწყობის გამო. 1964 წელს ის ესპანელ სოციალურ მუშაკთა პარტიის წევრი ხდება. აღსანიშნავია, რომ ესპანეთის სამოქალაქო ომის დასრულებამდე (1939 წელი) სოციალისტების პარტია ესპანეთში არალეგალური სტატუსით სარგებლობდა, ვინაიდან ის ფრანკოს მმართველობას და მის რეჟიმს ეწინაალმდეგებოდა.

პოლიტიკური აქტივობა ხავიერ სოლანას არც ამერიკაში სწავლის დროს დაუკარგავს და იქ ყოფნის დროს მომავალი დიპლომატი აშშ-ში გამართულ ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციებს შეუერთდა.

ესპანეთში დაბრუნების შემდეგ, ხავიერ სოლანა კომპულტენსის უნივერსიტეტის მასწავლებელთა გაერთიანების წარმომადგენლის რანგში პარლამენტის წევრი ხდება სოცლიალისტური პარტიიდან. 1982 წლის ოქტომბერში სოციალისტურმა პარტიამ ხმების უმრავლესობა და შესაბამისად 350 ადგილი მიიღო პარლამენტის ქვედა პალატაში. ამის შემდგომ სოლანა ჯერ კულტურის, ხოლო 1988 წლიდან კი განათლების მინისტრად გვევლინება. საყურადღებოა ისიც, აღნისნული თანამდებობების პარალელურად სოლანა სახელმწიფოს ოფიციალური სპიკერის თანამდებობას იკავებდა (1985 წლიდან).

1992 წლის 22 ივლისს ხავიერ სოლანა ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა.

საყურადღებოა, რომ ამ პერიოდის პრესაში ხშირად იყო ლაპარაკი იმაზე, რომ სოლანა სოციალისტური პარტიის იმჟამინდელი ხელმძღვანელის ფილიპ გონსალესის შემცვლელად მოიაზრებოდა, თუმცა ამ უკანასკნელმა პარტიის თავმჯდომარეობას საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში მოღვაწეობა არჩია. 1995 წლიდან მოყოლებული, როდესაც ხავიერ სოლანა ნატოს გენერალური მდივნის პოსტზე იქნა არჩეული, ის მნიშვნელოვანი ფიგურა ხდება და დიდ როლს თამაშობს არა მარტო ესპანეთში, არამედ საერთაშორისო პოლიტიკაში. სოლანას მიერ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელის პოსტის დაკავების შემდეგ, დაიწყო საჯარო განხილვები იმის თაობაზე, რომ სოლანა ესპანეთის ნატოში გაწევრიანებას ეწინააღმდეგებოდა. ერთის მხრივ პარადოქსული მოვლენაა, თუმცა ფაქტია, რომ ადამიანი, რომელიც ნატოში თავისი ქვეყნის გაწევრიანებას უარყოფითად აფასებდა, ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელი გახდა. ხავიერ სოლანამ ბროშურაც კი გამოუშვა სათაურით „50 მიზეზი იმისათვის, რომ ნატოს უთხრა უარი", სადაც კარგად იყო დასაბუთებული აღნიშნულ საკითხთან ესპანელი დიპლომატის პოზიცია, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ 1982 წელს ესპანეთის ნატოში გაწევრიანების შემდეგ სოლანამ და სოციალისტური პარტიის წარომადგენლებმა ანტი ჩრდილო ატლანტიკური დამოკიდებულება შეიცვალეს და პროამერიკულ, პროატლანტიკურ კურსს დაუჭირეს მხარი.





ნატო-ს გენერალური მდივნის პოსტზე ყოფნის პერიოდში ხავიერ სოლანა ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ის მოხარული იყო ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელობით, რადგან ეს ორგანიზაცია ბოლო პერიოდში სრულიად განთავისუფლდა ცივი ომის დროინდელი გადმონაშთებისაგან. აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ სოლანას ხელმძრვანელობით მოხდა ნატო-ს პოლიტიკური და სამხედრო სტრუქტურების რეორგანიზაცია, შეიცვალა მისი საბაზო და სტრატეგიული პრიორიტეტები.

> ევროპის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი, ევროპული საბჭოს გენერალური მდივანი, პროფესიით ფიზიკოსი ხავიერ სოლანა უკვე 13 წელია, რაც საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში მოღვაწეობს.

გენერალური მდივნის პოსტზე ყოფნის პერიოდში ხავიერ სოლანა სათავეში ჩაუდგა ნატოს ოპერაციას ბალკანეთში (Joint Endeavor). სოლანას ხელმძრვანელობის პერიოდში ნატომ 1997 წელს წარმატებით დაასრულა რუსეთთან მოლაპარაკებები და ხელი მოაწერა აღნიშნულ მხარეებს შორის შეთანხმებას, რაც ცივი ომისდროინდელი კონფრონტაციის დასრულებას კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს. ხავიერ სოლანას ინიციატივით შეიქმნა ჩდრილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო, რომლის ძირითად მიზანს ნატო-ს წევრ და არაწევრს ქვეყნებს, (ძირითადად პოსტ-საბჭოთა სივრცეს) შორის ურთიერთობების გაუმჯობესება წარმოადგენდა.

> ერთი მხრივ პარადოქსული მოვლენაა, თუმცა ფაქტია, რომ ადამიანი, რომელიც ნატო-ში თავისი ქვეყნის გაწევრიანებას უარყოფითად აფასებდა, ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივანი გახდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ 1982 წელს ესპანეთის ნატო-ში გაწევრიანების შემდეგ სოლანამ და სოციალისტური პარტიის წარომადგენლებმა „ანტინატოური" დამოკიდებულება შეიცვალეს და პროამერიკულ, პროატლანტიკურ კურსს დაუჭირეს მხარი.

უდავოდ, დიდია ხავიერ სოლანას წვლილი ნატოს თავდაცვის სისტემის რეფორმირებაში. შემუშავებული ახალი სტრატეგიული ხედვის მიხედვით, ნატოს მიეცა უფლება ჩარეულიყო კრიზისულ სიტუაციებში. საყურადღებოა, რომ ეს ცვლილება ნატომ იუგოსლავიაში განხორციელებული ოპერაციის შემდეგ შეიმუშავა.

1999 წლის 3-4 ივნისს სოლანა ევროპის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი და, ამავდროულად, ევროპული საბჭოს გენერალური მდივანი ხდება. 20 ნოემბრიდან სოლანა ზემოაღნიშნული თანამდებობების პარალელურად დასავლეთ ევროპის კავშირის გენერალურ მდივნად გვევლინება. 2003 წლის დეკემბერში ესპანელმა დიპლომატმა განსაზღვრა ევროკავშირის უსაფრთხოების სტრატეგია, რომელიც სხვადასხვა საფრთხეებთან ერთად ტერორიზმის საფრთხესაც მოიცავდა.

2005 წელს ხავიერ სოლანა დამაჯერებლად მოუწოდებდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს საერთო კონსტიტუციის პროექტის რატიფიცირებისაკენ, რადგან მისი აზრით ევროპის ერთიანი კონსტიტუცია ევროკავშირის წევრი ქვეყნების უსაფრთხოებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია.

ხავიერ სოლანას მოღვაწეობის პერიოდში თანდათანობით იზრდებოდა მისი, როგორც დიპლომატის ავტორიტეტი. მან მონაწილეობა მიიღო არაერთ მნიშვნელოვან ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში, ისევე როგორც ევროკავშირის, ასევე ახლო აღმოსავლეთისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან, მათ შორის ბოლივიასთან და კოლუმბიასთან. ხავიერ სოლანა აქტიურად მოუწოდებდა მონტენეგროს, რომ სერბიისაგან სრული დამოუკიდებლობის მიღწევაზე ბევრად უფრო მომგებიანი ამ უკანასკნელთან რაიმე სახის კავშირის შექმნა იქნებოდა.

ხავიერ სოლანამ დიდი როლი შეასრულა ასევე პალესტინა-ისრაელის კონფლიქტთან დაკავშირებული რეზოლუციის მომზადებაში.

2004 წლის ნოემბერში ხავიერ სოლანა აქტიურად უწევდა დახმარებას დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და გერმანიას თეირანთან მოლაპარაკებებში, რაც ირანის ბირთვული პროგრამის შეწყვეტას ისახავდა მიზნად. ესპანელი დიპლომატი ასევე ჩართული იყო უკრაინაში არჩევნების შემდგომ მიმდინარე პროცესებში. მან 2005 წლის 21 იანვარს ევროკავშირში უკრაინის გაწევრიანების საკითხის განხილვის მიზნით პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო მიიწვია.

> ერთხელ, როდესაც გენერალმა ვესლი კლარკმა ჰკითხა ხავიერ სოლანას, თუ რა იყო მისი დიპლომატიის საიდუმლო, ესპანელმა პოლიტიკოსმა უპასუხა: „არასოდეს გაიჩინო მტრები და არასოდეს დასვა ისეთი კითხვა, რომელზე პასუხი თვითონაც არ იცი".

ერთხელ, როდესაც გენერალმა ვესლი კლარკმა ჰკითხა ხავიერ სოლანას, თუ რა იყო მისი დიპლომატიის საიდუმლო, ესპანელმა პოლიტიკოსმა უპასუხა: **„არასოდეს გაიჩინო მტრები და არასოდეს დასვა ისეთი კითხვა, რომელზე პასუხი თვითონაც არ იცი"**.





# დეცენტრალიზებული თანამშრომლობის პროგრამა

## იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერა

*ევროკომისია აცხადებს კონკურსს პროექტებისთვის, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოში შიდა კონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერას.*
*კონკურსი ტარდება ევროკავშირის დეცენტრალიზებული თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში. ამ პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული საორიენტაციო თანხა შეადგენს 500,000 ევროს.*



**დეცენტრალიზებული თანამშრომლობის პროგრამის** მიზანია იმ ინიციატივებისა და ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლებიც აღრმავებს კავშირს დახმარებას, რეაბილიტაციასა და განვითარებას შორის „დაძაბული თანამშრომლობის პირობებში“. პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ პრიორიტეტებს:

**პრიორიტეტი 1:** იმ არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერებას, რომლებიც იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტერესებს წარმოადგენენ, ან ამ პრობლემატიკაზე მუშაობენ.

**პრიორიტეტი 2:** იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებზე სამოქალაქო საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის (მათ შორის ადგილობრივი ხელისუფლება) სოციალური და პოლიტიკური დიალოგის ხელშეწყობა.

**პრიორიტეტი 3:** იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვა და მათი ინტეგრაცია საქართველოს საზოგადოებაში იმ ინიციატივების ხელშეწყობით, რომლებიც ეხმაურება იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნებს.

ამ პროგრამის ფარგლებში გაცემული გრანტის ოდენობა განისაზღვრება შემდეგი მინიმალური და მაქსიმალური თანხით:

- მინიმალური თანხა: 50.000 ევრო
- მაქსიმალური თანხა: 100.000 ევრო

გრანტი არ შეიძლება იყოს ღონისძიებისთვის/პროექტისთვის განსაზღვრული მთლიანი თანხის 50%-ზე ნაკლები ან 90%-ზე მეტი.

განაცხადების შემოტანის მსურველებს პროგრამის შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ ინტერნეტ მისამართზე: http://ec.europa.eu/comm/europeaid/cgi/frame12.pl (მარცხენა ფანჯარაში მონიშნეთ „open“ და „grants“)

განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა **2006 წლის 29 აგვისტო,** თბილისის დროით 16.00 საათი. განაცხადი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს **ინგლისურ ენაზე**.

ამასთანავე, 7 აგვისტომდე შესაძლებელია შეკითხვების გამოგზავნა ელექტრონული ფოსტით განცხადების რეგისტრაციის ნომრის მითითებით შემდეგ მისამართზე - Delegation-Georgia@ec.europa.eu

შეკითხვები შესაბამის პასუხებთან ერთად, რომლებიც შეიძლება სხვა განმცხადებლებისთვისაც საინტერესო იყოს, გამოქვეყნდება ვებ-გვერდზე: http://ec.europa.eu/comm/europeaid/cgi/frame12.pl

# სათემო რადიოს განვითარების პროექტი საქართველოში

საქართველოში პირველად, სათემო რადიოს პოტენციალი გამოყენებული იქნება ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების საჭიროებათა საპასუხოდ და უფლებების განსამტკიცებლად. ამ მიზანს ისახავს საქართველოში სათემო რადიოს განვითარების პროექტი, რომელიც დააფინანსა ევროკავშირმა და თბილისში ბრიტანეთის საელჩოს მეშვეობით თანადააფინანსა გაერთიანებული სამეფოს კონფლიქტის პრევენციის გლობალურმა ფონდმა. ფართო საზოგადოებასა და მედიას ამ პროექტს 2006 წლის 7 ივლისს, 4:30 სთ-ზე, სასტუმროში „თბილისი მერიოტი“ (თამარ მეფის დარბაზი) წარუდგენენ.

პროექტს ახორციელებენ ბი-ბი-სი უორლდ სერვის ტრასტი, თბილისში ბაზირებული ასოციაცია „სტუდია რე“ და საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭო ევროპა. პროექტის მიზანი ორი მდგრადი სათემო რადიოსადგურის დაარსებაა ნინოწმინდისა (ჯავახეთი) და მარნეულის (ქვემო ქართლი) ეთნიკურ ანკლავებში. სადგურები უმეტესწილად უმცირესობათა ენებზე იმაუწყებლებენ და მათ საქმიანობას ადგილობრივი ჟურნალისტები წარმართავენ. რადიოსადგურების მართვასა და პროგრამების მომზადებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ მოხალისეები.

ადგილობრივი ჟურნალისტები და მოხალისეები გაეცნობიან მაუწყებლობის საფუძვლებს, შეიძენენ მართვისა და რადიო პროგრამების მომზადების უნარ-ჩვევებს. ამ სწავლების მეშვეობით პროექტი უზრუნველყოფს რადიოსადგურების მდგრადობას და წვლილს შეიტანს ადგილობრივი კულტურული ღირებულებების შენარჩუნებასა და პოზიტიურ რეპრეზენტაციაში. უმცირესობათა ჯგუფებსა და ამ ახალ მედია საშუალებებს შორის ნდობის ჩამოყალიბებით, პროექტი წაახალისებს ადრე მარგინალიზებულ ინდივიდებს გამოიჩინონ მეტი ინიციატივა და მონაწილეობა მიიღონ ღია დებატებში. პროექტი წვლილს შეიტანს ქართული მედიის საშუალებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების პოტენციალის მშენებლობაში მიზნობრივ რეგიონებს ფარგლებს გარეთაც.

თვრამეტი თვის განმავლობაში სულ ცოტა 120 ჟურნალისტი ქართულენოვანი მედიიდან შეისწავლის, თუ როგორ უნდა გააშუქოს მრავალფეროვნება. სასწავლო კურსი მათ არა მხოლოდ იმაში დაეხმარება, რომ დადგნენ სოციალურ სტერეოტიპებზე მაღლა, არამედ იმის გაცნობიერებაშიც, თუ რა შეიძლება მოჰყვეს უპასუხისმგებლო ჟურნალისტიკას მულტიეთნიკურ საზოგადებაში. ორმოცდარვა რედაქტორს ასევე მიეცემა შესაძლებლობა, რედაქციის მართვის უნარ-ჩვევები გაიუმჯობესოს.

დამატებით, არასამთავრობო ორგანიზაციების 32 წარმომადგენელი გაივლის სწავლებას მედიასთან ურთიერთობის თაობაზე. სასწავლო კურსი ხელს შეუწყობს ურთიერთობას მედია საშუალებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის და საშუალებას მისცემს საქართველოს მედიას უფრო ეფექტური კავშირი დაამყაროს უმცირესობათა ჯგუფებთან.

ორი სათემო რადიოს დაარსებით აზერბაიჯანელი და სომეხი უმცირესობებისათვის და ჟურნალისტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა სწავლების მეშვეობით, პროექტი გააძლიერებს მედიის უნარს, მოიცვას და წარმოადინოს საზოგადოების ფართო სფექტრი. პროექტი ხელს შეუწყობს მედია საშუალებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასევე მედიასა და თემის ლიდერებს შორის კავშირების დამყარებას.

**ბრიტანეთის საელჩო თბილისში, კონფლიქტის პრევენციის გლობალური ფონდი.** 2001 წელს ჩატარდა სიღრმისეულ კვლევათა სერია, რომლის მიზანი იყო გაეუმჯობესებინა გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მიდგომა და ეფექტურობა კონფლიქტის პრევენციის კუთხით. კვლევის დასრულების შემდეგ კონფლიქტის პრევენციის ორი ფონდი შეიქმნა. მათგან ერთმა მოიცვა საბსაჰარის რეგიონი აფრიკაში, ხოლო მეორემ - მსოფლიოს დანარჩენი ნაწილი. რუსეთის/დსთ-ის მიმართ სტრატეგიის მთავარი მიზანი არის „რუსეთის/დსთ-ის რეგიონში კონფლიქტის პრევენცია და შესუსტება, და მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობა სახელმწიფოს გაუმჯობესებული მართვის, შემდგომი დემოკრატიზაციის და რეგიონში პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის გააქტიურების გზით.“ ძირითადი ამოცანებია **სამოქალაქო საზოგადოების** პოტენციალის გაძლიერება, რათა მან კოლექტიურად შეიტანოს წვლილი ინიციატივებში კონფლიქტის პრევენციის მიმართულებით ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეებზე, ასევე **რეგიონულ მედიაში** პროფესიული სტანდარტების გაუმჯობესების მხარდაჭერა, სადაც კი ეს დაკავშირებული იქნება კონფლიქტის პრევენციასთან; გააძლიეროს **სამთავრობო ინსტიტუტების პოტენციალი** ითანამშრომლონ **სამოქალაქო საზოგადოებასთან** ადგილობრივ, სამთავრობო და ეროვნულ დონეზე ისე, რომ მინიმუმამდე დაიყვანონ კონფლიქტი; შეამციროს პოლიტიკური, სოციალური, ეთნიკური და რელიგიური დაძაბულობა კონფლიქტური გამყოფების გასწვრივ და ხელი შეუწყოს ხალხის კონტაქტს ხალხთან და **ნდობის შენების უფრო ფართომასშტაბიან ზომებს** ზემოაღნიშნულ ადგილებში; ხელი შეუწყოს ეფექტური, ანგარიშვალდებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე **უსაფრთხოების სისტემის** შექმნას; ხელი შეუწყოს **პოლიტიკური გადაწყვეტის** შემუშავებას მიმდინარე კონფლიქტების მოსაგვარებლად; და წაახალისოს კონფლიქტის მოგვარება **მიკრო და მაკროეკონომიკური განვითარების** მეშვეობით კონფლიქტური და პოსტკონფლიქტური ზონების შიგნით და ირგვლივ, და რეგიონულ დონეზე. კონფლიქტის პრევენციის გლობალური ფონდის სტრატეგია საქართველოსთვის მოიცავს ისეთი პირობების შექმნის ხელშეწყობას, რაც ხალხს საშუალებას მისცემს, იცხოვროს და იმუშაოს უსაფრთხოდ და ღირსეულად, ასევე კონფლიქტებისათვის გრძელვადიანი პოლიტიკური გადაწყვეტის შესამუშავებლად საჭირო პროცესის მხარდაჭერას.

6) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 28 აპრილს N91-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული კავშირგაბმულობის სახაზო მეურნეობის, უმავთულო რადიოკავშირის, რიკოთის საუღელტეხილო გადასასვლელის საკონტროლო გამშვები პუნქტის მოწყობილობებისა და საქალაქთაშორისო კომუტატორის მომსახურების (მოვლა-შენახვა) შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "ტელ-რადი"

7) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 23 მარტს N62-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა ლოტებად დაყოფილ, სახიდე გადასასვლელების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას:

ლოტი N1: თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის 155-ე კმ.-ზე, მდ. შრომისხევზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ლოტი N2: სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის 49-ე კმ.-ზე, მდ. სუფსაზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ლოტი N3: წალკის რაიონის, სოფ. კიარიაკიდან სოფ. ჩივტ კილისამდე მისასვლელი საავტომობილო გზის მე-2 კმ.-ზე არსებული ქვის წყობის თაღოვანი ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ლოტი N4: ქ. ქარელთან მისასვლელი საავტომობილო გზის მე-3 კმ.-ზე, მდ. მტკვარზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ლოტიN5: ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზაზე, სოფ. ჩინთთან, მდ. არაგვზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

გამარჯვებულად გამოცხადდა: პირველ ლოტზე ინდ. საწარმო "ვერელი", მეორე ლოტზე შ.პ.ს. "გზამშენებელი 13"

8) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 8 მაისს N98-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა ლოტებად დაყოფილ ხელოვნურ ნაგებობათა სარეაბილიტაციო და აღდგენითი სამუშაოების შესყიდვას:

ლოტი N1 ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზაზე, სოფ. ჩინთთან, მდ. არაგვზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ტენდერი ცხადდება ხელმეორედ);

ლოტი N2: საჩხერის რაიონში სტიქიის შედეგად დაზიანებული ადგილობრივი მნიშვნელობის სოფ. უზუნთასთან მისასვლელი, საავტომობილო გზაზე მდებარე ხიდის აღდგენა;

ლოტი N3: შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის 42-ე კმ.-ში არსებული მილის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

გამარჯვებულად გამოცხადდა, მეორე და მესამე ლოტზე ინდ. საწარმო "ვერელი"

9) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 11 აპრილს N78-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.153-კმ.154 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "გზამშენი 5"

10) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 9 მაისს N100-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა საგარეჯო-უდაბნო-გარეჯის მონასტრის საავტომობილო გზის კმ.2(0.7)-კმ.12 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა ქართულ-თურქული ერთობლივი კომპანია შ.პ.ს. "ბლექ სი გრუპი"

11) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 8 მაისს N98-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.16(0.6)-კმ.20(0.2) მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა ქართულ-თურქული ერთობლივი კომპანია შ.პ.ს. "ბლექ სი გრუპი"

12) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 25 მაისს N114-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა გორის რაიონში, სოფ. უფლისციხესთან მისასვლელი საავტომობილო გზის კმ.1-კმ.7 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "საგზაო სამშენებლო სამმართველო N1"

13) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 31 მაისს N118-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა ლოტებად დაყოფილი საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების სამუშაოების შესყიდვას:

ლოტი-1: ლისის ტბა-ლისი-წოდორეთი-ბევრეთის ს/გზის კმ1-კმ8(0.25) მონაკვეთის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები;

ლოტი-2: ლისი-მუხაწყარო-მსხალდიდი-ნახშირგორა-წყლულეთის ს/გზის კმ1-კმ7 მონაკვეთის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები;

ლოტი-3: შულავერი-შაუმიანი-სიონი-წერაქვის ს/გზის კმ1-კმ22 მონაკვეთის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები;

ლოტი-4: ხობი-საჯიჯაო-ლესიჭინეს ს/გზის კმ1-კმ25 მონაკვეთის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები;

ლოტი-5: ზუგდიდი-ჯიხაშკარი-ჩხოროწყუს ს/გზის კმ1-კმ28 მონაკვეთის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები;

გამარჯვებულად გამოცხადდნენ ლოტების მოხედვით, პირველ ლოტზე შ.პ.ს. "ცეკური", მეორე ლოტზე შ.პ.ს. "კარისა", მესამე ლოტზე შ.პ.ს. "ქცია", მეოთხე ლოტზე შ.პ.ს. "შარა-გზამშენი პირველი", მეხუთე ლოტზე შ.პ.ს. "ზუგდიდის საგზაო სამმართველო"

14) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 28 აპრილი N91-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის კმ.89-კმ.96 ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთის (გვირაბით) მშენებლობის მე-2 ეტაპის სამუშაოებიდან გადაუდებლად შესასრულებელი სამუშაობის შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "დტს"

15) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 10 ივნისს N127-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა ლოტებად დაყოფილი სამუშაოების შესყიდვას:

ლოტი-1: ბათუმი-ახალციხის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო კმ.4(0.2)-კმ.16 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ლოტი-2: სენაკი-ფოთი-სარფის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის კმ.120, კმ.121(0.34), კმ.122(0.10) მონაკვეთების მიწის ვაკისის აღდგენის სამუშაოები;

გამარჯვებულად პირველ ლოტზე გამოცხადდა შ.პ.ს. "ზიმო 7"

16) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 3 ივნისს N121-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა ჩოხატაურის რაიონში სტიქიის შედეგად დაზიანებული, ჩოხატაური-ბახმაროს საავტომობილო გზის კმ20, კმ21, კმ23, კმ24, კმ25, კმ26 და კმ28-ში ნაპირსამაგრი სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "გზა"

17) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 3 ივნისს N121-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის კმ.33-კმ.34 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა შ.პ.ს. "გზამშენი 4"

18) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 10 ივნისს N127-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა ლოტებად დაყოფილი სამუშაოების შესყიდვას:

ლოტი-1: თბილისი-სენაკი-ლესელიძის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის 87-ე კილომეტრში დამეწყრილი მიწის ვაკისის დროებითი ღონისძიების სამუშაოები;

ლოტი-2: სენაკი-ფოთი-სარფის საერთაშორისო მნიშვნელობის ს/გზის 79-ე კილომეტრში (ბობოყვათის სამთავრობო რეზიდენცია) სადრენაჟო სისტემის მოწყობის სამუშაოები.

ლოტი-3: თიანეთი-ახმეტა-ფშაველი-ნინიგორის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ს/გზის კმ.26-კმ.27 მონაკვეთის სტიქიის შედეგად დაზიანებული მიწის ვაკისის აღდგენის სამუშაოები;

ლოტი-4: ამბროლაურის რაიონში ბუგეულა-ბარეული-გორისუბნის ადგილობრივი მნიშვნელობის ს/გზის მე-5 კილომეტრში მიწის ვაკისის აღდგენის სამუშაოები;

ლოტი-5: მერია-თხინვალი-შრომა-ურეკის ადგილობრივი მნიშვნელობის ს/გზის მე-16 კილომეტრში, მიწის ვაკისის ჩაწყვეტილი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

გამარჯვებულად გამოცხადდა მეოთხე ლოტზე შ.პ.ს. "ამბროლაურგზა 7"

19) გაზეთ "24 საათში"-ში 2006 წლის 10 ივნისს N127-ში გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა ლოტებად დაყოფილი სამუშაოების შესყიდვას:

ლოტი-1: თბილისი-სენაკი-ლესელიძის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის კმ.119(0.6)-კმ.134(0.3) მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოები;

ლოტი-2: ზაჰესი-მცხეთა-კავთისხევი-გორის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის კმ.1-კმ.4.5 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოები;

ლოტი-3: გორი-ცხინვალი-გუფთა-ჯავა-როკის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის კმ.3-კმ.12 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოები.

ლოტი-4: გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზის კმ.69-კმ.70 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოები.

ლოტი-5: სენაკი-ნოქალაქევი-ბანძა-ხონის საავტომობილო გზის კმ.1-კმ.21(0.5) მონაკვეთის პერიოდული შეკეთება

გამარჯვებულად გამოცხადდა მეოთხე ლოტზე შ.პ.ს. "ჭიათურის საგზაო"

სატენდერო კომისია.

# საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან მიიღო სესხი პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და აპირებს ამ სესხის ნაწილით დააფინანსოს ***შიდა ქართლის რეგიონის ქარელის რაიონის 7 სოფლის*** (იხ. ცხრილი) ***პირველადი ჯანდაცვის დაწესებულების (პჯდ) სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოები***

| რაიონი | ობიექტი | ფართი (მ2) |
|---|---|---|
| ქარელი | სოფ. ბრეთის პჯდ მშენებლობა | 108.0 |
| ქარელი | სოფ. რუისის პჯდ რეაბილიტაცია | 184.0 |
| ქარელი | სოფ. აგარას პჯდ მშენებლობა | 194.0 |
| ქარელი | სოფ. ბრეძას პჯდ რეაბილიტაცია | 132.0 |
| ქარელი | სოფ. დირბის პჯდ მშენებლობა | 108.0 |
| ქარელი | სოფ. აბისის პჯდ მშენებლობა | 70.0 |
| ქარელი | სოფ. ზღუდერის პჯდ მშენებლობა | 70.0 |

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, ამ განცხადებით იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ ყველა დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციას ცხრილში მოცემული პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოების კონკურსში (ტენდერში) მონაწილეობისათვის.

სამშენებლო ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ შემდეგი სახის ლიცენზია:

- საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა;
- საინჟინრო სისტემებისა და კომუნიკაციების მშენებლობა.

და უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა აწარმოონ სამშენებლო სამუშაოები ერთდროულად ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ობიექტზე.

საკონკურსო დოკუმენტების პაკეტი კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ ***2006*** წლის ***15 ივლისიდან***, ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) ***10***-დან ***18*** საათამდე შემდეგ მისამართზე:

***საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი***
***ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.***
***საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი***
***ტელ/ფაქსი: (995 32) 38-82-10, 38-82-20, 33-19-39***

კონკურსის მონაწილემ უნდა გადაიხადოს ***150*** *(ასორმოცდაათი)* ლარი საკონკურსო დოკუმენტების პაკეტის მისაღებად. აღნიშნული თანხა კონკურსანტმა უნდა გადაიხადოს ბანკში, რომლის რეკვიზიტებია:

ბანკი: სს "ბანკი რესპუბლიკა" - ცენტრალური ფილიალი, ჭავჭავაძის გამზ. N11
ბანკის კოდი: 220101757
ანგარიშის ნომერი: 23408000189
ანგარიშის მფლობელი: საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

აღნიშნული თანხა კონკურსანტს არ დაუბრუნდება.

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნულ მისამართზე.

საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 60 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია **13 000** (ცამეტი ათასი) ლარის ოდენობით, სატენდერო პაკეტში თანდართული ფორმის შესაბამისად ***(წინადადების საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა შეადგენს საკონკურსო წინადადების ვადას - 60 დღეს დამატებული 28 დღე, ე.ი. სულ 88 დღეს).***

საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს არა უგვიანეს ***2006*** წლის ***11 აგვისტოს, 15*** საათამდე შემდეგ მისამართზე:

***საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი***
***ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.***
***საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი***
***ტელ/ფაქსი: (995 32) 38-82-10, 38-82-20, 33-19-39***

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს ***15:00*** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.

# განცხადება

## სს საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია აცხადებს ტენდერს

**კომპიუტერიული ტექნიკის შესყიდვაზე**
**მარჯანიშვილის ქ. N16ა. თბილისი, 0102 ტ:911192**
შესყიდვის ობიექტებია
ლოტი 1.

| № | კატეგორია | რაოდენობა | კომპონენტები | აღწერა | მოწოდების ადგილი | მოწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პერსონალური კომპიუტერი, მონიტორი, უწყვეტი კვების ბლოკი, პროგრამული უზრუნველყოფა; მწარმოებლის 3-წლიანი გარანტია | 120 | Operating system | Windows XP Professional SP2 | | |
| | | | Processor | Intel Based Pentium 3,2GHz HTT | | |
| | | | Cache External (L2) | 1MB | | |
| | | | Memory type | DDR2 PC2-5300 667Mhz | | |
| | | | Front Side Bus | 800MHz FSB | | |
| | | | Standard Memory | 512MB | | |
| | | | Memory Slots | 2 or 4 DIMM | | |
| | | | Internal Hard Drive | 80GB (SATA) | | |
| | | | Harddrive disk speed | 7200rpm | | |
| | | | Floppy drive | 3,5" | | |
| | | | Internal drive bays | (2) 3,5" bays | | |
| | | | DVD-ROM | 16x | | |
| | | | Video adapter bus | PCI-Express x16 | | |
| | | | Video card memory | 64MB DDR or larger | | |
| | | | Video card resolution | Vertical refresh rate 85Hz for XGA or greater | ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №115 სს"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" საწყობი | მოთხოვნის შესაბამისად |
| | | | Network Interface | Integrated Gigabit Ethernet 10/100/1000 | | |
| | | | External I/O ports | 2 (or more) USB 2,0; 1 standard serial port; 1 parallel port, 2 PS/2, 1 RJ-45, 1 VGA, audio in/out | | |
| | | | Keyboard | Standard PS/2 or USB | | |
| | | | Mouse | Standard PS/2 or USB | | |
| | | | Monitor | Multi-frequency, anti-glare and anti-static coating; 17 inches diagonal; Pixels: 0.28mm | | |
| | | | Offline UPS | 650 VA | | |
| | | | Warranty | 3 year manufacturer's warranty | | |
| 2 | Workstation - (პროფესიული სამუშაო სადგური), მონიტორი, უწყვეტი კვების ბლოკი, პროგრამული უზრუნველყოფა; მწარმოებლის 3-წლიანი გარანტია | 16 | Operating system | Windows 2003 Server - standard edition - 5 licenses (CAL) | | |
| | | | Processor | Intel Based 64-bit Pentium 4 - speed 3.6GHz or more HTT | | |
| | | | Cache External (L2) | 2 MB | | |
| | | | Chip Set | Intel 955X Express | | |
| | | | Memory type | DDR2 667 MHz ECC | | |
| | | | Memory slots | 4 DIMM | | |
| | | | Front Side Bus | 800 MHz FSB | | |
| | | | Standard Memory | 1GB (2x512MB) DDR2-533 ECC | | |
| | | | Internal Hard Drive | 160GB (SATA) | | |
| | | | Internal drive bays | (2) 3,5" bays | | |
| | | | Hard drive disk speed | SATA 3Gb/s 7200 RPM | | |
| | | | Drive controllers | Integrated four-channel SATA 3 Gb/s controller with NCQ RAID support, optional Ultra320 SCSI controller/drives | | |
| | | | CD/DVD | 16X DVD+/-RW | | |
| | | | Network Interface | Integrated 10/100/1000 LAN with PCI Express interface - | | |
| | | | External I/O ports | 2 (or more) USB 2,0; 1 standard serial port; 1 parallel port, 2 PS/2, 1 RJ-45, 1 VGA, audio in/out | | |
| | | | Keyboard | Standard PS/2 or USB | | |
| | | | Mouse | Standard PS/2 or USB | | |
| | | | Monitor | Multi-frequency, anti-glare and anti-static coating; 17 inches diagonal; Pixels: 0.28mm | | მოთხოვნის შესაბამისად |
| | | | Offline UPS | 1400 VA | | |
| | | | Warranty | 3 year manufacturer's warranty | | |
| 3 | უწყვეტი კვების წყარო 650VA | 200 | | 650ვა | | |
| 4 | ქსელური A4 ფორმატის ლაზერული პრინტერი | 40 | | სიმძლავრე 10,000 გვერდი/თვე, სიჩქარე 20-25 გვ/წთ | | |
| 5 | ქსელური A4 ფორმატის ლაზერული პრინტერი | 30 | | სიმძლავრე 150,000 გვერდი/თვე, სიჩქარე 40-45 გვ/წთ | | |
| 6 | A4 ფორმატის მცირე სიმძლავრის ასლგადამღები აპარატი (ქსეროქსი) | 30 | | სიჩქარე 4-8გვ/წთ | | |
| 7 | ფაქსის აპარატი | 15 | | A4 ფორმატის ჩვეულებრივი ქაღალდის მომხმარებელი | | |
| 8 | ლეპტოპი მწარმოებლის ერთწლიანი გარანტია | 10 | Operating system | Installed license version of Windows XP Professional SP2 | | |
| | | | Processor | Intel Core Duo Processor 1.66-GHz | ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №115 სს"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" საწყობი | |
| | | | Architecture Design | PCI 2 Type I/II or 1 Type III (minimum) | | |
| | | | Cache (L2) | 2MB | | |
| | | | Front Side Bus | 667 MHz | | |
| | | | Memory | 512 DDR2 667MHz | | |
| | | | InternalHard Drive | 60 GB 5400 rpmor more | | |
| | | | CD-RW/DVD-ROM | 24x/24x/24x/8x Combo | | |
| | | | Network Interface | Ethernet 10/100 | | |
| | | | Wireless | Wi-Fi Wireless 802 b/g | ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №115 სს"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო | მოთხოვნის შესაბამისად |
| | | | Modem | 56Kpbs V.92 International | | |
| | | | External I/O ports | 2 USB2.0, Parallel, RJ-11, RJ-45, I/R | | |
| | | | Display | TFT 15" 1024x768 Backlit 64MB DDR Video RAM External display supported | ენერგოკომპანიის" საწყობი | |
| | | | Battery Life | 3.5 hrs typical | | |
| | | | Application Software | Licensed version of Microsoft Office XP | | |
| | | | Bag | Bag for transporting laptop and cables | | |
| | | | Warranty | 3 Year manufacturer's warranty | | |
| 9 | Workstation - (პროფესიული სამუშაო სადგური), მონიტორი, უწყვეტი კვების ბლოკი, პროგრამული უზრუნველყოფა; მწარმოებლის 3-წლიანი გარანტია | 4 | Operating system | Windows 2003 Server - standard edition - 5 licenses (CAL)+ 6 Licenses for Terminal services | | |
| | | | Processor | Intel® Xeon™ 3.00 GHz 800 MHz FSB 2 MB L2 cache | | |
| | | | Cache External (L2) | 2 MB | | |
| | | | Chip Set | Intel® E7525 | | |
| | | | Memory type | DDR2 SDRAM ECC | ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №115 სს"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" საწყობი | მოთხოვნის შესაბამისად |
| | | | Memory slots | 4 DIMM | | |
| | | | Front Side Bus | 800 MHz FSB | | |
| | | | Standard Memory | 1GB (2x512MB) DDR2 ECC | | |
| | | | Internal Hard Drive | 160 GB | | |
| | | | Internal drive bays | (2) 3,5" bays | | |
| | | | Hard drive disk speed | SATA 3Gb/s 7200 RPM | | |
| | | | Drive controllers | Integrated four-channel SATA 3 Gb/s controller with NCQ RAID support, optional Ultra320 SCSI controller/drives | | |
| | | | CD/DVD | 16X DVD+/-RW | | |
| | | | Network Interface | Integrated 10/100/1000 LAN with PCI Express interface - | | |
| | | | External I/O ports | 2 (or more) USB 2,0; 1 standard serial port; 1 parallel port, 2 PS/2, 1 RJ-45, 1 VGA, audio in/out | | |
| | | | Keyboard | Standard PS/2 or USB | | |
| | | | Mouse | Standard PS/2 or USB | | |
| | | | Monitor | Multi-frequency, anti-glare and anti-static coating; 17 inches diagonal; Pixels: 0.28mm | | |
| | | | Offline UPS | 1400 VA | | |
| | | | Warranty | 3 year manufacturer's warranty | | |
| 10 | თხელი კლიენტები (ტერმინალი) | 20 | | Processor - AMD Geode NX 1500 processor (1.0 GHz)<br>Operating System - Microsoft Windows XP Embedded, Service Pack 2<br>Flash Memory - 512 MB<br>Memory - 512 MB DDR SDRAM<br>Graphics - SiS741GX Integrated/UMA graphics with 16 MB shared graphics memory<br>Browser - Microsoft Internet Explorer 6.0<br>Client Management Software - Altiris Deployment Solution<br>Offline UPS 650 VA | ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №115 სს"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" საწყობი | მოთხოვნის შესაბამისად |
| 11 | ქსელის კაბელი 5-ე კატეგორია, UTP | 20 | | ბარაბანი 305 მ. | ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №115 სს"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" საწყობი | მოთხოვნის შესაბამისად |
| 12 | კაბელის დაბოლოებანი RJ-45 | 2000 | | ცალი | | |
| 13 | პერსონალური კომპიუტერის ქსელის პლატები | 30 | | ცალი | | |
| 14 | 8 პორტიანი ქსელის სვიჩი | 20 | | ცალი | | |
| 15 | კომპიუტერის მეხსიერება RAM | 30 | | 512MB – DDR-400 | | |
| 16 | კომპიუტერის მეხსიერება RAM | 30 | | 512MB – DDR2-667 | | |
| 17 | კომპიუტერის ხისტი დისკი | 20 | | 80GB (SATA) | | |
| 18 | ხელსაწყოების ყუთი | 7 | | კომპიუტერის დაშლა/აწყობისათვის და შეკეთებისათვის საჭირო ხელსაწყოების ერთობლიობა | | |
| 19 | კლავიატურა (keyboard) | 20 | | | | |
| 20 | თაგვი (mouse) | 20 | | ოპტიკური USB პორტზე | | |
| 21 | დამაგრძელებელი (surge protector) | 40 | | რამოდენიმე კომპიუტერის ელექტროქსელში ჩასართველად | | |
| 22 | პრინტერების USB კაბელი | 30 | | | | |
| 23 | ჩამწერი მოწყობილობა USB Flash drive – 1 GB | 50 | | | | |
| 24 | ჩამწერი მოწყობილობა USB Flash drive – 2GB | 10 | | | | მოთხოვნის შესაბამისად |
| 25 | დისკები CD-R | 2000 | | | | |
| 26 | დისკები CD-RW | 500 | | | ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №115 სს"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" საწყობი | |
| 27 | დისკები DVD+RW | 100 | | | | |
| 28 | დისკები DVD+R | 200 | | | | |
| 29 | LAN Tester | | | ქსელის ტესტერი | | |
| 30 | Ata Compact Flash Memory 128 MB | 1 | | Cisco-ს მეხსიერება | | |
| 31 | ჩამწერი მოწყობილობა 80 Gb 2,5" USB 2.0 & IEEE 1394 portable HDD | 2 | | | | |
| 32 | KVM სვიჩი 8 პორტიანი | 2 | | | | |
| 33 | PCI Express ვიდეოკარტები | 15 | | HP 4300 კომპიუტერისთვის | | |

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის და მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს **2006 წლის 20 აგვისტოდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით** შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის, მომსახურების მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე ცხრილის მიხედვით.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - ინგლისურ არ რუსულ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით) დახურულ კონვერტში, **2006 წ. 3 აგვისტოს 10:00 საათიდან 7 აგვისტოს 15:00 საათამდე,** მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ N16ა, მეორე სართული, სატენდერო კომისიის აპარატი, **ტელ 911192**. სატენდერო წინადადება ხელმოწერილ უნდა იქნეს იურიდიული პირის შემთხვევაში მისი ხელმძღვანელის მიერ, ხოლო ფიზიკური პირის შემთხვევაში თავად მის მიერ. ხელმოუწერელი წინადადებები არ განიხილება.

სატენდერო წინადადება ძალაში უნდა დარჩეს 2006წ. 10 სექტემბრის ჩათვლით.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის**:

1. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
2. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილების მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
4. ცნობა საგადასახადოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
5. სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი.

**ფიზიკური პირებისათვის**:

1. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა;
2. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილების მსურველი ფიზიკური პირი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის სამსახურებრივ და ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით;
3. ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;
4. ცნობა ბანკიდან ანგარიშის თაობაზე;
5. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდგომ, მისამართზე - სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია", მარჯანიშვილის ქ. N16ა, მეორე სართული. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო მოსაკრებელი უდა გადაიხადონ შემდეგ ანგარიშზე: **ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ბანკის კოდი - 220101757, ანგარიშის ნომერი - 34032348, საიდენტიფიკაციო კოდი - 204434905, სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარი.** პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2006 წლის 7 აგვისტომდე.

დაგვიანებით შემოსულ პაკეტებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - გივი ხვედაგურიძეს (სახელმწიფო შესყიდვების კოორდინატორი) **ტელეფონის ნომერი - 911192, 8(77)933930. მარჯანიშვილის ქ N16ა, 0102, თბილისი. E-mail : giwi.khvedaguridze@uedc.ge**

სატენდერო კომისია

# საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან მიიღო სესხი პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და აპირებს ამ სესხის ნაწილით დააფინანსოს ***შიდა ქართლისა და იმერეთის რეგიონების ხაშურისა და საჩხერეს რაიონების 7 სოფლის*** (იხ. ცხრილი) ***პირველადი ჯანდაცვის დაწესებულების (პჯდ) სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოები***

| რაიონი | ობიექტი | ფართი (მ2) |
|---|---|---|
| ხაშური | სოფ. გომის პჯდ რეაბილიტაცია | 138.0 |
| ხაშური | სოფ. ალის პჯდ მშენებლობა | 108.0 |
| ხაშური | სოფ. ქვიშხეთის პჯდ მშენებლობა | 108.0 |
| ხაშური | სოფ. წაღვლის პჯდ მშენებლობა | 70.0 |
| ხაშური | სოფ. ხცისის პჯდ მშენებლობა | 70.0 |
| საჩხერე | სოფ. ჭალას პჯდ რეაბილიტაცია | 133.0 |
| საჩხერე | სოფ. არგვეთას პჯდ მშენებლობა | 138.0 |

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, ამ განცხადებით იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ ყველა დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციას ცხრილში მოცემული პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოების კონკურსში (ტენდერში) მონაწილეობისათვის.

სამშენებლო ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ შემდეგი სახის ლიცენზია:
- საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა;
- საინჟინრო სისტემებისა და კომუნიკაციების მშენებლობა.

და უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა აწარმოონ სამშენებლო სამუშაოები ერთდროულად ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ობიექტზე.

საკონკურსო დოკუმენტების პაკეტი კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ *2006* წლის *15 ივლისიდან*, ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) *10*-დან *18* საათამდე შემდეგ მისამართზე:

***საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი***
***ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.***
***საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი***
***ტელ/ფაქსი: (995 32) 38-82-10, 38-82-20, 33-19-39***

კონკურსის მონაწილემ უნდა გადაიხადოს *150 (ასორმოცდაათი)* ლარი საკონკურსო დოკუმენტების პაკეტის მისაღებად. აღნიშნული თანხა კონკურსანტმა უნდა გადაიხადოს ბანკში, რომლის რეკვიზიტებია:
ბანკი: სს "ბანკი რესპუბლიკა" - ცენტრალური ფილიალი, ჭავჭავაძის გამზ. N11
ბანკის კოდი: 220101757
ანგარიშის ნომერი: 23408000189
ანგარიშის მფლობელი: საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი

აღნიშნული თანხა კონკურსანტს არ დაუბრუნდება.

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნული მისამართზე.

საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 60 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია **12 000** (თორმეტი ათასი) ლარის ოდენობით, სატენდერო პაკეტში თანდართული ფორმის შესაბამისად ***(წინადადების საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა შეადგენს საკონკურსო წინადადების ვადას - 60 დღეს დამატებული 28 დღე, ე.ი. სულ 88 დღეს).***

საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს არა უგვიანეს *2006* წლის *11 აგვისტოს, 12* საათამდე შემდეგ მისამართზე:

***საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი***
***ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.***
***საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი***
***ტელ/ფაქსი: (995 32) 38-82-10, 38-82-20, 33-19-39***

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს *12:00* საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.

© გაზეთი 24 საათი

# Weekend

შაბათ-კვირა, №13
15-16 ივლისი, 2006




## Forza კახი!

2

### ბუზღუნა 7



**მოძრაობის უსაფრთხოება**

### მეცნიერება და ტექნიკა 9



**ფრთები მედესანტეებისთვის**

### დროთა კავშირი 10




**შეყვარებული შექსპირი**

# Forza კახი!


კახი კალაძე.

ნესტან ნიჟარაძე

*არც პორტოფინოში, არც სარდინიის და არც სხვა კუნძულებზე, არც ადრიატიკის და არც ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე, სადმე მონტე-კარლოსა და ნიცას შორის, არც ჯორჯიო არმანის და სილვიო ბერლუსკონის კომპანიაში, არამედ აქ, ნაცნობი შავი ზღვის სანაპიროზე - ბათუმში და თავის ქართველ მეგობრებთან ერთად ისვენებს კახი კალაძე.*

*ცხადია, მას აქ ყველა იცნობს. ისევე, როგორც ყველგან, სადაც იტალიურ კლუბს "მილანი" გულშემატკივარი ჰყავს. "მილანს" კი გულშემატკივარი ჰყავს ყველგან, ან თითქმის ყველგან. შესაბამისად, კახისაც ყველაგან იცნობენ ან თითქმის ყველგან.*

*ისვენებს, როგორც სხვები. აქტიურად. დადის პლიაჟზე და ბანაობს შავ ზღვაში. უბრალოდ, "მილანის" ქართველ ლეგიონერს და საქართველოს ნაკრების კაპიტანს პლიაჟზეც და ზღვაშიც გაცილებით მეტი გულშემატკივარი ჰყავს, ვიდრე აჭარის სანაპიროს ნებისმიერ სხვა დამსვენებელს.*

*შეკითხვაზე - "რატომ არ ისვენებთ პორტოფინოში?", პასუხობს, რომ მობეზრდა სულ "სხვაგან" ყოფნა და ენატრება ყველაფერი ქართული. სწორედ ამიტომ, დასასვენებლად გამოყოფილ ხანგრძლივ, ორთვიან შვებულებას საქართველოში ატარებს.*

*"ფანები" საქართველოს ზღვისპირეთში ძალიან არ აწუხებენ - ბავშვები თხოვენ ავტოგრაფს. ხშირად ახლოს მისვლაც ერიდებათ, თითქოს ეშინიათ. როდესაც განმარტოვება უნდება, მეგობრებთან ერთად მიდის ქობულეთში, თავის სასტუმროში. თუმცა, იქაც პოულობენ ხოლმე. ხოლო როდესაც პოულობენ, ბევრ შეკითხვასაც აძლევენ და იგიც პასუხობს:*

## ფავორიტ ფეხბურთელზე და მის სკანდალურ ჟესტზე

ფავორიტი? - ზიდანი! ეს მისი ბოლო ჩემპიონატი იყო და, ჩემი აზრით, მისი წასვლა ფეხბურთიდან ნაადრევიც კი იყო. თუმცა, მან სპორტიდან წასვლა სწორედ მაღალი კლასის და არა "ჩამოწერილი" მოთამაშის სტატუსით არჩია. ხოლო ჩემპიონატის ფინალური შეხვედრის დროს მომხდარ ინციდენტზე, რომელმაც ამდენი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მსოფლიო პრესაში, იმას ვიტყოდი, რომ, რა თქმა უნდა, ეს არ იყო ლამაზი ჟესტი. მას, ალბათ, ნერვებმა უმტყუნა. და ეს ყველას შეიძლება დაემართოს. რადგან ჩვენ ადამიანებიც ვართ, გარდა იმისა, რომ ფეხბურთელები ვართ. მე ვთვლი, რომ ზიდანი სრულიად სამართლიანად აღიარეს მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ.

## საფეხბურთო ეიფორიაზე

საქართველოში ყოველთვის უყვარდათ ფეხბურთი. მაგრამ ახლა ამან სხვა მასშტაბი მიიღო - ნამდვილი ბუმია! ადრე თუ ძირითადად ეროვნულ ნაკრებს და გუნდებს გულშემატკივრობდნენ, ახლა მსოფლიოს თითქმის ყველა გუნდს ყავს თავისი "ფანები". მე მხოლოდ მივესალმები იმას, რომ ამდენი ხალხია ჩართული ფეხბურთში. ჩემპიონატის მსვლელობის დროსაც ბევრი "ფანკლუბი" გაიხსნა, ახალგაზრდები გულშემატკივრობდნენ, ზეიმობდნენ გამარჯვებას, ისევე როგორც ეს უცხოეთში ხდება. ისიც გამიხარდა, რომ იტალიის ნაკრებს ამდენი გულშემატკივარი ჰყავს საქართველოში. ეს შეიძლება იმითაც არის განპირობებული, რომ მე ვთამაშობ იტალიურ გუნდში. თუმცა, იტალიის ნაკრებმა ჩემპიონატის მსვლელობისას მართლაც მაღალი კლასის ფეხბურთი გვიჩვენა -სწრაფი, ტექნიკური, ლამაზი. ვფიქრობ, მათ სამართლიანად გაიმარჯვეს, მიუხედავად იმისა, რომ დასაწყისში რამდენიმე თამაში ნამდვილად ჩააგდეს, ისევე როგორც სხვა გუნდებმა.

## თანამედროვე ფეხბურთზე

უკანასკნელი წლების მანძილზე ფეხბურთი მართლაც ძალიან განვითარდა. იგი გაცილებით უფრო სწრაფი და ტექნიკური გახდა. აღარ არის ის "დამდგარი" ფეხბურთი, სადაც მოთამაშეებს ხანგრძლივად ჰქონდათ ბურთის დამუშავების შესაძლებლობა. ახლა ყველაფერი წამებში ვითარდება, ძალიან დიდი სისწრაფით. ვინ იფიქრებდა ადრე, რომ ფეხბურთელები ასეთ ფიზიკურ დატვირთვას, ამდენ და ასეთი სისწრაფით სირბილს გაუძლებდნენ. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ესეც შესაძლებელია. ადამიანიც ვითარდება დროის მოთხოვნების შესაბამისად.

## ქართულ ფეხბურთზე

იგი განვითარების ფაზაშია. მთავარია, რომ ფეხბურთის განვითარების პოლიტიკა სწორედ არის წარმართული. ვითარდება და იხსნება საბავშვო სკოლები, ახალი სათამაშო მინდვრები. საქართველოს კარგი პოტენციალი აქვს, ბევრი ნიჭიერი ბავშვია. ადრე, ქვეყანაში არსებული სიტუაციის გამო, ვერ ახერხებდნენ თავიანთი სპორტული შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენას და განვითრებას. მეტიც, 15-16 წლის ასაკში ისინი სპორტს თავს ანებებდნენ და ქუჩას და ნარკოტიკებს ეტანებოდნენ. ახლა კი სიტუაცია იცვლება - მეტის გაკეთების შესაძლებლობაც ეძლევათ ახალგაზრდებს და ჩვენი კარგი მაგალითიც აქვთ. ბევრი ამბობს უკვე: მეც მინდა კობიაშვილივით, არველაძეებივით და კალაძესავით ვითამაშოო. მთელ მსოფლიოში ფეხბურთი ძალიან პერესპექტიული სპორტია და თუ ჩამოყალიბების პროცესში ბევრს გასცემ, ბევრს შრომობ, ეს შემდეგ ასმაგად გიბრუნდება.

## ნაკრების მომავალზე

ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს და შესაბამისად იგი ჩამოყალიბების სტადიაშია. კლაუს ტოპმიოლერი მაღალი კლასის პროფესიონალია და ძალიან კარგი ადამიანია, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ფეხბურთში. გუნდის წევრებთან მან კარგი ურთიერთობის დამყარება მოახერხა.

ნაკრების ჩამოყალიბება ძალიან რთული საქმეა. რთულია კოლექტიური, გუნდური თამაშის აწყობა. ცალკეული მაღალი კლასის მოთამაშეები ყოველთვის იყვნენ ეროვნულ ნაკრებში. მაგრამ ახლა პრობლემა ისიც არის, რომ მოთამაშეების ნაკლებობაა. თუ ადრე ერთ პოზიციაზე რამდენიმე მოთამაშე მოდიოდა, ახლა ერთი რომ ამოვარდეს, აღარ იცი, ვინ დააყენო. ესეც იმ დაუდევარი დამოკიდებულების შედეგია, რომელიც ფეხბურთისადმი წლების მანძილზე არსებობდა ჩვენს ქვეყანაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გუნდში რამდენიმე ახალგაზრდა, პერესპექტიული მოთამაშეა. არსებობს კარგი ბირთვი და იმედი მაქვს, რომ კარგი გუნდი ჩამოყალიბდება. რამდენიმე ძალიან სერიოზული შეხვედრა გველოდება, მათ შორის საფრანგეთის და იტალიის ნაკრებებთან - ძალიან ძლიერი გუნდები შეგვხვდა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ქვეჯგუფში. თუ ვერ გავედით, იმას მაინც შევეცდებით, რომ მაყურებელი კმაყოფილი დარჩეს ნაკრების თამაშით.

## საქართველოში დაბრუნებაზე

თუ ქვეყანა ისევე გააგრძელებს განვითარებას, როგორც ამ ბოლო ორი წლის მანძილზე, არც ეს არის გამორიცხული. ბო-



როტი ადამიანი უნდა იყო, რომ არ აღნიშნო ის ცვლილებები, რომლებიც საქართველოში მიმდინარეობს. მართალია, ყველაფერი მაღალ დონეზე ჯერ არ არის და ეს არც არის შესაძლებელი, რადგან უკანსკნელი 10 წლის მანძილზე მხოლოდ ვანგრევდით ყველაფერს. ახლა კი ნამდვილად შეიმჩნევა სტაბილიზაცია. ქვეყანაში შემოდის ინვესტიციები, ჩამოდიან უცხოელები; იქმნება ახალი პერესპექტივები, რაც ნიშნავს, რომ მეტი ადამიანი დასაქმდება. შეიქმნება საშუალო ფენა, როგორც სხვა მრავალ ქვეყანაში. ალბათ, დავძლევთ სიღარიბესაც. ადრე საღამოს 7 საათის შემდეგ ქალაქში ვერ გახვიდოდი, ახლა კი საღამოსაც "საცობებია" ქუჩაში. ჩემთვის ალბათ ეს ცვლილებები უფრო თვალშისაცემია, რადგან უცხოეთში ვცხოვრობ და როდესაც ვბრუნდები თბილისში, ვხედავ მიმდინარე ცვლილებების შედეგებს. ისე რომ, ჩემ სამომავლო გეგმებსაც ისე ავაწყობ, რომ მილანშიც ვიყო, უკრაინაშიც და აქაც ჩამოვიდე ხოლმე.

## პოპულარობაზე

ეს უკვე ჩემი ცხოვრების განუყრელ ნაწილად იქცა. მხოლოდ მე კი არა, ყველა ფეხბურთელი პოპულარულია და შესაბამისად, ყურადღების ცენტრშიც არის. და ეს ალბათ ასეც უნდა იყოს. აქ, საქართველოში, განსაკუთრებით ვგრძნობ ამ დამოკიდებულებას - ყველა გიყურებს, ყურადღებას გაქცევს. ვგრძნობ, რომ ჩემს ქვეყანაში ძალიან ვუყვარვარ ხალხს და ჩემი დანახვა უხარიათ. თან ამის გამო, ყველას სალაპარაკო ვხდები. ბევრ ტყუილს და ხანდახან მართალსაც ამბობენ, მაგრამ მე ვცდილობ, ამას ყურადღება არ მივაქციო. ხანდახან კი მართლა მინდება, რომ მარტო დავრჩე ჩემს მეგობრებთან და მშვიდად ვიყო.

## მშენებარე ტაძარზე

ბავშვობიდან მქონდა სურვილი, რომ ტაძარი ამეგო. თუმცა, ადრე ეს არ იყო შესაძლებელი. ახლა, საბედნიეროდ, მაქვს იმის საშუალება, რომ ტაძრის მშენებლობა დავაფინანსო. დავუკავშირდი საპატრიარქოს, რომელიც ჩაერთო ამ წამოწყებაში. რა თქმა უნდა, ჩემს ძმასთან დაკავშირებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა კიდევ უფრო გაამძაფრეს ჩემში ეს სურვილი. მშენებლობა უკვე დაიწყო და, ალბათ, ორ წელიწადში დასრულდება. ისე რომ, სამტრედიაში, იმ ადგილთან ახლოს, სადაც ჩემი ძმა არის დასაფლავებული, ახალი ტაძარი აიგება.

## სილვიო ბერლუსკონიზე და "მილანზე"

როდესაც 20 წლის წინ სილვიო ბერლუსკონიმ "მილანი" ჩაიბარა, გუნდი ძალიან რთულ სიტუაციაში იმყოფებოდა. ფინანსური თუ სხვა ტიპის პრობლემების გამო იგი, ფაქტობრივად, დაშლის პირას იყო მისული. მაშინ ბერლუსკონიმ პირობა დადო, რომ "მილანი" მსოფლიოს უძლიერესი გუნდი გახდებოდა. ამ განცხადებას ბევრი ძალიან სკეპტიკურად შეხვდა, რადგან არავის სჯეროდა, რომ ეს შესაძლებელი იყო. თუმცა, შედეგი სახეზეა - ჩემპიონთა ლიგის 6 თასი და სხვა მრავალი გამარჯვება. "მილანი" დღეს მართლაც ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია და რეიტინგის მიხედვით იგი პირველ ადგილზეა. მეტიც, ეს გუნდი თანამედროვე ფეხბურთში გარკვეულწილად მოდასაც კი კარნახობს. გუნდის პოლიტიკა იმაშიც მდგომარეობს, რომ კარგი შედეგების პარალელურად, სტადიონზე მოსულმა ათიათასობით მაყურებელმა, პირველ რიგში, სიამოვნება მიიღოს ნანახი მატჩისგან.

## მეგობრებზე

საქართველოში ცოტა გაზვიადებული დამოკიდებულება არსებობს იმ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც მე სილვიო ბერლუსკონისთან ან ჯორჯიო არმანისთან მაქვს. ბერლუსკონი "მილანის" მფლობელი და მისი პრეზიდენტია. არა მხოლოდ მე, არამედ გუნდის ყველა ფეხბურთელს ძალიან კარგი დამოკიდებულება აქვს მასთან. და ეს სრულიად ბუნებრივია. გაცილებით უფრო ახლოს ვარ არმანისთან. ვმეგობრობ დომენიკო დოლჩესთან და სტეფანო გაბანასთანაც. განსაკუთრებით კი, დომენიკოსთან. ისევე, როგორც ენცო რამაზოტისთან. როდესაც ისეთი მაღალი კლასის გუნდში თამაშობ, როგორიცაა "მილანი", ბუნებრივია, რომ შოუბიზნესის ძალიან ბევრ საინტერესო და ცნობილ ადამიანთან გიწევს ურთიერთობა. და ეს არა მხოლოდ მე, არამედ გუნდის ყველა ფეხბურთელს ეხება.

ასევე ძალიან ბევრი მეგობარი მყავს გუნდში. ვმეგობრობ ნესტასთან, მალდინისთან, სერჟინიოსთან. ხანგრძლივი ურთიერთობა მაკავშირებს შევჩენკოსთან, რომელიც ახლა "ჩელსიში" გადავიდა. საერთოდ, "მილანი" ძალიან შეკრული და მეგობრული გუნდია.

ჯერ კიდევ 6 წლის წინ, როდესაც იტალიაში პირველად ჩავედი, ძალიან გამიადვილდა ურთიერთობის დამყარება ყველასთან. მიუხედავად იმისა, რომ იტალიურ ენას არ ვფლობდი. ძალიან უშუალოები და ქართველებივით სტუმართმოყვარეები არიან.

## მოდელობაზე

ჩემი მოდელობის ისტორია ისევე გაზვიადებულია, როგორც სხვა ბევრი რამ. პირდაპირ გეტყვით, ჯიორჯიო არმანის სახე არასდროს ვყოფილვარ. უბრალოდ, იყო შემოთავაზებები და მათ შორის ფოტოების წიგნის გაკეთების პროექტიც, რომელშიც სპორტსმენები მიიწვიეს, მათ შორის ფეხბურთელებიც. მე ერთადერთი ქართველი აღმოვჩნდი, ვისაც მონაწილეობა შესთავაზეს. სწორედ ამის გამო შეიქმნა ბევრი არარსებული ამბავი ჩემს სამოდელო კარიერასთან დაკავშირებით. სინამდვილეში კი, მთელი ჩემი დრო ფეხბურთს მიაქვს და თან მოდელობა ჩემს ბუნებაში ნამდვილად არ ჯდება.

## ლამაზ ქალებზე

თავისებურად ყველა ქალი ლამაზია და ქალი უნდა იყოს კიდევაც ლამაზი. ლამაზი ქალები არიან ყველაგან - საქართველოში, რუსეთში, იტალიაში, უკრაინაში. თუმცა, ჩემთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია იმ ადამიანის შინაგანი სამყარო, რომელთანაც ურთიერთობა მაქვს. უნდა არსებობდეს ურთიერთგაგება, რაც ადამიანთან ყოფნას საინტერესოს ხდის.

ჩემი მშობლებისთვის ნამდვილად დიდი პრობლემაა ის, რომ ჯერ ვერ შევქმენი ოჯახი. ისიც ვიცი, რომ შვილიშვილის გაჩენა მათ ძალიან დაეხმარებათ ჩემი ძმის ტრაგიკულ სიკვდილთან დაკავშირებული სიმწარის გადატანაში.

მართალია, ჩემთვის ეროვნებას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ ვინაიდან ქართველი ვარ, ვისურვებდი, რომ ნამდვილი ქართული ოჯახი შევქმნა. თუმცა, პრობლემა ის არის, რომ საქართველოში ცოტა ხნით ჩამოვდივარ ხოლმე და არასდროს მაქვს საკმარისი დრო იმისთვის, რომ გავაღრმავო ურთიერთობები. თან უკვე 28 წლის ვარ და ბევრ ისეთ რაღაცას ვაქცევ ყურადღებას, რაზეც ადრე არ ვფიქრობდი. ისე რომ, ვნახოთ...

## ახდენილ ოცნებებზე

ვინ იფიქრებდა, რომ "მილანში" მოვხვდებოდი?! ბუნებრივია, ჩემი ოცნება იყო, რომ დიდ გუნდში და მაღალი კლასის ფეხბურთი მეთამაშა. სწორედ ამისთვის ვიბრძოდი. განვლილ წლებს რომ გადავხედავ ხოლმე, ვხვდები, რომ ძალიან დიდი შრომა და თავდადება ჩავდე ამ ყველაფერში. ეს გვერდიდან ალბათ რთული დასანახია. თავდაპირველად, თბილისის "დინამო"-ში მოხვედრაზე ვოცნებობდი; ამას შემდეგ კიევის "დინამო" მოჰყვა. და ბოლოს - "მილანიც". შემდეგი ეტაპი რა იქნება? არ ვიცი, ალბათ, კოსმოსი. (იცინის) კახის ოცნებები უხდება ხოლმე. Forza კახი, forza!









ქეთევან იგნატოვას



# სრულიად აუხსნელია...

არ გეგონოთ, რომ დაგვიანებული რეაქციები მაქვს, უბრალოდ, ბოლო პერიოდში ბევრი ისეთი რამ მოხდა, რაც, პირადად ჩემთვის, სრულიად გაუგებარი აღმოჩნდა და რომელთა, ასე ვთქვათ, მეტ-ნაკლებად შეჯამება მინდა ვცადო. ოპოზიციის თუ ხელისუფლების, უმრავლესობის თუ მასმედიის, საზოგადოების ცალკეული წარმომადგენლების თუ პოლიტიკური ლიდერების მხრიდან ბევრი ისეთი რამ გაისმა, ითქვა, ბევრი ისეთი მოქმედება, აქცია, რეაქცია მოჰყვა, რომლებიც მიუღებელი, ამორალური ან სულელური, წინდაუხედავი, არაშორსმჭვრეტელი, ყველაფერი ერთად კი მარტივი ლოგიკისთვის სრულიად აუხსნელი აღმოჩნდა.

■ ■ ■

ნებისმიერ ტოკ-შოუში სტუმრების მოწვევისას წინასწარი მოლაპარაკებები, თემის გარშემო მოწვეულების აზრის დაზუსტება, მათი ბლოკების მიხედვით განაწილება, დებატებისთვის საპირისპირო კანდიდატურების შერჩევა რომ მიმდინარეობს, ვიცით. ისიც ვიცით, რომ ვიღაცა ვიღაცასთან საპირისპიროდ არ ჯდება, ზოგიერთ კონკრეტულ თემას თავს არიდებს. მოკლედ, თითოეული გადაცემის წინ "ვაჭრობა" მიდის, რომელიც ნებისმიერი ჟურნალისტისთვის სრულიად ბუნებრივი, ნაცნობი პროცესია და რომელსაც თითოეული წამყვანი თავისი პროფესიონალიზმისა და ავტორიტეტის შესაბამისად აგვარებს.

სკანდალურად ცნობილი "თავისუფალი თემის" გადაცემაში წამყვანის მიერ "ყოფილი" მაღალჩინოსნის ახალაიას მოწვევა სრულიად ახსნადია. სამაგიეროდ, აბსოლუტურად აუხსნელია - დღესდღეობით რიგითი მოქალაქე (წესით) ახალაია, რომელიც მხოლოდ მკვლელობის დამკვეთთა სავარაუდო სიაში თუ მოიხსენიება, საკუთარ თავს პირობების წაყენების უფლებას რის საფუძველზე აძლევს? რა დამსახურება, ღვაწლი, როლი ან პიროვნული ამბიცია ალაპარაკებს ულტიმატუმის ენით? ჟურნალისტი იწვევს გადაცემაში ვინმე ახალაიას. იგი ან თანხმდება ან არა. ნება მისია. მაგრამ, აი, ვინ ჰკითხავს ახალაიას, პირველი იქნება თუ ბოლო, ეს კი მართლაც აუხსნელია.

■ ■ ■

ალბათ, ყველა ქალი დამეთანხმება, რომ ჭორაობა, სხვისი პირადი ცხოვრების დეტალური გარჩევა, ამაზე მითქმა-მოთქმა, ერთი-მეორისთვის მოყოლა, მეტ-ნაკლებად ყველას გვიყვარს. ამ არცთუ სახარბიელო თვისებას ქალების მეგობრულ წრეში არაერთი უსიამოვნება, კონფლიქტი, სერიოზული წყენა ან გაბრაზება მოჰყოლია. მაგრამ ის, რასაც ჩვენი ოპოზიციური ლიდერების ნაწილი ამ ბოლო პერიოდში გვასმენინებს, გვთავაზობს, ყველაზე ჭორიკანა, ენაგადმოგდებული ქალებისთვისაც კი მიუღებელია. აუხსნელია, როგორ შეიძლება თავმოყვარე კაცმა უღირსი ქალივით საჯაროდ სხვისი ცხოვრების პიკანტური დეტალები ასე უტიფრად არკვიოს, არჩიოს, გაახმაუროს ან სულაც შეთხზას. აუხსნელია, როგორ შეიძლება, ასე სულ არ იცოდნენ (ქალებმა ვიცით), რომ ომსაც თავისი წესები აქვს. აუხსნელია ამგვარი დაკნინება, შეურაცხყოფა სხვას კი არა, პირველ რიგში, შენს თავს როგორ უნდა აკადრო? გაუგებარია, ტელეეთერში მონდომებულად ჭორიკანა კაცი, რეალურად, რომელ სქესს მიეკუთვნება?

■ ■ ■

მხოლოდ ჩვენი ოპოზიცია თუ მოახერხებდა, რომ ხან სალარო აპარატების, ხან უნივერსიტეტის გადაწყვეტადი საკითხი გირგვლიანის საზარელი მკვლელობის, მართლაც რომ ყველასათვის მტკივნეულ, მნიშვნელოვან საქმეზე გადაება. მხოლოდ ჩვენი ხელისუფლება თუ მოახერხებდა, რომ საკუთარი სიჯიუტის გამო ამ ხელოვნური, ყალბი "გადაბმისთვის" ყველა პირობა შეექმნა. ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციის ამგვარი ხელშეწყობა, დამეთანხმეთ, აუხსნელია.

ასევე სრულიად აუხსნელია, როდესაც გირგვლიანის მკვლელობის ობიექტური გამოძიების მომხრეები შალვა ნათელაშვილს ან გურამ შარაძეს გვერდში იყენებენ, თავის სათქმელს მათ ალაპარაკებენ, თუნდაც სიმართლისთვის ნესტან კირთაძის ხელით იბრძვიან.

■ ■ ■

ოპოზიციისა და ქართული საზოგადოების (მგონი, უკვე ეს სიტყვაც გაუფასურდა) ნაწილის ბოლო დროის გააქტიურებამ მაიკლ ჯექსონის ცნობილი კლიპი "ტრილერი" მომაგონა, სადაც სხვადასხვა საფლავიდან მიცვალებულები ამოდიან და ცეკვას იწყებენ. ერთი პატარა სხვაობით. ჯექსონის მიცვალებულები მხოლოდ შემზარავი სანახავები არიან. "ჩვენები" კი, ყველაფერ სიკეთესთან ერთად, იმ განსაკუთრებული უტიფრობით გამოირჩევიან, რომელიც მათ გასული თხუთმეტი წლის მანკიერებებზე ასე იოლად ალაპარაკებს. თითქოს ამ "მანკიერებაში" ისინი კი არა, ჩვენ ვმონაწილეობდით. ამგვარი, რბილად რომ ვთქვათ, "გულმავიწყობა", ცოტა არ იყოს, აუხსნელი მეჩვენება. გუშინ ქუთაისში ვიყავი (ეს ცალკე წერილის თემაა). ნანახის საფუძველზე შაშიაშვილის მიერ ხმის ამოღების უფლება სრულიად აუხსნელი მეჩვენება.

■ ■ ■

წინა კვირას უმრავლესობის მთავარი სახეების, ე.წ. ლიდერების მიერ მოწყობილ სპეცბრიფინგს ვუსმინე. აუხსნელია, როგორ შეუძლიათ ყველაფერზე ერთნაირად უაპელაციო, კატეგორიული, დემაგოგიური, თვითდაჯერებული ტონით საუბარი? ან არ იღლებიან, ან არ იფიტებიან, ან საკუთარი ხმა ასე არ ესმით? ნუთუ, ვერ გრძნობენ, რომ ზოგიერთი კონკრეტული საკითხი ინტონაციის რადიკალურს თუ არა, ოდნავ ცვლილებას, ტონის დაგდებას მაინც მოითხოვს.

■ ■ ■

ჩემთვის პირადად სრულიად აუხსნელია, რა საჭირო იყო თუნდაც გადაჭარბებულად პიროვნული პროტესტის გამომხატველი ირაკლი კაკაბაძისა და მისი მეგობრების დაჭერა? ხელისუფლების მხრებზე "სინდისის პატიმრების" აკიდება ვის მოუვიდა თავში? მათ პროტესტს ხომ ბევრად ნაკლები რეზონანსი ჰქონდა, ვიდრე დაპატიმრებას? თუ ერთ-ერთ პოლიტიკოსს დავუჯერებთ, კაკაბაძეს და მის მეგობრებს დაპატიმრება თავად უნდოდათ. კი ბატონო. მაშინ, აუხსნელია, ხელისუფლება ასეთი მონდომებით სურვილებს რაღა კაკაბაძეს უსრულებს?

■ ■ ■

არ გეგონოთ, რომ ვინმეს აზრს ვიმეორებ. უბრალოდ, მეც აუხსნელი და საკმაოდ უსამართლო მომეჩვენა, როდესაც ერთ-ერთ საინფორმაციო გადაცემაში საქართველოს პრეზიდენტის აშშ-ში ვიზიტის შესახებ სიუჟეტი, მოკრივე გიორგი კანდელაკის მიერ რაღაცა გაუგებარი ორგანიზაციის ჩამოყალიბების შესახებ სიუჟეტის შემდეგ გავიდა. ნუთუ არხის ხელმძღვანელობას სერიოზულად ჰგონია, რომ თუნდაც ძალიან კუნთმაგარი კანდელაკის მოღვაწეობა ორი პრეზიდენტის შეხვედრაზე უფრო მნიშვნელოვანი, პრინციპული და საინტერესოა? აუხსნელია, კანდელაკმა ამისთანა რა უნდა დააარსოს?!

■ ■ ■

რამდენიმე თვის წინ მინისტრთა კაბინეტის ჟურნალისტებთან საანგარიშო შეხვედრა მოეწყო. მაშინ შეგვპირდნენ, რომ ამას სისტემატური ხასიათი ექნებოდა. დრო გავიდა და გაირკვა, რომ ეს ერთჯერადი პიარაქცია იყო. დასანანია. შეკითხვები დაგროვდა და კარგი იქნებოდა, რომ მინისტრთა კაბინეტის, თუნდაც არა "დრამატული" ცვლილების წინ, ბოლო საანგარიშო შეხვედრა მოეწყოს და თითოეულმა მინისტრმა შესრულებულ სამუშაოზე დეტალური ანგარიში ჩაგვაბაროს. აბა, ისე რა გამოვა? უბრალოდ მოხსნიან, ამოისუნთქებენ და მორჩა? ეს ხომ სამშვიდობოს გაქცევას უფრო წააგავს, ვიდრე თანამდებობის დატოვებას?

■ ■ ■

სრულიად აუხსნელი იქნება, თუ საქართველოს სამთავრობო გუნდის ხელახალი დაკომპლექტებისას ზიდანის ყოვლისმთქმელ, თვალნათელ მაგალითს არ გაითვალისწინებენ. როგორც ფეხბურთის მოედანზე, ისე პოლიტიკურ არენაზე მხოლოდ ყველა ნიშნით საუკეთესო თამაშობს. გლობალური ცვლილებები, ძირეული რეფორმები, გადამწყვეტი თამაში და ცალკეული "უნიჭოები" ერთ სასწორზე - აუხსნელია!

■ ■ ■

შეცდომების ვერ აღიარება, ისევე, როგორც მხოლოდ შეცდომების დანახვა - აუხსნელია.

დაუნახაობა და ზედმეტი თავდაჯერებულობაც, ჩასაფრებული კრიტიკაც და კრიტიკის სრული იგნორირებაც - აუხსნელია.

დღევანდელ ქართულ სინამდვილეში ძალიან ბევრი რამ არის აუხსნელი. არადა, მეორე მხრივ, ყველაფერი რა მარტივად ახსნადი და გამოსწორებადია.

# სადაც თაფლია, იქ ფუტკარიცაა





**ირაკლი ბენიძე**
*დერმატო-ვენეროლოგი*

სადაც სქესობრივი ცხოვრებაა, იქ არის სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, რომლებსაც ზოგი უწესრიგო სექსის გამო მოვლენილ ღვთის რისხვად მიიჩნევს.

ტერმინი "ვენერული დაავადებები" ფრანგმა ექიმმა ბეტანკურმა დაამკვიდრა და სიყვარულის ქალღმერთ ვენერას დაუკავშირა. ჩემი აზრით, სიყვარულის ქალღმერთს სრულიად დაუმსახურებლად მიაყენა შეურაცხყოფა, რადგან ვენერული დაავადებებით დასნებოვნება ხშირად სწორედ იქ ხდება, სადაც სიყვარულის დეფიციტია.

საყოველთაოდაა აღიარებული, რომ გენდერული "როლები" კულტურის პროდუქტია. ქართულ, ისევე როგორც სხვა ნებისმიერ ტრადიციულ საზოგადოებაში, ქალისა და მამაკაცის ფუნქციები დიფერენცირებული და "დაკანონებულია". ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი გენდერული თავისებურებები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: საზოგადოების მასკულინობა, სექსუალური სფეროს ტაბუირება, დედობის კულტი, ქალის ძლიერი გავლენა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს ორი უკანასკნელი ბადებს ქალის მდგომარეობისადმი არაერთმნიშვნელოვან დამოკიდებულებას. კერძოდ, ქმნის გარკვეულ ილუზიას გენდერულ ასიმეტრიაზე. სწორედ აქედან მომდინარეობს გენდერული დისკრიმინაციის შენიღბული ფორმა, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია პატრიარქალურ მენტალობაზე დამყარებული საზოგადოებრივი ურთიერთობებით, ქალის მიერ ამ საკითხის გაუცნობიერებლობით.

კულტუროლოგიურმა გამოკვლევებმა და ფსიქოლოგების მიერ სხვადასხვა სოციოლოგიურ ჯგუფებში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო საქართველოში ქალის დისკრიმინირებული მდგომარეობა. გაბატონებული ტრადიციული წარმოდგენების ტყვეობაში მყოფი საზოგადოება ამ პრობლემას არააქტუალურად მიიჩნევს. საქართველო პატრიარქალური მასკულინური ქვეყანაა და ამ თვალთახედვის მატარებელნი არიან ქალებიც. ამდენად, თავად ქალების აზრითაც, მათზე ძალადობა ბუნებრივი, ნორმალური მოვლენაა. მათი უმრავლესობის აზრით "ქალის ადგილი სახლშია", "ქალს დიასახლისობა უფრო შვენის", ვიდრე სამსახურში მამაკაცებთან თანასწორობისკენ სწრაფვა. ოჯახური ცხოვრების ძირითადი ტვირთი ქალის მხრებზეა. ამ პრობლემისაგან გათავისუფლებული მამაკაცი მთელ თავის ენერგიას საზოგადოებრივ საქმიანობას ანდომებს.

ქალთა დისკრიმინაცია იწყება ოჯახიდან, ე.ი. ერთი მამაკაცის მიერ ერთი ქალის დაჩაგვრით და შემდეგ ვრცელდება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა რგოლებზე, მაგალითად: კაცის უპირატესობით უმაღლესი სასწავლებლების ზოგიერთ ფაკულტეტზე მოხვედრისას, სამსახურში აყვანისას, განსაკუთრებით მაღალ ანაზღაურებად და ხელმძღვანელ თანამდებობებზე (ყოველ შემთხვევაში, ბოლო წლებამდე ასე იყო). ოჯახში ქალი მემკვიდრედ არ მოიაზრება, ამიტომ მას უჭირს ეკონომიკური საქმიანობის დაწყება. ქალთა ეკონომიკურ მდგომარეობას განსაზღვრავს მამაკაცების მათდამი დამოკიდებულება როგორც ოჯახში (რადგან კაცი ეკონომიკური სტატუსით ხშირად უფრო მაღალია), ასევე სამსახურში, სადაც მისი (ქალის) კარიერა ან შრომის მაღალი ანაზღაურება პრაქტიკულად ყოველთვის მამაკაცთა ადმინისტრაციაზეა დამოკიდებული.

სოციალური კვლევა ცხადყოფს, რომ საქართველოში ოჯახური ძალადობა (ცემა, მუქარა, ლანძღვაგინება) მიღებული ფაქტია. ძალადობა არსებობს როგორც ფიზიკურ, ასევე სექსუალურ და მორალურ სფეროში. ქალი არის სექსუალური ძალადობის ან სექსუალური იძულების მსხვერპლი (როდესაც იგი ეკონომიკურად და სოციალურად დამოკიდებულია მამაკაცზე), იგი ხშირად იძულებულია, მონაწილეობდეს მისთვის არასასურველ სექსუალურ ურთიერთობებში.

საქართველოში ოჯახური ცხოვრების პრინციპი მყარ პატრიარქალურ წარმოდგენებს ემყარება: ქალი დედა, ქალი დიასახლისი, რომელსაც მკაფიოდ ჩამოყალიბებული ოჯახური ვალდებულებები აკისრია. კაცი ამ ვალდებულებებისაგან თავისუფალია. ქალისა და მამაკაცის სოციალური ფუნქციები მკაცრადაა გამიჯნული. ეს ფუნქციები ხშირად იძულებითია და ემყარება მორალურ (ფსიქოლოგიურ) ძალადობას. ამის გამო ქალის როლი სოციალურ ცხოვრებაში დაბალია. ამრიგად, სექსუალური ქცევის თავისებურებანი ქართულ კულტურაში სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების რისკის თვალსაზრისით შეიცავენ როგორც რისკის შემზღუდავ, ისე მისი გაზრდის დეტერმინანტებს. პირველთა რიცხვს მიეკუთვნება ტრადიციული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მორალი - საზოგადოებრივი ტაბუ ქალურ სექსუალობაზე და ჰომოსექსუალიზმზე; ხოლო მეორეს - დაბალი სექსუალური განათლება, სქესობრივი ცხოვრების მზარდი ლიბერალიზაცია, პროსტიტუციის ზრდა. კულტურული, ეკონომიკური და ბიოლოგიური ფაქტორების ერთობლიობა ქალს მამაკაცზე მეტად დაუცველს ხდის სექსუალური გზით გადამდები დაავადებებით დასნებოვნებისაგან.

ყოფითი (ოჯახური) ძალადობა ზღუდავს ქალის შესაძლებლობებს გააკონტროლოს დაავადების რისკი. ქალს არ შეუძლია მოსთხოვოს მეუღლეს პრეზერვატივის გამოყენება ან საერთოდ უარი თქვას სექსზე (მაშინაც კი, როდესაც მისი მეუღლე არ არის ერთგული და შეიძლება დაავადებულიც იყოს). ამას ხელს უშლის ქალის დაქვემდებარებული მდგომარეობა, ხშირად გამყარებული ძალადობის ამა თუ იმ ფორმით. ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელების მხრივ ძირითადი რისკფაქტორებია მოსახლეობის დაბალი სექსუალური კულტურა, დაავადებების შესახებ ცოდნის დაბალი დონე და გენდერული დისკრიმინაცია.

საქართველო არ ყოფილა და ალბათ ვერც იქნება პროსტიტუციული ქვეყანა. ეს ქართველთა კოდშია ჩადებული, თუმცა მცირე გაელვებები შუა საუკუნეებშიც არსებობდა. ერთადერთია მე-19 საუკუნე, როდესაც პროსტიტუცია ისეთ დონეზე არა, როგორც ევროპაში, მაგრამ მაინც მომძლავრდა. მაშინ ჩვენში ბორდელებიც არსებობდა.

XVII საუკუნეში თბილისში ოფიციალური ჰარამხანები ჩნდება და იგი მუსლიმანურ წესზე გადასულ ადამიანთა ხორცის დასატკბობელი ხდება. სიმბოლურია, მაგრამ პირველი ბორდელი გაჩნდა დღევანდელი ცირკის ამჟამინდელი შენობის მოპირდაპირე მთაზე, მეორე - სიონის საკათედრო ტაძრის გვერდით ქარვასლის ზედა სართულზე, მესამე კი ფიქრის გორაზე. XIX საუკუნეში, გაზეთ "ცნობის ფურცელში" გაჩნდა ცნობები ბორდელების შესახებ, სადაც მხურვალედ ეპაიჟებოდნენ და სთავაზობდნენ აკრძალულ ხილს. იმავე პერიოდში პრესის ფურცლებზე ე.წ. მამათა და დედათა ბრძოლაც დაწყებულა ამ საქმის გამო, სადაც ქალებს აკრიტიკებდნენ ალექსანდრეს ბაღში სეირნობის გამო, რაზეც ქალები პასუხობდნენ, თუ არ მოგწონთ, თქვენ რატომ დადიხართ ბორდელებშიო. ამ პერიოდის თბილისზე ტოლსტოიმ ასე თქვა: "აქ ბებერი აზიაც სუნთქავს და თანამედროვე ევროპაც კისკისებს". იმდროინდელი თბილისური ბორდელები მეფის სასახლეებს არ ჩამოუვარდებოდა, ასეთი სახლის პატრონები ძირითადად ქალები იყვნენ. ბორდელებს ქალაქის თავიც კი პატრონობდა და ხშირად უცხოელ სტუმარიც მიჰყავდათ იქ. რაც უფრო კარგ ქალს დაახვედრებდნენ, ეს სახლისა და ქალაქის პრესტიჟზე მეტყველებდა. ქართულ ბორდელებში ყველა ქალს მისვლისთანავე იკვლევდნენ, რადგან სიფილისი თბილისში უკვე შინაური ამბავი ყოფილა. იშვიათ შემთხვევაში პრეზერვატივის მაგივრობას თხის ნაწლავი ასრულებდა. ქუთაისშიც გაჩენილა ბორდელი, მაგრამ ხალხის მოთხოვნით მალევე დაუხურავთ.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე მთავარმართებლის განკარგულებით საქართველოში ბორდელები დახურეს. მიზანი კი ის ყოფილა, რომ მამაკაცებს ომისკენ უნდა ჰქონოდათ გული მიპყრობილი და არა - ქალებისკენ. ეს განკარგულება გვაფიქრებინებს, რომ თბილისში ამ დროს ბორდელები ცოტა არ უნდა ყოფილიყო, თუმცა ამის შემდეგ სამეძაო სახლები იატაკქვეშეთში გადავიდნენ.

ამ ბოლო ათწლეულში საქართველოში მიმდინარე სოციალურმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა ბევრი საჭირბოროტო საკითხი წარმოშვა. მათ შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად პროსტიტუციაა მიჩნეული. ამისდა მიუხედავად, არ არსებობს ამ პრობლემასთან დაკავშირებული რაიმე სტატისტიკური მონაცემი. კერძოდ, არაა ცნობილი, თუ რამდენი მეძავია ქვეყანაში; როგორია მათი ასაკობრივი კატეგორიები; ვინ არიან ძირითადად მათი კლიენტები; როგორია მათ შორის სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა გავრცელება და ა.შ. ამ ინფორმაციის დეფიციტს ბევრი ობიექტური მიზეზი განაპირობებს, მათ შორის ისიც, რომ არ არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უნდა არეგულირებდეს ამ პრობლემებს. საზოგადოების სხვადასხვა ფენაში არსებობს სრულიად პოლარული დამოკიდებულება კომერციული სექსის მიმართ. ყველაზე ხშირად ეს დამოკიდებულება აგრესიულობითა და მიუღებლობით ხასიათდება. ცნობილია, რომ კომერციული სექს-მუშაკები ინტრავენური ნარკოტიკების მომხმარებლებთან, ჰომოსექსუალ მამაკაცებთან, მიგრანტებთან და კიდევ სხვა კატეგორიის ადამიანებთან ერთად შეადგენენ მაღალი რისკის მქონე ადამიანების ჯგუფს. ამ პირებს, მოსახლეობის სხვა წარმომადგენლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად მეტი ალბათობა აქვთ, რომ დაინფიცირდნენ შიდსით და სხვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებით. შესაბამისად, ისინი ამ დაავადებების გავრცელების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ. ამდენად, ამ ჯგუფებთან მუშაობა ძალიან აქტუალურია.

არაოფიციალური მონაცემებით თბილისში "მუშაობენ" სხვადასხვა კატეგორიის მეძავები: 1. ყველაზე "დაბალ" კატეგორიას წარმოადგენენ ე.წ. ქუჩის მეძავები, რომლებიც მეტწილად ცენტრალურ ქუჩებში, ცირკისა და ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე "მოღვაწეობენ". 2. უფრო მაღალ კატეგორიას მიეკუთვნებიან საუნებში, აბანოებსა და სხვა არალეგალურ ბორდელებში მომუშავე მეძავები. 3. უმაღლეს კატეგორიას წარმოადგენენ ე.წ. "მობილურიანი" მეძავები, რომლებიც გამოძახებით მუშაობენ. მეძავების ასაკი ძირითადად 16-დან 45 წლამდე მერყეობს, თუმცა გვხვდებიან 15 წლის მეძავებიც. მათი უმრავლესობა მარტოხელაა ან განქორწინებული. მხოლოდ მცირე ნაწილს ჰყავს მეუღლე. გარკვეულ ნაწილს ჰყავს შვილები. მეძავების უმრავლესობა უმუშევარია, უმრავლესობა არ არის თბილისის მკიდრი, მათ შორის - ლტოლვილებიც. მეძავთა აბსოლუტური უმრავლესობა კომერციულ სექსში ჩართვის მიზეზად უსახსრობას, სიდუხჭირეს, ფინანსურ სიძნელეებს ასახელებს. ბევრი მათგანი აღნიშნავს, რომ მისი შემოსავალი არის ოჯახის რჩენის ერთადერთი საშუალება. თუმცა ისეთ შემთხვევებსაც ვაწყდებით, როცა ქალი გათხოვდა, მოეხსნა ფინანსური პრობლემები, მაგრამ პერიოდულად "ეპარება" ქმარს და კვლავ "მუშაობს" ქუჩაში ან საუნაში. ფსიქოლოგების აზრით, მიუხედავად იმისა, რომ სიდუხჭირე გარკვეულად უბიძგებს ქალს "პანელისაკენ", ძირეულ მიზეზად ალბათ პიროვნული პრობლემები უნდა ჩაითვალოს. მეძავთა უმრავლესობა საკუთარ თავს მეძავად მიიჩნევს, ამავე დროს ისინი აღნიშნავენ, რომ კომერციულ სექსში დროებით არიან ჩართული, დააგროვებენ გარკვეულ თანხას და სხვა საქმეს მოძებნიან. მცირე ნაწილი თვლის, რომ შემთხვევით და მოკლე ხნით არიან ჩართული კომერციულ სექსში. სექს-მუშაკთა კატეგორიებს შეესაბამება მომსახურების სხვადასხვა ფასები: 5-10ლარი ვაგზლის მოედანზე, 100-200 დოლარი ელიტარული მეძავებისათვის. სერვისის ფასი დამოკიდებულია სექსუალური კავშირის სახეზე. მაგალითად, ორალური კავშირი შედარებით იაფია ვაგინალურზე. კლიენტების რაოდენობა მეტ-ნაკლებად ერთნაირია მეძავების უმრავლესობისათვის და დღეში 2-დან 5-მდე მერყეობს. მეძავების ნახევარზე მეტი აღნიშნავს, რომ კლიენტებთან რეგულარულად იყენებს პრეზერვატივს, ხოლო დაახლოებით მეხუთედს იგი არასოდეს გამოუყენებია. მეძავთა აბსოლუტურ უმრავლესობას გარდა კლიენტებისა ჰყავს პერმანენტული პარტნიორიც. ხშირად სწორედ ის ხდება მათი ინფიცირების წყარო, რადგან მუდმივ პარტნიორთან მეძავები, როგორც წესი, პრეზერვატივს არ იყენებენ. ამას სხვადასხვაგვარად ასაბუთებენ: "დარწმუნებული ვარ, რომ პარტნიორი ჯანმრთელია", "დარწმუნებული ვარ, რომ პარტნიორი ჩემი ერთგულია", "პარტნიორი პრეზერვატივის გამოყენების წინააღმდეგია", "თუ პრეზერვატივის გამოყენებას შევთავაზებ, მან შეიძლება იეჭვოს, რომ მე სხვა პარტნიორებიც მყავს"და ა.შ.

სხვადასხვა კატეგორიის მეძავების სარისკო ქცევას აქვს გარკვეული თავისებურებანი. ეს დაკავშირებულია გაბატონებულ მითებთან. ყველაზე მეტად გავრცელებულია მითი იმის შესახებ, რომ ძვირადღირებული მეძავი აუცილებლად "სუფთა" (არაინფიცირებული) უნდა იყოს. კლიენტი ამას ასე ასაბუთებს: "მე ძვირს ვიხდი იმისათვის, რომ სრული სიამოვნება მივიღო, პრეზერვატივი კი ამაში ხელს მიშლის".

დაბალი კატეგორიის მეძავებთან კლიენტები უფრო ხშირად იყენებენ პრეზერვატივს, რადგან მიაჩნიათ, რომ "ქუჩის მეძავებს" უფრო მეტი რისკი აქვთ დაინფიცირების, ვიდრე ელიტარულ სექს-მუშაკებს. მითები აქაც არსებობს, მაგალითად ორალური სექსის უსაფრთხოების შესახებ. ან ასეთი:"კანამიცინის ან სხვა რომელიმე ანტიბიოტიკის ერთი ინექცია განაპირობებს სრულ დაცვას ინფექციებისგან"; "ისინი, რომელთაც პირველი ჯგუფის სისხლის აქვთ, არ ინფიცირდებიან" და ასე შემდეგ.

სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების საფრთხის ქვეშ დგანან მოზარდები, რადგან ისინი სქესობრივ ცხოვრებას ქუჩის მეძავებთან იწყებენ. ამის მიზეზად ისინი ასახელებენ თანატოლი მუდმივი პარტნიორის ყოლის შეუძლებლობას, მასტურბაციის მავნებლობას, ფინანსურ ფაქტორებს. ამგვარი კავშირები მეტწილად დაუცველია.

დაავადებების გავრცელების თვალსაზრისით საინტერესო ჯგუფია ჰომოსექსუალი მამაკაცები. მათში გამოიყოფა რამდენიმე კატეგორია. 1)ჰომოსექსუალები, რომლებიც არ მალავენ თავიანთ ორიენტაციას და ხშირად ამის აფიშირებას ახდენენ; 2)ჰომოსექსუალები, რომლებიც იმყოფებიან იატაკქვეშეთში და მალავენ თავიანთ ორიენტაციას; 3)ბისექსუალები, რომელთა უმრავლესობას ჰყავს ცოლ-შვილი, მაგრამ ამავე დროს ჰყავს ბევრი შემთხვევითი თავისივე სქესის პარტნიორი; 4) ტრანსსექსუალები; 5)ჰომოსექსუალები, რომლებიც კომერციულ სექსში მუშაობენ.

ჰომოსექსუალებში, როგორც აღმოჩნდა, ცოდნა სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა შესახებ შედარებით მაღალია, ვიდრე მეძავებში, მაგრამ მიუხედავად ამისა, სარისკო ქცევა ძალიან გავრცელებულია. რეგულარულად პრეზერვატივს მცირე ნაწილი იყენებს შემთხვევითი კავშირების დროს, ხოლო მუდმივ პარტნიორებთან დაკავშირებით იგივე სიტუაციაა, რაც მეძავებთან. ჰომოსექსუალისტთა შორისაც გავრცელებულია მითი ორალური სექსის უსაფრთხოების შესახებ. მათი უმრავლესობა კომერციული სექსით არიას დაკავებული, თუმცა, მეძავებისგან განსხვავებით, ისინი მიზეზად ეკონომიურ სიდუხჭირეს არ ასახელებენ, არამედ პარტნიორების სიმცირეს. არის ისეთი შემთხვევები, როცა კლიენტებს თვითონ უხდიან ფულს. დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ რადგანაც მაღალი რისკის ჯგუფის წარმომადგენელთა დიდი ნაწილი არარეგულარულად იყენებს პრეზერვატივს, როგორც შემთხვევით, ასევე მუდმივ პარტნიორთან, ეს ყოველივე საფრთხეს უქმნის როგორც თვითონ კომერციული სექსის მუშაკებს, არამედ ზოგადად მოსახლეობის ჯანმრთელობას. სავარაუდოა, რომ რამდენიმე მეძავის ან ჰომოსექსუალის ინფიცირება საკმარისი იქნება ამ ინფექციის დიდი მასშტაბით აფეთქებისათვის.

# არაყი თეთრი აჩრდილი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12

**მალხაზ ხარბედია**

## "მწარეა, მაგრამ ტკბილია"

თანამედროვე ქართული პროზა სავსეა არყით, ყველაფერს არყის სუნი უდის, რადგან, ჯერ ერთი თანამედროვეობაა ძალიან მწარე, არყისფერი და არაყივით გითრევს, მეორე მხრივ კი თითქმის ყველა ეს მწერალი ეტანება (ან ეტანებოდა) არაყს. თამამად ვიტყვი, ლაშა ბუღაძის გარდა, ჩვენი დროის ყველა მწერალი სვამს (ჩემი თაობისანი, წინამორბედები, უფროსები) და გასაკვირი არაა, იმ თავის არყიან ისტორიებს ლიტერატურულ სახდელ ქვაბშიც უშვებენ ხოლმე. ოღონდ საქმე ისაა, რომ ეს "არაყი" ზოგს კამკამა გამოუდის, ზოგს კი მღვრიე და დახრაკული.

აურაცხელი არაყი ისმება ნუგზარ შატაიძესთან, ვაჟა გიგაშვილთამ, ირაკლი სამსონაძესთან, გიგი სულაკაურთან, ზურაბ ლეჟავასთან. აკა მორჩილაძესთან ძველი ბიჭებიც სვამენ, სამხედროებიც, რევოლუციონერებიც და ჟურნალისტებიც. არაყს ურტყამენ კოტე ჯანდიერთან, ბესო სოლომანაშვილთან, დათო ქართველიშვილთან, ბესო ხვედელიძესთან, თამაზ ექვთიმიშვილმა კი არყის უცნაურ ბიზნესზეც დაწერა მოთხრობა. ერთი სიტყვით, არყისტებს მიაქვს ქართული პროზა, ამიტომ მხოლოდ რამდენიმესთან შევჩერდები და გავუსინჯავ გემოს მათებურ "შინნახადს".

ვაჟა გიგაშვილის წიგნში "მოთხრობები კაცზე, რომელიც იშვიათად წერდა ლექსებს" თითქმის ყველა სვამს, ქალიცა და კაციც, მთავარი გმირის მთავარი დილემა კი ამ მოთხრობებში ასე ჟღერს - "არყის ბრალია თუ ჩემი?"

სანტექნიკი იოსკა მთლად გამოთაყვანებულია არყისგან, ფეხიზელზე კი დღემუდამ პრიმას ეწევა და თავის ზღმურდლიან, ორი წლის წვინტლიან გოგოს ლოშნის. ყოველთვის თავს იკავებს სმისგან სომეხი საპოჟნიკი ალბერტა, სამაგიეროდ ჩვენს მთავარ გმირს, პოეტ დიმოს, არყით მთვრალზე ტოლერანტობის ხანა უმთავრდება ხოლმე და რამე რო იყოს, ალბერტასაც ჩაუნაყავდა ცხვირს. დიმოს ერთი დარდიმანდი ძმაკაცი ჰყავს, ნიკუშა, რომელიც სახელურიანი დიდი "სტალიჩნაიათი" ადგება ძმაკაცს, ავსებენ ორასგრამიან ჭიქებს და ეგრევე მოდიან ხასიათზე. ერთგან ვრცელი მონოლოგია, სადაც მთხრობელი თან რაღაცას იხსენებს, თანაც ცდილობს ლექსი დაწეროს და ბიტნიკების ბოპ-პროსოდიის ყაიდაზე თუ ჯაზის მთავარი თემასავით, ყოველ აზრსა თუ ამბავს რეფრენად გასდევს: "ვატაკე არაყი... კიდე ვატაკე არაყი... ისევ ვატაკე..." ბოლოს კი ჩაეშვება სავარძელში, ისევ დაასხამს არაყს და ისეთი დაგემოვნებით ჩაწრუპავს, თითქოს, დიდი ხნის დანატრებული ყოფილიყოს. მერე ერთ ასეთ ტირადასაც გაარტყამს: "სწორედ ამ სავარძელში ჯდომისასაა განსაკუთრებულად საამო არყის წრუპვა და პირიქით - არყის წრუპვა კიდევ უფრო სრულად განმაცდევინებს ამ სავარძელში ჯდომის სიამოვნებას".



*ნუგზარ შატაიძეს მართლა უყვარს არაყი და მის შესახებ მართლა გულიდან ამოსთქვამს ხოლმე ოდური აღფრთოვანებითა თუ ელეგიური სინანულით აღსავსე ორნახად სიტყვებს.*

გიგი სულაკაურის გმირები ძირითადად ორ დუქანში დადიან, სპარტაკასთან და ტრისტანასთან. "სპარტაკას" დუქანში ლუდი, არაყი, სოსისი, მდოგვი და რუხი პური მოაქვთ, ოღონდ სულ გადაჭედილია ხოლმე ეს დუქანი და დიდხანს ვერასდროს ჩერდები, "რადგან გარეთ, თვალებჩასისხლიანებული, ოხშივარასული და პირმოკალული ქართველი ვაჟკაცები მოუთმენლად ელოდნენ თავის წილ ლუდს და სხვა სიკეთეებს..." ტრისტანასთან კი არავინ დადის, მხოლოდ ვიღაც უცნაური ტიპები თუ შეივლიან, ორ ას-ასს ჩამოაყრევინებენ და ზიზღით სვამენ. შეეხეტება ლოთიც, ნელა, პროფესიონალურად, სვენებ-სვენებით დალევს იმ შხამს და დაურთავს, შაქარია ტრისტანჯან, შაქარიო...

ჯარში კლუკვის ორნახადს სვამენ, სადმე საკურორტო ქალაქში კი ვიეტნამურ ხვლიკიან არაყსაც აძრობენ: "სპირტში ჩაშვებულ ხვლიკს ნეტარი, ოდნავ სევდიანი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე".

გიგი სულაკაურის მოთხრობების კრებულში "მე და ჩემი ლიზა" მესამე მედუქნეც ჩნდება, ელდარა, ვისთანაც რაფიკამ დალია სული და ამ მოთხრობის სხვა პერსონაჟები იმასაც ამბობდნენ, "ყველაფერი იმ ნაბიჭვარი ელდარას ბრალია, უფულო, არაყზე დამჯდარ რაფიკას ერთი ჭიქა არ დაალევინაო". შემდეგ კი, როცა უბნელები ღვინოს აიტანენ მიცვალებულის სახლში, რაფიკას რუსი ცოლი, ალა გაცეცხლდება, არაყი რატომ არ მოიტანეთო და დაურთავს: "მაშინ, სიდი ი პეი ეგ გარშოკის სოკი. უნანიკ (რაფიკას და ალას ბიჭია), ჩვენი ვოდკუ პრინესი, აი, что в маленьком графинчике...".

ნუგზარ შატაიძე ცალკე საუბრის თემაა. ამ მწერალს მართლა უყვარს არაყი და მის შესახებ მართლა გულიდან ამოსთქვამს ხოლმე ოდური აღფრთოვანებითა თუ ელეგიური სინანულით აღსავსე ორნახად სიტყვებს. ოღონდ უნდა გაგაფრთხილოთ, ნუგზარ შატაიძემ კარგი, მამაპაპური მისაყოლებლით იცის მკითხველის გამასპინძლება და როცა მის ნაწერს ჩაუჯდებით, ბლომად ხორაგიც უნდა მოიმარაგოთ, თორემ მოშიება იცის ხოლმე (ერთხელ ეგრე დამემართა, მთელი ღამე შატაიძის მოთხრობებს ვკითხულობდი, და "სტუმარი ღვთისაა"-ზე ველარ გავუძელი, სამზარეულოში გამოვედი. საჭმელი არაფერი აღმოჩნდა სახლში და მახსოვს, კიტრსა და ტყემალს მივაძეხი).

არყისტი შატაიძე ორნაირი არსებობს, ქალაქელი და სოფლელი. ქალაქელი "გომსა" სვამს და ზედ გამოციებულ კარტოფილის ღვეზელს აყოლებს, ზოგჯერ ნიძლავზეც ჩამოდიან არაყს, თუკი რომელიმე ზაირა თუ ჯემალა საქართველოს იპოვიან მსოფლიო რუკაზე. ნუგზარ შატაიძესთან ხშირია კინოსტუდიისა თუ რომელიმე რედაქციის ლოთობები. მაგალითად, შეიკრიბებიან რეჟისორი, ოპერატორი, მხატვარი და ორი ასისტენტი, ჩავლენ სახელოსნოში, გამოიბრუჟებიან და მერე სადღაც მიდიან და იქაც არაყს ამატებენ. ზოგჯერ, ღვინით ნასვამები მოხუც დეიდებთანაც ადიან და ბროლის გრაფინიდან ასხამენ არაყს, რომელსაც გემოს ველარ უგებენ. ძირითადად საშნელებას სვამენ, ვინმე ფულიანი უცნობი თუ შემოამატებს ხოლმე "მასკოვსკაიას". ერთ-ერთი სულ არყის ქებაშია და ამბობს ღვინოს აღარასდროს დავლევო, "რადგან როდესაც ღვინოს სვამდა, ძილში ქვეშ იფსამდა, არაყზე კი არასდროს მოსდიოდა ეგეთი რამე".

ერთი სიტყვით, არაყი სულ ისმება გაუდაბურებულ, არეულ ქალაქში, ისმება სიცხეშიც და სიგრილეშიც, დილასაც და ღამეც, სალხინოდაც და სევდის გასაქარვებლადაც. არაყს სვამენ მაშინაც, როცა მეგობრის უეცარი გარდაცვალების ამბავს იგებენ.

სოფლელი ნუგზარ შატაიძე და არაყი პირველ რიგში ღორის დაკვლას უკავშირდება. მაგალითად, ბოლოჭები რო ღორს დაკლავდნენ, გაფუფქავდნენ, გამოფაშვავდნენ და "მწვადებითა და არყებით რო იწყებდნენ, მეორე დღესღა ამთავრებდნენ ღვინითა და ყაურმით". გოგია კიდევ, ნოველიდან "სტუმარი ღვთისაა", დილიდანვე ითადარიგებს ყველაფერს, რაც ღორის დასაკლავადაა საჭირო, ცხელი წყლით დაწყებული - ხელგაწაფული მეზობლებით დამთავრებული. გოგია და მისი რაზმი გოგიას ცოლისძმიშვილის, ქუცნაშვილისა და მისი ჩინიანი უფროსების მოლოდინში არიან, ბატონი ვიტალის თამადობით. ბიჭი კარიერას იჭედავს, და რა ქნას, ხომ უნდა სცეს პატივი ბიძამისმა, რომელიც შიგადაშიგ შეიკურთხება კიდეც გაუმაძღარ სტუმრებზე. მაგრამ ჯერ სტუმრები არ მოსულან, ჯერ მხოლოდ შინაურები ტრიალებენ და ხანდახან ორნახადსაც ურტყამენ. დაკლავენ ღორს, გაასუფთავებენ, გამოშიგნავენ, აქნიან და ჯერ ელენთას შეყრიან ნაკვერჩხალში, მერე კი მწვადის სამზადისსაც შეუდგებიან. ამასობაში არაყსაც არ ივიწყებენ, დაჭრიან შემწვარ ელენთას - შეავსებენ ჭიქებს. აიღებენ შამფურებს, ჩათლიან ცვრიან მწვადს ხახვიან ჯამში, ისევ გააპიპინებენ ჭიქებს. თანაც შეშას ეზიდებიან, ხაშლამის ქვაბს ადგანან, დანებს ლესავენ, თუმცა არიან უსაქმურებიც, რამაზა, დავითა და წრუნტა.

არაყს ნუგზარ შატაიძესთან ძირითადად ჭაჭისა და ჭანჭურისას სვამენ, ხანდახან პანტისაც გამოერევა ხოლმე. ზოგჯერ მეტად ცხარე არაყში წყალსაც ურევენ, მერე კი თანამეინახეთ ეკითხებიან, ძაან ხომ არ გამილაყებიაო. ერთი მოხუცი ცხარე არყის გამო დისშვილიშვილზე დარდობს, "აბა, ამის დამლევი ისწავლისღა რამესა?!"-ო.

არაყს ბევრი სიკეთე მოაქვს, სტუმრად რო წავლენ, ძღვნად მიუტანენ ხოლმე. არაყს ყლურწავდა მთხრობელის ბიძა, ბოლოჭა საწნახელში ყურძნის წურვისას, ფეხები რო არ დაზრობოდა, მწყემსები კი, "სამ-სამი არყით სახსრებდაბუჟებულები ჩუმად გასცქერიან ტაფობში ჩაყუჟულ სოფელს". ხანდახან ბავშვსაც შესთავაზებენ ხოლმე არაყს, ისე, ხუმრობით. ისეთიც არის, ვინც არყის დალევამდე ჩექმებს იხდის და მხოლოდ მერე სვამს, ეს ერთი მოხუცი კაცია ბარისახოს სასადილოდან, "თავპირჩამოგაზული, სახეზე სისხლებშემხმარი" შარიანი მოხუცი, რომელიც, კითხვაზე, "ჩექმები რაღაზე გაქვსო გახდილიო", მოკლედ პასუხობს, "ჩხუბში მიშლის ხელსო".

ნუგზარ შატაიძეს ერთი ბრწყინვალე ნოველა აქვს, "ჩვეულებრივი ყვავი, ჩვეულებრივი კაჭკაჭი, ჩვეულებრივი ძაღლები". ეს ავტობიოგრაფიული ნოველა მწერლის ოპერაციის ამბავს გვიამბობს და იმ ტკბილ საათებსაც აცოცხლებს, მეზობლის ვენახში რომ გაატარა ავტორმა ჭანჭურის არყის სმაში. ჯიბეში ნიტროგლიცერინი უდევს, მაგრამ მაინც არაყი ენატრება. ზის და მეზობელს ელოდება, რომელიც სულ მალე დაბრუნდება ხელში ჯამებივით კომბოსტოს ფოთლებით, პამიდვრითა და ვენახის ატმით სავსე ფოთლებით, დააძრობს სამალავიდან შარშანდელ ჭანჭურის არაყს და სამ-სამი შესანდობრით ცლიან ბოთლს, შემდეგ კიდევ ერთ ბოთლს იშოვიან და გაისმის ნოველის ცენტრალური ფრაზაც, თუ გნებავთ სიბრძნე: "არაყი მწარეა, მაგრამ ტკბილია..."

უკვე ერევანში კი, გულსისხლძარღვთა კლინიკაში გაკეთებული ოპერაციის შემდეგ ავტორი ამ ეპიზოდს გაიხსენებს და ცხადად დაინახავს ვენახსა და ბილიკზე მომავალ მეზობელს, ჭანჭურის არყით სავსე ბოთლი რომ ჩაუხუტებია გულში:

"- რა გაცინებს? - მეკითხება ცოლი და შეშფოთებული მიყურებს.

- არაფერი, - ვჩიფჩიფებ მე, - არაფერი... - მერე ვამატებ, - მიდით ერთი, ოვაიკიმიანს ჰკითხეთ, არყის დალევა როდის შეიძლება...

- რაო!!! - კივის ცოლი.

- ნარკოზის ბრალია ეგა... - ამბობს ჩემი ძმაკაცი, - გაუვლის, მალე გაუვლის... ყველაფერი კარგად იქნება."

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# მოძრაობის უსაფრთხოება



## ფოტო N1

### შუქნიშნის ობიექტი წერეთლის გამზირი - ყოფილი მაგნიტოგორსკის ქუჩა

ბუზღუნამ დათვალა, რომ ერთი საათის განმავლობაში ამ გზაჯვარედინზე 1 500-მდე ავტომანქანა გადის. შეიძლება ეს ციფრი არც არაფრის მთქმელია, მაგრამ იბადება კითხვა: "მაშინ როდისღა გადადიან ფეხით მოსიარულეები?"

პატივცემულო უმანქანოებო, მინდა დაგარწმუნოთ - ამ გზაჯვარედინზე უსაფრთხოდ ვერასდროს გაივლით. საქმე ის არის, რომ დე-იურე თქვენთვის განკუთვნილია დრო და თანაც ფეხით მოსიარულის შუქნიშანი მწვანე ფერით გეპატიჟებათ "გადმოდით", მაგრამ დე-ფაქტო - მანქანები არ გაძლევენ ამის საშუალებას არც ერთ ფაზაში, იმიტომ, რომ მათაც მწვანე შუქი ეპატიჟება. ჩემი რჩევაა - ნუ გადახვალთ ამ გზაჯვარედინზე, სანამ მის მუშაობაში არ შეიტანენ სერიოზულ ცვლილებებს. ზარალი ასეთი შუქნიშნის მუშაობიდან - ადამიანის სიცოცხლეა.



## ფოტო N2

### შუქნიშნის ობიექტი ალ. ყაზბეგის გამზირი - საბურთალოს ქუჩა

როგორც ფოტოდან ჩანს, შეიქმნა კონფლიქტური წერტილი; მანქანა, რომელიც მოდის საბურთალოს ქუჩიდან მწვანე შუქზე, ადრე თუ გვიან შეეჯახება მანქანას, რომელიც მოდის ასათიანის ქუჩიდან. შეიძლება პირიქით მოხდეს იმიტომ, რომ მასაც უნთია მწვანე შუქი. ამ კონფლიქტური წერტილის გარდა დაშვებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი შეცდომა - ისრებით ნაჩვენებია ხუთი ზედმეტი დამატებითი სექცია, რომელიც მოსახსნელია და ამ კონფლიქტური წერტილის თავიდან აცილება შესაძლებელია. მიყენებული მატერიალური ზარალი 500 ლარს შეადგენს.



## ფოტო N3

### ფილარმონიასთან

ფოტოზე აღბეჭდილია ორი ურთიერთსაწინააღმდეგო საგზაო ნიშანი: საგზაო ნიშანი "პირდაპირ და მარჯვნივ" კრძალავს მოტრიალებას, ხოლო ნიშანი "მოტრიალება" პირიქით გაძლევთ ამის საშუალებას; აქედან გამომდინარე, ერთ-ერთი ნიშანი ზედმეტია. ბუზღუნას იმედი აქვს, რომ მოიხსნება ის ნიშანი რომელიც მართლა ზედმეტია.

### შპს "შუქნიშნის" გენერალურ დირექტორს ბატონ ნიკა გაბელაიას

გაზეთი "24 საათი" პერიოდულად აქვეყნებს სხვადასხვა საჭირბოროტო მასალებს მოძრაობის უსაფრთხოების თემაზე. თქვენი ორგანიზაცია ერთ-ერთია, ვინც უშუალოდ მონაწილეობს ამ პროცესში, რათა მაქსიმუმამდე მიიყვანოს მოძრაობის უსაფრთხოება დედაქალაქში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, გვიპასუხოთ შემდეგ კითხვებზე:

1. **პირველად რომელ წელს გაიმარჯვეთ ტენდერში და ვინ დაგაფინანსათ?**
2. **რა დაფინანსება გქონდათ ამ წლების განმავლობაში (2004, 2005, 2006) შუქნიშნების მონტაჟზე, ნიშნების მონტაჟზე, მათ ექსპლუატაციაზე.**
3. **რამდენი ახალი შუქნიშნის ობიექტი და ნიშნები დაამონტაჟეთ ამ ხნის განმავლობაში?**
4. **ვინ გაძლევთ დავალებებს და ვის მიერ არის დამტკიცებული ეს დავალებები?**
5. **წელს თუ გაიმარჯვეთ ტენდერში და რომელ ლოტში?**
6. **რომელი დარგის სპეციალისტი ბრძანდებით და სად მოღვაწეობდით, სანამ შპს "შუქნიშნის" გენერალური დირექტორი გახდებოდით?**
7. **სანამ პირველად გაიმარჯვეთ ტენდერში, თქვენ ან თქვენს მოადგილეებს ჰქონდათ თუ არა რაიმე შეხება ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციასთან; ხომ არ გიჭირთ 1,5 მილიონიანი ქალაქის მოვლა ამ მიმართულებით?**
8. **ვის ბალანსზეა თქვენს მიერ დაყენებული ძირითადი ქონება.**
9. **თქვენი ორგანიზაციის გარდა ვინმე თუ ამონტაჟებს ნიშნებს დედაქალაქის ქუჩებში?**
10. **სულ ახლახან თქვენ დააყენეთ ნიშნები "ფასიანი დგომა"; ნიშნები დაყენებულია სტანდარტის დარღვევით, აქედან გამომდინარე:**
    **ა) თქვენ არღვევთ ვენის კონვენციის მიერ მიღებულ სტანდარტებს.**
    **ბ) ამ დარღვევისათვის თქვენი თანამშრომლები იღებენ ხელფასს, როგორ ახსნით ამ პარადოქსს?**
11. **რედაქციაში შემოდის დიდი რაოდენობით წერილი, რომლებშიც მკითხველი გვიგზავნის უამრავ მაგალითს სად და რა უხეში შეცდომებია დაშვებული, აქედან ლოგიკურად იბადება კითხვა: როდის აპირებთ მთელ ქალაქში შეცდომების აღმოფხვრას და რის ხარჯზე? როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ამ სამუშაოებზე თანხები გამოყოფილი არ არის.**

## ხუთი ყველაზე საშიში გზაჯვარედინი

დედაქალაქში მოძრაობის უსაფრთხოება დაბალ დონეზეა: ფეხით მოსიარულე და ავტოტრანსპორტი სულ უფრო კარგავენ უსაფრთხოების საერთო ენას, ადამიანი ქაოტურად მოძრაობს სავალ ნაწილზე, მანქანა "სამაგიეროს უხდის" და ტროტუარებს იკავებს, ახალი მიწისქვეშა გადასასვლელები ოცნებად რჩება... ამ საგანგაშო ვითარებაში ისღა დაგვრჩენია, რომ გამოვაქვეყნოთ 5 ყველაზე საშიში გზაჯვარედინი, რომლის გავლა როგორც ტრანსპორტისთვის, ისე ფეხით მოსიარულისთვის სახიფათოა.

1. **თამარ მეფის გამზირი - აღმაშენებლის გამზირი;**
2. **წერეთლის გამზირი - ყოფილი მაგნიტოგორსკის ქუჩა;**
3. **წერეთლის გამზირი - ცაბაძის ქუჩა (სტადიონთან);**
4. **მარჯანიშვილის მოედანი;**
5. **საბურთალოს ქუჩისა და კუტუზოვის ქუჩის გადაკვეთა.**




## ფოტო N4

### მარჯანიშვილის ქუჩა "მაკდონალდსთან"

ვინც ერთხელ მაინც გაიარა ამ მონაკვეთზე ან ფეხით და ან მანქანით, ალბათ ცდილობს მეორედ ეს აღარ გააკეთოს, რათა აღარ მოხვდეს საცობში და ვერც სავალ ნაწილს გადაკვეთს. ამ დროს, ამ ძალიან რთულ მონაკვეთში გაჩნდა ნიშანი "ფასიანი დგომა" - თან ისე დააყენეს, რომ ნიშნის მოქმედების ზონაში მანქანას უბრალოდ, ვერ გააჩერებ, იმიტომ რომ ერთი მანქანის ადგილიც კი არ არის. ბუზღუნა მიხვდა, რომ ეს ნიშანი შეცდომით არის დაყენებული და 180 გრადუსით უნდა მოტრიალდეს, რათა იმოქმედის მარჯანიშვილის ქუჩაზე. ანუ, ამ ვიწრო ყელში ვიღაცამ დააწესა ფასიანი დგომა. ყველაფერს უნდა ჰქონდეს საზღვარი და იმ "ვიღაცას" ხომ უნდა ეფიქრა, რომ მარჯანიშვილის ქუჩის სიგანე ამ მონაკვეთში არ აღემატება 7-8 მეტრს და ყოვლად შეუძლებელია ავტომანქანების პარკინგი?!

**P.S.თბილისის მერიის სატრანსპორტო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს, ბატონ დ. ენუქიძეს.**

ბატონო დავით! დამერწმუნეთ, რომ ის 10 მანქანა, რომელიც მარჯანიშვილის ქუჩის ამ ვიწრო მონაკვეთში დადგება, ბევრად მეტ ზარალს მოიტანს, ვიდრე მათი დგომის საფასური. თუ იგულისხმება იმ "ჯიბის" დატვირთვა, რომელიც "მაკდონალდსის" გვერდით არის, ხომ არ სჯობს ამ ადგილზე დააწესოთ N33 ავტობუსის გაჩერება; ამით განიტვირთება აღმაშენებელი-მარჯანიშვილის კუთხის ქაოსი და მარჯანიშვილის ქუჩის "ჯიბეში" გაჩერებული დიდი ავტობუსი ხელს არ შეუშლის მოძრაობას თვით მარჯანიშვილზე. ამ ნიშნის მონტაჟით ბიუჯეტი 100 ლარით დაზარალდა.



## ფოტო N5

### გორგასლის გამზირი

საგზაო ნიშანი, რომელიც აღბეჭდილია ფოტოზე მოქმედებს სავალი ნაწილის იმ ზოლზე, სადაც აკრძალულია მოძრაობა, იმიტომ რომ საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი და ეს ზოლი ამ ტრანსპორტს ეკუთვნის. როგორც ფოტოზეა გამოსახული, ნიშანი დამაგრებულია განათების ბოძზე და არა იმ ზოლის თავზე, რომელზეც მოქმედებს. გარდა ამისა, ბუზღუნას მოძრაობის წესებიდან კარგად ახსოვს, რომ ეს ნიშანი ყოველი გადაკვეთის შემდეგ მეორდება. ნიშნის არასწორმა დაყენებამ ქალაქის ბიუჯეტი 100 ლარით დააზარალა, მისი დემონტაჟი და ხელახალი მონტაჟი უფრო გაზრდის აღნიშნულ ციფრს.

გაგრძელება.
დასაწყისი იხ. №12

# კიდობანი დიდია...

## მეორე ნაწილი

...აბდალს მეგონა, ვარდების რევოლუციის მეორე დღესვე ქუდზე კაცი გარეთ გამოვიდოდით, დიდ-პატარა მკლავებს დავიკაპიწებდით და გაპარტახებული ქვეყნის შენებას შევუდგებოდით...

მაგრამ ნირი ოდნავაც არ შევიცვალეთ, უწინდებურად უმრავლესობა დახლებთან დავრჩით, სახნავ-სათესი კი ისევ და ისევ ბებრების ამარაა, კვლავ ჩაკეტილ-ჩარაზულია სოფლის სახლები, მიტოვებულია კარ-მიდამო, ბალახმა ბაღები შეჭამა, სამეზობლოდ ჩემთან არავინ მოდის...

ზოგჯერ მწარედ გამკრავს ხოლმე ფიქრი - ვაითუ ჩვენ ისეთი პრეზიდენტი გვწადია, რომელიც ერბო-კვერცხს გაგვიკეთებს და სირბილ-სირბილით შინ, მაგიდაზე მოგვართმევს... მერე, უკლებლივ ყველასთან ჩამოირბენს და ჯიბეებს ფულებით გამოგვიტენის, თანაც ბოდიშს მოიხდის, ჩვენი ბინის იატაკი, მოუცლელობის გამო, დაუგველი რო დაგვიტოვა...

ვაცხადებ მთელი კატეგორიულობით - ასეთი პრეზიდენტი ბუნებაში არ არის!

გინდ დამიჯერეთ, გინდ არა... ეს თქვენი საქმეა...

* * *

თუ პროვინციელი ხელმოკლეა და არც სადმე თანამდებობს, ანუ თავისთვის ფუსფუსებს, მისგან ზიანი უმნიშვნელოა - შვილებს გაამატრაკვეცებს, ეს იქნება და ეს... მაგრამ თუ იგი მდიდარია, ან პოლიტიკოსობს, მაშინ ზარალი მართლაც დიდი იქნება.

პროვინციელი უპირველესად საკუთარი თავის მნიშვნელობას აზვიადებს, მერე ყველაფერს, რასაც მოიმოქმედებს. თვითკრიტიკის უნარი მას საერთოდ არ გააჩნია, ამიტომ ნებისმიერი საკუთარი აზრი გენიალური ჰგონია, მით უმეტეს თუ ამაში დღედაღამ სხვებიც არწმუნებენ...

პროვინციალიზმი გეოგრაფიული ცნება არ არის - შეიძლება გლეხი კაცი იყო და საღად აზროვნებდე და პირიქით, პარიზში, ლუვრთან მეზობლად ბინადრობდე და ამ უკიდეგანო სამყაროს პროვინციელის მოჭუტული თვალით შესცქეროდე...

* * *

...რუსეთის საბჭოთა იმპერია ორ კვარცხლბეკზე იდგა - სტალინური ბიუროკრატიული აბსოლუტიზმი და აგრესიული პროვინციალიზმი... ერთიცა და მეორეც დემაგოგიური იდეოლოგიისა და პოლიტიკის არსს წარმოადგენ-ენ...

საბჭოთა ადამიანის ცხოვრების ყოველ კუთხე-კუნჭულს ფხიზლად უთვალთვალებდა სახელმწიფო მოხელე, ამიტომ სულ მეტად და მეტად იოლდებოდა პარტიის პოლიტიკის განხორციელება. მორჩილ ადამიანს საბჭოთა "ეთიკა" შეგნებულს უწოდებდა, ხოლო შეურიგებელს - გიჟს... სტალინის ბანდის პროვინციული ფანტაზიები შეშინებულ და მშიერ ადამიანს გულწრფელად სჯეროდა...

ცარიზმსაც გააჩნდა ბიუროკრატია, მაგრამ ის, რასაც კომპარტიამ ამ თვალსაზრისით მიაღწია, უპრეცედენტოა - ცენტრალურ კომიტეტებში იყვნენ ინსტრუქტორები, რომლებიც განაგებდნენ ტაქსის მძღოლების ცხოვრებას, მხატვარ-ფერმწერების საქმიანობას და ა.შ. ასეთი ტოტალური კონტროლი კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს...

ოქტომბრის "რევოლუციამ" პროვინციალიზმი დააკანონა - კარგად გვახსოვს მზარეული დედაკაცის მიერ ქვეყნის "წარმატებით მართვის" ამბავი და ის, რომ სულ მალე მიწიერი სამოთხე გველოდა. ოღონდ, რაც შეგვეძლო უნდა გვეშრომა და მერე, დიდი დღესასწაულის დროს, რამდენიც გვინდოდა, გვეჭამა... ეს ბლეფი უწიგნურმა ხალხმა (უმრავლესობამ წერა-კითხვა არ იცოდა) დაიჯერა და წარმოუდგენელი ენთუზიაზმით აფეთქდა... სიხარული იმდენად დიდი იყო, რომ ვერ შეამჩნიეს ვერც ურიცხვი საკონცენტრაციო ბანაკი და ვერც "გოლოდომორი"... თითქმის მუქთი ცხოვრების მოლოდინმა ყველაფერი გადაფარა, ყველაფერი დაჩრდილა...



*ცნობილი ფოტო და ტელე-ჟურნალისტი, მრავალი ჟურნალისტის აღმზრდელი სანდრო მამასახლისი სოფელში გადაბარგდა და დროდადრო, როცა ფიქრი და დარდი მოეძალება, იქიდან გვეხმიანება ხოლმე. თანაც ყოველ ჯერზე გვთხოვს, მკითხველი აუცილებლად გააფრთხილეთ - აბა, ჩვენ რა ვიცით, დაბერდა ეს ჩვენი სანდრიკა და ხანდახან მწარე-მწარეებსაც გამოურევს ხოლმეო. ამ თხოვნასაც ვუსრულებთ და მისი დიდი კიდობნიდან ტკბილ-მწარე ფიქრებსაც გთავაზობთ.*

დღესაც, დემაგოგის მიერ იოლი ცხოვრების სიტყვიერი დაპირებაც საკმარისია, რომ ყოფილ საბჭოთა ხალხს თვალები იმედით სინათლით აენთოთ, მქუხარე ტაშითაც დააჯილდოვონ და ახლავე გინდ სასაკლაოზე გაჰყვნენ...

...საბჭოური პროვინციალიზმი დღესაც აზვირთებულია და კვლავ ბობოქრობს... კლანჭა-ბალახის ფესვებივით ჩვენს გონებას გასაქანს არ აძლევს...

პროვინციულობაა, როცა ადამიანის ღირსებას არა მისი სულიერი თვისებებით ვსაზღვრავთ, არამედ იმით, თუ სად, რომელ რაიონში, ქუჩაზე, რა ხარისხით ნაშენ შენობაში ცხოვრობს... რა კერძებს მიირთმევს! თავად ვნახე მცხეთის გზაზე აბრა წარწერით - "გვაქვს პრესტიჟული... ხინკალი"...

იყო დრო, როცა ქართული ეთიკა არა მარტო კავკასიელებისათვის იყო სამაგალითო, არამედ თვით ევროპისათვის... 1801 წლის კატასტროფის შემდეგ თანაცხოვრების ქართული წესი საბოლოოდ დაკარგულია... შრომისა და გარჯის ქვეყანა სავაჭრო ჯიხურებისა და დახლის მხარედ იქცა... გზათა არნახული მშენებლობის ჟამს მუშებს შორის ქართველ ახალგაზრდას ძვირად შეამჩნევთ... დიახ, საბჭოთა ცნობიერება, როგორც პროვინციულობის ყველაზე აგრესიული ფორმა, ჯერ კიდევ დიდხანს გვაკოჭლებს და დაგვტანჯავს...

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვთქვათ, რესტორნის დამლაგებლისა და ლოს-ანჯელესის ფილარმონიის მთავარი დირიჟორის შვილები, თავიანთი მშობლების საქმიანობით, თანაბრად ამაყობენ... ეს იმიტომ, რომ მათთვის პროფესიის პრესტიჟს მარტოოდენ შესრულების ხარისხი განსაზღვრავს...

არ შეიძლება გენიალური მერაბ ბერძენიშვილი ცოცხალი გყავდეს და შენ თბილისის ცენტრში მოსკოვის ანეკდოტების პერსონაჟის რკინა-ბეტონის რებუსებს დგამდე... პროვინციულობაა, როცა საქმეში ნაკლებად ერკვევი და აშკარა შეცდომა დასაშვები გგონია...

* * *

...ეს იყო გასული საუკუნის სამოციან წლებში, შოთა რუსთაველის რვაასი წლისთავის იუბილეზე...

ხანძრის შემდეგ ახლად შეკეთებულ რუსთაველის თეატრის დარბაზში თავი მოიყარა რეჟიმის მიერ მოფერებულმა საზოგადოებამ. აქვე იყო რესპუბლიკის კომპარტიის მთავარი ხელმძღვანელობაც...

...ერთ-ერთი, ვინც სხდომის დასაწყისში სიტყვით გამოვიდა, იყო ინგლისელი, ქართველოლოგი ბატონი დევიდ ლენგი:

- პლატონმა თქვა, - ქართულად დაიწყო სტუმარმა, დარბაზს სიამოვნების ჟრუანტელმა დაუარა, - ნებიერია ის ერი, რომლის ხელმძღვანელი პოეტია... თქვენ, ქართველები, ორმაგად ბედნიერები ხართ, ვინაიდან თქვენი თავკაცი, მისტერ ვასილ მჟავანაძე, არა მარტო დიდი პოეტია, არამედ კლასიკური ფილოლოგიის უდიდესი სპეციალისტიც არის!

...დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა - იმ დროს ამგვარი ხუმრობა, თანაც ცეკას პირველი მდივნის მისამართით, წარმოუდგენელი თავხედობა იყო...

ყველაზე ადრე გივი ჯავახიშვილმა, მაშინდელმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, იმარჯვა - დაურიდებელი ხარხარი დაიწყო, თანაც ტაშიც დასცხო. თვინიერი დარბაზი უმალ გამოეხმაურა, ზომაზე მეტად ხმამაღალი სიცილით აჰყვა, თითქოს ამბობდა - ეს რა ხუმარა ინგლისელიაო...

...მოსკოვი "ხელმძღვანელებად"ეროვნული სულიერებისათვის შეურაცხმყოფელ "ბელადებს" გვიგზავნიდა...

მხიარულმა ინგლისელმა სწორედ ამას გაუსვა ხაზი...

მას შემდეგ დევიდ ლენგი საქართველოში აღარ ჩამოსულა...

* * *

პროვინციალობის უპირველესი ნიშანი ყველაფრის გაზვიადების, მაღალფარდოვანობის სურვილია... ყველას გვახსოვს, "პარტია და მთავრობა" დიდ ბოსელსა თუ საწყობისმაგვარ შენობას კულტურის სასახლეს რომ უწოდებდა, საბჭოთა პროფკავშირების მიერ მოწყობილ მჭლე, ღარიბულ სუფრას - ბანკეტს, ღია ცის ქვეშ, სადღაც ზღვის პირას, იაფფასიანი ოდეკოლონით აყროლებულ რუს დედაკაცთან, რომელიც მამაკაცის საშოვნელად მოგვევლინა, - კარნავალს, თუთუნისგან აქოთებულ, ბათქაშაცლილ კინოდარბაზს - "კოსმოსს", ნაგვით სავსე ხევს "მზიურს", საბჭოური წარმოების ხარახურით მოვაჭრე მაღაზიას - "ბავშვთა სამყაროს", წერა-კითხვის უცოდინარს - სკოლადამთავრებულს...

...აყვავებული ევროპისა და ამერიკის ქვეყნები რო არ ყოფილიყვნენ, სკკპ პოლიტბიურო აუცილებლად მიიღებდა (ამაში დარწმუნებული ვარ) საგანგებო დადგენილებას სათაურით: "საბჭოთა კავშირში კომუნიზმის არნახული წარმატებით მშენებლობის დასრულების შესახებ"... მაგრამ დასავლეთი თითქოს ჯიბრზე, სულ უკეთ და უკეთ ცხოვრობდა, ჩვენ კი რიგებში ვათენებდით ღამეებს... თუმცა, უნდა ვაღიარო, უმნიშვნელო ნივთისთვისაც კი რიგებში დგომა სულაც არ შეგვიშლიდა ხელს, გვერწმუნა "ცალკე აღებულ ქვეყანაში" კომუნიზმის მშენებლობის დასრულების ამბავი... ჩვენი ფსიქიკა მზად იყო, ბლეფი მიეღო, ოღონდ ეს ბელადს ეთქვა... დიდი ტერორის შემდეგ საბჭოთა ხალხის მორჩილება აბსოლუტური იყო.

* * *

ჩემი ხნის ხალხისთვის ძნელი არ არის წინასწარ განსაზღვრო, თუ მთავრობის რომელი გადაწყვეტილების გამო მოეწყობა საპროტესტო აქციები... ცხოვრების ყველაზე დიდი ნაწილი ჩვენ ხომ იმ დროში გავატარეთ, როცა ქუჩაში მასობრივი გამოსვლა კი არა, არამედ პროტესტის თაობაზე უბრალო გაფიქრებაც კი შეუძლებელი იყო... ამიტომ ათეული წლის განმავლობაში ბნელ საკანში გამომწყვდეული ხალხი დღევანდელი თავისუფლებითა და სილაღით გათამამებული, ყოველთვის ღირსეულად როდი იქცევა...

არასოდეს დამავიწყდება ის საყოველთაო თავის მოჭრის ღამე, როცა ფულის გამოძალვაში ექვმიტანილ "სპორტსმენებს" ამდენი ქომაგი გამოუჩნდა... ამ, არცთუ საამაყო ამბის წამქეზებელი და პროვოკატორი არაპროფესიონალი ტელესტუდიებიც იყვნენ, მათ ვერ მისცეს მოვლენას პოლიტიკური შეფასება...

იმისათვის, რომ გლეხმა ახალი კომბაინი ან ტრაქტორი აითვისოს, ხუთი წელიწადი მაინც უნდა... ძველი ჩვეულია, მოსახერხებელია, ახალი ნებისყოფას ითხოვს, სწავლის სურვილს, დროს...

ქვეყანაში ცხოვრების წესი შეიცვალა და ხალხის დიდ ნაწილს უჭირს ახალ რეალიებში გარკვევა. ყველაზე მაღალი, ლამის გადაულახავი ჯებირი საბჭოთა ადამიანისათვის უმათრახო წესრიგი აღმოჩნდა, ასე თუ ისე თითქოს რაღაც-რაღაცებში გაერკვა, მაგრამ კანონის დაცვა რომ ძალიან მნიშვნელოვანია, დღემდე არ იცის...

რუსეთის ოკუპაციის დროს დენს ყველა (შეიძლება გამონაკლისიც იყო) ვიპარავდით, იმპერიის ქონება სულაც არ გვენაღვლებოდა, ახლა კი მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდაა საჭირო...

ამიტომ ერთ-ერთი პირველი საპროტესტო გამოსვლა სწორედ ამან გამოიწვია, მეორე აყალმაყალი ბაზრის სპეკულიანტებმა გამართეს - გინდა თუ არა აქვე, ბაზრის შესასვლელთან გვავაჭრეთო... არადა, მართლები იყვნენ - ბაზრის შუაგულში ნაყიდს აქვე, ალაყაფთან რო გაყიდი, რა ჯობია ამას, მოგება თვითონ მოდის, არც თოხი გინდა და არც ბარი...

მებაზრეების შემდეგ სამარცხვინო ალიაქოთი ატეხეს სამედიცინო კოლეჯის მოსწავლეებმა - უგამოცდოდ ჩაგვრიცხეთ უმაღლესშიო...

ხშირია საპროტესტო გამოსვლები აჭარაშიც, სადაც ზღვის ღელვას დღემდე უჩვეულო მოვლენად მიიჩნევენ და ყოველი ქარბუქისა თუ გრიგალის შემდეგ იწყებენ ყვირილს - ზღვამ სახლი დამინგრია, ნოღაიდელო, ფულები ჩამოყაჭეო...

სხვათა შორის, ქვეყნის ბიუჯეტი მარტო ნოღაიდელისა არ არის, იგი ჩემიცაა. ვიხდი, მართალია, მცირეს, მიკროსკოპულს, მაგრამ მაინც გადასახადს, ამიტომ მეც მკითხეთ - ვიძლევი კია ამ ფულს?

გპასუხობთ: არ ვიძლევი...

დალოცვილო, თუნდაც ხუთასი მეტრით მოშორებით აგეშენებინა, მაშინ არც ტალღები დაგემუქრებოდნენ და არც მათი ხმაური შეგაწუხებდა... და მერე - ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში ცული და "დრუჟბა" (მარტო რუსული მენტალიტეტი თუ შეარქმევდა ხერხს "მეგობრობას") ხელიდან რომ არ გავუშვით, ვჩეხეთ და ვჭერით, რასაც თვალს დავადგამდით... მუხის, წიფელას, ნეკერჩხლის, იფნისა თუ ცაცხვის ნორჩი ხეებით ღუმელს ვაგიზგიზებდით, ტყე-პარკები გავჩეხეთ... სოფელ მეტეხთან, მტკვრის სანაპიროზე უმშვენიერესი ტყე-პარკი იყო, პირწმინდად გავჩეხეთ, ექვსი ჭადარიღა დარჩა და მათაც ეჯაჯგურებიან ვანდალები... კასპის რაიონში ქარსაცავი ნერგები პირწმინდად გავანადგურეთ, არც ვაშლი დავინდეთ და არც ატამი... ჩემი სახლიდან კავთისხევამდე ბარე ათი კილომეტრის სიგრძის გზაზე, ორივე მხარეს ჭერამი და გარგარი იყო გაშენებული, მთლიანად ავკაფეთ, ერთიც კი არ დავტოვეთ... არადა, ტყე აქვეა, ურმით ერთი საათის სავალზეა... იქაც თუ წავიდოდით, ვავლენდით ჩვენს საბჭოურ ბუნებას - სიხარბესა და უგუნურებას... საქართველო მთის ქვეყანაა, საქართველო ტყის ქვეყანაა, საქართველოში ვაკე ადგილი თითქმის არ არის, მაშ რატომ ინგრევა სახლები, ყოველი უავდრობა ტრაგედიად გვექცა. ბეტონს რო ლითონის არმატურა გამოაცალო, დაწნეხილი ფილა გახდება, კარგა ხანს არც არაფერი დაემართება, მაგრამ დიდ წვიმაში გალღვება და დაიშლება... ასეა მიწაც, უფესვებოდ ავდარს ვერ უძლებს, ღვარცოფად იქცევა...

* * *

არც ვანგა გახლავართ და არც ჯუნა დავითაშვილი და მაინც შემიძლია ვიწინასწარმეტყველო - მალე სასურსათო მაღაზიების მეპატრონეთა საპროტესტო აქციები დაიწყება. ეს იქნება რეაქცია მთავრობის "ანტიხალხურ" გადაწყვეტილებაზე, რომელიც სასურსათო მაღაზიების ყველა გამყიდველს ავალდებულებს, ეცვას ქათქათა, თეთრი ხალათი. ბუნებრივია, საპროტესტო გამოსვლის კულმინაცია იქნება თეთრი ხალათის დაწვა, ან დაგლეჯა...

ახლო მომავალში მოეწყობა დიდი მიტინგი, რომელიც დაგმობს ჯანდაცვის სამინისტროს ასევე "ანტიხალხურ" გადაწყვეტილებას, რომელიც ავალდებულებს გამოძახებულ ექიმს ავადმყოფთან მისვლამდე ხელების საგულდაგულოდ დაბანას... ამგვარი "ანტიეროვნული" გადაწყვეტილება, - დაიყვირებს ხალხის "დამცველი", - ხომ რადიკალურად შეცვლის ჩვენს არცთუ სახარბიელო დემოგრაფიულ მდგომარეობას, თავად განსაჯეთ - სანამ ექიმი ხელებს დაისაპნის, აიქაფავს, ჩამოიბანს, მერე პირსახოცით გაიმშრალებს, ამასობაში ავადმყოფი შეიძლება მოკვდეს კიდეც...

არანაკლები მღელვარებაა მოსალოდნელი ჩვენს ქალაქებში... მოგეხსენებათ, საქართველოში მარტო თბილისის ტელევიზიის ანძაა ხელუხლებელი, ისეთი, როგორიც დამპროექტებელმა ჩაიფიქრა და მშენებელმა ააშენა, დანარჩენი ნაგებობანი, პირწმინდად ყველა, ხალხის მიერ სახეშეცვლილია, ზოგმა სიგანე მოუმატა, ზოგმა აივანი მიაშენა, ზოგმა ლოჯია "წინ გასწია", ზოგმა მაღალ სართულზე მთელი ოთახი მიიმაგრა... ჰოდა, როგორც ევროპის ქვეყნებშია, საქართველოს ხელისუფლებამ მოისურვა შექმნას კომუნალური ინსპექცია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "საკუთარ" ბინაში კედლების გადაადგილებას ან მათ გაუქმებას ვეღარ შევძლებთ, დაგვაჯარიმებენ...

...დიახ, დღეს ჩვენთვის ყველაზე ძნელი საბჭოთა ცნობიერებაში არსებული ჯებირის (არა ერთის!) გადალახვაა... ხალხს ამაში დავეხმაროთ, თორემ იდეები, მე რომ მაქვს, მთელ დუნიას ეყოფა...

# ფრთები მედესანტეებისთვის

**მერაბ ლორთქიფანიძე**

გერმანული ფირმების, "ელექტრონიკსისტემ უნდ ლოგისტიკისა" და "დრაეგერის" კონსტურქტორებმა შექმნეს და გამოსცადეს სამხედრო დანიშნულების საპარაშუტო სისტემა, რომელსაც ტიპურ პარაშუტებთან საერთო მხოლოდ ის აქვს, რომ მისი მეშვეობით, ადამიანს დიდი სიმაღლიდან ხმელეთზე უსაფრთხოდ დაშვება შეუძლია. უფრო მეტიც, ამ სისტემის მეშვეობით, მომავალში შესაძლებელი გახდება საიდუმლო სამხედრო ოპერაციების სრულიად განსხვავებული ტაქტიკით ჩატარება.

სისტემის მთავარი ნაწილია მსუბუქი ფრთა, რომელიც ჯარისკაცის ზურგზე მაგრდება. მისი მეშვეობით, მედესანტეს საშუალება ეძლევა, თვითმფრინავიდან გადმოხტომის შემდეგ, დიდ მანძილზე იფრინოს და მშვიდობით მიაღწიოს დანიშნულების ადგილამდე.







ფრთის მოყვანილობა და აეროდინამიკური მახასიათებლები ისეთია, რომ თუ პარაშუტისტი თვითმფრინავიდან 10 კილომეტრის სიმაღლეზე გადმოხტება, მაშინ ის გადმოხტომის ადგილიდან 60 კილომეტრის დაშორებით დაეშვება მიწაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საიდუმლო ოპერაციის ჩატარებისას, სადესანტო თვითმფრინავს სულაც აღარ დასჭირდება ოპერაციის ადგილამდე მიფრენა, სადაც მოწინააღმდეგეს მისი განადგურების საშუალება ექნება. თანაც, ვერც მტრის რადარები შეძლებენ ფრთიანი პარაშუტისტების დაფიქსირებას, რომლებიც მიწაზე დაშვების წინ, ჩვეულებრივ პარაშუტს გახსნიან და მისი მეშვეობით მიწაზე "რბილად" დაეშვებიან.

უჩვეულო ფრთის პირველი სადემონსტრაციო ჩვენება 2003 წელს შედგა, როცა ავსტრიელმა პროფესიონალმა პარაშუტისტმა ფელიქს ბაუმგარტნერმა უპრობლემოდ გადაუფრნა ლა მანშის სრუტეს. მისი დესანტირება ქალაქ დუვრის (ბრიტანეთი) თავზე, 10 კილომეტრის სიმაღლეზე მოხდა, 12 წუთის შემდეგ პარაშუტისტი საფრანგეთში, ქალაქ კალეს შემოგარენში დაეშვა. ბრიტანულ გაზეთ "დეილი მეილის" ცნობით, ფრენის საუშალო სიჩქარემ 352 კმ/სთ(!) შეადგინა.

ჩვეულებრივი პარაშუტით ხტომებთან შედარებით, ფრთებით დესანტირებას რიგი უპირატესობანი გააჩნია. პარაშუტით მხტომელსაც შეუძლია დიდ მანძილზე გადაფრენა, მაგრამ დიდ სიმაღლეზე პარაშუტის გახსნისას მას მართვის გართულებასთან დაკავშირებული რიგი პრობლემები ექმნება. გარდა ამისა, პარაშუტით გადმოხტომისას, მედესანტე დიდ სიჩქარეს ვერ ავითარებს და თანაც, ნაკლებია დაშვების სიზუსტეც.

თუ მედესანტე პარაშუტს გვიან გახსნის, მაშინ მისი ჰორიზონტალური ფრენის (გადაადგილების) სიშორე მნიშვნელოვნად მცირდება. სამაგიეროდ, იზრდება დაშვების სიჩქარე, თუმცა პარაშუტის გახსნამდე, პილოტი ნაკლებად მანევრირებადია.

პირველი ტესტებიდან მიღებული მონაცემების შესაბამისად, გერმანულმა ფირმამ უკვე დაამუშავა სადესანტო ფრთის წარმოების ტექნოლოგია. ფრთის პროტოტიპის ფრთების გაშლის (ფრთაშლილობის) სიგრძე 1.8 მეტრია. ის დამზადებულია ნახშირბადოვანი კომპოზიტისგან, რომელიც ფართოდ გამოიყენება თვითმფრინავებისა (სამხედრო და ახლა უკვე სამოქალაქოც) და ფორმულა ერთის ბოლიდების წარმოებისას. მისგან დამზადებული კონსტრუქციები გამოირჩევა დიდი სიხისტით, გრეხვაზე დატვირთვისადმი დიდი წინააღმდეგობით და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, არის მსუბუქი.

წარმოებისთვის მომზადებული სადესანტო ფრთის მეშვეობით, შესაძლებელია ჰორიზონტალურად 200 კმ/სთ სიჩქარით ფრენა. ფრთის კონსტრუქცია იმის საშუალებასაც იძლევა, რომ მის შიგნით განთავსდეს ჟანგბადის ბალონი - დიდი სიმაღლიდან ხტომისას, მედესანტეს ჟანგბადით ღარიბ გარემოში უწევს ყოფნა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მის რეაქციას და აუარესებს ორიენტაციის უნარს. გარდა ამისა, შესაძლებელია მასზე სანავიგაციო მოწყობილობის, სპეცმოწყობილობისა და იარაღის დამონტაჟება. სულ, მედესანტის (პილოტის) წონის გარდა, ფრთას შეუძლია 90 კგ ტვირთის ტარება.

კონსტრუქტორები ირწმუნებიან, რომ სადესანტო ფრთა სრულიად უხმაუროა და მისი რადარით დაფიქსირება თითქმის შეუძლებელია. ამ ეტაპზე, გერმანულ ფირმაში მუშაობენ ახალი ფრთის შესაქმნელად, რომელიც მცირე ზომის რეაქტიული ძრავებით და საწვავის მცირე ავზებით იქნება აღჭურვილი. მათი მეშვეობით, მნიშვნელოვნად გაიზრდება დესანტირების მანძილი და სიჩქარეც.

სამხედრო ოპერაციების წარმოების თანამედროვე ხელოვნებიდან თითქმის გამოიდევნა ისეთი სადესანტო ოპერაციები, რომლების დროსაც, მედესანტეები პარაშუტებს იყენებენ. მათი დანიშნულების ადგილამდე მიყვანის უკეთესი საშუალება ვერტმფრენია, რომელსაც მომავალში ალბათ სადესანტო ფრთა გამოდევნის. და ეს სულაც არ იქნება გასაკვირი.

ფრთის მეშვეობით შესაძლებელი იქნება დანიშნულების ადგილამდე ნებისმიერი რაოდენობით მედესანტის გაცილებით უსაფრთხოდ, სწრაფად, შორს და ზუსტად მიყვანა. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად მცირდება იმის შანსი, რომ მტერი შეძლებს მედესანტეების გადამყვანი სატრანსპორტო საშუალების (ვერტმფრენი, თვითმფრინავი) დაზიანებას. თანაც, ფრთით დესანტირების პარალელურად, საიერიშო ოპერაციის ჩატარებაც იქნება შესაძლებელი.

სადესანტო ფრთის ერთადერთი მინუსია მისი გაბარიტები, რის გამოც ფარული ოპერაციის ჩატარებისას მისი დამალვა რიგ პრობლემებთან იქნება დაკავშირებული.

სხვათა შორის, ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო სადესანტო ფრთის საცდელი გამოცდების ჩატარებას გეგმავს, რომლის წარმატებულობის შემთხვევაშიც, მას თავისი სპეციალური დანიშნულების შენაერთებისთვის შეიძენს.

ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა

*ბენედეტო კროჩე*

# შეყვარებული შექსპირი

ნოდარ ლადარია
ლეილა ბეზარაშვილი

დაერივნენ ანგლოსაქსები ლეონარდო და ვინჩის — ჯერ იყო და დენ ბრაუნის "და ვინჩის კოდი" გამოვიდა, ამის მერე ერთმანეთზე წაეწყო ბესტსელერებისა და ბესტსელერუკების რიგი: "და ვინჩის მემკვიდრეობა", "და ვინჩის ნაკვალევზე" და ა. შ. ზოგი მათგანი თბილისშიც ამძიმებს წიგნის დახლებს და ელის თხუთმეტი ან ოცი ლარის გამმეტებელ მყიდველს. და ეს მაშინ, როცა ანგლოსაქსებს თავიანთ ისტორიასა და კულტურაშიც მრავალი კრიპტოგრაფიული თუ ნუმეროლოგიური გამოცანა მოეპოვებათ...

ინგლისელი ფილოსოფოსის, ფრენსის ბეკონის (1561-1626) ანდერძის შავ ვარიანტში ვკითხულობთ შემდეგს: "ჩემი სხეული დაიმარხოს უცნობ ადგილას, ჩემი სახელი და ხსოვნა რამდენიმე ხნის შემდეგ მიეცეს სხვა საუკუნეთა და ხალხთა, მათ გარდა კი ჩემს თანამემამულეთა ნებას". ვერაფერს იტყვი, მეტად გაუგებარი ტექსტია — მით უმეტეს, თუ საქმე ეხება ადამიანს, რომელმაც სიცოცხლეშივე მოიხვეჭა თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე ბრძენი ადამიანის სახელი არა მარტო როგორც მეცნიერმა და ფილოსოფოსმა, არამედ როგორც სახელმწიფო მოღვაწემ.

მაგრამ ეს ტექსტუალური გაუგებრობა შერბილდება, როგორც კი გავიხსენებთ, რომ საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობს კამათი იმის გარშემო, ვინ იყო ავტორი იმ თხზულებებისა, რომლებსაც ისტორია ბეკონის ერთ-ერთ თანამედროვეს მიაწერს — კაცს, რომელსაც სახელად უილიამ შექსპირი ერქვა. დღეს ამ ნაწარმოებთა ავტორობაზე საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს სპეციალური ლიტერატურის მთები იცავს. ძნელი იქნება საპირისპირო აზრის "გატანა", თუ, რა თქმა უნდა, სასამართლოს მიერ აღიარებულ ექსპერტიზის მკაცრ და ულმობელ მეთოდებს არ დავეყრდნობით. მაგრამ ამ საკითხზე მსჯელობა ჯერ-ჯერობით უსაგნოა...

თუმცა არც ისე უსაგნო: მე-20 საუკუნის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ჩიკაგოში გაიმართა ამგვარი პროცესი, რომლის შედეგად მოსამართლე რიჩარდ ტატჰილმა თავისი ვერდიქტის ძალით გამოაცხადა, რომ შექსპირის ყველა ნაწარმოების ავტორი ფრენსის ბეკონია. სულ მალე მოსამართლეს თავში ჩაურაკუნეს ზემოდან და მის ვერდიქტს "უფლებამოსილების გადამეტების" კვალიფიკაცია მიანიჭეს.

მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლე ტატჰილის ვერდიქტი არა მარტო მის პირად შთაბეჭდილებას ეყრდნობოდა, არამედ ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში დაგროვილ ისტორიულ მონაცემებს, მაინც ძნელი იქნება ზემდგომი ინსტანციების გამტყუნება. ბოლოს და ბოლოს, რა მნიშვნელობა აქვს, ვისი სახელი ეწერება ამა თუ იმ ტექსტის ქვეშ. კაცობრიობის კულტურული მონაპოვარი არა თვით შექსპირია — ემპირიული ადამიანი, რომელიც ოდესღაც ცოცხლობდა, ჭამდა, სვამდა, თეატრ "გლობუსში" მოღვაწეობდა და ა. შ., — არამედ ტექსტები, კონკრეტული სულიერი მემკვიდრეობა და მათ გარშემო განვითარებული ინ-



ფრენსის ბეკონი.



ელიზაბეტ უელს გელაპი.

## კიდევ ერთი საბუთი

ქალბატონი ელიზაბეტ უელს გელაპი საკმაოდ ჯიუტი და ბეჯითი პიროვნება იყო. სწორედ ასეთი ადამიანებით უნდა ყოფილიყო დაკომპლექტებული ჯერ პროექტი "ენიგმა", რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანული წყალქვეშა ნავების მიერ გამოყენებული შიფრების გამოცნობას ემსახურებოდა, მერე კი ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო. ამ ორგანიზაციის სახელი მაინცდამაინც ხშირად არ ისმის — პოპულარობით მას ბევრად სჭარბობენ როგორც ცენტრალური საგამომძიებლო სააგენტო, ასევე ფედერალური საგამომძიებლო ბიურო (CIA და FBI). მაგრამ ამ ბოლო დროს ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოც (NSA) იკვლევს გზას მასობრივი კულტურის ნიმუშებისაკენ. ამის ერთ-ერთი ყველაზე ცხადი დადასტურებაა იმავე დენ ბრაუნის რომანი "ციფრული ციხესიმაგრე". რომანში მოქმედება სწორედ ამ სააგენტოს კედლებში ხდება და ძირითადი "პერსონაჟი" უმძლავრესი მშიფრავი მოწყობილობაა — გიგანტური კომპიუტერი, რომელიც დღე-ღამეში რის ვაი-ვაგლახით გამოჭერილ ათასობით საეჭვო უწყებას შიფრავს.

მაგრამ დავუბრუნდეთ ელიზაბეტ გელაპს. ეს ქალბატონი სწავლობდა მე-17 საუკუნის დრამატურგისა და მსახიობის, უილიამ როულის წიგნს "მკვდრეთით აღდგომა", რომელიც 1657 წელსაა გამოცემული. მკვლევარმა მალევე შენიშნა ბეკონის სისტემით გაშიფრული ერთი ადგილი, რომელიც ამოცნობის შემდეგ ასეთ უწყებას შეიცავდა: "ფრენსისის ოთახში, კოშკში, არის სამალავი, რომელშიც დამალულია იშვიათი ქაღალდები — ბეკონის ხელნაწერები; სამალავის აღმოსაჩენად საჭიროა მეხუთე შორენკეცის შეწევა ორმოცდამეათის ქვეშ". გასაგები იყო, რომ საქმე ეხებოდა კენონბერის კოშკს, რომელშიც ფრენსის ბეკონი 1619 წლამდე ცხოვრობდა.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე გელაპი ამერიკიდან ლონდონში ჩავიდა და ადგილობრივი ინტენდანტის თანხლებით მოინახულა კენონბერის კოშკი. იქ მან დეტალური დათვალიერება მოაწყო, თუმცა სამალავის აღმოჩენის დიდი იმედი არ ჰქონია. და მაინც, როგორი საკვირველიც არ უნდა ყოფილიყო, ცნობისმოყვარე ქალბატონმა კოშკის დიდ დარბაზში მართლაც მიაკვლია ორმოცდაათი შორენკეცით მოპირკეთებულ კედლის ფრაგმენტს. კედელზე შორენკეცები წრეზე იყო განლაგებული ორ რიგად: 34 ზედა რიგში და 16 ქვედაში. საჭირო შორენკეცის აღმოსაჩენად მისის გელაპმა შორენკეცებზე კაკუნსა და ხელის დაჭერას მიჰყო ხელი. მოულოდნელად, ზედა რიგის მეხუთე შორენკეცი დაიძრა და ქვევით ჩამოინაცვლა — ისე, რომ ორმოცდამეათის უკან აღმოჩნდა, ზუსტად ისე, როგორც გაშიფრულ ტექსტში ეწერა.

სამწუხაროდ, შორენკეცის მიღმა ყრუ კედელი გამოჩნდა. მაგრამ ინტენდანტმა გაიხსენა, რომ ეს შორენკეცი ერთხელ უკვე ჩამოვარდა და კედელში აღმოჩენილი ღრუს ამოსავსებად კალატოზები გამოიძახეს. სამალავი კოშკში მართლაც არსებობდა, თუმცა დიდი ხნის დაცარიელებული იყო. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რა უცნაური მეთოდით აღმოაჩინა მისის გელაპმა მისი არსებობა, არ შეიძლება არ მივიდეთ დასკვნამდე, რომ ბეკონის კრიპტოგრაფიული გატაცება — იმ დროისათვის ძალიან გავრცელებული რამ — უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს, რა ეგზოტიკურიც არ უნდა იყოს მისი შედეგები.

რა ვუყოთ, მაგალითად, იმას, რომ გაშიფრული ტექსტების მიხედვით, ბეკონს საკუთარი თავი დედოფალ ელისაბედის უკანონო ვაჟად მიაჩნდა?..

> **ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა**
> *ბენედეტო კროჩე*

ტერპრეტაციათა უწყვეტი ჯაჭვი. მაგრამ მაინც მივმართოთ ისტორიას...

შექსპირის ცხოვრების შესახებ ცნობები საკმაოდ მწირია. მისმა მშობლებმა წერა-კითხვა არ იცოდნენ — ეს არცაა გასაკვირი, თუ მდაბიურ წარმომავლობას გავითვალისწინებთ. მაგრამ წერა-კითხვა არც მის შვილებს ეხერხებოდა — ეს უკვე საკვირველია. ამავე დროს არ არსებობს არც ერთი დოკუმენტურად უტყუარი მტკიცება იმისა, რომ თვით შექსპირმა იცოდა წერა-კითხვა: არა მარტო მისი თხზულებების ავტოგრაფი არ შემორჩენილა, არამედ არც-ერთი საქმიანი ქაღალდიც კი, თუმცა მშობლიურ სტრატფორდში ამ კაცს კომერსანტად იცნობდნენ.

ცნობილია, რომ შექსპირი ლონდონში ღარიბ-ღატაკი ჩავიდა, მრავალწლიანი წარმატებული თეატრალური კარიერის შემდეგ კი მშობლიურ ქალაქს შეძლებულ ვაჭრად დაუბრუნდა. ნოტარიალურად დამოწმებულ მის ანდერძში უაღრესად სკრუპულოზურადაა ჩამოთვლილი მის საკუთრებაში მყოფი ყველა ნივთი, უმცირესიც კი, მაგრამ არაფერია ნათქვამი არა თუ მის საკუთარ თხზულებებზე, არამედ საერთოდ წიგნებზე, მიუხედავად მათი მატერიალური სიძვირისა, — როგორც ეტყობა, ამ სახის საქონელი შექსპირის სახლში საერთოდ არ მოიპოვებოდა.

იმხანად გამოჩენილი ადამიანების სიკვდილი ეპიტაფიათა და გალექსილ მიძღვნათა კორიანტელს იწვევდა. მაგალითად, შექსპირის მეგობრისა და კოლეგის, ბენ ჯონსონის სიკვდილისადმი მიძღვნილი 37 თხზულებაა ცნობილი. შექსპირის სიკვდილს კი არავინ გამოხმაურებია მისი სიძის გარდა, რომელმაც თავის დღიურში ერთი ფრაზა ჩაწერა: "ჩემი სიმამრი გარდაიცვალა".

ყველა მოწმობა მეტყველებს, რომ შექსპირი მოკვდა როგორც მშვიდი პროვინციული ქალაქის მკვიდრი სრულიად ჩვეულებრივი და არაფრით გამორჩეული ვაჭარი. მხოლოდ 1623 წელს მომზადდა "უილიამ შექსპირის თხზულებათა" კანონიკური კრებული, ეგრეთ წოდებული "პირველი ფოლიო", რომლიდანაც იწყება დიდი დრამატურგის დიდება. შექსპირის ლექსები და პიესები მანამდეც გამოქვეყნებულა, ჯერ ანონიმურად, მერე ხელმოწერილიც, მაგრამ მომცრო ფორმატით, "ინ კვარტო". მხოლოდ "ფოლიო", ანუ მთელი თაბახის ფორმატის მქონე გამოცემა გახდა მისი დიდების საფუძველი — გამოცემა, რომელიც ფრენსის ბეკონის სიცოცხლეში გამოვიდა და გვაძლევს საკმაოდ ბევრ მოწმობას, რომ სწორედ ბეკონია ტექსტების ნამდვილი ავტორი.

პიესებში "უინძორელი ალქაჯები", "ჰენრი მეოთხე", "მეფე ჯონი", "რიჩარდ მესამე" და "ოტელო" ფოლიოს გამოცემა 4479 ახალ სტრიქონს უმატებს, თუმცა ეს პიესები მანამდე ინ კვარტო გამოცემებში გამოდიოდა. სხვა სიტყვებით, შექსპირის სიკვდილიდან შვიდი წლის შემდეგ ვიღაცამ ჩაუმატა ლამის ხუთი ათასი ახალი სტრიქონი და თან ისე შეძლო ავტორის სტილური იმიტირება, რომ განსხვავების დანახვა შეუძლებელია.



ბეკონის ორნიშნა შიფრი.




ორი შრიფტით აწყობილი ტექსტი - დააკვირდით d და e ასოების დაწერილობას.

მიღებულია, რომ საშუალო სტატისტიკური ხელოსანი ან ფერმერი დაახლოებით 500 სიტყვას იყენებს, განათლებული ბიზნესმენი — სამიათასს, საშუალო ნიჭის მწერალი — ხუთიათასს, მეცნიერი კი შვიდიათას სიტყვას. შექსპირის ტექსტები 21000 ლექსიკურ ერთეულს შეიცავს და ეს გიგანტური ლექსიკონი არც ერთ მწერალს არ გააჩნია. არის მხოლოდ ერთი გამონაკლისი: ფრენსის ბეკონს სიტყვების ასეთივე მდიდარი მარაგი ახასიათებს, თანაც შექსპირის ლექსიკონთან თანხვედრა 95 პროცენტს უტოლდება.

რატომღაც ინგლისური სიტყვიერების ამ ორ ბუმბერაზს არა მარტო ერთსა და იმავე დროს, არამედ ერთსა და იმავე ადგილას მოუწია ცხოვრება. როგორ არ უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ შექსპირისა და ბეკონის ტექსტებში ანტიკური ავტორების ციტირებისას ერთი და იგივე შეცდომებია დაშვებული, ხოლო ბეკონის პირად დღიურებში, რომლებიც 1594-1596 წლებს შეეხება, მრავლადაა იდეები და სხვადასხვა სახის გონიერი წინადადებები, რომლებიც შემდგომში თითქმის სიტყვასიტყვითაა გამეორებული შექსპირის გვიანდელ პიესებში.

გარდა სტილური ანალიზისა, მე-20 საუკუნის ცნობისმოყვარე ადამიანებმა ბევრი სხვა გამოკვლევაც ჩაატარეს. მაგალითად, შექსპირის "ქარიშხლის" დასაწყისში მთავრული ასოს, ეგრეთ წოდებული ინიციალის გაფორმებაში 1930 წელს ინგლისელი მკვლევრების ჯგუფმა მრავალგზის გამეორებული სახელი "ფრენსის ბეკონი" ამოიკითხა.

არის კიდევ ნუმეროლოგიური გამოკვლევები. მართალია, ეს ჟანრი უფრო დენ ბრაუნის ყბადაღებულ რომანს მოგვაგონებს, მაგრამ რამდენიმე მათგანს მაინც მოვიყვანთ. მაგალითად, "ჰენრი მეოთხის" ტექსტში ერთ გვერდზე "პირველი ფოლიო" 33-ჯერ იმეორებს სახელს ფრენსისი. ამის გამო ტექსტი საშინლად არაბუნებრივია და სხვა ენაზე მთარგმნელებს მისი გადაკეთება უწევთ. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ 33 არის ბეკონის გვარის რიცხვითი მნიშვნელობა. ერთიანად კი სახელსაც და გვარსაც 100-ის ტოლი რიცხვითი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ "ფოლიოს" მეასე გვერდზე, რაც "შეცდომათა კომედიის" ფინალს ემთხვევა, აბატისა ამბობს, რომ ოცდაცამეტი წელი გაატარა მძიმე შრომაში. პიესის შინაარსიდან ეს პერიოდი არაფრით არ შეიძლებოდა ყოფილიყო 25 წელიწადზე მეტი.

რა თქმა უნდა, ეს ნუმეროლოგიური ტრიუკები ადვილად შეიძლება მივაკუთვნოთ თავშესაქცევი დამთხვევების რიგს. მაგრამ არსებობს კვლევების სხვა სფერო, რომელსაც ასე ჰაიჰარად ვეღარ ავუქნევთ ხელს. საქმე კრიპტოგრაფიას ეხება.

ფრენსის ბეკონის ავტორობის კრიპტოგრაფიული არგუმენტების შესახებ ყველაზე მდიდარი და სერიოზული მასალა მოიპოვება ფრანგი გენერლის, ვინმე კარტიეს წიგნში. რა შუაშია გენერალი? — იკითხავს განათლებული მკითხველი. მაგრამ კრიპტოგრაფიის საქმე ყველაზე მეტად სამხედრო დაზვერვას მოეკითხება და აქ დენ ბრაუნიც არ ცდება, როცა გვეუბნება, რომ მისი რომანის გმირი, კრიპტოგრაფი მადემუაზელ ნევე, სახელმწიფო უშიშროების სამსახურში მუშაობს. ჩვენი გენერალიც ზუსტად იმ დაწესებულებაში მუშაობდა — საფრანგეთის დაზვერვის მშიფრავთა განყოფილებას ედგა სათავეში. 1918 წელს ამავე დაწესებულებაში მოღვაწეობდა ამერიკის საექსპედიციო კორპუსის შემადგენლობის ოფიცერი, ლეიტენანტი უილიამ ფრიდმენი, რომელმაც მოგვიანებით შექმნა აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო. პირველი მსოფლიო ომის მეკავშირეები კარგად იცნობდნენ ერთმანეთს. კარტიეს, მაგალითად, გაცხოვლებული მიმოწერა ჰქონდა პოლკოვნიკ ჯორჯ ფაბიანთან, რომელიც მფარველობდა არა მარტო უილიამ ფრიდმენს, არამედ ელიზაბეტ უელს გელაპსაც — სახელგანთქმული პროექტის, "ენიგმის" ერთ-ერთ მონაწილეს, შემდგომში კი ფრენსის ბეკონის შიფრების ამომხსნელს. სწორედ ფაბიანთან მიმოწერიდან გაიგო კარტიემ ბეკონის თავისებური შიფრის შესახებ, რომელიც აღწერილია ფილოსოფოსის ორ ნაშრომში — "შემეცნების წარმატება" და "მეცნიერებათა ღირსებისა და წარმატების შესახებ".

ბეკონმა ჯერ კიდევ სიყმაწვილეში მოიგონა ეს შიფრი, რომელიც სულ ორი ნიშნისაგან შედგება. მოყვანილ მაგალითში გამოყენებულია ლათინური ასოები a და b, მაგრამ ეს ნებისმიერი ორი ნიშანი შეიძლება იყოს. ლათინური ანბანის ყოველი ასო გამოიხატება ამ ნიშანთა ხუთეულით. ეს ახალი დროის დასაწყისის ორობითი კოდია: გასაოცარია, რომ ბეკონის შიფრი მეტად ხელსაყრელია კომპიუტერისთვის, რადგან ორი ნიშანი ადვილად გამოიხატება ერთითა და ნოლით, ანუ სიგნალითა და მისი არარსებობით. ამგვარ სისტემაზე მუშაობს ნებისმიერი კომპიუტერი.




"პირველი ფოლიოს" სატიტულო ფურცელი.

მაგრამ ეს შიფრი არა მარტო რომელიმე ტექსტს მალავს, არამედ საკუთარ თავსაც. წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე ტექსტი ავკრიფეთ არა ერთი რომელიმე შრიფტით, არამედ ორით. თანაც ეს შრიფტები ერთმანეთისაგან ძალიან მცირედ განსხვავდება. მაშინ შესაძლებელია ერთი და იმავე ტექსტით ორი სხვადასხვა შეტყობინება გადმოვცეთ: ერთს პირდაპირ ვკითხულობთ (და, შესაძლოა, არც ვაქცევთ ყურადღებას, რომ ორი შრიფტია გამოყენებული), მეორეს კი მხოლოდ მაშინ მივაკვლევთ, თუ გავაანალიზებთ შრიფტების მონაცვლეობის რიტმს და "წავიკითხავთ" მას ბეკონის ორნიშნა შიფრის თანახმად.

აქვეა მოყვანილი ბეკონის წიგნის — "მეცნიერებათა ღირსებისა და წარმატების შესახებ" — ერთი ფრაგმენტი, სადაც შეიძლება დავაკვირდეთ მოუხელთებელ მონაცვლეობას, რომელიც i, e და d ასოების ფორმის შეუმჩნეველი ნიუანსებითაა გამოხატული.

როცა კარტიე ამ შიფრს გაეცნო, ფაბიანმა ურჩია, საგულდაგულოდ შეესწავლა ბეკონის მთავარი თხზულების "ახალი ორგანონის" პირველი გამოცემის ერთი გვერდი. კარტიემ პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიაკვლია ამ იშვიათ გამოცემას და ლუპით ხელში მართლაც აღმოაჩინა, რომ ტექსტი ორი სხვადასხვა შრიფტითაა აკრეფილი. როცა თვით კრიპტოგრამის ფაქტი დადასტურდა, მისი გაშიფრვა უკვე ტექნიკის საქმე იყო. ორობითი კოდის მიმდევრობა სიმბოლოებად იქნა დანაწევრებული და წაკითხული. კარტიემ დაადასტურა ელიზაბეტ გელაპის ტიტანური შრომის შედეგი.

ეს ქალბატონი 30 წლის განმავლობაში იკვლევდა მე-17 საუკუნეში გამოცემულ 34 წიგნს. ზოგის ავტორად ბეკონი იყო დასახელებული, ზოგისა — შექსპირი. სხვები კიდევ ამავე წრის სხვა ავტორებს ეკუთვნოდა. ყოველი მათგანის ტექსტში გამოყენებული იყო ორობითი კოდი. ასე იქნა აღმოჩენილი ფრენსის ბეკონის საიდუმლო და უცნობი ბიოგრაფია, რომელიც ფილოსოფოსმა შიფრს ანდო. შექსპირის შესახებ ამ ბიოგრაფიაში შემდეგი წერია:

"მე სხვადასხვა პიესებს ვწერდი — ისტორიულ ქრონიკებს, კომედიებს, ტრაგედიებს. მათი უმრავლესობა დაიდგა თეატრში, სადაც მათ ავტორად შექსპირს აცხადებდნენ და პიესებსაც, უეჭველად, დიდი წარმატება ჰქონდა... ჩემი გამოქვეყნებული ნაწერებიც მისი სახელითაა ცნობილი, რადგან სხვებში გამოვარჩიე შექსპირი, თუმცა სხვები მას არაფრით ჩამოუვარდებოდნენ. რახან ერთხელ მივეცი ჩემი პიესები მის თეატრს, შემდეგაც იგივე განვაგრძე, რადგან სულის სიღრმეში საკუთარ თავს ამ კაცის მონად ვგრძნობ".

რას ნიშნავს ეს ყველაფერი? რა საიდუმლოება იმალება ბეკონის ბოლო წინადადებაში? ალბათ ყველაზე კარგი იქნება, ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაცია გამოვიყენოთ: "შენგან მეფე მონას ეყმოს...". ვერ ვძლევთ აზრს, რომ სწორედ სიყვარული იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ ინგლისის უდიდესი ფილოსოფოსი, სიცოცხლეში აღიარებული მეტრი საკუთარ თავს საშუალო დონის სტრატფორდელი საქმოსნის მონად გრძნობდა...

ხარუკი მურაკამი

ირაკლი ბერიაშვილის თარგმანი

გაგრძელება. დასაწყისი იხილე №11, 12

ხარუკი მურაკამი 1949 წელს დაიბადა კიოტოში, იაპონიის ძველ დედაქალაქში, კლასიკური ფილოლოგიის მასწავლებლის ოჯახში. სწავლობდა კლასიკური დრამის ფაკულტეტზე ვასედას უნივერსიტეტში. ტოკიოში ჯაზის ბარი ჰქონდა.

წერა 29 წლისამ დაიწყო და მას შემდეგ წელიწადში საშუალოდ ერთ რომანს წერს. იღვიძებს ექვს საათზე და წვება ათზე. 33 წლისამ სიგარეტს თავი დაანება, დაიწყო ვარჯიში.

დასავლეთში გაემგზავრა და იქიდან ევროპელის თვალით დაუწყო ყურება თავის სამშობლოს.

თავისი შემოქმედებით მურაკამი არღვევს ჩვეულ იაპონურ ფასეულობებს: "ეცადე იცხოვრო ჰარმონიულად გარე სამყაროსთან", "არ გამოეყო გარემოს და ყველაფერი იღონე კარიერისთვის". ის სიამოვნებით არღვევს ტრადიციებს, რის გამოც ბევრი იაპონელის სიძულვილიც დაიმსახურა. "მე მომწონს დროის ფლანგვა. ქვეყნად იმდენი რამ არის, რაც მიყვარს - ჯაზი, კატები, გოგონები, შეიძლება წიგნებიც. ყველაფერი ეს ცხოვრების გაგრძელებაში მეხმარება".






# ნადირობა ცხვრებზე

## მესამე ნაწილი

### სექტემბერი, 1978 წ.

### 1

### ვეშაპის პენისი. სამ ადგილას მომუშავე გოგო

ქალთან დაწოლა: ზოგჯერ ამას ვუყურებ როგორც რაღაც დიდსა და სერიოზულს, ზოგჯერ პირიქით - განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ ამაში. არსებობს სექსი როგორც ძალების აღდგენის თერაპია და არსებობს სექსი უსაქმურობისგან. სექსი თავიდან ბოლომდე შეიძლება თერაპია იყოს, ისევე როგორც თავიდან ბოლომდე უსაქმურობისგან. საუკეთესო თერაპიად დაწყებული სექსი სულ იოლად შეიძლება დასრულდეს უსაქმურობისგან გაჩენილი ბანალური სექსით, ისევე როგორც პირიქით. ჩვენი სექსუალური ცხოვრება - როგორ ვთქვა - საფუძველშივე განსხვავდება ვეშაპების სექსუალური ცხოვრებისგან.

ჩვენ ვეშაპები არ ვართ - აი, ჩემი სექსუალური ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი თეზისი.

ჩემი ბავშვობის ქალაქში, სახლიდან ველოსიპედით ოცდაათი წუთის სავალზე, ოკეანერიუმი იყო. შიგ, როგორც ნამდვილ წყალქვეშა სამყაროში, ყოველთვის ციოდა და მდუმარებას იშვიათად არღვევდა კაცმა არ იცის საიდან წამოსული წყლის ტყლაშუნი. გაფერმკრთალებულ ბინდბუნდში დერეფნის კუთხეებიდან ლამის ქალთევზების ყრუ ოხვრა მოისმოდა. ვეებერთელა აუზში წრეებს უვლიდნენ თინუსის გუნდები, ზედაპირისკენ წყლის გვირაბებით სპირალურად მოისწრაფოდნენ ზუთხები, ხორცის ნაჭრებს მტაცებლური ჟინით შეჰყურებდნენ პირანები, თავიანთი ბუშტულა ლამპრებით აქა-იქ ძუნწად ციმციმებდნენ ელექტრული გველთევზები.

ოკეანერიუმში თვლა არ ჰქონდა თევზებს. სხვადასხვა დასახელება, სხვადასხვა ქერცლი, სხვადასხვა ფორმის ლაყუჩები. ვერაფრით ამეხსნა, რატომ ან რისთვის იყო საჭირო დედამიწაზე თევზის ამდენი სახეობა.



ვეშაპები ოკეანერიუმში, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ყოფილიყო. ვეშაპები მეტისმეტად დიდები არიან, მათ შენობის შიგნით ვერ იყოლიებ: ოკეანერიუმის დანგრევა იქნებოდა საჭირო, რომ აგებულიყო წყალსაცავი, რომელშიც ერთადერთი ვეშაპი დაეტეოდა. თვითონ ვეშაპის ნაცვლად მისი პენისი იყო გამოფენილი. როგორც თავისი პატრონის სრულუფლებიანი წარმომადგენელი. აი, ასე მოხდა, რომ ჩემი ბავშვური ფანტაზიის ყველაზე ნათელი წლები ვეშაპის პენისის ჭვრეტასა და იმის წარმოდგენაში გავატარე, რამხელა უნდა ყოფილიყო მთლიანად. ოკეანერიუმის დახლართულ დერეფნებში სეირნობით რომ ვიჯერებდი გულს, მაღალჭერიან საგამოფენო დარბაზში მივდიოდი, პირდაპირ ვეშაპის პენისის წინ დივანზე მოვკალათდებოდი და საათობით ვიჯექი გაუნძრევლად.

ხანდახან გამხმარ ქოქოსის პალმას მაგონებდა, ხანდახან გიგანტურ სიმინდის ტაროს. ერთი კი უეჭველი იყო. ძირში დაფა რომ არ ჰქონოდა წარწერით "მამალი ვეშაპის სასქესო ორგანო", ვერც ერთი მნახველი ვერ მიხვდებოდა, რა ჯანდაბა იყო მის წინ. უფრო მეტად წააგავდა შუა აზიის ქვიშებში ნაპოვნ რელიქტს, ვიდრე ჩრდილოყინულოვანი ოკეანის სიღრმეების ბინადარს. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ საერთოდ არ ჰგავდა არც ჩემს საკუთარს და არც ჩემს მიერ ნანახ ვისიმე პენისს. ეს მარტოხელა, სხეულიდან ძირფესვიანად ამოგლეჯილი პენისი ჩემს თვალწინ თითქოს რაღაც ამოუცნობი სევდის ტალღებში დაცურავდა.

და როცა პირველად დავწექი ქალთან, ყველაფერი, რაც თავში მიტრიალებდა, ვეშაპის პენისი იყო. "ნეტა რა დაემართა? რომელმა ბრმა ტალღამ შემოაგდო ამ უკაცური ოკეანერიუმის მინის ვიტრინის ქვეშ?" აი, ეს თუ ამის მსგავსი კითხვა მაწუხებდა. ჩემი ბედის ყრუ განწირულობის ასეთივე შეგრძნება მიკუმშავდა გულს. არადა, მხოლოდ 17 წლის ვიყავი - მეტისმეტად ადრეულ ასაკში იმისთვის, რომ თვითმკვლელობამდე მიიყვანო საქმე. სწორედ მას შემდეგ შევაჩვიე თავი მხსნელ აზრს.

ჩვენ ვეშაპები არ ვართ.

ახალ გოგოსთან რომ ვგორაობდი ლოგინში, მისი თმის ლოკონებით ვერთობოდი და ვეშაპის პენისზე ვფიქრობდი.

ჩემი ბავშვობის ოკეანერიუმში ყოველთვის გვიანი შემოდგომა იყო გამეფებული. აუზის ყინულივით ცივ მინის კედლებზე სქელ სვიტრში გამოწყობილი ჩემი ანარეკლია. მუქი ტყვიისფერი ზღვა იჭყიტებოდა საგამოფენო დარბაზის ილუმინატორში: ტალღების ქოჩრების აქაფებული წვეროები ქალწულის კაბის საყელოს თეთრი მაქმანივით მივლიდნენ გარს.

- რაზე ფიქრობ? - შემეკითხა.

- წარსულზე, - ვუპასუხე.

* * *

ოცდაერთი წლისას უნაკლო სხეული და წყვილი არაჩვეულებრივად კოხტა ყური ჰქონდა.

დღისით ერთ პატარა გამომცემლობაში ტექსტებს ასწორებდა, "სპეცმოდელად" მუშაობდა ქალის ყურების რეკლამაში, საღამოს კი ჯიბის ფულს შოულობდა "გამოძახებით" ძალიან წყნარ, პატარა ღამის კლუბში "მხოლოდ შინაურებისთვის". წარმოდგენა არ მქონდა, ამ სამი სამუშაოდან რომელს თვლიდა ძირითადად. ისე, არც თვითონ იცოდა. და თუ მაინცდამაინც ვკითხავდი თავს, რა უფრო შეეფერებოდა მის ნატურას, ვფიქრობ, ალბათ "ყურების მოდელად" მუშაობაში უფრო იხსნებოდა სრულად. ასე ვფიქრობდი მე, ასე ეგონა თვითონ მასაც. მიუხედავად იმისა, რომ პრინციპში "ყურების მოდელი" მოღვაწეობის ერთობ შეზღუდული სფეროა, რომ აღარაფერი ვთქვა დაბალ პროფესიულ სტატუსსა და ამგვარი ვიწრო სპეციალიზაციის ყველა მოდელის მიზერულ ხელფასზე. მეტი წილი სარეკლამო აგენტებისთვის, ფოტოგრაფებისთვის, გრიმიორებისთვის ის "საკუთარი ყურების დიასახლისი" იყო. ყველაფერი, რაც ყურების გარდა ჰქონდა, - სხეული, სული, ხასიათი, - უმოწყალოდ იჭრებოდა და სანაგვეზე იყრებოდა.

- არც მთლად ასეა, - იტყოდა ხოლმე, - უბრალოდ, ჩემი ყურები - ეს მე ვარ, მე კი - ჩემი ყურები.

არც ღამის გამოძახებებზე, არც გამომცემლობაში თავის ყურებს არავის არ უჩვენებდა.

- ეს იმიტომ, რომ იქ მე ნამდვილი არ ვარ, - ასე ხსნიდა.

მისი ღამის "ნაცნობობის კლუბი" (ოფიციალურად "ტალანტების კლუბი") აკასაკას კვარტალებში იყო და ქერათმიანი ინგლისელი ქალბატონი ხელმძღვანელობდა, რომელსაც ყველა "მისის იქსს" ეძახდა. მისის იქსი უკვე ოცდაათი წელი ცხოვრობდა იაპონიაში, წყალივით იცოდა იაპონური და ყველა ძირითადი იეროგლიფი. ოფისიდან სულ რაღაც ხუთასიოდე მეტრში მისის იქსმა სალაპარაკო ინგლისური ენის კურსები გახსნა. სწორედ იქიდან ქირაობდა ასე თუ ისე შესაფერის ლამაზმანებს კლუბში სამუშაოდ. თავის მხრივ, ისეც ხდებოდა, რომ ერთბაშად კლუბის რამდენიმე წევრი გოგონა დადიოდა ინგლისურის კურსებზე. რაღა თქმა უნდა, შეღავათიან ფასებში ლამის ორმოცდაათი პროცენტის ფასდაკლებით.

მისის იქსი კლუბში ყველა გოგონას დეარ-ს ეძახდა. ეს რბილი, შემპარავი დეარ გაზაფხულის ჩამავალი მზის სხივივით იშლებოდა, იფანტებოდა საუბარში.

- როგორც წესი და რიგია, ისე ჩაიცვი ჩულქები, დეარ, არავითარი კოლგოტკები.

ანდა:

- მგონი ჩაის ნაღებით სვამ, არა, დეარ?

და ასე შემდეგ.

კლუბის კლიენტურას საგულდაგულოდ არჩევდნენ და ინარჩუნებდნენ, რომელიც ძირითადად 40-50 წლის შეძლებული ბიზნესმენებისგან შედგებოდა. მათი ორი მესამედი უცხოელები იყვნენ და მხოლოდ ერთი მესამედი იყო იაპონელი. პოლიტიკოსებს, მოხუცებს, ხეიბრებსა და ლატაკებს მისის იქსი უბრალოდ ვერ იტანდა.

ათიოდე შერჩეული ლამაზმანიდან "გამოძახებით" ჩემი ახლო მეგობარი შესახედავად ყველაზე უფერული, ყველაზე ნაკლებად თვალშისაცემი იყო. თმაში შემალული ყურებით ადამიანებზე ვერავითარ განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა. ვერ გამეგო, რამ აიძულა მისის იქსი მასზე შეეჩერებინა არჩევანი. შესაძლოა, ის განსაკუთრებული

მომხიბვლელობა შეამჩნია, რაც ძალზე ხშირად გამოეპარება ხოლმე უცხო თვალს. ან იქნებ უბრალოდ გადაწყვიტა, რომ ათ პრინცესაზე ერთი ასეთი "კონკიაც" ჰყოლოდა. მაგრამ ასე იყო თუ ისე, მისის იქსის ვარაუდი გამართლდა და მალე "კონკიასაც" გამოუჩნდა რამდენიმე მუდმივი, "სოლიდური" კლიენტი. სადა ტანისამოსში, ჩვეულებრივი კოსმეტიკით ჩვეულებრივ სახეზე და ყველაზე ჩვეულებრივი სუნამოების სურნელით ცხადდებოდა ის გამოძახებით "ჰილტონში", "ოკურაში" ან "პრინცში" და კლიენტებთან კვირაში ორი-სამი ღამის გატარებით მთელი თვის სამყოფ ლუკმაპურს შოულობდა.

სამუშაოსგან თავისუფალი ღამეების ნახევარი ჩემთან იწვა. უფასოდ. სად და როგორ ატარებდა დანარჩენ ღამეებს, წარმოდგენა არ მქონდა.

გაცილებით პროზაული იყო მისი ცხოვრება ტექსტების გამსწორებლად გამომცემლობაში. კვირაში სამჯერ კანდაში, ერთი არცთუ მოზრდილი შენობის მესამე სართულზე გამოჩნდებოდა, სადაც ცხრიდან ხუთ საათამდე კითხულობდა აწყობილი ტექსტების ანაბეჭდებს, ჩაის სვამდა, ზევით-ქვევით დარბოდა კიბეზე და მაღაზიაში საშლელების საყიდლად. თავი დამოუკიდებლად ეჭირა, განცალკევებით, არავის აზრად არ მოსდიოდა ცხვირი ჩაეყო მის "დანარჩენ ცხოვრებაში".

ადგილისა და ვითარების შესაბამისად ქამელეონივით ახერხებდა ფერიცვალებას. ხან საყოველთაო სათვალიერებლად წარმოადგენდა თავის საოცრებებს, ხანაც მეტისმეტი გულმოდგინებით მალავდა მათ.

მას (ანდა მის ყურებს) სრულიად შემთხვევით გადავეყარე აგვისტოს დასაწყისში, თითქმის მაშინვე, როგორც კი ცოლს გავშორდი. სარეკლამო პროსპექტებიდან ასლების გადაღებას ვაპირებდი ერთი კომპიუტერული ფირმისთვის. სწორედ იქ გავეცანი მის ყურებს... ყველაზე უფრო უშუალო სახით.

სარეკლამო განყოფილების დირექტორმა მაგიდაზე მორიგი პროსპექტის მაკეტი და რამდენიმე შავ-თეთრი ფოტო დადო და მითხრა:

- ერთ კვირას გაძლევ. სამ ვარიანტად მოამზადე სატიტულო ფურცელი სათაურებით და აი, ამ ფოტოებით.

სამივე ფოტოზე თითო გიგანტური ყური იწონებდა თავს.

ყურები?!

- რატომ ყურები? - ვკითხე მაშინ.

- მე რა ვიცი. არი და იყოს! ყოველ შემთხვევაში, გირჩევ, მთელი ეს კვირა ამ ყურებზე იფიქრო.

აი, ასე მოხდა, რომ ჩემი ცხოვრების მთელი კვირა ადამიანის ყურების ცქერას შევალიე. მაგიდის თავზე, კედელზე, სკოჩით მივაწებე ყურების სამი ვეებერთელა ფოტო. ვეწეოდი, ყავას ვსვამდი, ბუტერბროდებს მივირთმევდი, ფრჩხილებს ვიჭრიდი - თან ამ ფოტოებს ვათვალიერებდი. ერთი კვირის შემდეგ ავად თუ კარგად შეკვეთა შევასრულე. ყურების ფოტოები ისევე დარჩა კედელზე ჩამოკიდებული. ნაწილობრივ იმიტომ, რომ დამეზარა საგანგებოდ სკამზე აძრომა და ჩამოხსნა, ნაწილობრივ იმიტომაც, რომ ყურების ჭვრეტა ჩვევად მექცა. და მაინც მთავარი, რის გამოც არ ვხსნიდი ფოტოებს და მაგიდის უჯრაში ღრმად არ ვმალავდი, სულ სხვა რამ იყო. ყურებმა მომხიბლეს. ეს იყო ფანტასტიკური ფორმის ყურები, ზმანების, ოცნების ყურები. შეიძლება ითქვას - "ასპროცენტიანი ყურები". ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი, მიზიდულობის როგორი ძალა შეიძლება ჰქონოდა ადამიანის სხეულის ცალკეულ ნაწილებს (რომ არაფერი ვთქვათ სასქესო ორგანოებზე). ლამის თვითონ ბედისწერა დუღდა და ბოქრობდა ჩემს თვალწინ თავისი მორევებითა და გრიგალებით.

ზოგი მრუდი მეტისმეტად თამამად ჰკვეთდა გარდიგარდმო მთელ საერთო ფონს, ზოგი ცდილობდა უცხო თვალს შემალვოდა ჩრდილში თავისნაირ მოკრძალებულებთან ერთად, ზოგიც, ძველებური ფრესკების მსგავსად, უთვალავ გრძელ ლეგენდებს ჰყვებოდა. ბიბილოები კი უბრალოდ ამოვარდნილი იყვნენ ყველანაირი ტრაექტორიიდან და ოდნავ დაბურცულები და მკვრივები თავისი სისავსით ჩრდილავდნენ რეალურ ცხოვრებას. რამდენიმე დღის შემდეგ გადავწყვიტე დამერეკა ფოტოგრაფისთვის, რომელმაც ეს სურათები გადაიღო და როგორმე დამეტყუებინა ამ ყურების პატრონის სახელი და ტელეფონის ნომერი.

- რამე პრობლემაა? - მკითხა ფოტოგრაფმა.

- იცი, უბრალოდ მაინტერესებს. რაღაც საოცარი ყურებია...

- ა? ჰო, რა თქმა უნდა, ეგეთი ყურები, - თითქოს იცოხნებოდა ფოტოგრაფი, - თვითონ გოგო ისე რა, მაინცდამაინც არაფერზე დაგრჩება თვალი... თუ ვინმე უფრო ქორფა გინდა - ახლახან ერთი ბიკინებში გადავიღე, შემიძლია გაგაცნო...

- დიდი მადლობა, - ვთქვი და ყურმილი დავკიდე.

* * *

ორ საათზე დავურეკე, მერე - ექვსზე, მერე - ცხრაზე. არავინ არ იღებდა ყურმილს.

მისი ჩვეულებრივი ცხოვრების ჩვეულებრივი დღე.

მხოლოდ მეორე დილის ათ საათზე მოვახერხე დაკავშირება. მოკლედ წარვუდგინე საკუთარი პერსონა. ვუთხარი, გუშინდელი სამუშაოდან რაღაც-რაღაცები გასარკვევი მაქვს და, ვთქვათ, დღეს საღამოს სადმე ერთად ხომ არ წაგვეხემსებინა-მეთქი.

- მაგრამ, როგორც ვიცი, შეკვეთა დასრულებულია, - მითხრა.

- დიახ, შეკვეთა დასრულებულია.

ჩემა პასუხმა, ცოტა არ იყოს, დააბნია, მაგრამ მეტი აღარაფერი უკითხავს. შეხვედრა საღამოსთვის აოიამაზე, კაფეში დავუნიშნე. ტელეფონით მაგიდა შევუკვეთე პირველი კლასის ფრანგულ რესტორანში, საუკეთესოში, სადაც კი ოდესმე ვყოფილვარ. ახალი პერანგი ჩავიცვი, როგორც იქნა, გამოვინასკვე ჰალსტუხი და ჩავიცვი კოსტიუმი, რომელიც აქამდე მხოლოდ ორჯერ თუ მეცვა.

როგორც ფოტოგრაფი მაფრთხილებდა, თვალი მართლა არაფერზე დაგრჩებოდა. გინდ ტანისამოსი, გინდ სახე - ყველაფერი რაღაც უფერულად და მოსაწყენად გამოიყურებოდა. მთლიანობაში კი ძალიან ჰგავდა მეორეხარისხოვანი ქალთა კოლეჯის გუნდის მომღერალს. თუმცა, მართალი გითხრათ, ეს ყველაფერი ფეხებზე მეკიდა. ყველაზე უფრო იმან დამაღონა, რომ ყურებს გულმოდგინედ მალავდა ხშირი, ყოველ მხარეს ჩამოვარცხნილი თმის ქვეშ.

- ესე იგი, ყურებს მალავ? - ისე, სხვათა შორის ვკითხე.

- აჰა, - სხვათა შორისვე მიპასუხა.

რესტორანში ოდნავ ადრე მივედით და ვახშამზე პირველები აღმოვჩნდით.

ჩაწეული ლამპების შუქზე ოფიციანტი გრძელ ასანთის ღერებს აჩხაკუნებდა და ერთიმეორის მიყოლებით ანთებდა კაშკაშა წითელ სანთლებს. მეტრდოტელი მოჭუტული თვალებით ჩხრეკდა დანებს, ჩანგლებს, თეფშებს, ხელსახოცების რიგებს, ჩვეული პედანტურობით ამოწმებდა მაგიდაზე გაწყობილ სერვიზს. ოფიციანტის ქუსლები მსუბუქად და სასიამოვნოდ რაკუნობდა სარკესავით გაპრიალებულ მუხის პარკეტზე. ოფიციანტის ფეხსაცმელი აშკარად ძვირი იყო ჩემსაზე. ლარნაკებში ცოცხალი ყვავილები ეწყო, კედელს კი, რომელზეც მოდერნისტის ნახატი იწონებდა თავს, ერთი შეხედვითაც ეტყობოდა, რომ ორიგინალი იყო. ღვინოების ჩამონათვალი ჩავათვალიერე და რაც შეიძლება ძვირფასი თეთრი ღვინო შევუკვეთე, მსუბუქი საუზმეულიდან კი - ხოხბის პაშტეტი, ქორჭილის წვნიანი და ზღვის ეშმაკის ღვიძლი არაჟნით. მენიუში გულმოდგინედ გამოჩიჩქნა და შეუკვეთა ზღვის კუს წვნიანი და ენა. მე ზღვის ზღარბის წვნიანი შევარჩიე, როსტბიფი ოხრახუშით იაპონურ სოუსში და პომიდვრის სალათა. ყველაფრით ჩანდა, რომ ჩემი ერთი თვის ხელფასის ნახევარი უფსკრულმა შთანთქა.

- ვერაფერს იტყვი, სოლიდური დაწესებულებაა, - თქვა მან, - ხშირად დადიხარ აქ?

- ხანდახან, მხოლოდ საქმეზე. მე თუ მკითხავ, როცა მარტო ხარ, ჯობს საკე დალიო ჩვეულებრივ ბარში და, რა თქმა უნდა, შესაბამისადაც წაიხემსო. გაცილებით თავისუფლად გრძნობ თავს. არ ღირს ზედმეტი რაღაცებით თავის გადატვირთვა.

- და საერთოდ, რას ჭამ ბარში?

- რა ვიცი, ყველაფერს. უფრო ხშირად სენდვიჩს ომლეტით.

- სენდვიჩს ომლეტით!.. - გაიმეორა, - ესე იგი, ყოველდღე ბარში სენდვიჩითა და ომლეტით ვახშმობ?

- მთლად ყოველდღე არა. დაახლოებით სამ დღეში ერთხელ შინ ვამზადებ...

- მაგრამ სამიდან ორი დღე მაინც ბარში ჭამ სენდვიჩს ომლეტით. ასეა, არა?

- ჰო, ალბათ...

- მაგრამ რატომ მაინცდამაინც სენდვიჩს ომლეტით?

- კარგ ბარებში ყოველთვის კარგ სენდვიჩებს გთავაზობენ ასევე კარგი ომლეტით.

- ფუ!.. - არც აცია და არც აცხელა, - რაღაც არანორმალური ხარ.

- აბსოლუტურად ნორმალური! - ვთქვი.

წარმოდგენა რომ არ მქონდა, როგორ შემეცვალა საუბრის თემა, ერთხანს ჩუმად ვიჯექი და მაგიდის შუაში, საფერფლეში ნამწვებს შევცქეროდი.

- სალაპარაკო სამუშაოს ეხება? - შემახსენა.

- გუშინ უკვე გითხარი, სამუშაო მთლიანად დასრულებულია-მეთქი. არავითარი პრობლემა. არც სალაპარაკოა არაფერი.

ჩანთის ჯიბიდან გრძელი წვრილი მენთოლის სიგარეტის კოლოფი ამოიღო და თითქოს თვალებით მეკითხებოდა, "აბა, რაო?" - რესტორნის ასანთით მოუკიდა. პირი უკვე დალებული მქონდა, როცა ზურგს უკან მტკიცე ნაბიჯების ხმა გავიგონე. გამორჩეული ღიმილით, ისეთით, თითქოს ერთადერთი შვილის პორტრეტს გიჩვენებსო, მეტრდოტელმა ბოთლი ეტიკეტით შემოაბრუნა ჩემკენ. თავი დავუქნიე და მანაც ძლივს გასაგონი, ყურს რომ მოეფონება, ისეთი ტკაცუნით ამოაძრო საცობი. თითო ყლუპი ღვინო ჩამოასხა ბოკლებში. ენით ლამის მთელი დასტა ფულის გამო ვიგრძენი. მეტრდოტელი წავიდა და ორმა ოფიციანტმა მონაცვლეობით დადგა მაგიდაზე სამი ვეებერთელა მათლაფა და წყვილი თეფში. მერე ოფიციანტებიც გაუჩინარდნენ და ჩვენ ისევ მარტონი დავრჩით.




გაგრძელება
შემდეგ ნომერში

# "მერსედეს-ბენც CL" - ძვირადღირებული სათამაშო ძალიან მდიდრებისთვის

მერაბ ლორთქიფანიძე

"მერსედეს-ბენცმა" თავისი შესანიშნავი პროდუქციის თაყვანისმცემლებს კიდევ ერთი ახალი საჩუქარი მოუმზადა. სიახლეს "მერსედეს-ბენც CL" ჰქვია და ეს დიდგაბარიტიანი კუპე მსოფლიოს ბაზარს შემოდგომაზე ეწვევა. ახალი ავტომობილი CL-კლასის მეშვიდე თაობის კუპეა და მისი მსოფლიო დებიუტი პარიზის ავტოსალონზე შედგება.

შტუტგარტული კონცერნის დიზაინერებმა ახალი ავტომობილის სტილის შემუშავებისას გამოიყენეს 1956 წელს გამოშვებული კუპე 220 SE-ის დიზაინის ზოგიერთი დეტალი. კერძოდ კი ამობრუნებული C-ს ფორმის წინა საყრდენი, რომელიც სახურავთან და უკანა საყრდენთან ერთად, ერთ მთლიან ელემენტს ქმნის და ავტომობილს მთლიანობაში სპორტულ იერს ანიჭებს. იმავდროულად, კუპე CL-ს საერთოდ არ გააჩნია შუა საყრდენი.

ახალი ავტომობილის გარეგნობაზე მომუშავე დიზაინერთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა "მერსედესის" დიზაინის განყოფილების შეფი პეტერ პფაიფერი, რომლის მითითებითაც, სტილისტებმა გამოიყენეს "მერსედესის" კლასიკური სტლის ელემენტები. შედეგად, კუპე CL დახვეწილი გარეგნობით გამოირჩევა.




*დაიმლერ-კრაისლერის შეფი დიტერ ცეტშე ახალ CL-თან ერთად.*

ახალი კუპე S-კლასის სედანებს მოგვაგონებს. თუმცა, მათგან ბევრი რამეც განასხვავებს. კერძოდ, ესაა სპორტული სტილი, რომელსაც ხაზს უსვამს გამოკვეთილი საბორბლე თაღები, განიერი და საკმაოდ დავიწროებული სარადიატორე ბადე, რომელშიც ჩაყოლებულია კომპანიის ზორბა ემბლემა - სამქიმიანი ვარსკვლავი. ბამპერს კი ქვემოდან, მთელ სიგრძეზე გაჰყვება ჰაერის ამღები, რომელიც ხაზს უსვამს კუპეს დიდ გაბარიტებს.

გარდა ამისა, დიზაინერებმა უარი თქვეს მრგვალი ფორმის ფარებზე. მათი ადგილი დაიკავა ერთგვარი წაგრძელებული რომბის ფორმის ფარებმა, რომლებშიც მაშუქი ფოტოელემენტებია ჩასმული. მთლიანობაში, ავტომობილი მეტად ჰარმონიულად გამოიყურება. ყოველ შემთხვევაში, მის ექსტერიერში არ ფიგურირებს თუნდაც ერთი, მცირე დეტალი, რომელიც ამ ჰარმონიას დაარღვევს.

როგორც ყველა კუპე, ახალი CL-იც ორკარიანია. სამაგიეროდ, ორივე კარი დიდი გაბარიტისაა, რათა სალონის უკან შესვლა გაადვილდეს. შესვლას აგრეთვე აადვილებს ის ფაქტიც, რომ ავტომობილს არ გააჩნია შუა საყრდენები.

ინტერიერი შეესაბამება ლუქსის კლასის სტილს. აქაც ყველაფერი ისევე მდიდრულად გამოიყურება, როგორც ლუქსის კლასის სასტუმროს ინტერიერში. სალონში ყველაფერი ძვირფასი ტყავითა და ხის პანელებითაა გაწყობილი. როგორც იტყვიან, აქ ყველაფერი თავის ადგილზეა. ყველაფერი ემსახურება კომფორტსა და უსაფრთხოებას. ეს უკანასკნელი ცალკე საუბრის თემაა.

როგორც ყოველთვის, "მერსედესის" კონსტრუქტორები მძღოლისა და მგზავრების უსაფრთხოებას დიდ ყურადღებას უთმობენ. უსაფრთხოებას ემსახურება დაკიდების სრულიად ახალი სისტემა "აქტივ ბოდი კონტროლ" (ABC), რომელიც მოძრაობის დროს ანეიტრალებს ძარის ნებისმიერ რხევას და დახრას, რომლებმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ავტომობილის მანევრულობასა და მდგრადობაზე. ეს სისტემა იმითაცაა საინტერესო, რომ სპეციალური სენსორების მეშვეობით, ის სრულ ინფორმაციას ღებულობს გზის საფარის მდგომარეობის შესახებ და ამის მიხედვით არჩევს მუშაობის რეჟიმს. შესაბამისად, ავტომობილის ნებისმიერი მოძრაობა და მანევრი "გათვლილი" და ოპტიმალურია. სხვათა შორის, ABC სისტემის მეშვეობით, 60 კმ/სთ და მეტი სიჩქარით მოძრაობისას, კუპე CL-ის გზის საფართან დაშორება ათი მილიმეტრით მცირდება, რაც ამცირებს მის აეროდინამიკურ წინააღმდეგობას და აუმჯობესებს ავტომობილის მართვადობას.

უსაფრთხოების კიდევ ერთი სისტემაა "პრე-სეიფ", რომელიც თავად აკონტროლებს სიტუაციას ავტომობილის გარშემო და საჭიროების შემთხვევაში, მძღოლს საფრთხის შესახებ ატყობინებს. ამასთან, თავადაც შეუძლია ავარიის თავიდან აცილება. რისთვისაც, კრიტიკულ მომენტებში თავის თავზე იღებს ავტომობლის მართვის ზოგიერთ ფუნქციას. მაგალითად, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მძღოლი არ გაითვალისწინებს გაფრთხილებას. ამ დროს სისტემა თვითნებურად ამოქმედდება და ერთის მხრივ, ძრავის სიმძლავრეს შეზღუდავს, მეორეს მხრივ კი აამოქმედებს სამუხრუჭე სისტემას (40 პროცენტით), რაც ავტომობლის შენელებას გამოიწვევს. საინტერესოა, რომ ორივე ეს სისტემა CL-ის სტანდარტულ აღჭურვილობაში შედის.

ახალი CL-ის წარმოების დაწყებისთვის შტუტგარტელები მყიდველს ორი სხვადასხვა ძრავით აღჭურვილ მოდელებს შესთავაზებენ. ერთია 5.5-ლიტრიანი V8, რომელსაც ყოველ ცილინდრზე ოთხი სარქველი ემსახურება. ამ აგრეგატის სიმძლავრე 382 ცხენის ძალაა. შტუტგარტელებმა ეს ძრავი პირველად გამოიყენეს S-კლასის სედანზე, ახლა კი E-კლასის მოდელებზეც იყენებენ. ამ ძრავით აღჭურვილი კუპეს დასახელებაა CL550. ის ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის აკრეფას 5.4 წამში ასწრებს (წინა თაობის CL500 იმავე სიჩქარის აკრეფას 6.3 წამს ანდომებს).

მეორე ძრავია 6.0-ლიტრიანი V12 და მისი "წყალობით" კუპეს ინდექსია CL600. ამ ძრავის სიმძლავრე 510 ცხენის ძალას აღწევს, მისი მეშვეობით კი ავტომობილს ასი კმ/სთ სიჩქარის აკრეფა 4.5 წამში შეუძლია (ეს კი 0.9 წამით ნაკლებია წინა თაობის CL600-ის ტემპერამენტზე). ასეთი აჩქარებით ეს ავტომობილი თვით "ფერარი 612 სკალიეტისაც" კი გაუწევს კონკურენციას.

პარიზის ავტოსალონზე, რომელიც სექტემბერში ჩატარდება, "მერსედესი" საზოგადოებას წარუდგენს სატიუნინგო ატელიე AMG-ს მიერ სრულყოფილ CL-ს. ეს იქნება CL63, რომელიც წინა თაობის CL55-ს შეცვლის. AMG-ს ახალი შედევრი აღიჭურვება 6.2-ლიტრიანი V8 აგრეგატით, რომლის მაქსიმალური სიმძლავრე 514 ცხენის ძალამდეა გაზრდილი. გარდა ამისა, AMG-ს ინჟინრები უკვე მუშაობენ კიდევ ერთი ახალი მოდელის შექმნაზე. მისი აღმნიშვნელი ინდექსი იქნება CL65. ამ ავტომობილის კაპოტქვეშ განლაგდება ორი ტურბოკომპრესორით აღჭურვილი 6.0-ლიტრიანი V12, რომლის მაქსიმალური სიმძლავრე იქნება 604 ცხენის ძალა.

ამ ძრავებთან შეწყვილდება 5, 6 და 7-საფეხურიანი ავტომტური გადაცემათა კოლოფები. მათგან ბოლოს სახელია 7G-ტრონიკი. ყველა მოდიფიკაციის მაქსიმალური სიჩქარე ელექტრონიკის მეშვეობით 250 კმ/სთ-ითაა შეზღუდული. იმავე ელექტრონიკის წყალობით, უზარმაზარი მუშა მოცულობის ძრავი საკმაო ეკონომიურობით გამოირჩევა - შერეული ციკლით მუშაობისას ის ყოველ 100 კილომეტრზე მხოლოდ 10 ლიტრ ბენზინს დწვავს.

ახალი ავტომობილის ფასი პარიზულ დებიუტამდე ცოტა ხნით ადრე გამოცხადდება. თუმცა, მანამდეც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის საბაზისო S-კლასის სედანის უმაღლეს დონეზე აღჭურვილ ვარიანტზე ოდნავ ძვირი ეღირება.

ერთი საინტერესო ფაქტი - წინა თაობის კუპე CL-ის გაყიდვები 1999 წელს დაიწყო და აქამდე მხოლოდ 46 800 ავტომობილის გაყიდვა მოხერხდა, რისი მთავარი მიზეზი ისევდაისევ, ავტომობილის სიძვირეა. რაც შეეხება მის კონკურენტებს, მათ შორის ყველაზე გამორჩეული "ბენტლი კონტინენტალია".



# ბეის დიზაინი

ნატა ჯანბერიძე
სტუდია "ROOM'S"-ის დიზაინერი



Lightshade shade



Dutch room coffeeshop

განვაგრძობ თხრობას იმ ცნობილი დიზაინერების შესახებ, რომელთაც აქვთ უნარი შთაგაგონონ და გასიამოვნონ თავისი შესაძლებლობებით.

ჰოლანდიელ დიზაინერს იურგენ ბეის აქვს იმის ამბიცია, რომ ამოიცნოს, გაუგოს მსოფლიოს. მისი წარმატება დაფუძნებულია მისი დიზაინის კონცეფციაზე, რომელიც დიზაინის ენით გადმოცემულ ისტორიებს მოიცავს.

იურგენ ბეის სტილი ძალიან ინდივიდუალურია, შეუძლია ნივთები და ავეჯი მხატვრულ ელემენტებად აქციოს, ამ დროს იგი არ სცდება განვითარებული დიზაინის ჩარჩოებს. ბეი აანალიზებს საგნების შინაარსს, ეძებს ნათესაობას ნივთებსა და მათ მომხმარებლებს შორის, აკავშირებს შინაარსს და ფორმას, აქვს ნიჭი, გააღრმაოს ადამიანისა და პროდუქტის ურთიერდამოკიდებულება.

იურგენ ბეის ყოველი ახალი იდეა, ახალი მოვლენაა დიზაინში. მას უყვარს ძველი ავეჯისა და ნივთების თავისებურად გაცოცხლება, სულის ჩადგმა. მისი აზრით, სამყარო შექმნილია გამოსაცნობად და ელოდება კარგ მეთვალყურეს, დამთვალიერებელს. დიზაინერი ყველგან ეძებს ადამიანებს, რომელთაც აინტერესებთ იდუმალის ამოცნობა. უბრალოდ, მას აქვს დანახვის ნიჭი. სწორედ ეს ნიჭი გამოავლინა თავის ყველაზე ცნობილ პროდუქტში, რომელიც აღფრთოვანებით მიიღეს დიზაინის სფეროში. მარტივად შექმნა ძალზე მოდური და ძვირადღირებული ჩამოსაჯდომი. ეს იყო ლამაზი ხის მორი, ვენური სკამების ზურგებით. ისე გადააკეთა ძველი ავეჯი, რომ მიიღო მისტიური, ორიგინალური სკამები, სავარძლები და მაგიდები. გამოიყენა ღია ფერის ელასტიური ტყავი, შექმნა ეფექტი, თითქოს ავეჯი ერწყმის ერთმანეთს ან მისტიურად კედლებიდან გამოდის. ამ გამოგონებამაც დიდი ყურადღება დაიმსახურა.

ასევე, ცნობილია იურგენ ბეის განათებები. თანამედროვეა მისი ჭაღები და ტორშერები, რომლებშიც გააერთიანა სხვადასხვა სტილი და პერიოდები. ცნობილია ბეის მიერ დაპროექტებული ინტერიერი - ლონდონის ყველაზე ძვირი და მოდური რესტორნის, Sketch-ის საკონდიტრო განყოფილება parlour. მისი ინტერიერი ეკლექტურად, იდუმალებით, სასაცილოდ და ელეგანტურად არის გადაწყვეტილი.

იურგენ ბეი დაიბადა 1965 წელს. სწავლობდა და ასწავლის განვითარებული დიზაინის აკადემიაში ეიდჰოვენში. იგი არის ინტერიერისა და დიზაინის სპეციალისტი. უყვარს მეორადი საქონლის მაღაზიები და ქუჩის ბაზრობები. დამოუკიდებელი დიზაინერია, მაგრამ თანამშრომლობს ცნობილ კომპანიებთან Droog Design და Mooi-სთან.



Restaurant SKETCH.PARLOUR



Jurgen-bey.



## კლუბები/რესტორნები

**ბარი იხსნება: 17:00. ყოველ დღე: 22:00** დიჯეი ფართი და დისკოთეკა. **მიმტანები: -** ქართველი და უცხოელი მოდელები. **მუდმივად** ეკრანზე **ფეშენ TV; ყოველ ხუთშაბათს:**

**Ladies night** საფირმო კოქტეილი უფასოდ მხოლოდ ქალბატონებისთვის. ასევე - **განახლებული** მენიუ **და ლუდების ფართო არჩევანი;**

**რუსთაველის გამზირი 18;**
**ტ.: 92 22 88 (მობ.: 877 74 71 70);**
ავტოსადგომი უფასოა.

21.07.06 -night**Office**-ის დახურვა(კლუბი იკეტება სექტემბრის ბოლომდე), **DJ FREQ NASTY /LONDON/, დასაწყისი:** 22:00; **ბილეთის ღირებულება:** 30 ლარი(ბიჭი/გოგო);

**იხსნება:** 20:00; **21 წლამდე** ახალგაზრდების **შესვლა** სასტიკად აკრძალულია**; მკაცრი "ფეისკონტროლი"; მენიუ:** ქლაბ სენდვიჩი, ხაჭაპური, სალათები, ჩირი, თხილი, ხილის ასორტი; კლუბი **1000-მდე** სტუმარს იტევს. აქვს **300 დასაჯდომი** ადგილი და **10 VIP მაგიდა. შესაძლებელია** მაგიდების წინასწარ დაჯავშნა; ფუნქციონირებს **2 ბარი; გამოირჩევა** თანამედროვე ევროპული დიზაინით და ტექნიკურად უნაკლოდაა აღჭურვილი. აქვს საქართველოში ერთადერთი **ლაზერული განათება;**

**მტკვრის მარცხენა სანაპირო / ბარათაშვილის ხიდი /; ტ.: 92 30 16;**
საკუთარი ავტოსადგომი.

**22:30** ლათინოფართი **მაესტრო მორისთან** ერთად. **იხსნება: 16:00. ცოცხალი მუსიკა: 24:00-დან დილამდე. ყოველ შაბათს: ბიზნეს-ლანჩი: 12:00-დან 15:00-მდე.**



მუდმივი კლიენტებისათვის ფასდაკლება. შესაძლებელია წინასწარი შეკვეთები კერძო წვეულებებისათვის.
დარბაზი გათვალისწინებულია 80 სტუმარზე.

**ახვლედიანის 13.**
**ტ.: 92 00 45**

## მაღაზიები

**საკონდიტრო**

**ექსკლუზიური ფრანგული საკონდიტრო მაღაზია** "ჩოკოლატი" **ახალ მისამართზე** გთავაზობთ **მრავალ სიახლეს** და ტრადიციული ასორტიმენტის **ორჯერ უფრო დიდ არჩევანს:** ყველანაირ შოკოლადს, ტორტებს, ნამცხვრებს, კრუასანებს, ფუნთუშებს და **სახელგანთქმული ფრანგული პურის მრავალსახეობას:** ბაგეტი, ჯაბეტა, ფრანგული სოფლის პური, სენდვიჩის, ჰამბურგერისა და ჰოთდოგის პურები, აგრეთვე, ნივრიანი, ხახვიანი, პომიდორიანი, ზეთისხილიანი პური და პური ნიგვზით. **აგრეთვე, დელიკატესებს:** შოკოლადის პიცას, ფრანგულ ტოსტებს ხიზილალით, მეოცნებე ანანასს შოკოლადში, გედების ტბას შოკოლადში, ხილის ასორტს შოკოლადში, შოკოლადის ფანტაზიას(გამდნარი თბილი შოკოლადი) და სხვა. **აქვე შეგიძლიათ შეარჩიოთ და შეუკვეთოთ** ნებისმიერი სახის შოკოლადი და ნამცხვარი თქვენთვის, ასევე საჩუქრად, სახლში მიტანითა და ადგილზე მომსახურებით (მზარეულის თანხლებით).



**ღიაა: დილის 8 საათიდან.**
**ფალიაშვილის 27;**
**ფალიაშვილის 98;**
**ტ.: (+995 32) 22 74 82.**

**პარფიუმერია და კოსმეტიკა**

მაღაზიათა ქსელი გთავაზობთ: **Dior, Guerlain, Givenchy, Kenzo, Boss Hugo Boss, Laura Biagiotti, Giorgio Beverly Hills, Lacoste, Yohji Yamamoto, Jean Patou, Valentino, Max Factor, Lancome, Biotherm, Cacharel, Armani, Ralph Lauren, Guy Laroche, Paloma Picasso, Lanvin, GF Ferre, Adidas, Pierre Cardin, Celine Dion, Isabella Rossellini and Rimmel**-ის და **ახლა** უკვე **Collistar**-ისა და **Leocrema**-ს პარფიუმერულ ნაწარმსა და კოსმეტიკურ საშუალებებს. **აგრეთვე,** მის სადისტრიბუციო ქსელში იყიდება: **Chanel, Jean-Paul Gaultier, Escada, Carolina Herrera, Dolce & Gabbana, Gucci, Fendi. სიახლე:** სუნამო ქალბატონებისათვის - **"ARMANI CODE";** სამუდამოდ **დაივიწყეთ** "დავინჩის კოდი," მასთან დაკავშირებული ვნებათაღელვა და ავტორის შელახული რეპუტაცია.

ჩვენ **გთავაზობთ** ახალ, **ჯადოსნურ კოდს არმანისაგან**, რათა გაჩვენოთ, როგორია ჭეშმარიტი ხელოვნება. როგორ უნდა შეძლო მოანდომო ისე, რომ არ აჩვენო, აღძრა ვნება ისე, რომ არ შეეხო, ისე დაიმალო, რომ მაინც ყურადღების ცენტრში დარჩე. **ეს** მომაჯადოვებელი, **მაცდური ქალბატონების იდუმალი კოდია,** მათი, ვისაც უკვე 18 წელი შეუსრულდა ან ჯერ მხოლოდ 35 წლისაა. **უყიდეთ** საყვარელ ქალბატონებს ოდნავ მძიმე, ციტრუსისა და ყვავილების სურნელით შეკრული **"ARMANI CODE"**-ი და **ერთად გახსენით მისი საიდუმლო. ღიაა: 10:00-დან 21:00-მდე;**



**თბილისში:** მარჯანიშვილის 19, რუსთაველის 46, ჭავჭავაძის 42, გამსახურდიას 27, წერეთლის 117, ვაჟა-ფშაველას 35, მელიქიშვილის 18; **მალე** ლესელიძის 51/1; **ბათუმში:** გრიბოედოვის 8, გამსახურდიას 23.
**ტ.: + 995 32 25 10 40;**
**ფაქსი: + 995 32 25 34 36.**

ინტერიერის დიზაინის **სალონი "Opera"** ცნობილი იტალიური კომპანიების: **Cassina, Cappellini, Ivano Redaelli-სა** და **Alias** ექსკლუზიური წარმომადგენელია საქართველოში. **სადემონსტრაციო დარბაზში** წარმოდგენილი **XX** საუკუნის წამყვანი არქიტექტორებისა და დიზაინერების თანამედროვე დიზაინის **ავეჯი** (სამეულები, სკამები, მაგიდები, კარადები, საძინებლები, დივნები)**, მათ შორის საოფისეც (Alias);** აგრეთვე, **MISSONI**-სა და **ETRO**-ს **ტექსტილი** და **Ivano Redaelli**-ს ნატურალური (თხის, კურდღლის, ლამის, წავის და სხვ.) **ბეწვისა და ზამშის აქსესუარები** (ლოგინის გადასაფარებლები, თეთრეული, ბალიშები, პუფები), საშუალებას მოგცემთ, **გაეცნოთ** თანამედროვე ტენდენციებსა და სტანდარტებს ამ სფეროში და თქვენი საცხოვრებელი და სამუშაო სივრცეები უფრო მოხერხებული, დახვეწილი და ხარისხიანი გახადოთ. **მალე:** სპეციალურად **ზღვის სეზონისათვის** შეგიძლიათ შეიძინოთ - **MISSONI**-ს პირსახოცები(მათ შორის შეზლონგზე დასაფენი), ხალათები და პერანგები; **სექტემბერში - ETRO**-ს **ახალი კოლექცია**(კოლექცია იცვლება ყოველ 6 თვეში).



**უმაღლესი ხარისხის:** ლოგინის თეთრეული და გადასაფარებლები, საბნები, მოქარგული ბალიშები, აბრეშუმის ხალათები. წარმოდგენილი კოლექციებიდან თქვენთვის სასურველი ნივთის შერჩევის შემთხვევაში **შესაძლებელია, შეუკვეთოთ** სასურველი ფერისა და ფაქტურის ანალოგი, სალონში არსებული ნიმუშების ფარგლებში. შეკვეთის **მაქსიმალური ვადა - 3 თვე,** შეკვეთის გაფორმების დღიდან სახლში მიტანამდე. ნივთზე მითითებულ ფასში შედის ადგილზე მიტანისა და აწყობის სერვისის ღირებულება. **მუშაობს: 11:00-დან 19:00-მდე (კვირის გარდა);**
**რევაზ ლაღიძის 2;**
**ტ.: 92 19 84.**

## აკადემიური რჩევანი

მაესტრო მორისთან ერთად

თანამედროვე კლუბები, რესტორნები თუ ბარები დღეს უკვე წარმოუდგენელია ლათინური ცეკვების გარეშე. როგორი სამზარეულოც არ უნდა ჰქონდეს ნებისმიერ მათგანს - ქართული, ევროპული, ქართულ-ევროპული თუ ამერიკული,-ლათინო ფართი მათი საფირმო "საჭმელი," ერთგვარი დელიკატესია, რომლის მოლოდინშიც სტუმრები თავს(ენერგიას) ინახავენ, რომ პირველი აკორდისთანავე თავდავიწყებით გადაეშვან მის "ცეცხლში." ლათინო-ამერიკული ცეკვებისადმი მასობრივი ინტერესი ამ რამდენიმე წლის წინ გაჩნდა. ეს დრომ მოიტანა და ადამიანებმა, რომლებმაც ამ ცეკვებს პოპულარიზაცია გაუწიეს, როგორც საზღვარგარეთ,-ისე საქართველოში. 12 წლიდან სამეჯლისო ცეკვაზე დავდიოდი ჩემ დასთან ერთად და უკვე მაშინვე უპირატესობას ამ კატეგორიის ცეკვებს ვანიჭებდი. თუმცა, საკმაო დრო გავიდა სანამ ლათინური მუსიკითა და ცეკვებით სერიოზულად დავინტერესდი. მამბო, სალსა, მერენგა, ბაჩატა სამეჯლისო ცეკვებში არ შედიოდა და შესაბამისად, მათი ილეთები არ ვიცოდი. არსებული კასეტებისა და სხვადასხვა ვიდეო-ფირების საშუალებით ძირითადი მოძრაობები საფუძვლიანად შევისწავლე, მათში, საკუთარი ხასიათიდან და მუსიკის ინდივიდუალური აღქმიდან გამომდინარე, სხვადასხვა ელემენტები შევიტანე და ერთგვარ კლუბურ შოუდ ვაქციე. ჯერ მარტო ვცეკვავდი დასთან ერთად, შემდეგ კი, კლუბების, ბარებისა და რესტორნების მატებასთან ერთად, ლათინო ფართისადმი ინტერესმაც იმატა და ჯგუფის შექმნის აუცილებლობა გაჩნდა. ასე შეიქმნა "ვივა ლათინო" და ასე გავხდი მე მაესტრო მორისი. ამ ცეკვების პოპულარობისა და მათდამი მასიური დაინტერესების საიდუმლო იმაშია, რომ ლათინური ცეკვის შემსწავლელთა ასაკი პრაქტიკულად შეუზღუდავია. ეს არის ცეკვა, რომელსაც ადამიანი ნებისმიერ ასაკში კარგად იხდენს. შეიფინგისა და აერობიკისაგან განსხვავებით, დიდი ფიზიკური დატვირთვა არ სჭირდება. სამაგიეროდ, კარგად ავარჯიშებს ხელისა და ფეხის კუნთებს, გონებას(რადგან ილეთსა და ნახაზს დამახსოვრება სჭირდება) და ადამიანის ჯანმრთელობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანს -ხერხემალს. თანაც, ამ დატვირთვის მართვა ადვილადაა შესაძლებელი ისე, რომ ცეკვის შესწავლაში ხელი არ შეგეშალოთ. და ვინაიდან ცეკვა უწინარეს ყოვლისა ადამიანების ურთიერთობის ენაა, ცეკვის შესწავლის პროცესში ერთმანეთთან ურთიერთობას, პარტნიორის გრძნობასა და მასთან ერთად საკუთარი ინდივიდუალური თვისებების წარმოჩენის კულტურასაც სწავლობენ. ცეკვა თავისუფლების გამოვლენის ერთ-ერთი მშვენიერი ფორმაა. საკუთარი შინაგანი ბუნების უკეთ შეცნობის და სხვებისთვის უკომპლექსოდ დემონსტრირების საშუალებაა. მე ზოგადად ცეკვას, და მით უფრო ლათინო-ამერიკულს, ერთგვარ ფსიქოთერაპიულ სეანსს შევადრიდი. როცა მისი ცეცხლოვანი მუსიკა გესმის, ვერაფერზე ველარ ფიქრობ, რადგან ცეკვის დაუოკებელი ჟინი გიპყრობს. ახლა ცხელი ზაფხული დგას და ამ ცეკვებისადმი ინტერესიცა და მოთხოვნილებაც თანდათან იზრდება. ზღვა, მზე და ლათინოფართი. . . უკვე რამდენიმე წელია დასვენებისა და გართობის "საუკეთესო სამეულად" იქცა. ბუნგალოებისა და ბარების ყველაზე სასურველი "სტუმარი" წელსაც გაახარებს აჭარაში მომრავლებულ ყველა ასაკის დამსვენებელს. ასე რომ, იარეთ ცეკვაზე, ისწავლეთ, იცეკვეთ, იყავით ჯანმრთელნი და შეიგრძენით საკუთარი და ცხოვრების სილამაზე ნებისმიერ ასაკში.



## დელუქსი DELUXE

გთავაზობთ **ქალის ტანსაცმლის** ფართო არჩევანს: თეთრეული, კაბები, ქვედაბოლოები, პიჯაკები, შარვლები, ბლუზკები, მაისურები, პერანგები, სარაფნები და ფეხსაცმელი; **აგრეთვე, -** ჩანთები ბიჟუტერია და სხვა აქსესუარები. **DELUXE**-ის **ზომიერი ფასები** და **მაღალი ხარისხის** პროდუქცია **ყველა ასაკის** ყველაზე **პრეტენზიულ** ქალბატონებსაც კი დააკმაყოფილებს. თუ სიახლეს ეძებთ, გვესტუმრეთ, **ახალი** საზაფხულო კოლექცია და **სპეციალური ფასდაკლება** მუდმივი კლიენტებისთვის სწორედ ისაა, რასაც თქვენ ეძებთ. ჩვენ ყველასთან მოვძებნით საერთო ენას. **მობრძანდით და თქვენც ჩვენი მუდმივი კლიენტი გახდებით. მუშაობს ყოველდღე: 11:00-დან 20:00-მდე;**

**საბურთალოს 26;**
**ტ.: 38 08 44.**

**სერვისი**

დიზაინის სტუდია "მოდერნის" **გამოცდილ დიზაინერთა ჯგუფი** თანამედროვე დიზაინის **ვებ გვერდის** დამზადებას სთავაზობს კლუბების, ბარების, სასტუმროების, მაღაზიების მფლობელებს, ნებისმიერი სხვა საქმიანობით დაკავებულ ბიზნესმენებს, ორგანიზაციებსა და ინდივიდუალურ მომხმარებლებს. ჩვენ ასევე **გაგიწევთ ნებისმიერი სირთულის სერვისს,** როგორიცაა: ონლაინ დაჯავშნა, შეკვეთა, ანგარიშსწორება და სხვა. სტუდია **უზრუნველყოფს** როგორც საიტის შექმნას, ასევე, ყველანაირ ტექნიკურ სამუშაოს, - ვებ გვერდის ინტერნეტში განთავსებას, რეკლამირებას, ვიზიტორთა აღრიცხვას და ა.შ. ჩვენი საშუალებით შექმნილი ვებ-გვერდი, აუცილებლად გახდება **თქვენი ორგანიზაციის პრესტიჟული სახე.**

სტუდია **აგრეთვე გთავაზობთ** გამორჩეული, თანამედროვე სტილის გრაფიკული დიზაინით შესრულებული ლოგოების, სარეკლამო აფიშების, ბუკლეტების, პრეზენტაციების, მოსაწვევების, ბილბორდების, სავიზიტო ბარათებისა და სხვა გრაფიკული ერთეულის დამზადებას და **თქვენთვის სასურველი საფირმო სტილის შექმნას.**

**მუშაობს: 10:00-დან 17:00-მდე (შაბათ-კვირის გარდა);**
**ლესელიძის 15; Tel: +995(32) 987218**
**Mob: +995(93) 991007 Web:**
**www.modern.ge E-mail: info@modern.ge**

**ჩვენი არჩეONE-ის იმპრესარიო**
**მაია კაპანაძე**
**ინფორმაციისა და რეკლამის განსათავსებლად დარეკეთ:**
**☎ 899 95 57 67**